პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბოლშევიკი

№ 1-2 იანვარი—თებერვალი № 1-2

თბილისი

გამომცემლობა „კომუნისტი"
1947

# ბოლშევიკი

ს.ა.ძ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის ყოველთვიური თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი

გამოცემის XVIII წელი

№ 1-2 იანვარი—თებერვალი 1947

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჟორესის, № 5 ტელეფონი № 3-73-05


## შ ი ნ ა ა რ ს ი


გვ.

ბრძანება—სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა 1947 წლის 23 თებერვალი № 10 . . . . . 1

ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი ამხანაგ რაზინის წერილზე . . . . . 4

გ. თ. ალექსანდროვი—ლენინ-სტალინის დიადი დროშით . . . . . 10

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს III სესია

ა. გ. ზვერევი—სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ . . . . . 25

ა. გ. ზვერევი—საბოლოო სიტყვა კავშირის საბჭოში . . . . . 46

ა. გ. ზვერევი—საბოლოო სიტყვა ეროვნებათა საბჭოში . . . . . 51

ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი—სიტყვა სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე . . . . . 56

კანონი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ . . . . . 63

ა. ა. ანდრეევი — ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე . . . . . 67

ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული ამხ. ანდრეევის მოხსენების გამო . . . . . 103

მოწინავე—კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება 147

მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა . . . . . 153

საერთაშორისო მიმოხილვა . . . . . 161

ხაძიებელი—1946 წელს ჟურნალ „ბოლშევიკში“ მოთავსებული მასალებისა . . . . . 174


## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

1947 წლის 23 თებერვალი № 10 ქალაქი მოსკოვი

**ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო! ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!**

დღეს ჩვენი ქვეყანა დღესასწაულობს საბჭოთა არმიის არსებობის 29-ე წლისთავს.

დიდი ლენინის მიერ შექმნილმა საბჭოთა არმიამ სახელოვანი გზა განვლო. მთელი მისი ისტორია წარმოადგენს გმირობის, სამშობლოს თავდადე-

1333

ბული სამსახურის და თავისი სამხედრო მოვალეობის მამაცურად შესრულების ცოცხალ მაგალითს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა დიდ სამამულო ომში საბჭოთა არმიის მიერ მოპოვებულ შესანიშნავ გამარჯვებებში. სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს თავისი არმიის საგმირო საქმეებს.

საბჭოთა არმია თავისი 29-ე წლისთავის დღეს ხვდება მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი ხალხი დაძაბულად შრომობს და ახორციელებს ომის შედეგთა ლიკვიდაციის, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ამოცანებს.

ჩვენი ქვეყნის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმა, თავდადებით იბრძვიან სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მშენებლობისა და წარმოების ზრდის ტემპების შემდგომი გადიდებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის, ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისათვის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი ზრდისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების ახლახან ჩატარებული არჩევნები კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ურღვევია საბჭოთა საზოგადოების ერთიანობა, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი მჭიდროდ არის დარაზმული თავისი მთავრობის, კომუნისტური პარტიის გარშემო და გამსჭვალულია მისწრაფებით მიაღწიოს თავისი სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

საბჭოთა არმია, ასრულებს რა მშვიდობიანი დროის პირობებში მის წინაშე დასახულ საბრძოლო სწავლის ამოცანებს, ვალდებულია ამასთანავე იაროს წინ და მოიპოვოს ახალი, უფრო მაღალი წარმატებანი საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. ამას მოითხოვს ჩვენგან მშვიდობის განმტკიცების საქმე, ჩვენი სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფის საქმე.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადების სახელმძღვანელო პრინციპი მუდამ იყო და ახლაც არის — ასწავლოს ჯარებს ის, რაც საჭიროა ომში. გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ თანამედროვე ომი ჯარებისაგან მოითხოვს მაღალ საბრძოლო და მორალურ თვისებებს, კარგ სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებას, საბრძოლო ტექნიკის ზედმიწევნით დაუფლებას, საიმედო თანამოქმედებას და დიდ ფიზიკურ გამძლეობას.

ჩვენი არმიის, ავიაციისა და ფლოტის მთელი პირადი შემადგენლობის ამოცანა ის არის, რომ დაუღალავად, დღითი დღე, სრულჰყოს თავისი მხედრული ოსტატობა, განაგრძოს ომის გამოცდილების ღრმად შესწავლა და უნარიანად გამოიყენოს იგი.

გენერლები, ადმირალები და ოფიცრები მოვალენი არიან განუხრელად აიმაღლონ თეორიულ-სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, აგრეთვე დაეუფლონ ჯარის მომზადების მეთოდიკას, რაც ესოდენ საჭიროა მშვიდობიანი სწავლების პირობებში.

სერჟანტები და ზემდეგები მტკიცედ უნდა დაეუფლონ მეთაურის ჩვევებს, რათა საქმით გახდნენ ოფიცრების უახლოესი თანაშემწენი სამხედრო დისციპლინის დაცვაში, ჯარისკაცებისა და მატროსების სწავლებასა და აღზრდაში.

ჯარისკაცებმა და მატროსებმა გულმოდგინედ, ძალთა დაძაბვით უნდა სრულჰყონ თავიანთი სასროლო, ტაქტიკური, სამწყობრო, სპეციალური და პოლიტიკური მომზადება, გამოიწრთონ ფიზიკურად, რათა გახდნენ უნარიანი მეომრები, რომელთაც ძალა შესწევთ გადალახონ სალაშქრო-საბრძოლო ვითარების ყოველგვარი სიძნელე.

ყველა მეთაური და უფროსი ხელქვეითების სწავლებისა და აღზრდისას მოვალენი არიან იზრუნონ მათი ყოფაცხოვრებისათვის, კვებისა, მოწყობისა და ჩაცმისათვის, იმისათვის, რომ სამხედრო მოსამსახურენი თავის დროზე და სრულად იყვნენ დაკმაყოფილებულნი მათთვის დაწესებული მთელი ულუფით.

ჩვენი შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა სამხედრო მოსამსახურეთა მაღალ შეგნებულობასა და პოლიტიკურ აღზრდაზე დამყარებული მტკიცე სამხედრო დისციპლინა. ამიტომ ყველა მეთაური და უფროსი, რომლებიც შეუნელებლად ამტკიცებენ სამხედრო დისციპლინას და მკაცრ მომთხოვნელობას იჩენენ, ამასთან მოვალენი არიან ყოველდღიურად აღზარდონ ხელქვეითნი სამშობლოს ერთგულების სულისკვეთებით, სამხედრო მოვალეობის შეგნებულად შესრულებისა და სამშობლოს დაცვის საქმისათვის თვითეული მეომრის პირადი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი კომუნისტური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ საბჭოთა არმიის 29-ე წლისთავს.

საბჭოთა არმიის 29-ე წლისთავის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 23 თებერვალს, ოცი საარტილერიო ზალპით მიცემულ იქნას სალუტი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში, პორტ-არტურში და გმირ ქალაქებში — ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში.

გაუმარჯოს საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ჩვენს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი
საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ი. სტალინი

# ამხ. რაზინის წერილი

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

თუ შესაძლებელია, ძალიან გთხოვთ განმიმარტოთ შემდეგი საკითხები:

1. ხომ არ მოძველებულა ლენინის მიერ კლაუზევიცის შეფასებისას მოცემული დებულებანი?

2. როგორ უნდა მოვეკიდოთ კლაუზევიცის სამხედრო-თეორიულ მემკვიდრეობას?

ამ საკითხებში სიცხადე დავკარგე, როცა ჩვენი ხელმძღვანელი სამხედრო-თეორიული ჟურნალის „ვოენნაია მისლის“ 1945 წლის 6-7 №-ში წავიკითხე სტატია: „კლაუზევიცი და გერმანული სამხედრო იდეოლოგია“ (პოდპოლკოვნიკ მეშჩერიაკოვისა).

1944 წელს ვოროშილოვის სახელობის უმაღლეს სამხედრო აკადემიაში მე მომიხდა გამოსვლა პოლიტნაწილში აკადემიის უფროსის თანაშემწის, პოლკოვნიკ ბაზის იმ განცხადების წინააღმდეგ, რომ ამ საკითხში ლენინის რევიზია უნდა მოვახდინოთო. როგორც მგონია, „ვოენნაია მისლის“ სტატია ფაქტიურად ატარებს პოლკოვნიკ ბაზის ამ დებულებას. სწორად მოიქცა თუ არა რედაქცია, ასეთი სტატია რომ მოათავსა?

რომ ავიღოთ კლაუზევიცის ნაშრომების ის პრინციპული შეფასება, რაც ჟურნალის სტატიაშია მოცემული, ეს შეფასება შემდეგი დებულებებით გამოიხატება:

„რეაქციულ შეხედულებათა სიჭარბე კლაუზევიცის შრომებში“ (გვ. 93);

„ვერ გაუგია ომის ბუნება და დედაარსი“ (გვ. 110);

„თავისი დროის სამხედრო-თეორიულ აზრზე უფრო დაბლა დგას“ (გვ. 110).

„როგორც ცნობილია, ლენინს კლაუზევიცი მიაჩნდა ერთ-ერთ ყველაზე **ღრმა** მწერლად სამხედრო საკითხებზე, ერთ-ერთ **დიდ** სამხედრო მწერლად, ერთ-ერთ **ყველაზე შესანიშნავ** მწერლად ომების ფილოსოფიისა და ომების ისტორიის დარგში, ისეთ მწერლად, რომლის ძირითადი აზრები ამჟამად ყოველი მოაზროვნე ადამიანის უცილობელი შენაძენი გახდა. **(ლენინი. თხზ.** ტ. XVIII, გვ. 197, 249. ტ. XXII, გვ. 511. ტ. XXX, გვ. 333).

ამრიგად, ლენინის მიერ კლაუზევიცის შეფასება პირდაპირ ეწინააღმდეგება ჟურნალ „ვოენნაია მისლის“ სტატიაში მოცემულ შეფასებას.

თუ კლაუზევიცის შეფასებაში მართალია მეშჩერიაკოვი, და არა ლენინი, მაშინ სტატიის ავტორის ავტორიტეტი მეტისმეტად უმნიშვნელოა, რომ იგი ასეთ საკითხებზე გამოდიოდეს. ის აშკარად არც ეკამათება ლენინს. ასეთ შემთხვევაში სტატია გზა-კვალს უბნევს ჩვენს ოფიცერსა და გენერალს, რასაც შეუძლია ვნება მოუტანოს წითელ არმიას.

ხოლო თუ მე შეჩერებაკოვი ამ საკითხზე თავის მსჯელობაში მართალი არ არის, მაშინ მისი სტატია არ შეიძლება სხვანაირად შეფასდეს, თუ არა როგორც ანტილენინური გამოსვლა, რომელიც უკუგდებულ უნდა იქნას.

როგორც ვფიქრობ, ამით არის ეს სტატია **პოლიტიკურად მავნე.**

ამრიგად, ეს „ვიწრო სამხედრო-თეორიული“ საკითხი კი არ არის, არამედ პოლიტიკური საკითხია, და ამიტომაც გადავწყვიტე მომემართა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის, თქვენთვის, ძვირფასო ამხანაგო სტალინ.

ამ საკითხზე ამომწურავ მითითებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ იმ ბრძანების შესრულების საქმეში, რომელშიც თქვენ აღნიშნეთ სამხედრო-თეორიულ ჟურნალ „ვოენნაია მისლის“ სერიოზული ნაკლოვანებანი და ამასთან დაუსახეთ მას მთელი რიგი დიდი კონკრეტული ამოცანები.

ყველაზე მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერებისათვის მთლიანად და ჩვენი სამხედრო-ისტორიული მეცნიერებისათვის, კერძოდ, არსებით საკითხს წარმოადგენს წარსულის თეორიული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულება. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს ამის გამო აქვთ ცხადი და მკაფიო მიზანდასახულობანი — ყოველივე იმის ათვისება, რაც წინანდელ მეცნიერებას მოუცია, ყოველივე იმის კრიტიკული გადამუშავება და პრაქტიკულად შემოწმება, რაც ადამიანის აზრს შეუქმნია **(ლენინი,** ტ. XXV, გვ. 387). „პროლეტარული კულტურა ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება უნდა იყოს, რომელიც კაცობრიობას კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხელეური საზოგადოების უღელქვეშ გამოუმუშავებია“ **(ლენინი,** იქვე). ეს მთლიანად ეხება სამხედრო კულტურასაც.

მაშასადამე, ბურჟუაზიული კულტურის მიღწევებს ჩვენ კი არ უკუვაგდებთ, მაგალითად, იმ საბუთით, რომ ეს მიღწევები, როგორც ცნობილია, გამოიყენეს ფაშისტებმა ყველაზე ველური ბარბაროსული მიზნით. ბურჟუაზიული კულტურის მიღწევებს ჩვენ ვიყენებთ სოციალისტური მშენებლობისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. ამასთან ჩვენ მექანიკურად როდი ვითვისებთ ბურჟუაზიული მეცნიერების ცოდნათა მთელ ჯამს, ჩვენ ყოველივე ამას კრიტიკულად გადავამუშავებთ ხოლმე და ახალ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძვლებზე ვწევთ წინ მეცნიერებას.

საყოველთაოდ ცნობილია კრიტიკის ორი ძირითადი ფორმა—

— **დაბალი ფორმა** — დამახინჯებების, იდეალიზმის, მექანიციზმის, რეაქციული შეხედულებებისა და ა. შ. გამოქექვა და მთლიანად ყოველივე ამის ხელაღებით უკუგდება,

— **უმაღლესი ფორმა**—კრიტიკული გადამუშავება, არასწორ ფორმაში დადებითი შინაარსის მარცვალთა პოვნა, მათი შენარჩუნება და შემდგომ განვითარება.

გაცილებით უფრო ადვილია აღმოაჩინო ზოგადი ნაკლოვანებანი (იდეალიზმი, მეტაფიზიკა, მექანიციზმი), რასაც დაწყებითი კრიტიკული სტადიისათვის დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ საგრძნობლად უფრო ძნელია კრიტიკული გადამუშავება, სადაც საჭიროა მოძებნო რაციონალური მარცვლები, შეინარჩუნო და განავითარო ისინი. „ბევრ მიწას გადათხრიან ხოლმე ოქროსმაძიებელნი, ოქროს კი ცოტას პოულობენ“. **(ჰერაკლიტე).**

კრიტიკის სწორედ ამ უმაღლეს საფეხურზე უნდა იდგეს ჩვენი სამხედრო-თეორიული აზრიც. ხოლო მეჩშერიაკოვის სტატია ჩვენ უკან გვეწევა. და, როგორც ვფიქრობ, ამით არის იგი **თეორიულად** მავნე.

სწორად მგონია თუ არა, რომ სტატიის ავტორს ვერ გაუგია კლაუზევიცი და რომ ამიტომ გვირჩევს იგი უარი ვთქვათ ამ სამხედრო-თეორიულ მემკვიდრეობაზე? მაგრამ ხომ მართალი იყო ენგელსი, როცა ამბობდა: „ადამიანი, რომელიც ყოველ ფილოსოფოსს განსჯის არა იმის მიხედვით, რაც მას მეცნიერებაში შეაქვს, არა იმ პროგრესულის მიხედვით, რასაც მისი მოღვაწეობა შეიცავდა, არამედ იმის მიხედვით, რაც აუცილებლად გარდამავალი, რეაქციული იყო, განსჯის **სისტემის** მიხედვით,—ასეთი ადამიანი სჯობდა გაჩუმებული ყოფილიყო“. (**ენგელსი.** 1891 წ. 1 ივლისის წერილი კონრად შმიდტისადმი).

სწორი იქნება თუ არა იდეალიზმთან, მეტაფიზიკასთან და სხვ. ერთად გადავაგდოთ ყოველივე ის დადებითი, რაც სამხედრო თეორიის დამუშავებაში კლაუზევიცს მოუცია?

ხომ არ იმეორებს მეშჩერიაკოვი პოკროვსკის შეცდომებს, რომლებიც დაგმობილია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ?

ან იქნებ დიდი სამამულო ომის გამოცდილების მიხედვით კლაუზევიცის მთელი სამხედრო-თეორიული მუშაობა სრულებით სხვანაირად ფასდება, ვიდრე ეს ლენინს აქვს მოცემული?

მთელი ამ საკითხის სწორად გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმათთვის, ვინც სამხედრო ხელოვნების ისტორიაზე მუშაობს. დაახლოებით 15 წელი მოვანდომე იმას, რომ დასაბეჭდად დამემზადებინა რვატომიანი შრომა, რომლის პირველი ხუთი ტომი მნიშვნელოვანწილად უკვე მზად არის. ომამდე გამოცემული ორი ტომი ჩემ მიერ ძირეულად გადამუშავებულია. კერძოდ, მარშალ შაპოშნიკოვის მითითებათა მიხედვით.

პირველი ტომის აქ დართული თეზისებიდან და მთელი ნაშრომის წინასიტყვაობიდან ცხადია ჩემი შრომის ამოსავალი მუხლები. სავსებით აშკარაა, რომ მცდარი ამოსავალი მონაცემები, თუ ასეთები მოიპოვება, ფასს უკარგავენ მთელ ამ ნაშრომს, რომლის შესახებაც ჩემთვის არა ერთხელ უთქვამთ— იგი წითელი არმიისათვის საჭიროაო.

სწორედ ამიტომ ძალიან გთხოვთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, განმიმარტოთ ეს საკითხები.

პროფესორი, პოლკოვნიკი **ე. რაზინი**

1946 წლის 30 იანვარი.

---

# ამხანაგ სტალინის პასუხი

პატივცემულო ამხ. რაზინ!

მივიღე თქვენი 30 იანვრის წერილი კლაუზევიცზე და თქვენი მოკლე თეზისები ომისა და სამხედრო ხელოვნების შესახებ.

1) მეკითხებით: ხომ არ მოძველებულა ლენინის მიერ კლაუზევიცის შეფასებისას მოცემული დებულებანი?

ჩემი აზრით, საკითხი სწორად არ არის დასმული.

საკითხის ასეთი დასმისას შეიძლება იფიქრო, თითქოს ლენინს გაერჩიოს კლაუზევიცის სამხედრო დოქტრინა და სამხედრო შრომები, მოეცეს მათი სამხედრო შეფასება და მემკვიდრეობად დაეტოვებინოს ჩვენთვის მთელი რიგი სახელმძღვანელო დებულებანი სამხედრო საკითხებზე, რომლებიც ჩვენ სახელმძღვანელოდ უნდა მივიღოთ. საკითხის ამგვარი დასმა სწორი არ არის, რადგან ნამდვილად არ არსებობს ლენინის არავითარი ასეთი „დებულება" კლაუზევიცის სამხედრო დოქტრინისა და მისი შრომების შესახებ.

ენგელსისაგან განსხვავებით ლენინს თავისი თავი სამხედრო საქმის მცოდნედ არ მიაჩნდა. მას თავისი თავი სამხედრო საქმის მცოდნედ არ მიაჩნდა არა მარტო წარსულში, ოქტომბრის რევოლუციამდე, არამედ მერეც, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თვით სამოქალაქო ომის დამთავრებამდე. სამოქალაქო ომის დროს ლენინი გვავალებდა ჩვენ, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ამხანაგებს ცენტრალური კომიტეტიდან — „ზედმიწევნით შეგვესწავლა სამხედრო საქმე". თავისი თავის შესახებ იგი პირდაპირ გვეუბნებოდა—უკვე გვიანაა სამხედრო საქმე შევისწავლოო. ნამდვილი რომ ითქვას, სწორედ ამით აიხსნება, რომ თავის გამონათქვამებში კლაუზევიცის შესახებ და შენიშვნებში კლაუზევიცის წიგნის გამო ლენინი არ ეხება წმინდა სამხედრო საკითხებს, როგორიცაა სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის და მათი ურთიერთდამოკიდებულების, შეტევისა და უკანდახევის, თავდაცვისა და კონტრშეტევის ურთიერთდამოკიდებულების და სხვა საკითხები.

მაშ რა აინტერესებდა ასეთ შემთხვევაში ლენინს კლაუზევიცში და რისთვის აქებდა მას?

იგი კლაუზევიცს აქებდა უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ არა მარქსისტი კლაუზევიცი, რომელიც თავის დროზე სამხედრო საქმის მცოდნის ავტორიტეტით სარგებლობდა, თავის შრომებში ადასტურებდა ცნობილ მარქსისტულ დებულებას, რომ ომსა და პოლიტიკას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს, რომ პოლიტიკა წარმოშობს ომს, რომ ომი პოლიტიკის განგრძობაა ძალდატანებითი საშუალებებით. კლაუზევიცის დამოწმება ლენინს აქ იმისათვის სჭირდებოდა, რომ ერთხელ კიდევ ემხილებინა პლეხანოვი, კაუტსკი და სხვები სოციალ-შოვინიზმში, სოციალ-იმპერიალიზმში.

შემდეგ, იგი კლაუზევიცს აქებდა იმისათვის, რომ კლაუზევიცი თავის შრომებში ადასტურებდა იმ, მარქსიზმის თვალსაზრისით სწორ, დებულებას, რომ გარკვეულ არახელსაყრელ პირობებში უკანდახევა ბრძოლის ისეთივე კანონიერი ფორმაა, როგორც შეტევა. ლენინს აქ სჭირდებოდა კლაუზევიცის დამოწმება, რათა ერთხელ კიდევ ემხილებინა „მემარცხენე" კომუნისტები, რომლებიც არ სცნობდნენ უკანდახევას, როგორც ბრძოლის კანონიერ ფორმას.

მაშასადამე, ლენინი კლაუზევიცის შრომებს უდგებოდა არა როგორც სამხედრო პირი, არამედ როგორც პოლიტიკოსი, და კლაუზევიცის შრომებში მას ის საკითხები აინტერესებდა, რომლებიც ცხადჰყოფენ ომის კავშირს პოლიტიკასთან.

ამრიგად, კლაუზევიცის სამხედრო დოქტრინის კრიტიკის საქმეში ჩვენ, ლენინის მემკვიდრენი, ლენინის არავითარი მითითებით არა ვართ შებოჭილნი, რომელიც ჩვენს კრიტიკის თავისუფლებას ზღუდავდეს.

მაგრამ აქედან ის გამომდინარეობს, რომ თქვენი შეფასება ამხ. მეშჩერიაკოვის სტატიისა (იხ. „ვოენნაია მისლ“ № 6-7, 1945 წ.), სადაც იგი კლაუზვიცის სამხედრო დოქტრინას აკრიტიკებს,—შეფასება, როგორც „ანტილენინური გამოსვლისა“ და როგორც ლენინის მიერ მოცემული შეფასების „რევიზიისა“,—მიზანში ვერ ურტყამს.

2) უნდა ვაკრიტიკებდეთ თუ არა ჩვენ არსებითად კლაუზევიცის სამხედრო დოქტრინას? დიახ, უნდა ვაკრიტიკებდეთ. ჩვენ ვალდებულნი ვართ ჩვენი საქმის ინტერესებისა და ჩვენი დროის სამხედრო მეცნიერების თვალსაზრისით გავაკრიტიკოთ არა მარტო კლაუზევიცი, არამედ აგრეთვე მოლტკე, შლიფენი, ლიუდენდორფი, კეიტელი და გერმანიის სამხედრო იდეოლოგიის სხვა მატარებელნი. უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში გერმანიამ ორჯერ მოახვია თავს მსოფლიოს უაღრესად სისხლისმღვრელი ომი, და იგი ორივეჯერ დამარცხებული აღმოჩნდა. შემთხვევითია თუ არა ეს? რა თქმა უნდა, არა. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ არა მარტო გერმანიამ მთლიანად, არამედ მისმა სამხედრო იდეოლოგიამაც ვერ გაუძლო გამოცდას? უეჭველია, ნიშნავს. ყველასათვის ცნობილია, თუ რა პატივისცემით ეპყრობოდნენ მთელი მსოფლიოს სამხედრონი, მათ შორის ჩვენი რუსი სამხედრონიც, გერმანიის სამხედრო ავტორიტეტებს. ბოლო უნდა მოეღოს თუ არა ამ დაუმსახურებელ პატივისცემას? ბოლო უნდა მოეღოს. ჰოდა, ამისათვის საჭიროა კრიტიკა, განსაკუთრებით ჩვენი მხრით, გერმანიის დამძლევთა მხრით.

რაც შეეხება, კერძოდ, კლაუზევიცს, იგი, რა თქმა უნდა, მოძველდა, როგორც სამხედრო ავტორიტეტი. კლაუზევიცი, ნამდვილი რომ ითქვას, ომის **მანუფაქტურული** პერიოდის წარმომადგენელი იყო. მაგრამ ახლა ომის **მანქანური** პერიოდია. უეჭველია, რომ მანქანური პერიოდი ახალ სამხედრო იდეოლოგებს საჭიროებს. სასაცილოა ახლა კლაუზევიცისაგან ავიღოთ გაკვეთილები.

არ შეიძლება წინსვლა და მეცნიერების წინწაწევა ისე, თუ კრიტიკულად არ გავარჩიეთ ცნობილი ავტორიტეტების მოძველებული დებულებანი და გამონათქვამები. ეს ეხება არა მარტო სამხედრო საქმის ავტორიტეტებს, არამედ მარქსიზმის კლასიკოსებსაც. ენგელსი როგორღაც ამბობდა: 1812 წლის პერიოდის რუსი სარდლებიდან ბარკლაი-დე-ტოლი ერთადერთი სარდალია, რომელიც ყურადღების ღირსიაო. ენგელსი, რა თქმა უნდა, ცდებოდა, ვინაიდან კუტუზოვი როგორც სარდალი, უდავოა, ბევრად უფრო მაღლა იდგა ბარკლაი-დე-ტოლიზე. ამავე დროს კი ხომ შეიძლება ჩვენს დროში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დორბლმორეულნი დაიცავენ ენგელსის ამ შემცდარ გამონათქვამს.

ჩვენს კრიტიკაში ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ კლასიკოსთა არა ცალკეული დებულებებითა და გამონათქვამებით, არამედ იმ შესანიშნავი მითითებით, რომელიც თავის დროზე მოგვცა ლენინმა:

„ჩვენ სრულებითაც არ ვუყურებთ მარქსის თეორიას, როგორც დამთავრებულსა და ხელუხლებელს რამეს; პირიქით, დარწმუნებული ვართ, რომ მან მხოლოდ საძირკველი ჩაუყარა იმ მეცნიერებას, რომელიც სოციალისტებმა **უნდა** წასწიონ წინ ყოველი მიმართულებით, თუ მათ არ სურთ ჩამორჩნენ ცხოვრებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსი სოციალისტე-

ბისათვის განსაკუთრებით საჭიროა მარქსის თეორიის **დამოუკიდებელი** დამუშავება, ვინაიდან ეს თეორია იძლევა მხოლოდ ზოგად **სახელმძღვანელო** დებულებებს, რომლებიც **კერძოდ** ინგლისში სხვანაირად გამოიყენება, ვიდრე საფრანგეთში, საფრანგეთში სხვანაირად, ვიდრე გერმანიაში, გერმანიაში კიდევ სხვანაირად, ვიდრე რუსეთში". (**ლენინი**, ტ. II, გვ. 492).

ასეთი მიდგომა კიდევ უფრო სავალდებულოა ჩვენთვის სამხედრო ავტორიტეტების მიმართ.

3) რაც შეეხება თქვენს მოკლე თეზისებს ომისა და სამხედრო ხელოვნების შესახებ, მათი სქემატური ხასიათის გამო მხოლოდ ზოგადი შენიშვნები შემიძლია გამოვთქვა. თეზისებში ერთობ ბლომად არის ფილოსოფია და განყენებული დებულებანი. ყურს ეხამუშება კლაუზევიცის ტერმინოლოგია ომის გრამატიკისა და ლოგიკის შესახებ. მეტისმეტად პრიმიტიულად არის დასმული სამხედრო მეცნიერების პარტიულობის საკითხი. ყურს ეხამუშება დიფირამბები სტალინის პატივსაცემად,—პირდაპირ გეუხერხულება კითხვა. აკლია კარი **კონტრშეტევის შესახებ** (ხუ აურევთ კონტრიერიშში). მე ვლაპარაკობ კონტრშეტევაზე, რაც ტარდება მოწინააღმდეგის წარმატებითი, მაგრამ გადამწყვეტი შედეგების არმქონე შეტევის შემდეგ, რომლის დროსაც თავდამცველი ძალებს იკრებს, კონტრშეტევაზე გადადის და სასტიკად ამარცხებს მტერს. ვფიქრობ, რომ კარგად ორგანიზებული კონტრშეტევა შეტევის მეტად საინტერესო სახეს წარმოადგენს. თქვენ, როგორც ისტორიკოსი, ამ საქმით უნდა დაინტერესებულიყავით. ჯერ კიდევ ძველმა პართელებმა იცოდნენ ასეთი კონტრშეტევა, როცა მათ რომაელი სარდალი კრასუსი და მისი ჯარები თავიანთი ქვეყნის შუაგულში შეიტყუეს, ხოლო შემდეგ კონტრშეტევა გაუჩაღეს და გაანადგურეს ისინი. ძალიან კარგად იცოდა ეს აგრეთვე ჩვენმა გენიალურმა სარდალმა კუტუზოვმა, რომელმაც ნაპოლეონი და მისი არმია კარგად მომზადებული კონტრშეტევით გაანადგურა.

**ი. სტალინი**

23.2.46.

ნაბ. კ. პ. (ბ) ც-კ-ის ჟურნალ „ბოლშევიკ"-იდან, 1947 წ. № 3. თბილისი.

# ლენინ-სტალინის დიადი დროშით

## ამხ. გ. თ. ალექსანდროვის მოხსენება 1947 წლის 21 იანვარს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXIII წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე

ამხანაგებო! ოცდასამმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. წელს, 1947 წელს, ოცდაათი წელიწადი უსრულდება დიდი ლენინის მიერ დაარსებულ საბჭოთა რესპუბლიკას. აქედან შვიდ წელიწადზე ნაკლებ ხანს შესძლო ლენინმა ეხელმძღვანელა საბჭოთა სახელმწიფოსათვის. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ჩვენი პარტია უკვე ოცდასამი წელია იბრძვის ლენინის ანდერძის განსახორციელებლად, განამტკიცებს და განადიადებს ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს, აშენებს ჩვენს საბჭოთა საზოგადოებას და მიჰყავს იგი წინ ლენინური გზით. მრავალი მოვლენა მოხდა ამ დაძაბულ წლებში. ბევრი მკაცრი განსაცდელი ხვდა წილად საბჭოების რესპუბლიკას. ამ მოკლე ვადაში საბჭოთა ხალხმა შეასრულა დიადი საქმეები, რომლებმაც ძირფესვიანად შესცვალეს ჩვენი ქვეყნის სახე. მტკიცედ ადგნენ სოციალიზმის გამარჯვების კურსს, იბრძოდნენ საბჭოთა წყობილების დამკვიდრებისა და აყვავებისათვის ჩვენი პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, მისი ბელადი ამხანაგი სტალინი. (მჭუხარე ტაში). ბოლშევიკების პარტიას მთელი ამ წლების მანძილზე ამაყად მიჰქონდა თავისი ლენინური დროშა სულ წინ და წინ და დიდებას მატებდა მას. საბჭოთა ხომალდი თავისი ნაცადი მესაჭით მთელი ამ წლების მანძილზე სძლევდა გრიგალსა და ქარიშხალს და მიდიოდა დიადი მიზნისაკენ—კომუნიზმისაკენ.

I

### საბჭოთა ხალხი დიდი ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას მიჰყვება

საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ლენინის ხელმძღვანელობით დაიწყო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. ლენინი გვასწავლიდა, რომ საბჭოთა რუსეთში არის „... ყველაფერი, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების ასაგებად“ (თხზ., ტ. XXVII, გვ. 392).

ბოლშევიკების პარტია გაბედულად და მტკიცედ შეუდგა სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებას და მოიპოვა მსოფლიო ისტორიული წარმატებანი. პარტიამ თავისი რიგები შეამჭიდროვა ამხანაგ სტალინის გარშემო, დაამარცხა ხალხის მტრები, ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები, ბუხარინელები და სხვა გამცემლები და კაპიტულანტები, და სოციალიზმისათვის საბრძოლველად დარაზმა მთელი საბჭოთა ხალხი. საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დასძლია ყველა სიძნელე და განსაცდელი და შეასრულა ლენინის მთავარი ანდერძი: ააგო ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოება — კომუნიზმის პირველი საფეხური.

ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მსხვილი, თანამედროვე სოციალისტური მრეწველობა. საბჭოთა გლეხობა კოლმეურნეობებში გაერთიანდა და საბოლოოდ დაადგა სოციალიზმის გზას. ექსპლოატატორული კლასები სავსებით ლიკვიდირებულ იქნენ. პარტიამ წარმატებით შეასრულა ლენინის მიერ ნაანდერძევი ამოცანა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისა, საბჭოთა სახელმწიფოში ყველა ერისა და ხალხის თავისუფალი განვითარებისა და თანამშრომლობისა, საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა. ომის წინ ყოველი მშრომელი უკვე გარკვევით გრძნობდა ახალი, სოციალისტური წყობილების მშენებლობისათვის თავისი შრომის ნაყოფს. დგებოდა დოვლათიანობის, მუშათა და გლეხთა შეძლებული ცხოვრების ხანა. ხალხმა შესაძლებლობა მიიღო ესარგებლა სოციალისტური კულტურის ნაყოფით. ომი რომ არა, რომელიც თავს მოგვახვიეს ფაშისტმა მტარვალებმა, საბჭოთა ქვეყანა ამ წლებში ახალ მძლავრ აყვავებას მიაღწევდა, ხოლო საბჭოთა ადამიანები სავსებით ისარგებლებდნენ სოციალიზმის მატერიალური და კულტურული სიკეთით.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის ცხოვრებაში გატარებამ, ომისწინა სამი ხუთწლედის განხორციელებამ ჩვენი ქვეყანა მძლავრ სახელმწიფოდ გახადა. „ეს იყო ნახტომი, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — რომლის საშუალებითაც ჩვენი სამშობლო გადაიქცა ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავედ, აგრარულიდან — ინდუსტრიულად...“. ამით შეიქმნა ეკონომიური ბაზა, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა მოგვეწყო მტრის განადგურება სამამულო ომში. ამ ბაზაზე დაყრდნობით, საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინ-სტალინის უძლეველი დროშით, გამოიჩინეს დიდი გმირობა, დაიცვეს თავიანთი სოციალისტური სამშობლო და მოიპოვეს ისტორიული გამარჯვება გერმანელ და იაპონელ იმპერიალისტებზე. ომმა ცხადჰყო, რომ ამჟამად არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გადააჭარბოს საბჭოთა საზოგადოების ძლიერებას.

ხუთწლედების მანძილზე შექმნილმა ეკონომიურმა ბაზამ შესაძლებლობა მისცა ჩვენს ხალხს უკვე ომის მსვლელობაში და კიდევ უფრო საფუძვლიანად ომის დამთავრებისთანავე შესდგომოდა მეურნეობის სწრაფად აღდგენას და შემდგომ მშვიდობიან მშენებლობას.

ომიდან მშვიდობაზე გადასვლამ პირველ ადგილზე წამოაყენა სამეურნეო მშენებლობის, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საკითხები.

ომმა დიდი ნგრევა და ზარალი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. ცნობილია, რომ ომმა ისეთი ქვეყნების ეკონომიკაზეც კი მოახდინა გავლენა, რომლებსაც მტრის ჯარების მიერ გაძარცვა და გაპარტახება არ განუცდიათ, ისეთი ქვეყნების ეკონომიკაზეც, რომლებსაც სრული ზომით არ განუცდიათ სამხედრო დაძაბულობა ომის პირველ წლებში. ცნობილია, რომ ამ ქვეყნებმა, როგორც, მაგალითად, ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ყველაზე დიდი საომარი მოქმედება გააჩაღეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპაში შეიჭრნენ 1944 წლის ივნისში, ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ, ე. ი. როცა ცხადი გახდა, რომ საბჭოთა არმიას ძალა შეს-

წევდა მოკავშირეების დაუხმარებლად, საკუთარი ძალებით მოეხდინა მთელი გერმანიის ოკუპაცია და გაეთავისუფლებინა ევროპის ხალხები გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან. საბჭოთა ქვეყანა, რომელსაც ომის პირველი დღეებიდანვე უნდა დაეძაბა მთელი თავისი ძალები მტრისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და რომელმაც განიცადა გერმანელ ფაშისტთა სამხედრო შემოსევის მთელი სიმძიმე, განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა ომისაგან.

გასაგებია, რომ მძიმე ომის შედეგები, ჩვენი ქვეყნის მრავალი რაიონის გაპარტახების შედეგები ახლა გავლენას ახდენენ ჩვენი სახელმწიფოს სამეურნეო მდგომარეობაზე და წარმოშობენ მთელ რიგ სიძნელეებს. მაგალითად, მეტად საგრძნობია ქვანახშირისა და ლითონის, ხე-ტყის, საშენი მასალებისა და მრავალი სახის მოწყობილობის ნაკლებობა. ომმა შეასუსტა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალები. განვლილ წელს დამატებითი სიძნელეები შეჰქმნა ძლიერმა გვალვამ და მოუსავლიანობამ უკრაინაში და სსრ კავშირის მთელ რიგ სხვა ოლქებში, რამაც გააძნელა ჩვენი ქვეყნის სასურსათო მდგომარეობა.

ახლა საბჭოთა ხალხი ფართო ფრონტით ახდენს ომის შედეგების ლიკვიდაციას და აჩაღებს ბრძოლას მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. პატრიოტიზმი, რაც საბჭოთა ადამიანებმა სამშობლოს დაცვაში გამოიჩინეს, ამჟამად თავს იჩენს ჩვენი მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის შრომითი ენთუზიაზმით.

სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულება, გეგმისა, რაც საბჭოთა ხალხმა მიიღო საბრძოლო პროგრამად, რომელიც სავსებით შეესაბამება მის საარსებო ინტერესებს, კიდევ უფრო გააძლიერებს და განადიადებს საბჭოთა ქვეყანას.

ახალი, ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი წელი აღინიშნა მნიშვნელოვანი მიღწევებით სახალხო მეურნეობაში. მრეწველობა გარდაიქმნა სამოქალაქო პროდუქციის გამოსაშვებად. სწრაფად ხდება იმ რაიონების აღორძინება, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს. განთავისუფლების დასაწყისიდან ამ რაიონებში აღდგენილია 25 ბრძოლი, 100-ზე მეტი შარტენის ღუმელი, რამდენიმე ათეული საგლინავი დაზგა. ფართოდ გაჩაღდა საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, განსაკუთრებით მტრის მიერ გაპარტახებულ რაიონებში. 1945 წელთან შედარებით შავი მეტალურგიის საწარმოებმა 1946 წელს თუჯის წარმოება გაადიდეს 12 პროცენტით, ფოლადისა — 9 პროცენტით, ნაგლინისა — 13 პროცენტით. ნავთის მოპოვება გაიზარდა 12 პროცენტით, ცემენტის წარმოება — 85 პროცენტით. ტრაქტორების გამოშვება გადიდდა 72 პროცენტით. სატვირთო ავტომობილების წარმოება გაიზარდა 38 პროცენტით. განვლილ წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროსადგურთა სიმძლავრე. საფეიქრო და მსუბუქმა მრეწველობამ 1946 წელს ჩვენს ქვეყანას მისცეს მეტი საქონელი, ვიდრე 1945 წელს. ბამბის ქსოვილთა გამოშვება გადიდდა 17 პროცენტით, შალეულისა—30 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილისა—36 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა—28 პროცენტით. მთლიანად მრეწველობის სამოქალაქო პროდუქცია 1946 წელს გაიზარდა 20 პროცენტით. საშუალო სადღეღამისო დატვირთვა რკინიგზებზე გადიდდა 13 პროცენტით.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განვლილ წელს მიიღეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების განსამტკიცებლად. პარტია და მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის. მათ მიიღეს ზომები, რათა გადაჭრით აღიკვეთოს საკოლმეურნეო მიწებისა და კოლმეურნეობათა ქონების დატაცების ფაქტები, განუხრელად იქნას დაცული სასოფლო სამეურნეო არტელის წესდება. საბჭოთა მთავრობამ გვალვისაგან დაზარალებულ კოლმეურნეებს მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა სურსათითა და თესლით. ამხანაგმა სტალინმა დაგვისახა ამოცანა — მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობას, მოსავლიანობის სერიოზულ გადიდებას და მოსავლის სიმყარეს ჩვენს საბჭოთა მინდვრებზე. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაძლიერებულ მზადებას საგაზაფხულო თესვისათვის და მიმდინარე წელს თესვის კარგი ხარისხით ჩატარებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგი სტალინი მოითხოვენ, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია განიმსჭვალოს ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობის შეგნებით და მოაწყოს ბრძოლა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მრეწველობის შეუფერხებელი მომარაგება ნედლეულით, საქონელბრუნვის ზრდა, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება. მით უფრო დაბეჯითებით ისმება ახლა ამოცანა გავაუმჯობესოთ თვითეული კოლმეურნეობის როგორც მსხვილი სოციალისტური მეურნეობის მართვა. ამხანაგი სტალინი პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს უსახავს ამოცანას უზრუნველჰყონ კოლმეურნეობანი ადამიანთა ერთგვარი მინიმუმით, „... რომლებსაც მეურნეობის დაგეგმვისა და მისი ორგანიზებულად გაძღოლის უნარი შესწევთ“, განამტკიცონ ჩვენი სოფელი კარგ ორგანიზატორთა და პოლიტიკურ მუშაკთა მნიშვნელოვანი კადრებით. ამ ამოცანის შესრულება კიდევ უფრო ძლიერს გახდის ჩვენს კოლმეურნეობებს.

ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა საკითხს საბჭოთა ვაჭრობის გაფართოებისა და განმტკიცების, როგორც ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საშუალების შესახებ. პარტიამ და მთავრობამ მიიღეს ზომები საქონელბრუნვის ომისშემდგომი გარდაქმნისა და განვითარებისათვის. გადიდებულია ფართო მოხმარების საქონლის სავაჭრო ფონდები. გატარებულია გარდამავალი ღონისძიებანი მაღალი კომერციული ფასების დასაახლოვებლად დაბალ საულუფო ფასებთან, საბარათო სისტემის გაუქმებისა და ერთიანი ფასების შემოღებისათვის პირობების შესაქმნელად. მთავრობის გადაწყვეტილებანი კოოპერაციული ვაჭრობის გაჩაღებისა და სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების მიერ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების შესახებ უახლოეს ხანშივე გამოიწვევენ ბაზარზე ფართო მოხმარების საქონლის მასის სერიოზულ გადიდებას.

გეგმიანი ეკონომიკის უპირატესობათა გამოყენებით, საბჭოთა სახელმწიფომ ორგანიზებულად მოახდინა მეურნეობის გადაყვანა მშვიდობიანი განვითარების გზაზე.

განსაკუთრებით დიდია ამჟამად მშენებლობისა და წარმოების ტემპების როლი, ვინაიდან სწორედ მათთან დაკავშირებულია ახლა ომის შედეგების უსწრაფესი დაძლევა, მეურნეობის აღდგენა და განვითარება, ჩვენი ხალხის მატერიალური პირობების გაუმჯობესება.

ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალისტური მშენებლობის ტემპებს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო ნგრევა იყო, ლენინი აღნიშნავდა, რომ „....ადგილებზე განუხრელად უნდა მივისწრაფოდეთ იქითკენ, რომ გეგმა სრულდებოდეს უფრო მალე, ვიდრე გათვალისწინებულია, რათა მასები ხედავდნენ, რომ გამოცდილებას შეუძლია შეამოკლოს ის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც მრეწველობის სრულ აღდგენას გვაშორებს. ეს ჩვენზეა დამოკიდებული. მოდით ყოველ სახელოსნოში, ყოველ დეპოში, ყოველ დარგში გავაუმჯობესოთ მეურნეობა, და მაშინ ჩვენ ვადას შევამცირებთ". (თხზ., ტ. XXVI, გვ. 43). როცა სამოქალაქო ომი მთავრდებოდა, ლენინი ამბობდა: „ენერგია, რაც ომში გამოვიჩინეთ, ამდენადვე უნდა გამოვიჩინოთ შრომის დარგშიც". (თხზ. ტ. XXV, გვ. 21). შრომის ფრონტზე გამარჯვებისათვის ლენინი ყველა შეგნებულ მშრომელს მოუწოდებდა გამოეჩინათ მეტი შეუპოვრობა, სიმტკიცე, დაჟინება, მეტი ორგანიზატორული და ადმინისტრატორული ოსტატობა.

ამჟამად, სხვა ისტორიულ ვითარებაში, ამხანაგი სტალინი საბჭოთა ხალხის წინაშე აყენებს საკითხს ჩვენი მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ტემპების დაჩქარების შესახებ როგორც ომისშემდგომი პერიოდის სიძნელეთა უსწრაფესი გადალახვის საშუალებას. ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ მშენებლობისა და წარმოების ზრდის ტემპები მრეწველობის ყველა დარგში, დავაჩქაროთ მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა აღდგენა, ახლების მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა. წინ წავწიოთ მრეწველობის ჩამორჩენილი დარგები და საწარმოები, რომლებიც საწარმოო გეგმებს ვერ ასრულებენ, მნიშვნელოვნად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება ყველა საწარმოში.

ცნობილია, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ამხანაგი სტალინი მრავალგზის მიაქცევდა ყურადღებას იმას, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდება და მრეწველობის განვითარების დაჩქარება თანამედროვე პირობებში ნიშნავს გავუთანასწორდეთ მოწინავე მუშებს, მოწინავე ქარხნებს, შახტებს, ელექტროსადგურებს, რკინიგზებს, რიტმულად მომუშავე, წარმოების მაღალი კულტურის მქონე საწარმოებს, რომლებიც სისტემატურად მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ თავიანთ სახელმწიფო გეგმებს. ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისათვის უცხოა ჩამორჩენილი ადამიანებისა და ჩამორჩენილი საწარმოებისაგან მაგალითის აღების პრინციპი. ახლანდელ პირობებში, როცა საბჭოთა ქვეყნისათვის საჭიროა ცხოვრების ყველა დარგში სწრაფი წინსვლა, ჩვენი მუშები, სამეურნეო მუშაკები, საბჭოთა და პარტიული მუშაკები წარმოების საშუალო მაჩვენებლებს ვერ დასჯერდებიან. საბჭოთა საზოგადოება მოწინავე საზოგადოებაა, რომლის განვითარებაც წინსვლითი, აღმავალი მიმართულებით მიდის. ამ მოძრაობამ უნდა მოიცვას მთელი მუშათა კლასი, მთელი გლეხობა, მთელი ინტელიგენ-

ცია. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა მთელი ძალღონით ვცდილობდეთ საბჭოთა ქვეყნის პირობებში მეურნეობის გაძღოლის ლენინურ-სტალინური პრინციპის განხორციელებას და გადაჭრით წავწიოთ ჩამორჩენილი და საშუალოდ მომუშავე საწარმოები მოწინავეებისაკენ, ბოლო მოვუღოთ წარმოებაში საშუალო ციფრებზე, საშუალო შედეგებზე დაყრდნობას. ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღებული მუშათა და მოსამსახურეთა სოციალისტური შეჯიბრება უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ამ ამოცანის განხორციელებაში.

იმისათვის, რომ წარმატებით გადავწყვიტოთ ჩვენი ქვეყნის წინაშე წამოჭრილი რთული სამეურნეო ამოცანები, განვავითაროთ ნამდვილი ბოლშევიკური ტემპები. საჭიროა ყოველდღიურად ვასრულებდეთ ლენინის მოთხოვნებს მეურნეობის მართვის სისტემის მუდმივი გაუმჯობესების, აპარატის ოპერატიულობისა და მუშაობის უნარის გადიდების, შტატების გაბერვის წინააღმდეგ ბრძოლის, ყოველგვარი რუტინის, უძრაობისა და მოუქნელობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ჩვენი საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები მოვალენი არიან მუდამ ახსოვდეთ ლენინისა და სტალინის მითითებანი ყველაფერში მომჭირნეობის უსასტიკესი გატარების შესახებ, ჩვენს ქვეყანაში არსებული მთელი რესურსების ყველაზე რაციონალურად გამოყენების საჭიროების, დანაკარგებთან, უყაირათობასთან და უნაყოფო ხარჯებთან ბრძოლის, სამეურნეო ანგარიშის ზუსტად გატარების შესახებ, კადრების წარმატებით მომზადების, სწორად განაწილებისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მათი გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

ჩვენმა ქვეყანამ ახლა კვლავ გაშალა თავისი მძლავრი ძალები მშვიდობიანი შრომის ფრონტზე. მძიმე ომი უკან მოვიტოვეთ. მაგრამ ჩვენს პარტიას სწორედ იმიტომ ეწოდება ლენინური, რომ მტერზე დიდი გამარჯვების შემდეგაც იგი ხალხს ასწავლის განცხრომას კი არ მიეცეს, არამედ ფხიზლად და ფრთხილად იყოს. ხომ ცნობილია, რომ გერმანელ და იაპონელ იმპერიალისტთა განადგურების შემდეგაც მაინც არ სცხრებიან ახალი ომის ახლანდელი მოთავენი, ისეთი ადამიანები, როგორიც არიან ჩერჩილი და მისი მეგობრები ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მართალს ამბობენ ჩვენს ხალხში: არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა (საერთო გამოცოცხლება დარბაზში). მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას — თანამედროვე რეაქცია აშკარად გადაჭარბებით აფასებს თავის ძალებს როგორც საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე, ისე კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით დემოკრატიისა და მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში. არც ისე იოლია ახლა, რომ მშვიდობის მტრებმა ახალი ომი გააჩაღონ. ხალხებს მშვიდობა სურთ და მისთვის იბრძვიან. მართალია, ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასი ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ავსებს თავის ძალებს მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში, თავისი უფლებებისათვის ბრძოლაში, მაგრამ დემოკრატიისა და მშვიდობის ძალები ბევრად სჭარბობენ რეაქციისა და ომის მომხრეთა ძალებს. ჩვენი საბჭოთა მთავრობა, ჩვენი პარტია, ასრულებენ რა ლენინის ანდერძს, ახორციელებენ თანმიმდევრულ პოლიტიკას, მიმართულს ხალხთა შორის მტკიცე დემოკრატიული მშვიდობის

დამყარებისაკენ, იმპერიალისტებისა და ფაშისტთა ნაბოლარების ყველა იმ ცდის აღკვეთისაკენ, რომელთა მიზანია გააჩაღონ ხალხთა შორის სიძულვილი, დასთესონ შუღლისა და მტრობის თესლი, მოამზადონ ნიადაგი ახალი მსოფლიო ომისათვის. და საბჭოთა ქვეყანას შეუძლია იამაყოს თავისი წარმატებებით ამ კეთილშობილურ ბრძოლაში ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, დემოკრატიული წესწყობილებისა და იდეების გამარჯვებისათვის, შეუძლია იამაყოს თავისი მოღვაწეებით, რომლებიც ლენინურად მუშაობენ ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე. (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო, 23 წელია ჩვენი პარტია ლენინის—თავისი დამაარსებლისა და აღმზრდელის — გარდაცვალების შემდეგ, წინ მიდიოდა მისი დიადი დროშით. ჩვენი პარტიის სწორი ლენინური პოლიტიკის მეოხებით საბჭოთა ქვეყანა თანამედროვე მოწინავე პროგრესული ძალების სათავეში დგას. ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა ხალხი ამაყობენ იმით, რომ ისინი აღზარდა თანამედროვე ეპოქის უდიდესმა გენიოსმა, რომ ისინი იბრძვიან ლენინის—მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, უკლასო კომუნისტური საზოგადოების შენებლობის ფუძემდებლის, აზრისა და რევოლუციური მოქმედების განგანტის დროშით. ლენინური პარტია თავისი დამაარსებლისა და მასწავლებლის ღირსი აღმოჩნდა. თავისი ბელადის მოძღვრება მან მიიღო საბრძოლო პროგრამად. „ასე გვასწავლიდა ლენინი, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — და ჩვენ ამ საქმეში ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას მივყვებოდით".

დაე კვლავაც გამრავლდეს და გაიზარდოს სოციალიზმის ძალები მშრომელთა სასიხარულოდ, მათი მტრების თავზარდასაცემად! ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლო! (ტაში).

## II

## ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ ილიჩისებურად

ჩვენი პარტიის ძალა, საბჭოთა ადამიანების ძალა ის არის, რომ ისინი იბრძვიან, მუშაობენ და თავიანთ ცხოვრებას აშენებენ ილიჩისებურად. ამხანაგი სტალინი ამბობს:

„გახსოვდეთ, გიყვარდეთ, ისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი".

„აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა — ილიჩისებურად".

ლენინი იმ აზრისა იყო, რომ კომუნიზმის პრაქტიკულ საქმეებად განხორციელებისათვის, ადამიანებს — ახალი სამყაროს შემოქმედთ მოეთხოვებათ მაღალი შეგნებულობა და კულტურულობა.

ამის გამო ლენინი პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელთა აღზრდას კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით. „ჩვენ მარქსისტული პროგრამით აღვზარდეთ პროლეტარიატის პარტია, — ამბობდა ლენინი, — და ასევე უნდა აღვზარდოთ ათეულ მილიონობით მშრომელნი, რომელნიც ჩვენ გვყავს". (თხზ., ტ. XXIV, გვ. 152-153).

პარტიამ თავისი მასწავლებლის ამ ანდერძის შესასრულებლად უდიდესი მუშაობა გასწია საბჭოთა ადამიანების სოციალისტური შეგნების განვითარების, მშრომელთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის, მშრომელებში სოციალიზმის შემოქმედთათვის ჩვეულ ახალ თვისებათა ჩანერგვისათვის.

ახლა, როცა ჩვენმა ქვეყანამ უმოკლეს ვადაში უნდა დასძლიოს ომისშემდგომი დროის სიძნელენი, განახორციელოს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმზე თანდათან გადასვლის ამოცანა, საბჭოთა ადამიანების სოციალისტური შეგნების ამაღლებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეხიჭება. მეურნეობის ნგრევის წლებში, რაც ომით იყო გამოწვეული, ლენინი მუშებსა და გლეხებს მოუწოდებდა ეშრომათ მძიმე მდგომარეობისაგან თავდასაღწევად და ამბობდა: „... ჩვენ ვიწყებთ ახალ უსისხლო ბრძოლას ამ შეგნებულობისათვის". (თხზ. ტ. XXV, გვ. 15).

სოციალიზმი თავისი მშენებლებისაგან—მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციისაგან მოითხოვს სახელმწიფოს მართვის, მეურნეობის შეგნებულად გაძღოლის უნარს. ამისათვის აუცილებელია, რომ საბჭოთა მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას ნათლად ჰქონდეთ შეგნებული მათ წინაშე დასახული ამოცანები, უნარი შესწევდეთ დროზე დაინახონ ცხოვრებაში ახალი, სოციალისტური, მხარი დაუჭირონ მას, გამოიცნონ და აღკვეთონ ყოველივე, რაც უკან ეწევა, აბრკოლებს სოციალიზმის დამკვიდრებასა და ზრდას. კომუნიზმი, ამბობდა ლენინი, გასაგები უნდა გახდეს მუშათა მასებისათვის ისე, როგორც მათი საკუთარი საქმე.

ჩვენი ბოლშევიკური პარტია ხალხის კომუნისტური აღზრდისათვის მთელ მუშაობას აშენებს ლენინის იდეათა საფუძველზე, ლენინიზმის საფუძველზე. ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი რიგი ღონისძიებანი მიიღო მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმის გასაუმჯობესებლად, პარტიულ ორგანიზაციათა პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად, პარტიის მთელი იდეოლოგიური და კულტურული მუშაობის ასამაღლებლად.

უკანასკნელ წლებში დიდი რაოდენობით გამოიცა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებნი. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში 612.360 ათასი ცალის რაოდენობით გამოიცა ლენინისა და სტალინის ნაწარმოებნი. 37.433 ათას ცალად გამოცემულია მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებნი. ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ზომები მიიღო ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის უფრო სწრაფად გამოშვებისათვის. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით იბეჭდება ამჟამად სტალინის თხზულებათა პირველი გამოცემა. სამი პირველი ტომი უკვე გამოვიდა. ცენტრალური კომიტეტის მითითებით ხელახლა გამოცემულია 10 მილიონ ცალად „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი". ლენინისა და სტალინის თხზულებებში განზოგადოებულია გამოცდილება ბოლშევიკური პარტიის ბრძოლისა, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის. ამ ნაწარმოებებში განვითა-

რებული და ახალი გამოცდილებით გამდიდრებულია მარქსისტული თეორია. ჩვენი პარტიის ფუძემდებელთა და მასწავლებელთა თხზულებების გაძოცემა უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ჩვენი კადრების აღზრდაში, იდეურ გამოწრთობაში.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად ამხანაგმა სტალინმა მიგვითითეს დიდ ნაკლოვანებებზე, რომლებიც გვხვდება საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ზოგიერთ ნაწარმოებში. ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების მთელ რიგ ნაწარმოებებში გამოვლინებული უიდეობისა და აპოლიტიკურობის სალიკვიდაციოდ, ბოლშევიზმისათვის უცხო შეხედულებათა მიმართ შეუწყნარებელი ლიბერალიზმის აღმოსაფხვრელად პარტიის მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვეს ჩვენი კადრების, ინტელიგენციის უფართოეს წრეებში. ამ ღონისძიებათა შედეგად ჩვენს ქვეყანაში კულტურისა და ხელოვნების ახალი აღმავლობაა. ძლიერდება პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური, პარტიულ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობა. უფრო მაღალ საფეხურზე ადის სახელოვანი ბოლშევიკური ტრადიციების სულისკვეთებით, ლენინიზმის სულისკვეთებით კადრების აღზრდის მთელი საქმე. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გამოიწვევს აგრეთვე ჩვენი ინსტიტუტებისა და ყველა იმ მეცნიერის მოღვაწეობის აღმავლობას, რომელიც საზოგადოებრივ მეცნიერებათა—ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის, ფილოსოფიის, საერთაშორისო ურთიერთობის—დარგში მუშაობენ.

პარტიამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი მიიღო მშრომელთა შორის მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად. თავის აღმზრდელობითს მუშაობაში პარტია ხელმძღვანელობს ამხანაგ სტალინის მითითებით იმის შესახებ, რომ საბჭოთა ადამიანებს თვალწინ ჰქონდეთ დიდი ლენინის დიადი სახე და მუშაობდნენ ლენინურად.

ლენინურად მუშაობა ნიშნავს, თავდადებით გიყვარდეს საბჭოთა სამშობლო, ჩვენი სოციალისტური მამული, ჩვენი ხალხი, იყო მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი, მჩქეფარე ენერგიით იშრომო სამშობლოს საკეთილდღეოდ, მზად იყო მის დასაცავად მტრებისაგან. უშიშარი იყო ბრძოლაში და ულმობელი ხალხის მტრებისადმი. ეს ნიშნავს აგრეთვე დაიცვა და განამტკიცო ლენინური პოლიტიკა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობისა, ყოველნაირად განამტკიცო ეს მეგობრობა.

მიბაძო ლენინს და მიჰყვე მას ყველაფერში — იმას ნიშნავს, რომ იყო გაბედული ნოვატორი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში, იყო კონსერვატიზმის, რუტინისა და უძრაობისაგან თავისუფალი ადამიანი, არ მიეცე პანიკას სიძნელეების დროს, გაბედულად იარო წინ და გაიყოლიო სხვები, შემოქმედებითად მიუდგე საკითხების გადაჭრას. ლენინი საბჭოთა ადამიანებს უნერგავდა შეუპოვრობას მიზნის მიღწევაში, რევოლუციურ სიმტკიცეს სიძნელეთა დაძლევაში. ამხანაგი სტალინი ამბობს, რომ ბოლშევიკებს უნდა შეეძლოთ „მძლავრი რევოლუციური აღფრთოვანებისა და ბოლშევიკ მშენებელთა მტკიცე გამრჯელობის“ შეხამება.

მიბაძო ლენინს იმას ნიშნავს, რომ მხნე იყო ცხოვრებაში სოციალიზმის წარმატებისათვის ბრძოლაში, მართალი და პატიოსანი იყო, იყურებოდე

წინ და აღწევდე სულ ახალ-ახალ წარმატებას, ღრმად გწამდეს ჩვენი პარტიის საქმე, დიდი ლენინის საქმე. მხნეობა, საკუთარი ძალებისადმი რწმენა, კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე ყოველგვარი სიძნელისა და დაბრკოლების დასაძლევად მზადყოფნა ის შესანიშნავი თვისებებია, რომლებიც ბოლშევიკების პარტიამ საბჭოთა ადამიანებს ჩაუნერგა.

ვის შეუძლია უარჰყოს ახლა, რომ ეს მაღალი კეთილშობილური თვისებები ახასიათებს მილიონობით საბჭოთა ადამიანს, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ილიჩისებურად, რომ ეს ჩვენი პარტიის დიდი გამარჯვებაა!

ვის შეუძლია უარჰყოს ახლა, რომ ამით მკაფიოდ გამოვლინდა ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომელიც ესოდენ ღრმად და სწორად გამოხატავს საზოგადოების მდგომარეობას სოციალიზმის ეპოქაში!

საბჭოთა ადამიანის ახალ თვისებათა დანერგვა-განმტკიცებაში ლენინური პარტიის წევრები განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა ცდილობდნენ, რომ ჩვენი დიდი მასწავლებლის ღირსი იყვნენ. ჩვენი ლენინური პარტიის, რევოლუციონერთა პარტიის წევრები მთელ თავიანთ მუშაობაში ყველაზე მოწინავე ხაზზე უნდა იყვნენ. საწარმოში მომუშავე ბოლშევიკი მოვალეა მოწინავე იყოს, უეჭველად და გადამეტებით ასრულებდეს თავის გეგმას, იყოს მისაბაძი ყოველი მუშისათვის. სოფლად მომუშავე ბოლშევიკი უნდა იყოს კოლმეურნეობის სოციალისტური ცხოვრების აქტიური ორგანიზატორი, კოლმეურნეობის გაძღოლის მოწინავე გამოცდილების უნარიანი გამავრცელებელი, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისათვის მებრძოლი და სახელმწიფოს და კოლმეურნეთა ინტერესების დამცველი. მაშასადამე, საქმე ეხება წარმოებასა და მთელ საბჭოთა ცხოვრებაში კომუნისტების ავანგარდული, მოწინავე როლის კიდევ უფრო გაძლიერებას. რა პოსტიც უნდა ეკავოს ბოლშევიკს საწარმოში, კოლმეურნეობაში, დაწესებულებაში, იგი თავის ხელმძღვანელ როლს უნდა ახორციელებდეს, როგორც სახელმწიფოს ინტერესთა დამცველი, როგორც სახელმწიფო ინტერესებისა და სახელმწიფოებრივი დისციპლინის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ მებრძოლი.

მასების ხელმძღვანელთა და ორგანიზატორთა მოვალეობანი რომ ღირსეულად შეასრულონ, კვლავაც რომ განახორციელონ მოწინავე და წამყვანი როლი ჩვენს საბჭოთა ცხოვრებაში, ამისათვის კომუნისტები მუდამ უნდა მუშაობდნენ თავიანთი სრულყოფისათვის, უფრო ღრმად და შემოქმედებითად ეუფლებოდნენ დიად ლენინურ მოძღვრებას, აღწევდნენ სულ უფრო და უფრო მეტს პოლიტიკურ სიმწიფეს, ითვისებდნენ და ითვალისწინებდნენ თავიანთ მოღვაწეობაში სოციალისტური მშენებლობის სულ ახალ და ახალ გამოცდილებას. კომუნისტი მოვალეა მუდამ იფართოებდეს გონებრივ ჰორიზონტს, ისწრაფოდეს, რომ დღეს გუშინდელზე, ხვალ კი დღევანდელზე უფრო განათლებული და კულტურული იყოს. კომუნისტი მოვალეა იყოს ჩვენი ლენინური პარტიის პოლიტიკის ყველაზე მებრძოლი და ენერგიული გამტარებელი.

საბჭოთა ადამიანებში ახალ სოციალისტურ თვისებათა დანერგვა ისტორიულად აუცილებელი საქმეა. იგი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გეგმის არსებითს ნაწილს წარმოადგენს. იგი მოითხოვს შეუპოვარ

მუშაობას ყოველგვარი ცრურწმენის, დახავსებული ჩვეულების, კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად, რომლებიც აფერხებენ სოციალიზმის მშენებლობის საქმეს.

საბჭოთა ადამიანებში ამ ახალ თვისებათა დანერგვა, მათი კულტურულობის განუწყვეტელი ზრდა ნიშნავს მილიონობით საბჭოთა ადამიანის გონებრივი და კულტურული უპირატესობის შექმნას ბურჟუაზიული ქვეყნების ადამიანთა ცივილიზებულობასა, ხასიათსა და განვითარების დონესთან შედარებით.

ასე ახორციელებს ბოლშევიკური პარტია ლენინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ანდერძს.

ლენინიზმის სულისკვეთებით, კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით საბჭოთა ხალხის აღზრდისათვის ამ მუშაობაში ჩვენს პარტიას თვალწინ უდგას თავისი ბელადების ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და ამხანაგ სტალინის დიადი სახეები. ყოველი ბოლშევიკი და უპარტიო მშრომელი, რომელიც დაკვირვებით სწავლობს, უფიქრდება ჩვენი პარტიის აღმზრდელთა და ბელადთა რევოლუციური ცხოვრების ისტორიას, მჩქეფარე მოღვაწეობის ისტორიას, ხედავს ხალხისადმი თავდადებული სამსახურის ცოცხალ, კეთილშობილურ მაგალითს. მათს ბიოგრაფიებში, მათს ცხოვრებასა და საქმიანობაში ხორციშესხმულია ჩვენი პარტიის დიადი გამოცდილება, ხორციშესხმულია მარქსისტული მეცნიერება — განვითარებული და ცხოვრებაში ოსტატურად გამოყენებული. ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებში საბჭოთა ადამიანები ხედავენ სიბრძნის წყაროს, პარტიის დიდი პოლიტიკური გამოცდილების საუნჯეს, ლენინურ-სტალინურ იდეათა შემეცნების წყაროს. აქედან გასაგებია, თუ ჩვენს პარტიასა და უპარტიო მშრომელთა უაღრესად ფართო წრეებში რატომ არის ესოდენ ძლიერი მისწრაფება—შეისწავლონ ჩვენი პარტიის დამაარსებელთა და ბელადთა ბიოგრაფიები. ესოდენ მკაფიო და ძლიერი სურვილი — მიიღონ მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობისაგან აღმაფრთოვანებელი მაგალითი შემდგომი ახალ-ახალი გმირობისათვის საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ.

## III

## ლენინური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა

ბოლშევიკების პარტიის შექმნა და აღზრდა ლენინის უდიდესი დამსახურებაა.

ჩვენმა ლენინურმა პარტიამ სავსებით გამოიჩინა თავი როგორც მუშათა კლასის მებრძოლმა ორგანიზაციამ, მშრომელთა პოლიტიკურმა ბელადმა, რომელსაც მიჰყავს ხალხი დიდი საგმირო საქმეების შესასრულებლად, უნარი შესწევს მონახოს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების ყველაზე ძნელი და რთული არსებითი საკითხების სწორი გადაწყვეტა. რამდენი ასეთი საკითხი წამოჭრილა და იჭრება ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში! და რა მოფიქრებულად, ყოველთვის ყველა პლუსისა და ყველა მინუსის აწონდაწონით, რა ბრძნულად სწყვეტს მათ პარტია! თუ ამჟამად საბჭოთა კავშირი მსოფლიოს

სახელმწიფოთა შორის დიდი ძალაა, რომელსაც ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში, ამას ჩვენი ხალხი უნდა უმადლოდეს ჩვენი პარტიის პოლიტიკას. თუ საბჭოთა კავშირმა დაამარცხა თავისი მტრები ომში და ახლა მთელი სიგრძე-სიგანით აჩაღებს სამეურნეო მშენებლობას, მთელი სისწრაფით მიეშურება წინ, ამას საბჭოთა ადამიანები სამართლიანად უკავშირებენ კომუნისტების პარტიის, მისი ტვინისა და წარმმართველი ძალის — ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობას. თუ ჩვენი ხალხი, თავის გზაზე მნიშვნელოვან სიძნელეებს რომ ხვდება, ყოველთვის პოულობს გამოსავალს ამ სიძნელეებიდან, უხარიანად სწყვეტს და აღმოფხვრის ამ სიძნელეებს, ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ ჩვენი დიადი პარტიის განსაკუთრებული ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობის წყალობით, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის წყალობით.

ბოლშევიკების პარტიის პოლიტიკის წარმატებანი მიღწეულია იმის წყალობით, რომ პარტია თავის საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობდა ლენინის მოძღვრებით, მისი ანდერძით. ჩვენს ქვეყანაში ლენინიზმს სამართლიანად უწოდებენ ბოლშევიკების პარტიის დროშას, მილიონობით მშრომელთა დროშას.

იყო დრო, როცა სოციალისტები ერთეულებს წარმოადგენდნენ და არ შეეძლოთ რამდენადმე არსებითი გავლენა მოეხდინათ საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძალა ის არის, რომ იგი, როგორც თქვა ამხანაგმა სტალინმა, მუშათა კლასის რწმენის სიმბოლოა, მისი რევოლუციური დროშაა. ორმოცი წლის წინათ თავის შესანიშნავ ნაშრომში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ ამხანაგი სტალინი სწერდა:

„... მარქსი და ენგელსი არიან რომელიმე „ფილოსოფიური სკოლის“ არა უბრალო მამამთავრები — ისინი ცოცხალი ბელადებია ცოცხალი პროლეტარული მოძრაობისა, რომელიც დღითიდღე იზრდება და ძლიერდება. ვინც ამ მოძღვრებას ებრძვის, ვისაც მისი „დამხობა“ უნდა, მან კარგად უნდა გაითვალისწინოს ყოველივე ეს, რომ ტყუილუბრალოდ არ გაიტეხოს შუბლი უსწორო ბრძოლაში“ (თხზ., ტ. I, გვ. 350).

ისტორიას არ ახსოვს მაგალითი პარტიის ისეთი მტკიცე კავშირისა თავის კლასთან, თავის ხალხთან, როგორიც აქვს ბოლშევიკების პარტიას. ლენინელები მუშათა კლასის საქმისათვის, ხალხის საქმისათვის ნამდვილი მებრძოლები არიან. ისინი ხალხს უერთდებიან და მას მიუძღვიან, მიჰყავთ იგი. მშრომელთა უსაზღვრო ნდობითა და მხარდაჭერით სარგებლობენ.

დიდი, დაუშრეტელია ჩვენი საბჭოთა ხალხის სიყვარული თავისი მშობლიური პარტიისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი. მშრომელთა ეს სიყვარული და ნდობა პარტიისადმი, მასებში ლენინური პარტიის სრულიად განსაკუთრებული ავტორიტეტი წარმოიშვა და განვითარდა ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის პარტიის ბრძოლის მრავალი წლის განმავლობაში. ნახევარი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა პარტიის ეს გმირული, თავდადებული ბრძოლა, რომელიც მსოფლიო-ისტორიული წარმატებებით დაგვირგვინდა.

ოცდასამი წლის წინათ ამხანაგი სტალინი თავის სიტყვაში ლენინის გარდაცვალების გამო ამბობდა:

„საუკუნეების განმავლობაში ათჯერ და ასჯერ უცდიათ მშრომელებს მხრებიდან ჩამოეგდოთ მჩაგვრელები და თავიანთი მდგომარეობის ბატონ-პატრონი გამხდარიყვნენ. მაგრამ ყოველთვის, დამარცხებულნი და შერცხვენილნი, იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ. გულში ჩაეხშოთ დამცირება და შეურაცხყოფა, გულისწყრომა და სასოწარკვეთილება და აღეპყროთ თვალი გამოუცნობი ცისაკენ, საიდანაც ისინი ხსნას ელოდნენ. მონობის ბორკილი ხელუხლები რჩებოდა, ანდა ძველ ბორკილს სცვლიდა ახალი, ისეთივე მძიმე და დამამცირებელი. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში შესძლეს მშრომელთა ჩაგრულმა და დაბეჩავებულმა მასებმა დაემხოთ მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა და დაემყარებინათ მუშათა და გლეხთა ბატონობა. თქვენ იცით, ამხანაგებო, და ახლა მთელი მსოფლიო აღიარებს ამას, რომ ამ გიგანტურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ამხანაგი ლენინი და მისი პარტია“.

პარტიის ეს ბრძოლა მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, სოციალიზმისათვის წყაროა საბჭოთა ხალხის დიდი სიყვარულისა და სრული ნდობისა თავისი ლენინურ-სტალინური პარტიისადმი. **(ტაში).**

ბოლშევიკების პარტიისადმი მთელი ხალხის ნდობის, ძალა, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ძალა მკაფიოდ იჩენს თავს საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში. ჩვენი ხალხი აღფრთოვანებით ემზადება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის, საქმით ახორციელებს საბჭოთა დემოკრატიის პრინციპებს, მშრომელთა დემოკრატიის პრინციპებს. ახლა ყველა ხედავს, რა ერთსულოვნებით უჭერენ მხარს დიადი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკმა წამოაყენა. ყველა ხედავს, რა სიხარულით ასახელებენ საბჭოთა ადამიანები დეპუტატობის კანდიდატებად თავიანთ ხელმძღვანელებს — პარტიისა და სახელმწიფოს მოღვაწეებს, თავიანთ აღმზრდელსა და ბელადს დიდ სტალინს. **(მჭუხარე ტაში. დამსწრენი ფეხზე დგებიან და მიესალმებიან ამხანაგ სტალინს).** რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები კიდევ უფრო განამტკიცებს პარტიის კავშირს მშრომელებთან, განამტკიცებს ჩვენს საბჭოებს და გამოიწვევს საბჭოების მთელი მუშაობის შემდგომ აღმავლობას.

საბჭოთა ხალხის ნდობა და სიყვარული ლენინური პარტიისადმი მკაფიო გამოხატულებას პოულობს ჩვენი პარტიის ზრდით. იგი მუდამ იკრებს მუშათა კლასის როგორც ჩვენი საზოგადოების მოწინავე კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანებს. როგორც ცნობილია, პარტიამ სამამულო ომში დაჰკარგა ასეულ ათასობით თავისი შვილი, რომლებიც საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში გმირულად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ და თავიანთი სიცოცხლე შესწირეს საბჭოთა სამშობლოს. მაგრამ ამავე დროს პარტიაში განუწყვეტლივ შედიოდნენ ჩვენი ქვეყნის სულ ახალი და ახალი მოწინავე ადამიანები. ისინი განუწყვეტლივ აძლიერებდნენ და გა-

ნამტკიცებდნენ პარტიას, რადგან საბჭოთა ადამიანებს ჩვენი პარტია მიაჩნიათ თავიანთ მახლობელ და მშობლიურ პარტიად, ნებაყოფლობით ანდობენ მას თავიანთ ბედს. ისინი სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი ჩვენი ლენინური პარტიის გაფართოებითა და განმტკიცებით. ომის წლებში ჩვენი პარტია არათუ შემცირდა, არამედ კიდევაც გაზარდა თავისი რიგები. ომის წინ პარტიაში სამმილიონნახევრამდე წევრი და კანდიდატი იყო. ახლა კი მის რიგებში ექვს მილიონზე მეტი კაცი ითვლება!

ეს დიდი ძალაა, ამხანაგებო, (ტაში).

ჩვენი ბოლშევიკური პარტია განაგრძობს თავისი შემადგენლობის გაძლიერებასა და განმტკიცებას. ჩვენი პარტიის ძირითად ბირთვს ამჟამად შეადგენენ კადრის მუშები და ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნენი. პარტიაში არიან საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანები. ამჟამად პარტიაში ირიცხება 400 ათასზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე და 1.300 ათასამდე საშუალო განათლების მქონე კომუნისტი, 148 ათასი ინჟინერი, 24 ათასი აგრონომი და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტი, თითქმის 40 ათასი ექიმი, 80 ათასი პედაგოგი.

ჩვენი პარტიის დიდი მიღწევაა ის, რომ მის რიგებშია 1 მილიონზე მეტი ქალი, ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში ქალი, რომელსაც მამაკაცის თანასწორი უფლებები აქვს, უდიდეს ძალას წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

ამჟამად ბურჟუაზიული ქვეყნების რომელ მმართველ პარტიას შეუძლია სთქვას, რომ ასეთივე ავტორიტეტი აქვს ხალხში, ასეთივე ნდობითა და სიყვარულით სარგებლობს მშრომელთა უაღრესად ფართო მასებში?

ასეთი პარტია არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს მმართველ ბურჟუაზიულ და მათთან მახლობელ პარტიებს შორის.

გასაგებია, რომ ისეთ პარტიას, როგორიცაა ბოლშევიკების პარტია, მოთხოვნებიც დიდი წარედგინება.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს კიდევ უფრო გაძლიერდეს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი საბრძოლო როლი მთელ საბჭოთა ცხოვრებაში. ამაღლდეს პარტიულ ორგანიზაციათა აქტივობა ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქმეში, დაირაზმოს მთელი ჩვენი ხალხი 1947 წლის, ახალი ხუთწლედის მეორე წლის, გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად.

ამხანაგებო! უკვე ნახევარი საუკუნეა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები ლენინიზმის დროშით იბრძვიან. რამდენი სხვადასხვა პოლიტიკური პარტია წარმოიშვა და თითქმის უკვალოდ გაჰქრა ამ ხნის განმავლობაში ბევრ დიდ თანამედროვე სახელმწიფოში! მხოლოდ ჩვენი სახელოვანი პარტია იდგა და დგას მთელი ამ წლების განმავლობაში, როგორც ძალღონით, მხნეობით აღსავსე, ფხიზელი და ბრძენი, მძლავრი ბუმბერაზი, რომელიც მთელ მსოფლიოს აოცებს თავისი ჰეშმარიტად უჭკნობი გამარჯვებებით. ლენინი კომუნისტურ პარტიას ჩვენი ეპოქის გონებას, ღირსებასა და სინდისს უწოდებდა. ჩვენი პარტია ამ შესანიშნავ თვისებებს ლენინს უნდა უმადლოდეს. ამხანაგი სტალინი აგბობს: „ჩვენ გვაწრთობდა

დიდი ლენინი, ჩვენი ბელადი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი მამა, რომელმაც არ იცოდა და არ სცნობდა შიშს ბრძოლაში". სწორედ ბოლშევიკების პარტია იყო ის წარმმართველი ძალა, რომელიც საბჭოთა ადამიანებს მიუძღოდა სულ წინ და წინ, ლენინის მიერ დასახული დიადი მიზნისაკენ—კომუნიზმისაკენ. დიდი ლენინის გარდაცვალების შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ჩვენი პარტიის ის ხელმძღვანელი ბირთვი, რომელმაც პარტიის მტრების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში დაიცვა ლენინის დიადი დროშა, გააერთიანა და დარაზმა მთელი პარტია, მთელი ხალხი ილიჩის ანდერძთა გარშემო, გამოიყვანა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, ჩვენი გლეხობა და ინტელიგენცია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ფართო და სწორ გზაზე. ბოლშევიკური პარტიის ამ ბირთვს წარმოადგენს ჩვენი ცენტრალური კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელი და პარტიისა და სახელმწიფოს წამყვანი ძალა იყო და არის ლენინის შესანიშნავი მოწაფე, მისი ღირსეული მემკვიდრე და მისი საქმის დიდი განმგრძობი ამხანაგი სტალინი. **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

კვლავაც ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოზრდილი ჩვენი სახელოვანი პარტია!

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის უძლეველ დროშას—ლენინიზმს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს—სოციალიზმის შემოქმედს!

გაუმარჯოს ლენინის საქმის დიდ განმგრძობს, საბჭოთა ხალხის აღმზრდელსა და ბელადს, ჩვენს მშობლიურ ამხანაგ სტალინს! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან. სხდომის მონაწილენი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს").**

# სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

## სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ა. გ. ზვერევის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ თქვენს გაშსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი გამოდის იმ ამოცანებიდან, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წელს, და მიმართულია სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისაკენ, კულტურის აღმავლობისა და საბჭოთა კავშირის ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისაკენ.

დამთავრებული 1946 წელი აღინიშნა მნიშვნელოვანი წარმატებებით საბჭოთა ხალხის ბრძოლაში ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, ჩვენი სამშობლოს მძლავრი ეკონომიური და კულტურული აღმავლობის პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, იმ პროგრამისა, რომელიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ სტალინის 1946 წლის 9 თებერვლის ისტორიულ სიტყვაში.

საბჭოთა კავშირი გამარჯვებული გამოვიდა კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს ომში და შევიდა თავისი განვითარების მშვიდობიან პერიოდში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით ჩვენი ქვეყნის ხალხები მშვიდობიანი დროის ვითარებაში აღადგენენ მტრის მიერ დანგრეულ მეურნეობასა და კულტურულ დაწესებულებებს, ავითარებენ საბჭოთა სახელმწიფოს საწარმოო ძალებს.

მიუხედავად უდიდესი ზარალისა, რაც ჩვენს ქვეყანას გერმანელ ფაშისტთა შემოსევამ მიაყენა, და ომისშემდგომი პერიოდის დიდი სიძნელეებისა, საბჭოთა ხალხმა სერიოზული მიღწევები მოიპოვა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულების შედეგების შესახებ მკაფიოდ მოწმობს მილიონობით საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი შრომის შესანიშნავ შედეგებს.

ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესაბამისად მრეწველობამ გასულ წელს ძირითადად დაამთავრა თავისი წარმოების ომისშემდგომი გარდაქმნა.

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო გამომუშავება სამოქალაქო პროდუქციის ხაზით 1946 წელს 20 პროცენტით გადიდდა 1945 წელთან შედარებით.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მძიმე ინდუსტრიის დარგებმა, აგრეთვე იმ მრეწველობის დარგებმა, რომელიც ფართო მოხმარების საგნებს

ამზადებს. 12 პროცენტით გადიდდა თუჯის წარმოება, 9 პროცენტით — ფოლადის გამოდნობა, 13 პროცენტით—ნაგლინის წარმოება, 10 პროცენტით—ქვანახშირის ამოღება, 12 პროცენტით—ნავთის ამოღება, 72 პროცენტით — ტრაქტორების გამოშვება, 17 პროცენტით—ბამბეულის გამოშვება, 30 პროცენტით—შალეულის გამოშვება და ა. შ.

საშუალო სადღეღამისო დატვირთვა რკინიგზებზე 1946 წელს 113 პროცენტს შეადგენს 1945 წელთან შედარებით.

კაპიტალურმა დაბანდებებმა სახალხო მეურნეობაში უკვე 1946 წელს გადააჭარბა ამ მიზნისათვის 1940 წლის დანახარჯთა ოდენობას, ამასთან მთელ კაპიტალურ დაბანდებათა 40 პროცენტზე მეტი გამოყენებულია აღდგენითი სამუშაოებისათვის. ამის შედეგად სწრაფი ტემპებით მატულობს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 1946 წელს (შესადარ ფასებში) 130 პროცენტს შეადგენდა 1945 წელთან შედარებით.

სოფლის მეურნეობაზე 1946 წელს სერიოზული გავლენა მოახდინა ძლიერმა გვალვამ საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე. ასეთი გვალვა არ ყოფილა უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ტერიტორიის ოდენობით მან 1921 წლის გვალვას გადააჭარბა.

მაგრამ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სოციალისტური ორგანიზაციის უპირატესობის მეოხებით, მარცვლეულის საერთო მოსავალი და სასაქონლო პროდუქცია 1946 წელს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე 1921 წელს, ხოლო გვალვით დაუზარალებელ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქცია 1946 წელს მნიშვნელოვნად გადიდდა 1945 წელთან შედარებით. მაინც მთლიანად მარცვლეულის, მზესუმზირასა და შაქრის ჭარხლის საერთო მოსავალი ჩვენს ქვეყანაში 1945 წლისაზე ნაკლები იყო.

დიდი წარმატებებია მიღწეული მეცნიერების განვითარებაში და ჩვენი ხალხის კულტურის შემდგომი საერთო აღმავლობის საქმეში.

1946 წელი იყო ჩვენს სახალხო მეურნეობაში ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების წელი, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის კიდევ უფრო განმტკიცების წელი.

ამ შესანიშნავმა შედეგებმა კვლავ მთელი თავისი სიძლიერით ცხადჰყო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, ჩვენი სახალხო მეურნეობის გეგმიანი სისტემის ცხოველმყოფელი ძალა.

საბჭოთა ხალხის მიერ ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულებაში მიღწეულმა წარმატებებმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას. ჩვენი სამშობლო ძლევამოსილად მიდის წინ კომუნისტური საზოგადოების აგების გზით ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით. **(მჟუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენს დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრკ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ხელს შეუწყობს სახალხო

მეურნეობის ყველა დარგის უსწრაფეს აღდგენასა და განვითარებას, მეცნიერების, კულტურის აყვავებასა და ხალხის მასების კეთილდღეობის ამაღლებას.

## სსრ კავშირის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგები

სანამ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს მოგახსენებდეთ, ნება მიბოძეთ მოკლედ შევეხო გასული 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წინასწარ შედეგებს.

ეს შედეგები ცხადჰყოფენ, რომ 1946 წელს ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის შემდგომ განმტკიცებას სოციალისტური მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან შემოსავლის გადიდების საფუძველზე.

წინასწარი ცნობებით ბიუჯეტის შემოსავალმა შეადგინა 322,7 მილიარდი მანეთი, ხოლო გასავალმა 304,1 მილიარდი მანეთი. ამრიგად, ბიუჯეტი შესრულებულია გასავალზე შემოსავლის 18,6 მილიარდი მანეთის გადამეტებით, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა საბჭოთა სახელმწიფოს ფულის მიმოქცევასა და ფინანსებზე. 1945 წელთან შედარებით 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი გადიდდა 20,7 მილიარდი მანეთით, ანუ 6,9 პროცენტით, ხოლო გასავალი 5,5 მილიარდი მანეთით, ანუ 1,8 პროცენტით.

შევჩერდები სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი საშემოსავლო და საგასავლო მუხლების შესრულებაზე.

შემოსავალი ბრუნვის გადასახადით 1946 წელს 67,9 მილიარდი მანეთით, ანუ 55,2 პროცენტით გადიდდა. ეს აიხსნება სამრეწველო პროდუქციის და საქონელბრუნვის გადიდებით და საცალფასების ერთგვარი ამაღლებით.

მაგრამ ბრუნვის გადასახადის დარგში გეგმის შესრულებას 1946 წელს 4,9 პროცენტი დააკლდა იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი სამინისტროს საწარმოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი საწარმოო პროგრამები და პროდუქციის რეალიზაციის გეგმები.

საწარმოებისა და სამეურნეო ორგანოების მოგების ანარიცხები სახელმწიფო ბიუჯეტში 1946 წელს დამტკიცებული იყო 16,3 მილიარდი მანეთის ოდენობით. წინასწარი ცნობებით შემოსულია 16,2 მილიარდი მანეთი. ზოგიერთი სამინისტროს მიერ მოგების ანარიცხების დარგში გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად, ცალკეულ სამინისტროებს მნიშვნელოვანი დანაკლისი აქვთ ბიუჯეტში მოგებათა ანარიცხების გეგმის შესრულების მხრივ იმის გამო, რომ ბევრი სამეურნეო მუშაკი საკმაო ყურადღებით არ ეკიდებოდა საწარმოო პროგრამის შესრულებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეკონომიურობით გამოყენებას.

შემოსავალი მოსახლეობის სახელმწიფო გადასახადების ხაზით 1946 წლისათვის დამტკიცებული იყო 23,4 მილიარდი მანეთის ოდენობით, ხოლო ფაქტიურად შემოვიდა 22,7 მილიარდი მანეთი, ესე იგი 700 მილიონი მანეთით ნაკლები. გადასახადების ნარჩენი ნაწილობრივ აიხსნება ცალკეულ

საფინანსო ორგანოების, უწინარეს ყოვლისა ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის სსრ რესპუბლიკების, მორდვეთის, ბაშკირეთის ასს რესპუბლიკების, რიაზანისა და იაროსლავლის ოლქების საფინანსო ორგანოების არადაშაყმაყოფილებელი მუშაობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი 1946 წელს, როგორც უკვე აღვნიშნე, შეადგენდა 304,1 მილიარდ მანეთს, აქედან მრეწველობის დასაფინანსებლად 68,6 მილიარდ მანეთს, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დასაფინანსებლად 10,0 მილიარდ მანეთს, სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად 12,3 მილიარდ მანეთს, ვაჭრობისა და დამზადებათა დასაფინანსებლად 3,2 მილიარდ მანეთს, ხოლო სულ სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად, სარეზერვო ფონდიდან ასიგნობათა ჩათვლით, დახარჯულია 103,9 მილიარდი მანეთი, ნაცვლად 1945 წლის 74,4 მილიარდი მანეთისა, ანუ 29,5 მილიარდი მანეთით მეტი.

განათლებაზე დაიხარჯა 38,1 მილიარდი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზიკურ კულტურაზე 13,8 მილიარდი მანეთი, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების პენსიისა და დახმარების ჩათვლით, 17,6 მილიარდი მანეთი, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარებაზე 3,6 მილიარდი მანეთი. სულ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დახარჯულია 80,4 მილიარდი მანეთი, ანუ 17,7 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1945 წელს.

ამ ძირითადი მაჩვენებლებით ხასიათდება 1946 წლის ბიუჯეტის შესრულება.

## 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი აგებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის ამოცანებისა და 1947 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად.

1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს:

ჯერ-ერთი — სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების საჭიროებათა და პირველ რიგში სათბობისა და მეტალურგიული მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის აღმავლობის, მოხმარების საგნების მწარმოებელი დარგების განვითარების დაჩქარების, აგრეთვე საბინაო მშენებლობის მკვეთრი გადიდების და კულტურისა და მეცნიერების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას საფინანსო რესურსებით.

მეორე — სოციალისტურ საწარმოთაგან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის შემდგომ გადიდებას მეურნეობის მთელი რესურსების მობილიზაციის, მატერიალური და ფულადი სახსრების უკეთ გამოყენების, მომჭირნეობის რეჟიმის შემდგომი დანერგვისა და სამეურნეო აყვავების გაძლიერების საფუძველზე.

მესამე — სახალხო მეურნეობაში ფულის მიმოქცევისა და საკრედიტო ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

სახალხო მეურნეობის ზრდის შესაბამისად, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი 1947 წელს 1946 წელთან შედარებით დიდდება შემოსავლის ხა-

ზით 21,3 პროცენტით და გასაელის ხაზით 22,1 პროცენტით. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 1947 წელს განსაზღვრულია 391,5 მილიარდი მანეთით და გასავალი 371,4 მილიარდი მანეთით, ე. ი. გათვალისწინებულია შემოსავლის გადამეტება გასავალზე 20,1 მილიარდი მანეთის ოდენობით.

მოყვანილი ციფრები სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდისა მკაფიოდ მოწმობენ ომისშემდგომ პერიოდში სოციალისტური ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

## ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან

პროდუქციის მოცულობისა და საქონელბრუნვის გადიდებასთან დაკავშირებით, შემოსავალი ბრუნვის გადასახადით 1947 წელს 1946 წელთან შედარებით 63,7 მილიარდი მანეთით დიდდება და 254,7 მილიარდ მანეთს შეადგენს.

ბრუნვის გადასახადით შემოსავლის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს საწარმოების მიერ თავიანთი საწარმოო პროგრამებისა და საქონელბრუნვის გეგმის შესრულება.

ამავე დროს კი, კვების, საგემოვნო და თევზის მრეწველობის სამინისტროებმა ვერ უზრუნველჰყვეს მთელი რიგი თავიანთი დარგების საწარმოო გეგმის შესრულება, რის გამო კვებისა და საგემოვნო მრეწველობის საწარმოებმა 1946 წელს ბრუნვის გადასახადის ხაზით ბიუჯეტს დააკლეს 2,2 მილიარდი მანეთი, ხოლო თევზის მრეწველობის საწარმოებმა 0,6 მილიარდი მანეთი.

ასორტიმენტის მხრივ გეგმა არ შეუსრულებიათ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს, რის გამო ბრუნვის გადასახადით ბიუჯეტში 800 მილიონი მანეთით ნაკლები შემოვიდა, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით. სამეურნეო ხელმძღვანელებმა მკაცრად უნდა ადევნონ თვალყური საწარმოო გეგმების მთლიანად და პროდუქციის დაწესებული ასორტიმენტის მიხედვით შესრულებას.

ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების ზრდაში, მსხვილ სახელმწიფო მრეწველობასთან ერთად, სერიოზული როლი უნდა შეასრულონ ადგილობრივმა მრეწველობამ, სარეწაო და სამომხმარებლო კოოპერაციამ. მთავრობის გადაწყვეტილება კოოპერაციული ორგანიზაციების საქმიანობის გაჩაღების შესახებ საჭირო წინაპირობებს უქმნის ჩვენი ქვეყნის საქონელბრუნვის დამატებით გადიდებას. კოოპერაციას მრავალი არტელი და სამომხმარებლო საზოგადოება მოეპოვება. მაგრამ მათი საწარმოო შესაძლებლობანი ჯერ კიდევ სუსტად არის გამოყენებული, კოოპერაციის საწარმოო და სავაჭრო საწარმოთა ახალი ქსელის გაშლა ნელი ტემპით ხდება. კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესება, კოოპერაციულ საწარმოთა წარმოების გაჩაღების ტემპის გაძლიერება და მათ მიერ თავიანთი პროდუქციის რეალიზაცია ჩვენს ქვეყანას დამატებით მრავალი მილიონი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელს მისცემს.

ბრუნვის გადასახადის, სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების ანარიცხებისა და საშემოსავლო გადასახადის ბიუჯეტში შემოსვლის

სრული და დროული უზრუნველყოფის საქმეში უდიდესი როლი ეკუთვნით ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შემოსავლის მუშაკებს. სახელმწიფო შემოსავლის ინსპექტორები მოვალენი არიან ყოველდღიური კონტროლი გაუწიონ სამეურნეო ორგანოების მიერ ანგარიშგების დროულ წარმოდგენას, კვალიფიციურად შეამოწმონ ანგარიშგება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საწარმოების მიერ საწარმოო დავალებათა პროდუქციის რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით შესრულებას, მომხმარებელთათვის პროდუქციის დროულად გაგზავნას, აგრეთვე საწარმოებისა და სამეურნეო ორგანოების მიერ ბიუჯეტის წინაშე თავიანთ მოვალეობათა შესრულებას. უნდა ვალიაროთ, რომ მთელი რიგი საფინანსო ორგანოების მუშაობაში სახელმწიფო შემოსავლის ხაზით ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი მოიპოვება. სამეურნეო ორგანოებისაგან არადროულად იღებენ ანგარიშგებას, ზოგჯერ ამ ანგარიშგებას არაკვალიფიციურად ამოწმებენ. ფინანსთა სამინისტრო ღონისძიებას ახორციელებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და სახელმწიფო შემოსავლის დარგში ადგილობრივ საფინანსო ორგანოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე ბრუნვის გადასახადის აღების მოქმედი სისტემის გასამარტივებლად და საგადასახადო განაკვეთების რაოდენობის შესამცირებლად.

1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სამრეწველო საწარმოთა მოგების ანარიცხები განსაზღვრულია 18,7 მილიარდი მანეთით, ნაცვლად 1946 წლის 16,2 მილიარდი მანეთისა. ეს გადიდება დამყარებულია საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების ზრდაზე. 1947 წელს სამეურნეო ორგანიზაციების მოგება შეადგენს 24,1 მილიარდ მანეთს, ნაცვლად 1946 წლის 22,1 მილიარდი მანეთისა.

მოგების ხაზით დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა შეასრულონ პროდუქციის გამოშვებისა და თვითღირებულების დაწესებული გეგმები, აგრეთვე მობილიზაცია უყონ საწარმოებში არსებულ რეზერვებს.

საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა.

გასულმა წელმა ცხადჰყო, რომ ბევრმა საწარმომ შრომის ნაყოფიერების მკაცრ მაჩვენებლებს მიაღწია, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო გეგმები. მოწინავე მუშები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. ამასთან ცოტა როდია ისეთი საწარმო, რომლებშიც სათანადო ბრძოლას არ ეწევიან შრომის ნაყოფიერების გასაძიდებლად.

ზოგიერთი ხელმძღვანელი ცდილობს დაბალი შრომის ნაყოფიერება ახსნას მხოლოდ და მხოლოდ ომისშემდგომი გარდაქმნის სიძნელეებით. ასეთ მოსაზრებაში ზოგჯერ საწარმოო პროცესის ორგანიზების დიდი ნაკლოვანებანი იმალება.

საწარმოს თვითეულ ხელმძღვანელს მოეთხოვება საწარმოო პროცესის სწორი ორგანიზაცია, ტექნიკის რაც შეიძლება სრულად გამოყენება და ისეთი ნორმების გამომუშავება, რომლებიც უზრუნველჰყოფენ, რომ ჩამორჩენილმა მუშამ მოწინავეთა დონეს მიაღწიოს.

გამომუშავების დაბალი ნორმები აფერხებენ შრომის ნაყოფიერების ზრდას, ხოლო ასეთი დაბალი ნორმები რომ არსებობს, ამას მოწმობენ ფაქტები, როცა ცალკეულ დარგებში მთლიანად გამომუშავების ნორმები თითქმის ერთიორად გადაჭარბებით სრულდება.

მაგალითად, მანქანათმშენებლობის და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს საწარმოებში 1946 წლის სექტემბერში საშუალოდ გამომუშავების ნორმები შესრულებულია 187 პროცენტით, ოქტომბერში — 182 პროცენტით, ნოემბერში — 176 პროცენტით. ელექტრომრეწველობის სამინისტროში — შესაბამისად: 174 პროცენტით, 172 პროცენტით და 168 პროცენტით.

მოყვანილი ცნობები მოწმობენ რომ გამომუშავების მრავალი ნორმა მოძველებულია. საჭიროა მათი გადასინჯვა. ამ მიმართულებით მთავრობა საჭირო ღონისძიებას ახორციელებს.

ცნობილია, რომ დაგროვების დონეზე არსებითს გავლენას ახდენენ მთელ რიგ საწარმოებში ჯერაც აღმოუფხვრელი გადახარჯვა ნედლეულის, მასალის, სათბობისა და სხვა. ბევრი სამეურნეო მუშაკი კვლავ არანაყოფიერად ხარჯავს უძვირფასეს მასალასა და ნედლეულს, მნიშვნელოვანი რაოდენობით უშვებს პროდუქციის წუნს. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს № 81 ქარხანაში (დირექტორი ამხ. აბელევი) შარშან ერთი სამკელი მანქანის გაკეთებაზე გაცილებით მეტი მასალა დაიხარჯა, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით. ასეთი გადახარჯვით და მთელი რიგი ფუჭი ხარჯების შედეგად ამ სამკელის წარმოება ქარხანას თითქმის ერთიორად ძვირი უჯდება სამინისტროს მიერ გეგმით დაწესებულ თვითღირებულებასთან შედარებით.

დახგათმშენებლობის სამინისტროს მოსკოვის მოწყობილობათა ქარხანაში წუნით გამოწვეულმა დანაკარგმა 1946 წელს დაახლოებით 300 ათასი მანეთი შეადგინა, ანუ პროდუქციის თვითღირებულების 3.7 პროცენტი. ფუჭმა ხარჯებმა შეადგინა 117.000 მანეთი. ყოველივე ამის შედეგად, აგრეთვე ტექნოლოგიური დისციპლინის დაუცველობის გამო პროდუქციის თვითღირებულება თითქმის 12 პროცენტით აღემატება საგეგმოს.

შავი მეტალურგიის სამინისტროს ჩუსოვოის მეტალურგიულ ქარხანაში (დირექტორი ამხ. პოპოვი) 1946 წლის მეორე კვარტალში მარტო ერთ საბრძმედე საამქროში 7.000 ტონაზე მეტი რკინის მადანი გადახარჯეს. საგლინავ საამქროებში 2.000-ზე მეტი ტონა ლითონი. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტყავის შემცვლელთა მთავარი სამმართველოს კალინინის ქარხანამ (დირექტორი ამხ. ზამიატინი) 1946 წლის მესამე კვარტალში გადახარჯა 150 ტონამდე მასალა. მათ შორის 28 ტონა კაუჩუკი.

პროდუქციის თვითღირებულებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს მოქმედი მოწყობილობის გამოყენების ხარისხი. მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს მთელ რიგ საწარმოებში 1946 წელს ლითონმჭრელი დაზგები გამოყენებული იყო მათი მუშაობის დაგეგმილი დროის 70-80 პროცენტით.

თვითღირებულების შემცირების უდიდეს რეზერვებს მოწმობს სხვადასხვა საწარმოში ერთისა და იმავე სახელწოდების ნაწარმის თვითღირებუ-

ლების სხვადასხვა დონე. მაგალითად, კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროში 1946 წლის 9 თვეში სანათი ელექტრონათურის თვითღირებულება № 643 ქარხანაში (დირექტორი ამხ. კისელიოვი) ხუთჯერ უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე № 632 ქარხანაში. ეს უმთავრესად ნაწარმის დიდი წუნით აიხსნება. აი ციფრები. № 632 ქარხანაში წუნით გამოწვეული დანაკარგი საწარმოო ხარჯების ღირებულების 7,3 პროცენტს შეადგენს, № 643 ქარხანაში კი — 47,3 პროცენტს. ერთი ფრიად დამახასიათებელი მაჩვენებელიც. მაშინ როცა № 632 ქარხანაში საამქროების და საერთო საქარხნო ხარჯებმა ერთეულ ნაწარმზე 30 კაპიკი შეადგინა, № 643 ქარხანაში ეს ხარჯები ერთ მანეთს და 58 კაპიკს შეადგენს.

მაგალითად, რით უნდა აიხსნას ისეთი მოვლენა, რომ სატყეო მრეწველობის სამინისტროს კოსტრომის ფანერის ქარხანაში (დირექტორი ამხ. სუბოტინი) ერთი კუბური მეტრი ავიაფანერის თვითღირებულება 1946 წლის პირველ ნახევარში თითქმის ერთიორად დიდი იყო, ვიდრე ამავე სამინისტროს მანტუროვის ქარხანაში? ჩემ მიერ დასახელებული ტრესტებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა დასკვნები უნდა გამოიტანონ მათდამი რწმუნებულ საწარმოებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ და აღმოფხვრან დიდი უწესოებანი ამ საქმეში. შესაბამისმა სამინისტროებმა უნდა მოსთხოვონ ამ საწარმოებისა და ტრესტების ხელმძღვანელებს, მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრა. დროა სათანადო წესრიგი დამყარდეს მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვაში!

საწარმოო პროგრამების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმებისა და მოგების გეგმების შესრულებაში სერიოზული მნიშვნელობა აქვს სამრეწველო საწარმოთა დირექტორის ფონდს, რომელიც შექმნილ იქნა 1946 წლის 1 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. დირექტორის ფონდის სახსრები, მიმართული წარმოების გაფართოებლად, საწარმოთა იმ მუშაკების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად და დასაჯილდოებლად, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, უეჭველია, ხელს შეუწყობს საწარმოო დავალებათა და ხარისხობრივ მაჩვენებელთა წარმატებითს შესრულებას.

## მოსახლეობისაგან სახსრების შემოსვლა

სახელმწიფო გადასახადების ხაზით ბიუჯეტში შემოსავალი გათვალისწინებულია 27,7 მილიარდი მანეთის ოდენობით, 1946 წელს შემოსული 22,7 მილიარდი მანეთის ნაცვლად. ქალაქისა და სოფლის გადასახადთა განაკვეთები არ იცვლება. გადასახადთა შემოსვლის საერთო თანხის ზრდა კი აიხსნება სოფლად გადამხდელთა რიცხვის გადიდებით და ქალაქში მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდის ზრდით.

სახელმწიფო სესხების ხაზით გათვალისწინებულია ბიუჯეტში 21,4 მილიარდი მანეთის შემოსვლა, მათ შორის მოსახლეობაში ხელის მოწერით 19 მილიარდი მანეთისა, ნაცვლად 1946 წლის 20,7 მილიარდი მანეთისა.

ამავე დროს მოსახლეობა 1947 წელს სახელმწიფო სესხების ხაზით მოგების, პროცენტების სახით და ტირაჟში გასული ობლიგაციებით მიიღებს 4.880 მილიონ მანეთს, გასულ წელს გადახდილი 3.941 მილიონი მანეთის ნაცვლად.

მოსახლეობის ანაბრებმა შემნახველ სალაროებში 1947 წლის დამდეგს 12 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. წელს ნავარაუდევია მოსახლეობის ანაბართა შემდგომი გადიდება 1.500 მილიონი მანეთით.

სპეციალურ ანაბრებზე მუშა-მოსამსახურეებთან ანგარიშსწორების მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შემნახველმა სალაროებმა 1947 წელს უნდა გასცენ 2 მილიარდი მანეთი ომის დროს გამოუყენებელი შეებულებებისათვის. ამ თანხის გაცემა გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში.

მიმდინარე წელს სახელმწიფო დაზღვევის ხაზით სახსრების შემოსავლის საერთო მოცულობა განსაზღვრულია 4,7 მილიარდი მანეთით, ნაცვლად 4,1 მილიარდი მანეთისა 1946 წელს, ამასთან ანარიცხები ბიუჯეტში შეადგენს 1,3 მილიარდ მანეთს.

მნიშვნელოვნად განვითარდება ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევა კოლმეურნეობებსა და მოსახლეობაში, აგრეთვე სიცოცხლის ინდივიდუალური დაზღვევა. ყველა სახის ნებაყოფლობითი დაზღვევის შემოსავალი გაიზრდება 1,1 მილიარდი მანეთიდან 1946 წელს 1,6 მილიარდ მანეთამდე 1947 წელს, ე. ი. 40 და უფრო მეტი პროცენტით.

უკანასკნელ დროს ფინანსთა სამინისტრომ ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებები სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. გადასინჯულია ზოგიერთი სადაზღვევო ინსტრუქცია, ადგილებზე ჩატარდა ზარალის ლიკვიდაციის შემოწმება. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რათა საბოლოოდ აღმოვფხვრათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და გავაუმჯობესოთ სახელმწიფო დაზღვევის საქმე.

ამით მე ვამთავრებ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის დახასიათებას.

## 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი

გადავდივარ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალზე.

სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის საერთო მოცულობა, როგორც უკვე აღვნიშნე განსაზღვრულია 371,4 მილიარდი მა-

ნეთით, ნაცვლად 304,1 მილიარდი მანეთისა 1946 წლის წინასწარი შედეგების მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები მიმართულია შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

| | მილიარდ მანეთობით | | |
|---|---|---|---|
| | 1946 წ. | 1947 წ. | ცვლილებები (+ —) |
| სულ გასავალი | 304,1 | 371,4 | +67,3 |
| აქედან: | | | |
| სახალხო მეურნეობა | 95,7 | 131,8 | +36,1 |
| სოციალურ - კულტურული ღონისძიებები | 80,4 | 107,1 | +26,7 |
| შეიარაღებულ ძალთა სამინისტრო | 72,6 | 67,0 | — 5,6 |
| ხარჯები სესხების დარგში | 5,2 | 6,1 | + 0,9 |

მოყვანილი ცნობებიდან სჩანს რომ 1947 წელს გრძელდება ბიუჯეტის ხარჯების შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა სახალხო მეურნეობასა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე.

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა შენახვის ხარჯები მცირდება 5,6 მილიარდი მანეთით, მიუხედავად სურსათის ფასებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ფულადი დაკმაყოფილების ოდენობის ზრდისა, რაც მოხდა 1946 წლის დამლევს. შესადარ ციფრებში ამ ხარჯების შემცირება 1947 წელს შეადგენს 24 პროცენტს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ხარჯები შეიარაღებულ ძალებზე ომამდელ 1940 წელს შეადგენდა ბიუჯეტის მთელი ხარჯების 32,6 პროცენტს, ომის დროს 1943 წელს — 59,5 პროცენტს, 1944 წელს — 52,2 პროცენტს, ხოლო 1945 წელს — 42,9 პროცენტს და 1946 წელს — 23,9 პროცენტს.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის ხარჯების ხვედრითი წონა 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობაში შეადგენს 64,3 პროცენტს და ქვეყნის თავდაცვისა 18,0 პროცენტს. სახსრების ასეთი წარმართვა სავსებით შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფოს ომისშემდგომი განვითარების ამოცანებს, ახალი ხუთწლიანი გეგმის ამოცანებს.

## სახალხო მეურნეობის დაფინანსება

ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით დასახული უდიდესი პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო იქნება მნიშვნელოვანი სახსრების მობილიზება.

საქმე მარტო ის კი არ არის, რომ შევაგროვოთ სახსრები, საჭიროა მათი გონივრულად გამოყენება. ამასთან დაკავშირებით მინდა გაგახსენოთ ამხანაგ სტალინის შესანიშნავი სიტყვები: „მაგრამ საქმე არ ამოიწურება და არც შეიძლება ამოიწუროს მხოლოდ დაგროვებით. საჭიროა ვიცოდეთ დაგროვებული რეზერვების გონივრულად, ანგარიშიანად ხარჯვა, ისე რომ სახალხო დოვლათის არცერთი კაპიკი ტყუილად არ დაიკარგოს, რომ დაგრო-

ვების გამოყენება ხდებოდეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ძირითადი გზით".

ამხანაგ სტალინის ეს მითითებები ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს. საჭიროა განუხრელად დავიცვათ სასტიკი მომჭირნეობა სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში.

ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ასიგნობანი სახალხო მეურნეობის დარგების დასაფინანსებლად ყოველწლიურად იზრდება. 1947 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დაფინანსებაზე, 1946 წელთან შედარებით, 36,1 მილიარდი მანეთით იზრდება.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის სახელმწიფო გეგმით დასახული ამოცანების შესაბამისად ასიგნობანი ბიუჯეტიდან სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგნაირად:

| | მილიარდ მანეთობით | | |
|---|---|---|---|
| | 1946 წ. | 1947 წ. | ხრდა 1946 წელთან შედარებით |
| სულ სახალხო მეურნეობაზე | 95,7*) | 131,8 | 36,1 |
| აქედან: | | | |
| მრეწველობა | 61,6 | 79,9 | 18,3 |
| სოფლის მეურნეობა | 12,2 | 16,2 | 4,0 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 8,9 | 13,2 | 4,3 |
| ვაჭრობა და დამზადებები | 3,1 | 3,8 | 0,7 |

სახალხო მეურნეობაზე ასიგნობათა გადიდება აიხსნება უმთავრესად კაპიტალურ დაბანდებათა ზრდით.

ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის სახელმწიფო გეგმით განსაზღვრულია 50 მილიარდი მანეთით. გარდა ამისა, 3,6 მილიარდი მანეთი გათვალისწინებულია დამატებითი ხარჯებისათვის ცალკე სამინისტროების კაპიტალურ მშენებლობებზე და 5,2 მილიარდი მანეთი 1946 წელს ჩატარებული ხელფასის მომატებისათვის საშენებლო ორგანიზაციების საკომპენსაციოდ. აგრეთვე მშენებლობებში საბრუნავი სახსრების გადიდებისათვის. ამრიგად, ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ოდენობა დიდდება 44,2 მილიარდი მანეთიდან 1946 წელს 58,8 მილიარდ მანეთამდე 1947 წელს. სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით ასიგნობანი შესაბამისად დიდდება 37,4 მილიარდი მანეთიდან 49,2 მილიარდ მანეთამდე.

ამრიგად, კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა 1947 წელს ითვალისწინებს მშენებლობაზე ხარჯების შემდგომ მნიშვნელოვან გადიდებას.

საჭიროა მომჭირნედ და ანგარიშიანად გამოვიყენოთ ის სახსრები, რაც გათვალისწინებულია კაპიტალური მშენებლობისათვის, რათა უფრო სწრაფად მივიღოთ მეტი შედეგები სახალხო მეურნეობისათვის.

*) სარეზერვო ფონდიდან გაცემული თანხების გაუთვალისწინებლად.

ამასთან, ზოგიერთი სამინისტრო 1946 წელს საკმაო ყურადღებას არ უთმობდა დაწყებულ მშენებლობათა თავის დროზე დამთავრებისა და დამთავრებული ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის საკითხებს.

მაგალითად, ელექტრომრეწველობის სამინისტროში მშენებლობის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 1946 წელს შესრულებულია 45,3 პროცენტით, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროში — 64,3 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროში — 67,4 პროცენტით.

დამთავრებული ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის შეუსრულებლობაზე სერიოზული გავლენა მოახდინა მრავალი მშენებლობის მიერ მატერიალური და ფულადი სახსრების, აგრეთვე მუშა-ხელის არასწორად განაწილების პრაქტიკამ დიდი რაოდენობის ობიექტებს შორის, ნაცვლად მათი კონცენტრაციისა დასამთავრებელ ობიექტებზე. აი მაგალითად, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს კოლომნის ორთქლმავალსამშენებლო ქარხნის მშენებლობაზე (კაპიტალური მშენებლობის უფროსი ამხ. კლავუჩი, ქარხნის დირექტორი ამხ. იაკოვლევი) 1946 წელს განზრახული იყო 7 ობიექტის გადაცემა საექსპლოატაციოდ. იმის ნაცვლად, რომ ამ ობიექტებზე მოეხდინათ მუშა-ხელისა და მასალების კონცენტრაცია, მშენებლობამ ისინი დაქსაქსა 44 ობიექტზე და ამის შედეგად საექსპლოატაციოდ ვერ გადასცა ვერც ერთი ობიექტი. ანდა, აი კიდევ მაგალითი. ფერადი მეტალურგიის სამინისტროს შერლოვოგორსკის კალის კომბინატის მშენებლობაზე (მშენებლობის უფროსი ამხ. ტროიანოვი) 1946 წლის პირველ ნახევარში დასახული იყო საექსპლოატაციოდ 11 ობიექტის გადაცემა, მაგრამ არსებული მასალებისა და მუშა-ხელის 18 ობიექტზე დაქსაქსვის შედეგად, არცერთი მათგანი დაწესებულ ვადაზე არ იყო დამთავრებული.

სამინისტროებმა, უწყებებმა, სამშენებლო ორგანიზაციებმა არ უნდა დაუშვან მატერიალური და ფულადი სახსრების დაქსაქსვა, უნდა მოახდინონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კონცენტრირება გადამწყვეტ დასამთავრებელ ობიექტებზე და თვალყური ადევნონ ამ ობიექტების თავის დროზე ამოშავებას.

მშენებლობის გეგმებისა და ობიექტების ამოშავების პროგრამის შესრულების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების გადიდება მექანიზმების რაც შეიძლება უფრო სრულად გამოყენების, მშენებლობის ტექნიკის გაუმჯობესებისა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ბაზაზე. საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ იმ მოწინავე მშენებლობების მუშაობის გამოცდილება, რომლებზეც გამომუშავების ნორმები სრულდება არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც. უნდა ითქვას, რომ სამშენებლო წარმოების მოწინავენი ჩვენ ცოტა როდი გვყავს.

მაგალითად, მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ტრესტმა „პრიბალხაშსტროიმ“ (ტრესტის მმართველი ამხ. ტეტეევნი) ვადამდე 106,8 პროცენტით შეასრულა წლიური გეგმა, სამშენებლო სამუშაოების ღირებულებაზე დაზოგა მილიონნახევარი მანეთი, აქედან ზედნადებ ხარჯებზე — 457 ათასი მანეთი.

1947 წელს მშენებლობის ღირებულება უნდა შემცირდეს 5 პროცენტით 1945 წლის სახარჯთაღრიცხვო ფასებთან შედარებით. სამინისტროების, უწ-

ყებებისა და სამშენებლო ორგანიზაციების წინაშე დასმულია სერიოზული მოთხოვნები სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მშენებლობის თვითღირებულების შემცირების დაწესებული დავალების შესრულების უზრუნველყოფის დარგში.

უნდა აღინიშნოს, რომ ცოტა როდია ისეთი ფაქტები, როცა სამშენებლო ორგანიზაციები ადიდებენ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას, თვალყურს არ ადევნებენ სამშენებლო მასალებისა და ფულადი სახსრების გაფრთხილებითა და მომჭირნეობით ხარჯვას, ზედნადები ხარჯების ეკონომიას და სხვა.

სათბობი საწარმოების მშენებლობის სამინისტროს № 32 ტრესტმა (მმართველი ამხ. ჩერნიაევი) 1946 წლის 11 თვეში შეასრულა 12,2 მილიონი მანეთის სამშენებლო სამუშაოები და ამასთან დაუშვა მშენებლობის გაძვირება 3,6 მილიონი მანეთით, ანუ 30 პროცენტით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობასთან შედარებით. ეს უმთავრესად აიხსნება დიდი ზედნადები ხარჯებით, რამაც ტრესტში შეადგინა 42,2 პროცენტი შესრულებულ სამუშაოთა მოცულობასთან შედარებით, ნაცვლად ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებულ 19,3 პროცენტისა.

მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს № 18 ტრესტმა (მმართველი ამხ. სემიონოვი) 1946 წლის 11 თვეში დაუშვა მშენებლობის ღირებულების გაძვირება 66,4 პროცენტით. ეს ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებული ხარჯების დარღვევის პირდაპირი შედეგია. მაგალითად, ზედნადები ხარჯები ამ ტრესტში შეადგენს 30,4 პროცენტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19,3 პროცენტისა. დიდი გაძვირება აქვს აგრეთვე ამავე სამინისტროს ტრესტ „ომსკპრომსტროის“.

სამშენებლო საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის თავის დროზე დამტკიცებას. ბევრ შემთხვევაში ამისაგან დამოკიდებულია მშენებლობის დამტკიცებული ღირებულების დაცვა, სამშენებლო სამუშაოთა რაციონალური და ეკონომიური წარმოება. ომის წლებში სამშენებლო სამინისტროებმა შეასუსტეს ყურადღება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით მშენებლობათა თავის დროზე უზრუნველყოფისადმი. სამინისტროები და უწყებანი მოვალენი არიან დაიცვან მთავრობის მიერ დაწესებული წესი მშენებლობათა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის უზრუნველყოფისა.

ამასთან საფინანსო ორგანოებმა და გრძელვადიან დაბანდებათა ბანკებმა მკაცრად უნდა ადევნონ თვალყური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სწორ და თავის დროზე გაფორმებას, უფრო ხშირად უნდა იყვნენ მშენებლობებზე, უკეთ უნდა გაუწიონ კონტროლი საპროექტო და საფინანსო დისციპლინის დაცვას.

სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 8,9 მილიარდი მანეთი სასოფლო მეურნეობის დარგებში საკუთარი საბრუნავი თანხების გადიდებისათვის. გარდა ამისა 4,3 მილიარდი მანეთით დიდდება საბრუნავი თანხები მეურნეობის საკუთარი რესურსების ხარჯზე.

ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბრუნავი სახსრების სწორ და მიზანშეწონილ გამოყენებას. მიუხედავად ამისა, ცოტა როდია ისეთი სამეურნეო ხელმძღვანელი, რომლებიც დღემდე არასწორად იყენებენ საბრუნავ

სახსრებს, აგროვებენ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტ მარაგს. მაგალითად, „გლავურალმეტს“ (უფროსი ამხ. ტატარინცევი) 1946 წლის 1 ოქტომბრისათვის აკლდა 32 მილიონი მანეთის საკუთარი საბრუნავი სახსრები იმის შედეგათ, რომ ამ სახსრების ნაწილი არაკანონიერად იყო დახარჯული მუშათა მომარაგების განყოფილებებსა და თავის საწარმოთა კაპიტალური მშენებლობის განყოფილებებთან ანგარიშსწორებისათვის, ხოლო ნაწილი კაპიტალური რემონტის ზეგეგმითი ხარჯისათვის. ამ მთავარსამმართველოს საწარმოებს დაუგროვდათ 40 მილიონზე მეტი მანეთის ზედმეტი მატერიალური ფასეულობანი.

ან აი მეორე მაგალითი: სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს № 800 ქარხანას (დირექტორი ამხ. ფილატოვი) 1946 წლის 1 დეკემბრისათვის ჰქონდა 11,4 მილიონი მანეთის მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტი მარაგი, უმთავრესად მასალებისა და ნაყიდი ნახევარფაბრიკატების უკონტროლო შემოტანისა და ზედმეტ მატერიალურ ფასეულობათა სუსტი რეალიზაციის შედეგად. ქარხანაში იყო 1 მილიონი მანეთის მასალა, რაც მას არ ესაჭიროებოდა.

ასეთი ფაქტები არის მშენებლობებზეც. ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ბოგოსლოვსკის ალუმინის ქარხნის მშენებლობაზე მატერიალურ ფასეულობათა მარაგი 1946 წლის 9 თვის განმავლობაში 10 მილიონი მანეთით გადიდდა, მაშინ როცა გეგმით უნდა გადიდებულიყო მხოლოდ 500 ათასი მანეთით. ამ მშენებლობაზე არის 3 მილიონი მანეთის ჯერ კიდევ 1934 წელს შეტანილი ამწევი მექანიზმების 255 კომპლექტი, რომლებიც მას არ ესაჭიროება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 23 იანვრისა და 7 მაისის გადაწყვეტილებებით სამინისტროთა და უწყებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების ანგარიშების შესახებ მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ სათანადო წესრიგი დაემყარებინათ საწარმოთა, მშენებლობათა და სამეურნეო ორგანიზაციათა ფინანსურ მეურნეობაში, რეალიზაცია ეყოთ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგისათვის, განემტკიცებინათ საგადამხდელო დისციპლინა.

მოყვანილი ცნობები მოწმობენ, რომ ზოგიერთმა სამინისტრომ არ შეასრულა ეს გადაწყვეტილება. განა ცხადი არ არის, რომ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაჭარბებული მარაგი იწვევს ფინანსურ სიძნელეებს, არღვევს მატერიალური სახსრების ნორმალურ ბრუნვას, უარყოფით გავლენას ახდენს ანგარიშგებასა და საკრედიტო დისციპლინაზე.

მთელი რიგი სამინისტროების ხაზით მიმწოდებლებისათვის ფულის გადაუხდელობა და სახელმწიფო ბანკის სესხების ვადის გადაცილება მნიშვნელოვან ოდენობას აღწევს. მაგალითად, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოებისათვის მიმწოდებელთ წინაშე ვადაგადაცილებული დავალიანება 1946 წელს 31,5 პროცენტით გადიდდა. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოთა ხაზით ამავე პერიოდში მიმწოდებელთ წინაშე ვადაგადაცილებული დავალიანება 30,7 პროცენტით და სახელმწიფო ბანკის სესხების ვადის გადაცილება 77,8 პროცენტით გადიდდა.

საჭიროა უფრო გაბედულად ვებრძოლოთ საწარმოებში და მშენებლობებზე მატერიალური რესურსების დაკონსერვებას. საჭიროა მიღებულ იქნას ენერგიული ღონისძიებანი საწარმოებისა და მშენებლობებისათვის ზედმეტი მასალის სარეალიზაციოდ, წესრიგი დავამყაროთ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, მკაცრად ვადევნოთ თვალყური იმას, რომ საწარმოები და მშენებლობანი იცავდნენ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის ნორმებს.

დროა, რომ სამინისტროებმა მოაწესრიგონ ანგარიში საწარმოებს შორის საქონლისა და მომსახურებისათვის. ხოლო სამეურნეო ორგანიზაციებმა ბოლო მოუღონ ბანკის სესხების ვადის გადაცილებას.

სახელმწიფო ბანკმა და გრძელვადიან დაბანდებათა ბანკებმა უფრო მკაცრად უნდა გაუწიონ კონტროლი საწარმოებსა და მშენებლობებს, არ დაუშვან იქ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტი მარაგის დაგროვება.

უნდა განვამტკიცოთ საკრედიტო-საანგარიშგებო დისციპლინა. უკეთ შევისწავლოთ იმ საწარმოთა მეურნეობა, რომელთაც კრედიტებს ვაძლევთ, და ენერგიული ღონისძიებანი ვიხმაროთ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიმართ, რომლებიც სამეურნეო დისციპლინას არღვევენ.

## სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ასიგნობანი 1947 წელს, როგორც უკვე აღვნიშნე, შეადგენს 107,1 მილიარდ მანეთს, ესე იგი 1946 წლის ხარჯებთან შედარებით იზრდება 26,7 მილიარდი მანეთით, ანუ 33,2 პროცენტით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების ზრდა, რაც შემდეგი ცნობებიდან სჩანს:

| | მილიარდ მანეთობით | | |
|---|---|---|---|
| | 1946 წლის წინასწარი ცნობებით | დაპროექტებულია 1947 წლისათვის | მატება |
| განათლება | 38,1 | 52,4 | 14,3 |
| ჯანმრთელობის დაცვა და ფიზიკური კულტურა | 13,8 | 18,9 | 5,1 |
| სახელმწიფო სოციალური დაზღვევა | 7,3 | 9,3 | 2,0 |
| სახელმწიფო დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებისათვის | 3,6 | 5,9 | 2,3 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 17,6 | 20,6 | 3,0 |

მაშასადამე, მიმდინარე, ისე როგორც გასულ წელს, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა მთელი დაფინანსების თითქმის ნახევარი ხმარდება განათლებას. ამასთან ეს ხარჯი ბევრად აღემატება ომამდელ დონეს.

1947 წელს დაწყებითსა და საშუალო სკოლებში მყოფ მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით ჩვენ უკვე ვუახლოვდებით 1940 წელს. 1947 წელს დაწყებითსა და საშუალო სკოლებში ისწავლის 31,3 მილიონი კაცი. 1940 წელს კი სწავლობდა 32,9 მილიონი კაცი. ბავშვთა რაოდენობა საბავშვო ბა-

ღებში, 1940 წელთან შედარებით, 30 პროცენტით დიდდება, ხოლო აღსაზრდელთა რაოდენობა საბავშვო სახლებში — ერთიორად.

1947 წლის ბოლოს უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლის 696 ათასი სტუდენტი, ე. ი. 91 ათასით მეტი, ვიდრე 1946 წელს, და 155 ათასით, ანუ 28,7 პროცენტით მეტი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

ტექნიკუმებში მოსწავლეთა რიცხვი, გასულ წელთან შედარებით, დიდდება 119 ათასი კაცით, ხოლო 1940 წელთან შედარებით 318 ათასი კაცით, ანუ 42,6 პროცენტით.

ასიგნობანი უმაღლესი სასწავლებლებისათვის აღემატება 6 მილიარდ მანეთს, ე. ი. 1946 წელთან შედარებით, 30,5 პროცენტით დიდდება. ტექნიკუმებისათვის ბიუჯეტის ხარჯი შეადგენს 4,3 მილიარდ მანეთს, ანუ 41,8 პროცენტით მეტს, ვიდრე გასულ წელს. ომამდელ 1940 წელთან შედარებით, ბიუჯეტის ხარჯი უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმებისათვის ერთიორად და მეტად დიდდება.

სსრ კავშირის მძლავრი ინდუსტრიული განვითარების ფართო პროგრამა, რაც დასახულია ახალი ხუთწლიანი გეგმით, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინაშე დიდ ამოცანებს სახავს კვალიფიციური კადრების მომზადების დარგში. სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში 1947 წელს ისწავლის 1,9 მილიონი კაცი, 1946 წელს კი სწავლობდა 1,3 მილიონი კაცი. წელს შრომითი რეზერვების სასწავლებლები და სკოლები ჩვენს ქვეყანას მისცემენ 800 ათასამდე კვალიფიციურ მუშას, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე 1946 წელს. შრომითი რეზერვების სამინისტროს ხაზით კადრების მომზადებისათვის ბიუჯეტის ხარჯი შეადგენს 6,9 მილიარდ მანეთს, 1946 წელს შეადგენდა 3,8 მილიარდ მანეთს, ე. ი. დიდდება 80 პროცენტით და მეტით.

უნდა აღინიშნოს, რომ კადრების მომზადებისათვის ასიგნობათა გადიდება განპირობებულია არა მარტო მოსწავლეთა რაოდენობის ზრდით, არამედ მათი შენახვის ხარჯის გადიდებითაც.

1947 წელს ბიუჯეტის ხარჯი ერთ მოსწავლეზე, 1946 წელთან შედარებით, დიდდება: საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში 5.808 მანეთიდან 6.584 მანეთამდე და სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებში 5.572 მანეთიდან 6.380 მანეთამდე.

1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა შესანახი ხარჯები, 1946 წელთან შედარებით, ერთნახევარი მილიარდი მანეთით დიდდება. ომამდელ 1940 წელთან შედარებით, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა შენახვის ხარჯები ერთისამად და მეტად დიდდება.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დიდი თანხები მოხმარდება აგრეთვე კურსების ქსელის საშუალებით კვალიფიკაციის ამაღლებასა და მუშათა კადრებისა და სპეციალისტების მომზადებას.

1947 წელს ფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი. საავადმყოფოთა ქსელის საწოლების რაოდენობა 1947 წლის ბოლოს ომამდელ დონეს გადააჭარბებს. დიდდება აგრეთვე სამშობიარო სახლებისა და საბავშვო ბაგების ქსელი. ბიუჯეტის ხარჯი ჯანმრთელობის დაცვისა და

ფიზიკური კულტურისათვის მიმდინარე წელს 36,4 პროცენტით დიდდება 1946 წელთან შედარებით.

ასიგნობანი მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების მისაცემად 1946 წლის 3,6 მილიარდიდან დიდდება 5,9 მილიარდ მანეთამდე 1947 წელს, ე. ი. 65 პროცენტით. ასიგნობანი სოციალური უზრუნველყოფისათვის 1946 წლის 17,6 მილიარდი მანეთიდან დიდდება 20,6 მილიარდ მანეთამდე 1947 წელს.

სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდესი ასიგნობანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის სამინისტროებისა და უწყებებისაგან მოითხოვენ გაღებული სახსრების მომჭირნედ ხარჯვას, ჩვენი ქვეყნისათვის თვითეული მანეთის უდიდესი სარგებლიანობით გამოყენებას.

## მმართველობის ხარჯები

1946 წელს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შესანახავი ხარჯების შემცირების შესახებ. კერძოდ, შესაბამისად მთავრობის 1946 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებისა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შტატების გაფართოების აკრძალვის შესახებ, გაუქმებულ იქნა 730 ათასი თავისუფალი თანამდებობა ყველა საბიუჯეტო და სამეურნეო ორგანიზაციაში, რომელთაც რეგისტრაციაში ატარებენ საფინანსო ორგანოები.

1947 წელს დასახულია ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის რაოდენობისა და მისი შესანახავი ხარჯების შემდგომი შემცირება.

გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის პირობებში სამმართველო აპარატიდან განთავისუფლებული მუშაკები გამოყენებულ იქნებიან უშუალოდ საწარმოო პროცესში, რაც ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის მატერიალური რესურსების გადიდებას.

სისტემატური მუშაობა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სტრუქტურისა და შტატების გასამარტივებლად, აპარატის არა საჭირო რგოლების ლიკვიდაციოდ, ყოველდღიური ბრძოლა სამმართველო ხარჯებში მკაცრი ეკონომიის დასაცავად — სამინისტროთა და უწყებათა მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ხარჯები სახელმწიფო მმართველობის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების შესანახავად 1947 წელს შეადგენს 12,8 მილიარდ მანეთს, ე. ი. 1,2 მილიარდი მანეთით მეტს, ვიდრე დახარჯული იყო 1946 წელს. მმართველობისათვის ასიგნობათა გადიდება ძირითადად აიხსნება ხელფასის გადიდებით საულუფო ფასების შეცვლასთან დაკავშირებით. ამის გაუთვალისწინებლად მმართველობის ხარჯები შეადგენს 11,2 მილიარდ მანეთს, ე. ი. რამდენადმე ნაკლებს, ვიდრე გასულ წელს.

## საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის შესახებ

1946 წელს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველომ, ნაცვლად 1945 წელს ჩატარებული 153,2 ათასი დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის რევიზიისა, მოახდინა 211,4 ათასი დაწესებულების, საწარმოსა და ორგანიზაციის რევიზია, ე. ი. 38 პროცენტით მეტი.

შემოწმებული სასოფლო, რაიონული, საქალაქო, საოლქო და სამხარეო

ბიუჯეტების რაოდენობა 1946 წელს 32 პროცენტით გადიდდა 1945 წელთან შედარებით.

გადიდდა აგრეთვე საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიის რაოდენობა. გასულ წელს, ნაცვლად 1945 წელს შემოწმებულ 16,1 ათასი საწარმოსი და სამეურნეო ორგანიზაციისა, შემოწმებულ იქნა 32,5 ათასი საწარმო და სამეურნეო ორგანიზაცია, ე. ი. ერთიორად და უფრო მეტი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რევიზიების ხარისხს. რევიზიამ გამოავლინა საფინანსო დისციპლინის დარღვევის, სახელმწიფო სახსრების არამომჭირნედ და უკანონოდ ხარჯვის, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის და სხვ. სერიოზული ფაქტები.

იმ რევიზიების მასალების მიხედვით, რომლებიც საფინანსო ორგანოების საკონტროლო-სარევიზიო აპარატმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო და საოლქო აღმასკომებმა მოახდინეს, მიღებულია სათანადო გადაწყვეტილებანი რევიზიის მიერ აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. საჭირო შემთხვევებში რევიზიის მასალები გადაეცა სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

თუმცა საფინანსო ორგანოების საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა გაძლიერდა, მაგრამ მას ჯერ კიდევ ცოტა ნაკლოვანება რომი აქვს, რომელთა აღმოსაფხვრელად მუშაობენ ფინანსთა სამინისტრო და მისი ორგანოები ადგილებზე.

საფინანსო მეურნეობაში წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლა უეჭველად მეტ ეფექტს მოგვცემდა, სამინისტროებსა და უწყებებს რომ თავიანთი საუწყებო კონტროლის მუშაობა გაეუმჯობესებინათ. გასულ წელს საუწყებო კონტროლმა რამდენადმე გააძლიერა მუშაობა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ხდება ყველა საუწყებო დაწესებულებისა და საწარმოს რევიზია და განსაკუთრებით რევიზიის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა.

საფინანსო ორგანოებმა და შინასაუწყებო კონტროლის აპარატმა გადაჭრით უნდა აღკვეთონ საფინანსო დისციპლინის დარღვევანი, თავიდან აიშორონ ისინი, გამოავლინონ ამ დარღვევათა მიზეზები და იხმარონ ღონისძიებანი მათს აღმოსაფხვრელად.

საფინანსო აპარატმა და, კერძოდ, საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს მუშაკებმა უნდა გააუმჯობესონ საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა, საფინანსო კონტროლი გახადონ უფრო თანადროული, ოპერატიული და ქმედითი, რათა რევიზიები თავიდან გვაშორებდნენ დარღვევას, ხოლო რევიზიის შედეგების მიხედვით მალე ვიხმაროთ საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და ბოროტმოქმედებათა აღსაკვეთად.

სახალხო მეურნეობაში მომჭირნეობის რეჟიმის უმკაცრესად დაცვისა და მატერიალური და ფინანსური რესურსების უალრესად ეფექტიანი გამოყენებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად დაყენებულ აღრიცხვასა და ანგარიშგებას.

საბუღალტრო ანგარიში საწარმოს ხელმძღვანელმა, მთავარსამმართვე-

ლოს უფროსმა უნდა გამოიყენონ როგორც საშუალება ცალკე საწარმოს ან მეურნეობის დარგის საფინანსო-სამეურნეო მოღვაწეობის შედეგების გასაცნობად. აი რატომ არის საჭირო სწორად მოეწყოს ალრიცხვა, თავის დროზე შესდგეს საბუხჰალტრო ანგარიშგება, დროზე გაუკეთდეს მას ანალიზი და დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ღონისძიებანი მთლიანად საწარმოებისა და მთავარსამმართველოთა მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამ საქმეს გაძლიერებული ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა სამეურნეო ხელმძღვანელმა.

## მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტები

ამხანაგო დეპუტატებო! 1947 წელი მოკავშირე რესპუბლიკათა შემდგომი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის წელია. მოკავშირე რესპუბლიკათა 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტების პროექტები წარმოდგენილია თქვენს დასამტკიცებლად 82,2 მილიარდი მანეთის რაოდენობით, 1946 წელს კი წინასწარი შედეგებით ეს ბიუჯეტები უდრიდა 62,4 მილიარდ მანეთს, ე. ი. მათი ზრდა გამოიხატება 19,8 მილიარდი მანეთით, ანუ 31,6 პროცენტით.

თუ რამდენად დიდია მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტების მნიშვნელობა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების დაფინანსებაში იქიდან სჩანს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მთელი ხარჯების ორი მესამედი დაფინანსდება რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით.

ცალკე მოკავშირე რესპუბლიკების ხაზით 1947 წლის ბიუჯეტების პროექტები წარმოდგენილია შემდეგი თანხებით:

| | მილიონ მანეთობით | | |
|---|---|---|---|
| | 1946 წლის ბიუჯეტის შესრულება წინასწარი ცნობებით | 1947 წელი | % % 1946 წელთან შედარებით |
| რუსეთის სფსრ | 34.776 | 45.776 | 131,6 |
| უკრაინის სსრ | 11.059 | 14.758 | 133,4 |
| ბელორუსიის სსრ | 2.353 | 3.384 | 143,8 |
| უზბეკეთის სსრ | 2.667 | 3.148 | 118,0 |
| ყაზახეთის სსრ | 2.214 | 2.863 | 129,3 |
| საქართველოს სსრ | 1.672 | 2.154 | 128,8 |
| აზერბაიჯანის სსრ | 1.436 | 1.761 | 122,6 |
| ლიტვის სსრ | 758 | 1.063 | 140,2 |
| მოლდავეთის სსრ | 650 | 947 | 145,7 |
| ლატვიის სსრ | 952 | 1.258 | 132,1 |
| ყირგიზეთის სსრ | 694 | 840 | 121,0 |
| ტაჯიკეთის სსრ | 782 | 955 | 122,1 |
| სომხეთის სსრ | 828 | 1.048 | 126,6 |
| თურქმენეთის სსრ | 607 | 812 | 133,8 |
| ესტონეთის სსრ | 602 | 846 | 140,5 |
| კარელია-ფინეთის სსრ | 363 | 540 | 148,8 |

მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების ზრდა განპირობებულია მოკავ-

შირე რესპუბლიკათა მეურნეობის აღდგენისა და განვითარების და საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურული დონის აღმავლობისათვის ასიგნობათა შემდგომი გადიდებით. მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების გასავლის ზრდასთან დაკავშირებით დიდდება ანარიცხების რაოდენობა საერთო საკავშირო გადასახადებისა და შემოსავლისაგან რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში 17,6 მილიარდი მანეთით. ამის შედეგად ეს ანარიცხები მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების შემოსავალში შეადგენენ 75,3 პროცენტს, 1946 წელს კი 68,1 პროცენტს შეადგენდნენ. მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების სახსრების გამოყენება შემდეგი ცნობებით ხასიათდება:

| | მილიარდ მანეთობით | |
|---|---|---|
| | 1946 წელს | 1947 წელს |
| სახალხო მეურნეობა | 13,5 | 18,6 |
| მათ შორის: | | |
| მრეწველობა | 5,1 | 6,8 |
| სოფლის მეურნეობა | 3,0 | 3,9 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 3,4 | 5,3 |
| სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი | 40,1 | 53,8 |
| მათ შორის: | | |
| განათლება | 23,5 | 30,9 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 12,2 | 16,6 |
| მმართველობა და სასამართლო | 7,8 | 8,7 |
| სხვა ხარჯები | 1,0 | 1,1 |
| სულ გასავალი | 62,4 | 82,2 |

ამრიგად, მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების გასავლის საერთო მოცულობიდან 53,8 მილიარდი მანეთი, ანუ 65,5 პროცენტი, გამოყენებული იქნება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად. 1946 წელთან შედარებით, ხარჯები კულტურისათვის დიდდება 13,7 მილიარდი მანეთით, ანუ 34,1 პროცენტით. ასიგნობათა ზრდა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის აიხსნება ხელფასის ფონდის გადიდებით საულუფო ფასებისა და საავადმყოფოებში, სამშობიარო სახლებში და სხვ. კვების ხარჯების გადიდებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის ზრდით, სკოლების, საბავშვო სახლების, სამკურნალო დაწესებულებათა მოწყობისა და კაპიტალური რემონტის ხარჯების გადიდებით. ამასთან თითქმის ერთიორად დიდდება ხარჯები ერთი ბავშვის შესანახავად საბავშვო ბაღებში, ერთნახევარჯერ — საბავშვო სახლებში აღსაზრდელთა შესანახავად. საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურის აღმავლობის ამოცანის შესაბამისად მნიშვნელოვნად დიდდება განათლების ხარჯები — 31,3 პროცენტით.

მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებში ასიგნობანი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად დიდდება 5,1 მილიარდი მანეთით. ბიუჯეტით კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობის ხაზით 1947 წელს დიდდება 1,7 მილიარდი მანეთით.

ასიგნობანი კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დაფინანსებისათვის 1947 წელს დიდდება 1,9 მილიარდი მანეთით. საჭიროა აღინიშნოს, რომ სასოფლო რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის უსწრაფესი გაუმჯობესების ამოცანის შესაბამისად ასიგნობები ბიუჯეტით დიდდება 25-50 ათასი მანეთიდან 100 ათას მანეთამდე ერთი რაიონისათვის.

განხორციელება გერმანული ოკუპაციით დანგრეული მეურნეობისა და კულტურულ დაწესებულებათა აღდგენის საყოველთაო სახალხო ამოცანისა, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დაგვისახა, მკაფიო გამოხატულებას ჰპოვებს ამ მიზნისათვის მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების ხაზით ასიგნობებში. ეს ასიგნობები წლითიწლობით მნიშვნელოვნად დიდდება, ამასთან ყველაზე დიდი ხარჯების გაღება სწარმოებს იმ სახსრებიდან, რომლებიც ასიგნებულია კაპიტალური მშენებლობისათვის, ლიმიტგარეშე კაპიტალური დაბანდებისა და კაპიტალური რემონტისათვის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1947 წელს დიდდება ასეთი ასიგნობანი ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის, კომუნალურ საწარმოთა, ადმინისტრაციულ შენობათა კაპიტალური რემონტისათვის.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს იმ დიად ამოცანებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგანან ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წელს. მთელი ძალები, მთელი ენერგია უნდა მოვანდომოთ იმას, რომ მაქსიმალური ეფექტიანობით მობილიზაცია ვუყოთ სახალხო მეურნეობის რესურსებს, გავადიდოთ სოციალისტური დაგროვება, უზრუნველვყოთ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის გეგმის მთლიანად და გადაჭრებით შესრულება და სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში მომჭირნეობის რეჟიმის უმკაცრესად დაცვა.

მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა დემოკრატიის დიადი პრინციპების ნამდვილი გამარჯვება. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემით ჩვენი ქვეყნის ხალხებმა ცხადჰყვეს თავიანთი მაღალი პოლიტიკური აქტივობა და დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, თავისი უსაზღვრო ერთგულება კომუნიზმის საქმისადმი.

სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება იქნება ახალი წვლილი საჰალხო მეურნეობის უსწრაფესად აღდგენისა და განვითარების საქმეში, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში, საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც წინ მიდის ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა).**

# სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრ ა. გ. ზვერევის საბოლოო სიტყვა კავშირის საბჭოში

ამხანაგო დეპუტატებო! კავშირის საბჭოს სხდომაზე გამართულმა კამათმა გვიჩვენა, რომ სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტმა ჰპოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების სრული მოწონება. თავიანთ გამოსვლებში დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი ასახავს იმ ამოცანებს, რომლებიც სდგას საბჭოთა ხალხის წინაშე სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღდგენისა და შემდგომი განვითარების დარგში ახალ სტალინურ ხუთწლედში.

კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ შემოიტანა წინადადება ბიუჯეტის გადიდების შესახებ საშემოსავლო ნაწილში 2.526.533 ათასი მანეთით, აქედან ბრუნვისაგან გადასახადის ხაზით 1.426.500 ათასი მანეთით, სახელმწიფო სესხების ხაზით—700 მილიონი მანეთით, გამოსაღებთა და სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავალთა ხაზით—501 მილიონი მანეთით და სხვა მუხლების ხაზით—65 მილიონი მანეთით. ამავე დროს შემოსულია წინადადება შემცირდეს მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების შემოსავალი 165.967 ათასი მანეთით. ამასთან გათვალისწინებულია ნარჩენების ჩამოწერა სამხედრო სესხის ხაზით გასული წლებისათვის.

საბიუჯეტო კომისიამ წინადადება შემოიტანა აგრეთვე გადიდდეს ბიუჯეტის გასავალი 177.340 ათასი მანეთით, აქედან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 99.220 ათასი მანეთი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დამავალა ვაცნობო უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია საბიუჯეტო კომისიის წინადადებანი 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილში ცვლილებათა შესახებ.

მხედველობაში იღებს რა ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წინადადებებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია გადიდდეს შემოსავალი სახელმწიფო სესხთა ხაზით არა 700 მილიონი მანეთით, როგორც ამის შესახებ წინადადება შემოიტანა კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ, არამედ 850 მილიონი მანეთით.

საბიუჯეტო კომისიის წინადადების შესაბამისად დიდდება ასიგნობანი კავშირგაბმულობის სამინისტროსათვის 50 მილიონი მანეთით ავტომატური სატელეფონო სადგურების მშენებლობისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებში გასაგალი დიდდება 128 მილიონი მანეთით, აქედან ჯანმრთელობის დაცვისათვის—65,2 მილიონი მანეთი, გა-

ნათლებისათვის—42,4 მილიონი მანეთი, სახალხო მეურნეობისათვის — 19,7 მილიონი მანეთი.

ცალკე მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებში გასავალი დიდდება:

| | |
|---|---|
| რსფსრ | —63.650 ათასი მანეთით. |
| უკრაინის სსრ | —22.060 ათასი მანეთით. |
| ბელორუსიის სსრ | — 8.630 ათასი მანეთით. |
| უზბეკეთის სსრ | — 3.340 ათასი მანეთით. |
| ყაზახეთის სსრ | — 5.650 ათასი მანეთით. |
| საქართველოს სსრ | — 2.000 ათასი მანეთით. |
| აზერბაიჯანის სსრ | — 1.000 ათასი მანეთით. |
| ლიტვის სსრ | — 3.000 ათასი მანეთით. |
| მოლდავეთის სსრ | — 3.050 ათასი მანეთით. |
| ლატვიის სსრ | — 3.240 ათასი მანეთით. |
| ყირგიზეთის სსრ | — 4.500 ათასი მანეთით. |
| ტაჯიკეთის სსრ | — 1.700 ათასი მანეთით. |
| სომხეთის სსრ | — 1.220 ათასი მანეთით. |
| თურქმენეთის სსრ | — 1.300 ათასი მანეთით. |
| ესტონეთის სსრ | — 3.650 ათასი მანეთით. |

დეპუტატი ნედოსეკინი თხოულობს ბიუჯეტიდან 2 მილიონი მანეთის ასიგნებას ქალაქის იმ გზატკეცილის რეკონსტრუქციისათვის, რომელიც აერთებს ქალაქ სვერდლოვსკის ცენტრს ურალის მანქანათმშენებლობის ქარხანასთან. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია ამ თხოვნის დაკმაყოფილება.

დეპუტატმა სელივანოვმა წინადადება შემოიტანა გადიდდეს ასიგნობანი 8.500 ათასი მანეთით თეატრის მშენებლობის დასამთავრებლად ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიონში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია მიიღოს დეპუტატ სელივანოვის წინადადება.

დეპუტატმა ბაჟანმა წინადადება შემოიტანა გამოიყოს ბიუჯეტიდან 7 მილიონი მანეთი საკლუბო შენობათა აღდგენის დასამთავრებლად უკრაინის სსრ სასოფლო ადგილებში და 8.5 მილიონი მანეთი მუშათა და კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლათა დამატებითი კლასების შესანახად. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია ასიგნობათა გადიდება საკლუბო შენობათა აღსადგენად სასოფლო ადგილებში 5 მილიონი მანეთის რაოდენობით იმ 2 მილიონ მანეთს ზევით, რაც წარმოდგენილია საბიუჯეტო კომისიის მიერ. მუშათა და კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლათა დამატებითი კლასების შესანახად მიზანშეწონილია გადიდდეს ასიგნობანი ბიუჯეტიდან 3,5 მილიონი მანეთით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია აგრეთვე დაეთანხმოს დეპუტატ ბელიაევის წინადადებას ბიუჯეტიდან ასიგნობათა გადიდების შესახებ ლაბორატორიების, ბიბლიოთეკის შესაქმნელად და საცხოვრებელი სახლის ასაგებად სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ალტაის მხარეში და გამოიყოს ამ მიზნებისათვის 2 მილიონი მანეთი.

თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე დამატებითს ასიგნობებს, რასაც იღებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ეროვნებათა საბჭოს სხდომებზე შემოტანილ წინადადებათა მიხედვით, მაშინ დამატებით ასიგნობათა საერთო ჯამი შეადგენს 40.700 ათას მანეთს. ეს არის 178 მილიონი მანეთის რაოდენობით იმ დამატებით ასიგნობათა ზევით, რომელიც მიღებულია კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წინადადებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს არ მიაჩნია შესაძლებლად მხარი დაუჭიროს დეპუტატთა დანარჩენ წინადადებებს ბიუჯეტის გასავლის გადიდების შესახებ, ვინაიდან ეს წინადადებანი ამჟამად გადაუდებელნი არ არიან.

თავიანთ გამოსვლებში დეპუტატებმა აღნიშნეს ნაკლოვანებანი ცალკეულ სამინისტროთა მუშაობაში. სერიოზულად იქნა გაკრიტიკებული სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, სათბობ საწარმოთა მშენებლობის, კავშირგაბმულობის სამინისტროთა მუშაობა. სამინისტროთა ხელმძღვანელებმა ამ კრიტიკიდან უნდა გამოიტანონ სათანადო დასკვნები და მიიღონ საჭირო ზომები საწარმოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

დეპუტატმა ნედოსეკინმა ყურადღება მიაქცია ნაკლოვანებებს ურალში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განხორციელების საქმეში. 1946 წელს მართლაც სუსტად იყო გაშლილი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და ცენტრალური კომუნალური ბანკის მიერ გახსნილი კრედიტები მნიშვნელოვანწილად გამოუყენებელი დარჩა. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის გამო 1947 წელს კრედიტები ამ მიზნისათვის ციმბირში, ურალსა და შორეულ აღმოსავლეთში გათვალისწინებულია 415 მილიონი მანეთის რაოდენობით.

საჭიროა სამინისტროებმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაზე და უეჭველად უზრუნველჰყონ დამტკიცებული პროგრამის შესრულება.

დეპუტატმა როდიონოვმა სავსებით სწორად აღნიშნა, რომ ამჟამად ხეტყის დამზადებას აწარმოებენ უაღრესად ბევრი სხვადასხვაგვარი ორგანიზაცია. ხეტყის წვრილ დამამზადებელთა რაოდენობის გაზრდა, რასაც ადგილი ჰქონდა ომის წლებში, ამჟამად არ არის გამართლებული სამეურნეო მიზანშეწონილობით. ხეტყის დამზადებათა დაქუცმაცება დიდძალ დამამზადებელთა შორის აძნელებს ხეტყის დამზადების მექანიზაციის პროცესს, ხელს არ უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, იწვევს ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების ზედმეტ ხარჯებს, ძლიშვნელოვნად ზრდის ხეტყის პროდუქციის თვითღირებულებას.

ამ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად უნდა მოწესრიგდეს ხეტყის დამზადების ორგანიზაცია. პირველ რიგში ამას ხელი უნდა მოჰკიდონ ხეტყის ძირითადმა დამამზადებლებმა.

დეპუტატმა როდიონოვმა სწორად მიუთითა თავის გამოსვლაში რაიონული ბიუჯეტების შემდგომი განმტკიცების საჭიროებაზე მთელი წლის განმავლობაში თანაბარზომიერად მიღებული შემოსავლით მათი უზრუნველყოფის გზით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემოსავალთა ფარგლებში, რაც მინიჭებული აქვს რუსეთის სფს რესპუბლიკას, არსებობს სრული შესაძლებლობა შემცირდეს რაიონულ ბიუჯეტებში სეზონურ შემოსავალთა წილი და განმტკიცდეს ეს ბიუჯეტები ისეთ, უფრო თანაბარზომიერად მიღებულ შემოსავალთა ხარჯზე, როგორიცაა საშემოსავლო გადასახადთა ანარიცხები მოსახლეობიდან და ბრუნვის გადასახადთაგან. მიუხედავად ამისა მთელ რიგ ავტონომიურ რესპუბლიკებში, რუსეთის სფს რესპუბლიკის მხარეებსა და ოლქებში თანაბარზომიერად მიღებულ გადასახადთა ძირითად ნაწილს აკუთვნებენ ხოლმე საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ბიუჯეტებს, ხოლო ისეთ სეზონურ შემოსავლებს, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადი და სესხის ანარიცხები, მთლიანად გადასცემენ ხოლმე რაიონულ და სასოფლო ბიუჯეტებს.

საჭიროა გაძლიერდეს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების ყურადღება რაიონული ბიუჯეტების რეგულირებისა და განმტკიცების საკითხებისადმი. წინადადება—მთლიანად გადაეცეს რაიონულ ბიუჯეტებს ბრუნვის გადასახადი, რომელიც შემოდის სარეწაო კოოპერაციისაგან, არ გადასწყვეტს საკითხს რაიონული ბიუჯეტების განმტკიცების შესახებ, ვინაიდან იმ შეღავათებთან დაკავშირე-

ბით, რაც კოოპერაციას მინიჭებული აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლს 9 ნოემბრის დადგენილებით, ამ შემოსავალთა ჯამი ძლიერ უმნიშვნელოა.

დეპუტატებმა როდიონოვმა და კაროტამმა დააყენეს საკითხი სასოფლო და სათემო საბჭოების ბიუჯეტთა განმტკიცების აუცილებლობის შესახებ. ეს საკითხი მართლაც სერიოზული ყურადღების ღირსია. მაგრამ არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს სასოფლო საბჭოებისათვის მარტო მთელი რიგი გადასახადების აკრეფის უფლების მინიჭება. ხოლო სასოფლო ბიუჯეტებზე რაიონული ბიუჯეტებიდან ხარჯების ნაწილის გადაცემა ამჟამად ნაადრევია, ვინაიდან მთელ რიგ მხარეებსა და ოლქებში სასოფლო საბჭოები ვერ უზრუნველყოფენ ხოლმე იმ მცირერიცხოვან დაწესებულებათა შეუფერხებელ დაფინანსებას, რომლებიც იმყოფებიან სასოფლო საბჭოების სახსრების ანგარიშზე. ადგილობრივმა საბჭოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საბიუჯეტო მუშაობის მოწესრიგებას სასოფლო საბჭოებში, სასოფლო საბჭოების საფინანსო მუშაობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას რაიაღმასკომების მხრივ.

დეპუტატმა კუპრიანოვმა შემოიტანა წინადადება საგადასახადო აგენტების ქსელის ლიკვიდაციის შესახებ და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის ხელფასის გადიდების შესახებ. უნდა ითქვას, რომ სამხედრო გადასახადის გაუქმებასთან დაკავშირებით საგადასახადო აგენტთა რაოდენობა 1947 წელს შემცირებულია 17 ათასზე მეტი კაცით გასულ წელთან შედარებით. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საგადასახადო აგენტები არა მარტო მუშაობენ გადასახადთა აკრეფაზე, არამედ ისინი აგრეთვე ჰკრეფენ სადაზღვევო გადასახადებს და ღებულობენ სასოფლო საბჭოების რწმუნებულთაგან შენატანებს სესხთა ხაზით. მაშასადამე, საგადასახადო აგენტთა ქსელის შესახებ საკითხის განხილვისას ამავე დროს საჭიროა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, ვინ უნდა შეასრულოს ის ფუნქციები, რომელთაც დღეს ასრულებენ საგადასახადო აგენტები.

შემდეგ, დეპუტატმა კუპრიანოვმა დააყენა საკითხი კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ. საჭიროა ვაცნობო უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულია დებულება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და წარდგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. მთავრობაში ამ დებულების განხილვის შემდეგ იგი შეტანილი იქნება დასამტკიცებლად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

დეპუტატმა ლომაკომ დააყენა საკითხი სამინისტროთა განკარგულებაში საბრუნავი თანხების რეზერვის შექმნის შესახებ. ასეთი რეზერვების უქონლობა, დეპუტატ ლომაკოს აზრით, არ იძლევა შესაძლებლობას ოპერატიული დახმარება გაეწიოს ხელმოკლე საწარმოებს. მე ვფიქრობ, რომ ამხ. ლომაკომ იცის—არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც მინისტრებს აქვთ უფლება თავიანთ სამინისტროში შეჰქმნან საბრუნავ საშუალებათა მთელი ნამატის 10 პროცენტამდე და საჭიროების მიხედვით საწარმოებს აღმოუჩინონ ამ რეზერვიდან დახმარება. ეს დებულება გაუქმებული როდია. როგორც სჩანს, ფერადი მეტალურგიის სამინისტროში საბრუნავ საშუალებათა ოდენობის განსაზ-

ღვრისას მთავარ სამმართველოებს და საწარმოებს მთლიანად უნაწილებენ საბრუნავ საშუალებათა ნამატს, შემდეგ კი ეძებენ კანონით დაწესებულ რეზერვს. რა თქმა უნდა, თუ ფერადი მეტალურგიის სამინისტრო დაარიგებს მთელ საბრუნავ საშუალებებს, მაშინ მას არავითარი რეზერვი აღარ ექნება. როგორც სჩანს, ეს საკითხი უნდა გადავუგზავნოთ მისამართშეცვლილი ფერადი მეტალურგიის მინისტრს ამხანაგ ლომაკოს. **(სიცილი).**

დეპუტატმა კორნიეცმა აღნიშნა, რომ არსებობს 1947 წლის 1 იანვრისათვის მნიშვნელოვანი ნარჩენები ბრუნვის გადასახადის დარგში და რომ საფინანსო ორგანოები ამ გადასახადის შესახებ თავის დროზე არ ღებულობენ და არ ამოწმებენ ანგარიშებს.

მოხსენებაში სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ აღნიშნული იყო ნაკლოვანებანი მუშაობაში ბრუნვის გადასახადთა ასაკრეფად. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო ღებულობს ზომებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, აგრეთვე გადამხდელთაგან საგადასახადო ანგარიშების თავის დროზე მიღებისა და მათი გულდასმით შემოწმების უზრუნველსაყოფად.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ერთსულოვნად მოწონება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ გვიჩვენებს, რომ ბიუჯეტი შეესაბამება საბჭოთა ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებას—შეასრულოს ახალი სტალინური ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანები, მოახდინოს უმოკლეს ვადაში იმ ზარალის ლიკვიდაცია, რომელიც ჩვენს მეურნეობას ომმა მიაყენა, და გასწიოს წინ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების, კულტურის აღმავლობისა და ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების გზაზე.

1947 წლის ბიუჯეტი ხელს შეუწყობს კომუნიზმის ახალ გამარჯვებებს, რომელთაც მოიპოვებს ჩვენი ხალხი ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით. **(ხანგრძლივი ტაში).**

# სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ა. გ. ზვერევის საბოლოო სიტყვა ეროვნებათა საბჭოში

ამხანაგო დეპუტატებო! 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ეროვნებათა საბჭოს სხდომებზე გულდასმით იქნა განხილული და მოწონებული უმაღლესი საბჭოს დეპუტატების მიერ. სიტყვით გამოსულმა ყველა დეპუტატმა აღნიშნა რომ 1947 წლის ბიუჯეტი მთლიანად შეესაბამება სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ამოცანებს ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წელს.

ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ წინადადება შემოიტანა გადიდდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 2.779.303 ათასი მანეთით, აქედან ბრუნვის გადასახადთა ხაზით—1.426.500 ათასი მანეთით, მოგებათა ანარიცხების ხაზით—20.700 ათასი მანეთით, სახელმწიფო სესხთა ხაზით 1 მილიარდი მანეთით, გამოსაღებთა და სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავალთა ხაზით—501 მილიონი მანეთით.

ამავე დროს შემოტანილია წინადადება მოიხსნას ნარჩენი სამხედრო გადასახადის ხაზით და შემცირდეს სხვა შემოსავალი რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების ხაზით 78.640 ათასი მანეთის საერთო ჯამის რაოდენობით.

საბიუჯეტო კომისიამ შემოიტანა აგრეთვე წინადადება გადიდდეს გასავალი 200 მილიონი მანეთით, აქედან სახალხო მეურნეობისათვის—65.200 ათასი მანეთი, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე — 131.830 ათასი მანეთი, ინვენტარის შესაძენად და სასოფლო საბჭოების სხვა ხარჯები—3 მილიონი მანეთი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა ეს წინადადებანი და დამავალა ვაცნობო უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წინადადება 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილში ცვლილებათა შესახებ. ამასთან მიზანშეწონილია შემოსავალი სახელმწიფო სესხთაგან გადიდდეს არა 1 მილიარდი მანეთით, როგორც წინადადება შემოაქვს საბიუჯეტო კომისიას, არამედ 850 მილიონი მანეთით, აქედან შემნახველ სალაროებში ანაბრების ნაშთის ხარჯზე—650 მილიონი მანეთი, ე. ი. იმ თანხით, რაც უკვე მიღებულია კავშირის საბჭოს მიერ.

საბიუჯეტო კომისიის წინადადება „გლავსევმორპუტის“ მოგებათა ანარიცხების შემცირების შესახებ 47.320 ათასი მანეთით, განსახილველად უნდა გადაეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი 1947 წლისათვის უნდა გადიდდეს 178 მილიონი მანეთით, აქედან ავტომატური სატელეფონო სადგურების მშენებლობისათვის კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზით 50 მილიონი მანეთით; მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტები საგასავლო ნაწილში უნდა გადიდდეს 128 მილიონი მანეთით, აქედან: ჯანმრთელობის დაცვისათვის — 65.200 ათასი მანეთი, განათლებისათვის — 42.400 ათასი მანეთი და სახალხო მეურნეობისათვის —19.700 ათასი მანეთი.

დეპუტატმა აბდურახმანოვმა წინადადება შემოიტანა გამოიყოს ასიგნობანი არხების რეკონსტრუქციისა და გადაკეთებისათვის უზბეკეთის სს რესპუბლიკაში 27 მილიონი მანეთის რაოდენობით და გადიდდეს კაპიტალური დაბანდებანი უზბეკეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივი სათბობი მრეწველობის ხაზით 7 მილიონი მანეთით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია გაითვალისწინოს ასიგნობანი არხების რეკონსტრუქციისა და გადაკეთებისათვის 6 მილიონი მანეთის რაოდენობით და უზბეკეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივი სათბობი მრეწველობის კაპიტალურ დაბანდებათა გასადიდებლად 4 მილიონი მანეთის რაოდენობით.

დეპუტატი შარაფეევი თხოულობს ასიგნობებს 2 მილიონი მანეთის რაოდენობით ბიბლიოთეკების, რაიკულტსახლების, ჭოხ-სამკითხველოების, სასოფლო კლუბების რემონტისა და მოწყობისათვის. აგრეთვე თათართა ასს რესპუბლიკის ქალაქთა კეთილმოსაწყობად—3 მილიონ მანეთს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია გადიდდეს ასიგნობანი ზემოთ აღნიშნულ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1 მილიონი მანეთით და ქალაქების კეთილმოსაწყობად—2 მილიონი მანეთით.

დეპუტატმა ჩხუბიანიშვილმა შემოიტანა წინადადება გადიდდეს ასიგნობანი ქალაქების წყალსადენის ქსელის გასაფართოებლად თბილისსა და ქუთაისში 7 მილიონი მანეთით, აგრეთვე გამოიყოს სახსრები წყალსადენთა ასაგებად მოსაზღვრე რაიონების ახალმოშენე კოლმეურნეობებში 1.500 ათასი მანეთის რაოდენობით.

განიხილა რა ეს წინადადება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო შესაძლებლად სცნობს გადიდდეს ასიგნობანი აღნიშნული მიზნებისათვის 4.200 ათასი მანეთით.

დეპუტატი ეგიაზაროვი თხოულობს გადიდდეს ასიგნობანი სომხეთის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კაპიტალურ დაბანდებებზე 4.500 ათასი მანეთით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია გადიდდეს ამ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების თანხა 2 მილიონი მანეთით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხარს უჭერს დეპუტატ კულატოვის წინადადებას ასიგნობათა გადიდების შესახებ ყირგიზეთის სსრ ბიუჯეტის ხაზით სასოფლო საავადმყოფოების მშენებლობისათვის და წინადადებას იძლევა ამ მიზნით დამატებით გამოიყოს 500 ათასი მანეთი.

თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე დამატებითს ასიგნობებს, რასაც იღებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კავშირის საბჭოს სხდომებზე შემოტანილ წინადადებათა მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით დამატებით ასიგნობათა საერთო ჯამი 1947 წლისათვის შეადგენს 40.700 ათას მანეთს. ეს არის იმ 178 მილიონი მანეთის დამატებით ასიგნობათა გარდა, რაც მიღებულია ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წინადადებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დანარჩენ წინადადებებს ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის გადიდების შესახებ მხარს არ უჭერს.

დეპუტატმა ხოხლოვმა აღნიშნა ნაკლოვანებათა არსებობა შემნახველ სალაროთა მუშაობაში. უდავოა, რომ ნაკლოვანებანი შემნახველი სალაროების მუშაობაში არსებობს. არის ისეთი შემნახველი სალაროები, რომლებიც ჯერ კიდევ ცუდად ემსახურებიან მეანაბრეებს და სესხისმჭრნეთ. შემნახველი სალაროების მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრა მით უფრო აუცილებელია, რომ ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული მოსახლეობასთან და მათი მუშაობის მოცულობა ძლიერ გაიზარდა. ომის დაწყებისას შემნახველ სალაროებში ინახებოდა ანაბარები 6.800 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამჟამად ანაბარების თანხამ გადააჭარბა ომამდელ დონეს თითქმის ორმაგად და შეადგენს

12 მილიარდზე მეტ მანეთს. თითქმის 1,5 მილიარდი მანეთი შეადგინა დანაზოგთა თანხამ, რაც შეტანილი აქვს მოსახლეობას 1938 წლის სახელმწიფო საშინაო მომგებიანი სესხის ობლიგაციების შეძენით.

ომის დროს შემნახველ სალაროებში ირიცხებოდა ფულადი კომპენსაცია, რაც ეკუთვნოდათ მუშებსა და მოსამსახურეებს გამოუყენებელი შვებულებებისათვის. შემნახველ სალაროებს ასეთი ანგარიში გახსნილი ჰქონდათ დაახლოებით 30 მილიონი. 1946 წელს შემნახველმა სალაროებმა დაურიგეს მუშებსა და მოსამსახურეებს მოწმობები კომპენსაციის მისაღებად გამოუყენებელი შვებულებებისათვის 8 მილიარდი მანეთის რაოდენობით და გასცეს ნაღდ ფულად დაახლოებით 2,5 მილიარდი მანეთი. მნიშვნელოვნად გაიზარდა შემნახველ სალაროთა მუშაობის მოცულობა სესხისმჭონეთა მომსახურების დარგში. მოსახლეობის ხელთ არსებული ობლიგაციების რაოდენობა 3-ჯერ უფრო მეტად გაიზარდა. მოსახლეობისათვის მიცემულ მოგებათა თანხამ სესხთა ობლიგაციების მიხედვით 1946 წელს 4-ჯერ უფრო მეტად გადააჭარბა იმ თანხას, რაც გაცემულ იქნა 1940 წელს;

გარდა ამისა, შემნახველ სალაროებს დავალებული აქვთ მუშაობა მოსახლეობის სასალარო მომსახურების უზრუნველსაყოფად. შემნახველმა სალაროებმა 1946 წელს 2,5 მილიარდ მანეთზე მეტი დახმარება დაურიგეს მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს. რამდენიმე ათეულჯერ გაიზარდა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთათვის გაცემული თანხის რაოდენობა. არსებობს სხვა ბევრი სასალარო ოპერაციაც, რომელთა შესასრულებლად მოსახლეობა სარგებლობს შემნახველი სალაროებით. სალაროთა ფულადი ბრუნვა ხატარებს მუშაობას შემნახველ სალაროთა ქსელის გასაფართოებლად და მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში შემნახველ სალაროთა რაოდენობა 5 ათასით უფრო მეტად გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ შემნახველ სალაროებში ამჟამად 62,5 ათასი კაცი მუშაობს ნაცვლად 85 ათასი კაცისა, რომლებიც ომამდე მუშაობდნენ.

1947 წელს აუცილებლად უნდა მივაღწიოთ საშემნახველო საქმის სანიმუშოდ დაყენებას. ამ ამოცანის შესრულებაში დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს. მათი დახმარება განსაკუთრებით საჭიროა მასობრივ ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებაში და შემნახველი სალაროების მიერ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურების ორგანიზაციაში.

სიტყვით გამოსულმა დეპუტატებმა დააყენეს საკითხი სპეციალისტთა კადრებით სამიწათმოქმედო ორგანოების განმტკიცების შესახებ. სასოფლო ელექტრო-სადგურებისათვის მოწყობილობისა და მასალების წარმოების გაფართოების შესახებ. სამმართველო აპარატის არასაჭირო რგოლების შემცირების შესახებ. ქარხნების, ელექტროსადგურების, ჰიდროსადგურების, საცხოვრებელი ბინების მშენებლობის დაჩქარების შესახებ. მინერალური სასუქების დამატებითი გამოყოფისა და შეზიდვის შესახებ. ეს საკითხები სერიოზულ ყურადღებას მოითხოვენ. მინისტრთა საბჭო განიხილავს ამ წინადადებებს.

დეპუტატებმა აგრეთვე წაუყენეს მოთხოვნილებანი მთელ რიგ სამინისტროებს გააუმჯობესონ მუშაობა და დახმარება აღმოუჩინონ მათზე დაქვემდებარებულ საწარმოებს.

სესიაზე სერიოზულად იქნა გაკრიტიკებული სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მუშაობა. უნდა ითქვას, რომ ეს კრიტიკა სამართლიანი იყო. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრმა ამხ. გორემიკინმა უნდა გამოიტანოს სათანადო დასკვნები დეპუტატთა კრიტიკიდან და მიიღოს საჭირო ზომები საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისათ-

ვის. ეს თანაბრად ეხება სხვა სამინისტროთა ხელმძღვანელებსაც, რომელთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებდნენ დეპუტატები.

ამხანაგმა კალაშნიკოვმა თავის გამოსვლაში კრიტიკული შენიშვნები გააკეთა სახალხო განათლების ორგანოების დაფინანსების ძიმართ და განაცხადა, რომ 9 თვის განმავლობაში ათვისებულ იქნა მოწყობილობათათვის გათვალისწინებული თანხების 31,4 პროცენტი და კაპიტალური რემონტის თანხების 67,7 პროცენტი. რა თქმა უნდა, მოწყობილობათათვის გათვალისწინებული თანხების ათვისების ასეთი პროცენტი არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. მაგრამ უნდა განვუცხადო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, რომ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილმა გადააჭარბა საგასავლო ნაწილს, რამაც შეადგინა თვრამეტ მილიარდ მანეთზე მეტი. აქედან რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში დაახლოებით ოთხი მილიარდი მანეთი. მაშასადამე, ასიგნობანი აუთვისებელი დარჩა არა თანხების უქონლობის გამო ადგილობრივ ბიუჯეტებში, არამედ, როგორც სჩანს, ვერ იქნა გადაწყვეტილი საკითხი სკოლების მომარაგებისა საშენი მასალებითა და მოწყობილობით. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა, ასიგნობათა გადიდების შესახებ მოთხოვნილებების წამოყენებასთან ერთად უნდა იზრუნონ მოწყობილობის, მასალების და ა. შ. მისაღებად სახალხო განათლების საჭიროებათათვის. ეს იქნება გარანტია, რომ მთლიანად ავითვისებთ თანხებს, რაც გათვალისწინებულია სახალხო განათლებისათვის.

ამასთან დაკავშირებით მე ვფიქრობ, რომ არ იქნებოდა საჭირო დეპუტატ კალაშნიკოვის თხოვნისათვის მხარდაჭერა სკოლების ხაზით კაპიტალურ დაბანდებებზე ასიგნობათა გადიდების შესახებ. ამ მიზნებისათვის 1947 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საკმაო ასიგნობანი. საქმე ის არის, რომ უფრო უკეთ ავითვისოთ ეს თანხები. კერძოდ, სკოლების მოწყობილობისათვის გათვალისწინებულია ბიუჯეტში 226 მილიონი მანეთი ნაცვლად 94 მილიონი მანეთისა, რაც გათვალისწინებული იყო გასულ წელს. განათლების მუშაკებმა უნდა იზრუნონ, რომ უფრო რაციონალურად იქნას გამოყენებული ეს თანხები.

დეპუტატმა ივანოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ბრუნვის გადასახადის დაგეგმვაში ჯერ კიდევ არ არის საკმაო სიზუსტე: ჯერ ერთი, არა ყოველთვის დროულად და მთლიანად მოაქვთ საქონლის ფონდები ბრუნვის გადასახადის დაწესებული მოცულობის შესაბამისად და, მეორეც ის, რომ ჰიანურდება ბრუნვის გადასახადიდან გადარიცხვის დაწესება რესპუბლიკებისა და ოლქების ბიუჯეტებში.

მოხსენებაში მე უკვე აღვნიშნე, რომ ბრუნვის გადასახადის შემოტანა დამოკიდებულია საწარმოების მიერ საწარმოო დავალებათა შესრულებაზე რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით, აგრეთვე საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე. საქონელბრუნვის გეგმის მთლიანად შესრულებისათვის საჭიროა, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები ღებულობდნენ ზომებს მომხმარებლისათვის საქონლის თავის დროზე გადასატვირთად. რაც შეეხება ბრუნვის გადასახადიდან გადარიცხვებს რესპუბლიკებისა და ოლქების ბიუჯეტებში, ცნობილია, რომ ეს გადარიცხვები წლის დამთავრების შემდეგ არ სწყდება და კვლავაც მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე გადარიცხვა სწარმოებს იმ პროცენტების მოცულობით, რაც დაწესებულია წინა წლისათვის.

შემდეგ, დეპუტატმა ივანოვმა შემოიტანა წინადადება დაწესდეს ბრუნვის გადასახადის დიფერენცირებული განაკვეთები, რესპუბლიკის ან ოლქის თავისებურებათა გათვალისწინებით. ამ წინადადების მიღება იქნებოდა, ერთის მხრივ, განაკვეთების გადიდება და მუშაობის გართულება ბრუნვის გადა-

სახადის გამოსაანგარიშებლად და ასაკრებად, ხოლო მეორე მხრივ—ეს გამოიწვევდა ბრუნვის გადასახადის განაკვეთთა მოწყვეტას იმ საწარმოთა რენტაბელობის მოცულობისაგან, რომლებიც ამზადებენ ბრუნვის გადასახადით დასაბეგრავ საქონელს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო ღებულობდა და ღებულობს ზომებს ბრუნვის გადასახადის განაკვეთთა შესამცირებლად. ასე, მაგალითად, ამჟამად ბრუნვის გადასახადის რაოდენობა შემცირებულია უფრო მეტად, ვიდრე ორმაგად 1938 წელთან შედარებით.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მუშაობაში ჯერ კიდევ ცოტა როდია ნაკლოვანებანი. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო მიიღებს ყოველგვარ ზომებს თავის მუშაობის გაუმჯობესებისათვის და დეპუტატების მიერ აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ხელს შეუწყობს იმ ისტორიული ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც სდგას ჩვენი სახელმწიფოს წინაშე ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წელს.

ჩვენ სრულ რწმენას გამოვთქვამთ, რომ სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმატებით იქნება შესრულებული. საბჭოთა ხალხი ახალ გამარჯვებებს მიაღწევს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით. ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით! **(მქუხარე ტაში).**

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

## ეროვნებათა საბჭოში

## კამათი სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ **ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის** სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად წარმოდგენილი სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი სავსებით ასახავს იმ დიად ამოცანებს, რომლებიც დასახულია ჩვენი ქვეყნის წინაშე ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეორე წელს.

სსრ კავშირის ხალხებმა, გერმანელ ფაშისტებსა და იაპონელ იმპერიალისტებზე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების მოპოვების შემდეგ, მთელი თავიანთი ძალები წარმართეს ომის მძიმე შედეგთა ლიკვიდაციის, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისაკენ. საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით წარმატებით გაართვა თავი ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი წლის სამეურნეო და კულტურულ ამოცანებს. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა ხალხის მიღწევებს. ჩვენი ქვეყნის მრეწველობამ ძირითადად დაამთავრა ომისშემდგომი გარდაქმნა.

მე აღარ გავიმეორებ ციფრებს, რომლებიც თავის შინაარსიან მოხსენებაში მოიყვანა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ზვერევმა. საკმარისია ითქვას, რომ სსრ კავშირის მრეწველობის სამოქალაქო პროდუქციის საერთო გამოშვებამ 1945 წელთან შედარებით 1946 წელს 20 პროცენტით იმატა, რკინიგზების საშუალო სადღეღამისო დატვირთვა 13 პროცენტით გადიდდა, კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა—17 პროცენტით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმატებანი მძიმე მრეწველობის აღდგენასა და განვითარებაში.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვა სსრ კავშირის ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის გამოხატულებას პოულობს, კერძოდ, იმ მრეწველობის ზრდაში, რომელიც მოხმარების საშუალებებს ამზადებს, და საბჭოთა ვაჭრობის განვითარებაში. მაგალითად, 1946 წელს ბამბის ქსოვილთა გამოშვება 1945 წელთან შედარებით გადიდდა 17 პროცენტით, შალეულისა—30 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა—28 პროცენტით, საცალო საქონელბრუნვამ წინა წელთან შედარებით 30 პროცენტით იმატა.

მთავრობის დადგენილებით ტარდება ღონისძიებანი კოოპერაციული წარმოების შემდგომი გაუმჯობესებისა და კოოპერაციული ვაჭრობის განვითარებისათვის.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის წარმატებით შესრულებისა და სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ნორმალური დაფინანსების ძირითადი წინაპირობაა.

ახალი სტალინური ხუთწლედის პირველი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებამ შესაძლებელი გახადა, რომ სსრ კავშირის ამა წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაგვედიდებინა 21,3 პროცენტით და საგასავლო ნაწილი 22,1 პროცენტით.

საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში ეს-ეს არის მოხდა უმაღლესი საბჭოების არჩევნები. საბჭოთა ხალხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემით კვლავ ცხადჰყო ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, თავისი დარაზმულობა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო და უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინისადმი **(მჭუხარე ტაში)**.

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა ბოლშევიკური პარტიის ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას იმიტომ, რომ ეს პოლიტიკა სავსებით შეესაბამება მათს სასიცოცხლო ინტერესებს. მათ ხმა მისცეს ჩვენი სამშობლოს აყვავებას, ჩვენი ხალხის ბედნიერ აწმყოსა და მომავალს.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის გამარჯვება გარანტიას გვაძლევს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალი სტალინური ხუთწლედი კიდევ უფრო წარმატებით შესრულდება, ვიდრე წინა ხუთწლედები.

საყოველთაო სახალხო ზეიმის ვითარებაში ჩაიარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობებით, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.055.460 კაცმა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,97 პროცენტმა, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 2.054.072 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის ყველა მონაწილის 99,94 პროცენტს.

ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა ერთსულოვნად დიდი სიყვარულით აირჩია უმაღლესი საბჭოს პირველ დეპუტატად ჩვენი მამა და მასწავლებელი, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი დიდი სტალინი **(მჭუხარე ტაში)**.

ჩვენმა ხალხმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აირჩია დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლნი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი და ლავრენტი პავლეს-ძე ბერია **(ტაში)**.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით ყოველი საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრებას ახასიათებს სამეურნეო აღმავლობა და კულტურის ზრდა. ჩვენი პარტიის ამ ზრუნვას ნათლად გვიჩვენებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითიც. ქართველმა ხალხმა, რომელიც იბრძოდა სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესრულებისათვის, სერიოზულ წარმატებებს მიაღწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

საერთო სამრეწველო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შესრულებულია 102,7 პროცენტით. 1945 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქცია 6,4 პროცენტით გაიზარდა. გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული როგორც საკავშირო, ისე საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში.

1946 წელს წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანესი სახეები: ქვანახშირის ამოღება — 30,3 პროცენტით; მარგანეცისა—8,7 პროცენტით; ცემენტის წარმოება — 17 პროცენტით; ელექტროენერგიის წარმოება—11 პროცენტით; დაზგებისა—83,3 პროცენტით და სხვა.

საქართველოს მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის დარგში. 1946 წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურათა თესვის გეგმა. მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა კოლმეურნეობებში 1946 წელს 50.000 ტონაზე მეტით გადააჭარბა 1945 წლის საერთო მოსავალს. გადაჭარბებით არის შესრულებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ცენტრალიზებულ დამზადებათა გეგმები. 1946 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა მარცვლეული და პარკოსანი კულტურების 41,6 პროცენტით მეტი პროდუქტები, ვიდრე 1945 წელს, მზესუმზირა—29,7 პროცენტით მეტი, შაქრის ჭარხალი—27,1 პროცენტით, ყურძენი — 3,2 პროცენტით, აბრეშუმის პარკი—12 პროცენტით, ჩაის ფოთოლი—45.3 პროცენტით, ციტრუსოვანი ნაყოფი—91,6 პროცენტით მეტი. კაპიტალურ დაბანდებათა წლიური გეგმა რესპუბლიკაში საერთოდ შესრულებულია 89,2 პროცენტით. ამასთან გეგმის შესრულება რესპუბლიკური დაქვემდებარების ობიექტების მიხედვით შეადგენს 97,5 პროცენტს. გადაჭარბებით არის შესრულებული ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის, ქვანახშირის ახალი შახტების მშენებლობის, ხრამისა და სოხუმის ჰიდროსადგურების აგების კაპიტალდაბანდებათა გეგმები, ხოლო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობამ 24 პროცენტით მეტი სახსრები აითვისა, ვიდრე 1945 წელს.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების კეთილმოწყობის სამუშაოთა გეგმები შესრულებულია 108 პროცენტით. მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს 1946 წელს ამიერკავკასიის რკინიგზაზე დატვირთვის, აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის გეგმის შესრულების მხრივ. საშუალო სადღეღამისო დატვირთა 1945 წელთან შედარებით გადიდებულია 12,7 პროცენტით, მგზავრთა გადაყვანა 15,6 პროცენტით. საცალო საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 112,3 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა — 114,5 პროცენტით, აქედან სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში—132,5 პროცენტით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემოსავალი 1946 წელს შეადგენს 1.741 მილიონ მანეთს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.709 მილიონი მანეთისა, ანუ შესრულებულია 32 მილი-

ონი მანეთის გადამეტებით, ხოლო 1945 წელს შესრულებულ თანხასთან შედარებით—39 მილიონი მანეთის გადამეტებით.

ბრუნვის გადასახადი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს, შემოვიდა 3.669.560 ათასი მანეთის ოდენობით ანუ წინა წლის შემოსავალზე 738 მილიონი მანეთით მეტი. 1945 წელთან შედარებით ბრუნვის გადასახადის შემოსავლის მნიშვნელოვანი გადამეტება აიხსნება სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების პროდუქციის გამოშვების გადიდებით. საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების ანარიცხები 1946 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 146 მილიონი მანეთის ოდენობით. ფაქტიურად შემოვიდა 171 მილიონი მანეთი—16,7 პროცენტით მეტი.

საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების საწარმოო გეგმების წარმატებით, მთლიანად და გადამეტებით შესრულებამ გამოიწვია მრეწველობის საგეგმოვნო, საკვები, მსუბუქი და სხვა დარგების დაგროვების გეგმათა გადაჭარბებით შესრულება. დაგროვების გეგმის შესრულებას ხელი შეუწყო აგრეთვე დანაკარგის შემცირებამ და საქართველოს სსრ საწარმოთა უმრავლესობის მიერ მატერიალური და ფულადი სახსრების მომჭირნეობით ხარჯვამ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო სესხი საქართველოს სს რესპუბლიკაში 1946 წელს წარმატებით გავრცელდა. ხელმოწერის საერთო თანხა შეადგენს 542.216 ათას მანეთს, ანუ გასავრცელებლად დასახული თანხის 105,7 პროცენტს.

ყოველივე ამის შედეგად საქართველოს სსრ 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებულია გასავალზე შემოსავლის 62,7 მილიონი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სს რესპუბლიკის 1946 წლის ბიუჯეტით გასავალი შეადგენს 1.672 მილიონ მანეთს ანუ დამტკიცებული ფანხის 97,8 პროცენტს.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 1946 წელს დაიხარჯა 1.172 მილიონი მანეთი ანუ ბიუჯეტის მთელი ხარჯების 68 პროცენტი. მათ შორის სახალხო განათლებაზე 760 მილიონი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზკულტურაზე — 300 მილიონ მანეთამდე, სოციალურ უზრუნველყოფაზე —105 მილიონი მანეთი. გარდა ამისა, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს მიეცათ 66 მილიონ მანეთზე მეტი სახელმწიფო დახმარება.

სამეურნეო საქმიანობის დამაკმაყოფილებელ მაჩვენებელთა მიუხედავად, ჩვენს მუშაობას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი აქვს.

ყველა საწარმოს როდი შეუსრულებია 1946 წლის საწარმოო გეგმები. ზოგიერთი მათგანი არარენტაბელურია, ვერ ასრულებს პროდუქციის ასორტიმენტისა და თვითღირებულების შემცირების გეგმას, უყაირათობას იჩენს, ზედმეტად ხარჯავს ნედლეულს, მასალას, სათბობს, ელექტროენერგიას და სხვა.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი, მივაღწიოთ იმას, რომ ყველა საწარმო და მრეწველობის დარგი, ახალმშენებლობა, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სახელმწიფო გეგმას ყველა მაჩვენებლის მიხედვით, ყოველ კვარტალში, ყოველ თვეში მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს.

წელს დიდი სამუშაო აქვთ შესასრულებელი საქართველოს მშრომელებს. უნდა უზრუნველვყოთ სამრეწველო წარმოების ზრდა შარშანდელთან შედარებით 23 პროცენტით, განსაკუთრებით დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული საკავშირო ობიექტების მიხედვით. ქვანახშირის ამოღება დიდდება 54 პროცენტით, მარგანეცისა—12,5 პროცენტით, ცემენტის წარმოება—33.5 პროცენტით. უნდა ამუშავდეს ხრამისა და სოხუმის ჰიდროსადგურთა პირველი რიგის აგრეგატები და გაჩაღდეს მუშაობა დანარჩენ აგრეგატთა დასადგმელად იმ ვარაუდით, რომ 1948 წელს ეს სადგურები მთლიანად ამუშავდეს.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კაპიტალური მშენებლობის მოცულობა გასულ წელთან შედარებით ერთიორად დიდდება. ჩვენ, მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროსთან ერთად, უფრო სერიოზული დახმარება უნდა გავუწიოთ მშენებლობას, რათა დავიცვათ მეტალურგიული ქარხნის ცალკეული ობიექტების ამუშავების ის ვადები, რომლებიც მთავრობამ დააწესა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის გეგმის წარმატებით შესრულება და მუშაობის 1947 წლის ტემპი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ამა წლის დამლევს ჩვენ გამოვუშვებთ საქართველოს საავტომობილო ქარხნის პირველ ავტომანქანებს.

წელს ამუშავდება სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს პლასტმასების ქარხანა. უახლოეს ხანში დაიწყება გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობა.

ახალი სტალინური ხუთწლედის განხორციელება დიდძალ სამენ მასალას მოითხოვს. საქართველოს სამენი მასალის მრეწველობის საწარმოებმა 1946 წელს შეასრულეს წარმოების გეგმა. წელს ტარდება ღონისძიებანი არსებულ საწარმოთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს საწარმოები ვერ უზრუნველჰყოფენ რესპუბლიკის გაზრდილ მოთხოვნილებას სამენი მასალის მხრივ. რესპუბლიკაში სამშენებლო სამუშაოთა გეგმის შესასრულებლად საჭიროა აგებულ იქნას ორი აგურ-კრამიტის ქარხანა, რომლებიც წელიწადში დაამზადებენ 28 მილიონ ცალ აგურსა და 2 მილიონ ცალ კრამიტს, და ერთი მძლავრი ცემენტის ქარხანა. ამ ქარხნების მოწყობილობა უკვე ჩამოტანილია საქართველოში, მაგრამ ამ ობიექტების მშენებლობისათვის გათვალისწინებული სახსრები წელს ვერ უზრუნველჰყოფენ მუშაობის გაჩაღებას მათი დროზე ამუშავებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მუშაობას ეწევიან მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად სწორი თესლბრუნვის შემოღებისა და უფრო მოსავლიანი თესლის შერჩევის საფუძველზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ღონისძიებანი მნიშვნელოვნად გაადიდებენ მოსავლიანობას. აღსანიშნავია, რომ შედარებით მცირე მოსავლიანობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს აგროტექნიკური წესების დარღვევა ნიადაგის დამუშავებისას. აქ, ადგილობრივ ცუდ მუშაობასთან დაკავშირებულ მიზეზებს გარდა, უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ტრაქტორების მისაბმელი ინვენტარის, ისე ცოცხალი გამწევი ძალის ინვენტარის უქონლობა. საქართველო უმნიშვნელო რაოდენობით იღებს მისაბმელ მოწყობილობას მტს-თა ტრაქტორებისათვის. არსებული მისაბმელი

ინვენტარი (გუთნები, კულტივატორები, სათესი და მოსავლის ასაღები მანქანები და სხვა) მნიშვნელოვანწილად ამორტიზებულია და საჭირო შედეგს ალარ იძლევა მინდვრის სამუშაოთა შესრულებისას. მდგომარეობა მისაბმელი ინვენტარის მხრივ მეტად სერიოზულია.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ უნდა მიიღოს სასწრაფო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სოფლის მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მისაბმელი მოწყობილობის მხრივ.

საქართველოში ძლიერ ვითარდება თუთისა და ციტრუსების მეურნეობა. ციტრუსოვან ნარგავთა ფართობი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1946 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად, აუვანილ იქნება 29 ათას ჰექტარამდე, ე. ი. ხუთი წლის განმავლობაში 11 ათასი ჰექტარი ახალი ციტრუსოვანთა პლანტაციები გაშენდება.

შარშან ამხანაგმა სტალინმა დიდი დახმარება გაგვიწია ციტრუსოვანთა მეურნეობის განვითარებაში, რამაც ძირფესვიანი გარდატეხა მოახდინა ციტრუსოვან ნარგავთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარების, მოვლის გაუმჯობესების, აზოტოვანი სასუქის მნიშვნელოვანი რაოდენობით შეტანის შედეგად 1946 წელს მოხერხდა ციტრუსოვანთა მოსავლიანობის გადიდება. საქართველომ 578 მილიონი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი მისცა ჩვენს ქვეყანას. ეს ყველაზე დიდი მოსავალი იყო წარსულ წლებთან შედარებით.

ციტრუსოვანი ნარგავების, ხეხილის, ვენახის, ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის შემდგომი გადიდება დიდად არის დამოკიდებული მინერალური სასუქით საქართველოს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების უზრუნველყოფაზე.

მე ვთხოვ საკავშირო მთავრობას დახმარება გაგვიწიოს იმაში, რომ ამა წლის პირველ ნახევარში გამოგვიყონ და მოგვაწოდონ 100 ათას ტონამდე აზოტოვანი, ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქი. ამავე დროს ვთხოვ დაარჩაროს გადაწყვეტა საქართველოში აზოტ-ტუკის ქარხნის მშენებლობის საკითხისა, რომელიც დეპუტატმა ჩარკვიანმა აღძრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, რადგან სხვა რესპუბლიკებიდან ყოველწლიურად სასუქის ასე დიდი რაოდენობით შემოტანა მიზანშეუწონელია სახელმწიფო თვალსაზრისით და დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილი პროექტი 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა სავსებით ასახავს ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის შესაბამისად დასახულია მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტთა ზრდა. საქართველოს სსრ 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ნავარაუდევია 2.154 მილიონი მანეთის ოდენობით, ამასთან ზრდა 1946 წლის ბიუჯეტის შესრულების თანხასთან შედარებით უდრის 28,8 პროცენტს. ბიუჯეტი ითვალისწინებს საშენი მასალების, მსუბუქი, საფეიქრო, საგემოვნო მრეწველობის საწარმოების საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებას.

სოფლის მეურნეობისათვის ასიგნებულმა დიდმა თანხებმა უნდა უზრუნველჰყოს წელს ჩაის პლანტაციების 600 ჰექტარით, ვენახების 1.000 ჰექტა-

რით, ციტრუსოვან ნარგავთა 1.500 ჰექტარით, ტუნგოს პლანტაციების 1.540 ჰექტარით გადიდება.

წელს მნიშვნელოვნად დიდდება ბიუჯეტის ხარჯები, რომლებიც გამოყენებულ იქნება მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები 1.172 მილიონი მანეთიდან დიდდება 1947 წელს 1.500 მილიონ მანეთამდე, ე. ი. 28 პროცენტით.

სახალხო-სამეურნეო გეგმით და 1947 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 121.450 ათასი მანეთის ოდენობით ვერ უზრუნველჰყოფს მრავალ გადაუდებელ სამუშაოთა შესრულებას: აგრეთვე გარდამავალი ობიექტების მშენებლობის მოთავებას. ამიტომ იძულებული ვარ ვთხოვო სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს გაუდიდოს კაპიტალურ დანახარჯთა ასიგნობანი ჩვენს რესპუბლიკას 19,5 მილიონი მანეთით, აქედან 7 მილიონი მანეთი წყალსადენის ქსელის გასაფართოებლად თბილისსა და ქუთაისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კარდიოლოგიის ინსტიტუტის მშენებლობისათვის, რაც ხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად — 3 მილიონი მანეთი, ქალაქების კეთილმოწყობისათვის—5 მილიონი მანეთი, საზღვრისპირა რაიონების ახლადდასახლებულთა კოლმეურნეობებში წყალსადენთა მშენებლობისათვის — 1.500 ათასი მანეთი, მეტეხის აგურის ქარხნის მშენებლობისათვის — 2 მილიონი მანეთი და აჯამეთის ცემენტის ქარხნის მშენებლობისათვის—1 მილიონი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი სავსებით შეესაბამება სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღდგენისა და შემდგომი განვითარების დარგში ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომ ამოცანებს. მე ვუერთდები წინა დეპუტატთა წინადადებებს იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი საბიუჯეტო კომისიის მიერ შეტანილი დამატებებითა და ცვლილებებით.

სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილი საქართველოს მშრომელნი ყველაფერს გააკეთებენ, რათა ვადამდე შეასრულონ ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და ამა წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

სტალინური ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება მოითხოვს დიდ ღონისძიებებს, დაძაბულ მუშაობას და მთელი ჩვენი მატერიალური და სულიერი ძალების მობილიზაციას. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხალხი, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით უზრუნველჰყოფს ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ აღმავლობას **(ხანგრძლივი ტაში)**.

# კ ა ნ ო ნ ი

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების დასკვნათა გამო მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 394.202.438 ათასი მანეთი და სულ გასავლის ნაწილში 374.105.064 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 20.097.374 ათასი მანეთის გადამეტებით და, გარდა ამისა, 1948 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთები 2.463.868 ათასი მანეთის ოდენობით.

2. ამ კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს 1947 წლის საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალი 311.882.879 ათასი მანეთის ოდენობით და გასავალი 291.785.505 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 20.097.374 ათასი მანეთის გადამეტებით.

3. დამტკიცდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემდეგი თანხების რაოდენობით:

| | შემოსავლის ნაწილში (ათას მანეთობით) | გასავლის ნაწილში (ათას მანეთობით) |
|---|---|---|
| რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა | 45.852.887 | 45.852.887 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 35.595.857 | 11.356.681 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 10.257.030 | 34.496.206 |
| უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 14.789.033 | 14.789.033 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 12.053.699 | 5.240.177 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 2.735.334 | 9.548.856 |
| ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 3.392.057 | 3.392.057 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 2.989.213 | 1.282.154 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 402.844 | 2.109.903 |
| უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 3.161.137 | 3.161.137 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 2.749.920 | 1.550.365 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 411.217 | 1.610.772 |
| ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.868.460 | 2.868.460 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 2.424.615 | 1.104.649 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 443.845 | 1.763.811 |
| საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 2.160.095 | 2.160.095 |

| | შემოსავლის ნაწილში (ათას მანეთობით) | გასავლის ნაწილში (ათას მანეთობით) |
|---|---|---|
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 1.903.137 | 927.564 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 256.958 | 1.232.531 |
| აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.761.654 | 1.761.654 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 1.545.966 | 759.394 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 215.688 | 1.002.260 |
| ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.065.914 | 1.065.914 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 915.813 | 554.335 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 150.101 | 511.579 |
| მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 949.836 | 949.836 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 854.043 | 422.372 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 95.793 | 527.464 |
| ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.261.588 | 1.261.588 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 1.071.606 | 691.342 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 189.982 | 570.246 |
| ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 845.310 | 845.310 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 750.957 | 366.964 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 94.353 | 478.346 |
| ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 956.496 | 956.496 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 871.958 | 455.335 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 84.538 | 501.161 |
| სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.051.609 | 1.051.609 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 985.746 | 607.473 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 65.863 | 444.136 |
| თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 813.547 | 813.547 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 735.552 | 427.707 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 77.995 | 385.840 |
| ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 849.619 | 849.619 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 730.085 | 493.765 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 119.534 | 355.854 |
| კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 540.317 | 540.317 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი | 497.402 | 344.912 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 42.915 | 195.405 |
| სულ რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები | 82.319.559 | 82.319.559 |
| აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტები | 66.675.569 | 26.585.189 |
| ადგილობრივი ბიუჯეტები | 15.643.990 | 55.734.370 |

4. დაწესდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების საბიუჯეტო საჭიროების გარდამავალი ნაშთები 1948 წლის 1 იანვრისათვის შემდეგი ოდენობით: რუსეთის სფს რესპუბლიკაში — 1.373.272 ათასი მანეთი, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 442.754 ათასი მანეთი, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 101.502 ათასი მანეთი, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 94.434 ათასი მანეთი, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში—85.884 ათასი მანეთი, საქართველოს სს რესპუბლიკაში — 64.017 ათასი მანეთი, აზერბაიჯანის

სს რესპუბლიკაში — 52.820 ათასი მანეთი, ლიტვის სს რესპუბლიკაში — 31.837 ათასი მანეთი, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში — 28.404 ათასი მანეთი, ლატვიის სს რესპუბლიკაში — 37.750 ათასი მანეთი, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — 25.209 ათასი მანეთი, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — 28.644 ათასი მანეთი, სომხეთის სს რესპუბლიკაში — 31.336 ათასი მანეთი, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 24.367 ათასი მანეთი, ესტონეთის სს რესპუბლიკაში — 25.379 ათასი მანეთი; კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში — 16.209 ათასი მანეთი.

5. დამტკიცდეს ანარიცხები რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ავტონომიური სს რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებში გადასარიცხავად 1947 წელს შემდეგი თანხების ოდენობით:

(ათას მანეთობით)

| | |
|---|---|
| რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა | 24.239.176 |
| უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 6.813.522 |
| ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.707.059 |
| უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.199.555 |
| ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 1.319.966 |
| საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 975.573 |
| აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 786.572 |
| ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 361.478 |
| მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 431.671 |
| ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 380.264 |
| ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 383.993 |
| ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 416.623 |
| სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 378.273 |
| თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 307.845 |
| ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 236.320 |
| კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა | 152.190 |
| ს უ ლ | 40.090.380 |

6. დაწესდეს 1947 წლისათვის ანარიცხები საერთო საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში გადასარიცხავად შემდეგი ოდენობით:

ა) მოსახლეობისაგან საშემოსავლო გადასახადის სახით შემოსული თანხებიდან ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის, სომხეთის სს რესპუბლიკის და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ბიუჯეტებში — 100 პროცენტი და რსფს რესპუბლიკის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, უზბეკეთის სს რესპუბლიკის, ყაზახეთის სს რესპუბლიკის, საქართველოს სს რესპუბლიკის, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის, ლიტვის სს რესპუბლიკის, მოლდავეთის სს რესპუბლიკის, ლატვიის სს რესპუბლიკის, ყირგიზეთის სს რესპუბლიკის, თურქმენეთის სს რესპუბლიკის და ესტონეთის სს რესპუბლიკის ბიუჯეტებში — 50 პროცენტი;

ბ) კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადისა და კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით შემოსული თანხებიდან — რუსეთის სფს რესპუბლიკის ბიუჯეტში — 25 პროცენტი, ხოლო უკრაინის სს რესპუბლიკის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის,

უზბეკეთის სს რესპუბლიკის, ყაზახეთის სს რესპუბლიკის, საქართველოს სს რესპუბლიკის, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის, ლიტვის სს რესპუბლიკის, მოლდავეთის სს რესპუბლიკის, ლატვიის სს რესპუბლიკის, ყირგიზეთის სს რესპუბლიკის, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის, სომხეთის სს რესპუბლიკის, თურქმენეთის სს რესპუბლიკის, ესტონეთის სს რესპუბლიკის და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ბიუჯეტებში—50 პროცენტი.

გ) მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავლიდან — 25 პროცენტი.

დ) მოსახლეობაში გაკრცელებული სახელმწიფო სესხის თანხის — 50 პროცენტი; სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხიდან გადარიცხვა მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტში არ უნდა მოხდეს.

7. დაეკალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბრუნვის გადასახადიდან მოკავშირე რესპუბლიკებისათვის გადასარიცხავი იმ თანხების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ, დაწესოს თვითეული მოკავშირე რესპუბლიკისათვის ამ გადასახადის ანარიცხთა პროცენტები.

8. ჩამოწერილ იქნას გასული წლების საეხელდრო გადასახადის ნარჩენი, რაც ირიცხება 1947 წლის 1 მარტისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1947 წლის 24 თებერვალი.

# საინფორმაციო ცნობა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამ დღეებში მოსკოვში შესდგა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

პლენუმმა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა შემადგენლობაში შეიყვანა ამხანაგი ნ. ა. ვოზნესენსკი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ ქვემოთ იბეჭდება.

# ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ

## ამხ. პ. პ. ანდრეევის მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ამხანაგებო! სანამ სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხებზე გადავიდოდე, მოკლედ უნდა შევჩერდე იმ უდიდეს მუშაობაზე, რომელიც პარტიამ შეასრულა სოფლად მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში.

საკოლმეურნეო წყობილების მტერთა წინააღმდეგ პარტიის გაფართებული ბრძოლის და მათი განადგურების შედეგად და სოფლად შეუპოვარი მუშაობის შედეგად ჩვენი სოფლის მეურნეობა ძირიანად გარდაიქმნა — ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული წვრილი გლეხური მეურნეობიდან იგი გადაიქცა მოწინავე, მექანიზებულ და უაღრესად მსხვილ მეურნეობად.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ და სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ბაზის შექმნამ შესაძლებლობა მოგვცა გადაგვეჭრა ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიცაა მარცვლეულის პრობლემა. მარცვლეულის საერთო წარმოება 1940 წელს შეადგენდა 7,2 მილიარდ ფუთს, მარცვლეულის სასაქონლო გამოსავალმა 1913 წლის დონეს თითქმის ერთიორად გადააჭარბა. გადაჭრილ იქნა მრეწველობის მსუბუქი დარგებისათვის საკუთარი ნედლეულის ბაზის შექმნის საკითხები. მაგალითად, ბამბის წარმოება, 1913 წელთან შედარებით, გადიდდა 3,5-ჯერ, სელის ბოჭკოსი — თითქმის ერთიორად, წმინდა და ნახევარდუნში მატყლის წარმოება 3-ჯერ და მეტად, მზესუმზირასი — 4,5-ჯერ, შაქრის ჭარხლისა — თითქმის ერთიორად; ამავე დროს წარმოებდა მეცხოველეობის მნიშვნელოვანი აღმავლობა და მისი პროდუქტიულობის გადიდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

რაოდენობრივ ცვლილებასთან ერთად სოფლის მეურნეობის დარგებში სწარმოებდა დიდი ხარისხობრივი ცვლილებაც. მარცვლეულის წარმოებაში გადიდდა ხორბლის წილი; მარცვლეულთა ხარისხიანმა ნათესებმა მთელი ნათესის ოთხ მეხუთედზე მეტი შეადგინა; მეცხოველეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯიშიანი პირუტყვის წილი; შეიქმნა სოფლის მეურნეობის ახალი დარგები, მათ შორის ჩაი, ციტრუსები, კაუჩუკოვანები.

ეს, რა თქმა უნდა, არ იყო სოფლის მეურნეობის უბრალო აღმავლობა. ეს იყო სოფლად ახალი სოციალისტური საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება, ვინაიდან სოფლის მეურნეობის აღმავლობა ხდებოდა საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის ბაზაზე. ეს თუნდაც იქიდან სჩანს, რომ ომისწინა 5 წლის განმავლობაში კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი გადიდდა 13 მილიონი ჰექტარით, პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში გაიზარდა 39 მილიონი სულით. კოლმეურნეობათა ძირითადი ფონდები გადიდდა თრნახევარჯერ, ფულადი შემოსავალი კოლმეურნეობებში 10 მილიარდი მანეთიდან გაიზარდა 21 მილიარდ მანეთამდე.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ უზრუნველჰყო აგრეთვე ძირითადი ცვლილება კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობაში. შრომადღეზე ფულად და ნატურით მარტო მარცვლეულის გაცემა, სხვა პროდუქტები რომ არ ჩავთვალოთ, ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე 1936 წლიდან ერთნახევარჯერ გადიდდა.

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში ძირითადად დამთავრდა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. 1940 წელს ჩვენს სოფლის მეურნეობას ჰქონდა 530 ათასი ტრაქტორი, 182 ათასი კომბაინი და 228 ათასი სატვირთო ავტომანქანა. კოლმეურნეობებში მთელი ხანთავის სამი მეოთხედი და ნათესის ნახევარზე მეტი 1940 წელს შესრულებული იყო ტრაქტორებით, მარცვლეულთა ფართობის ნახევარზე მოსავალი აღებულ იქნა კომბაინებით, ხოლო მარცვლეულის რაიონებში ეს წილი კიდევ უფრო მეტი იყო. ჩვენი სოფლის მეურნეობა ნამდვილად გახდა უაღრესად მექანიზებული, იმიტომ, რომ ამერიკასაც კი ტრაქტორით ხანთავი მხოლოდ ნახევარი და ტრაქტორით ნათესი ერთი მესამედი ჰქონდა, ევროპის ქვეყნებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, რომლებიც ამ მხრივ ძალიან ჩამორჩნენ.

სოფლის მეურნეობაში გადაჭრილ იქნა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალი კადრების შექმნა. შეიქმნა ადამიანთა ახალი ფენა სოფლისათვის— ესენი არიან არა მარტო ტრაქტორისტები, კომბაინერები, არამედ ესენი არიან ახალი ადამიანები კოლმეურნეობებში — მოწინავე ადამიანები, რომელთაც წინ მიჰყავთ სოფლის მეურნეობა, რომლებზეც პარტიასა და სახელმწიფოს უკვე მტკიცედ შეეძლოთ დაყრდნობა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ამხანაგებო! შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა საკმაოდ მომზადებული იყო, რათა გაეკეთებინა ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნახტომი წინ, და იგი სრულიად უეჭველია უკვე შორს იქნებოდა წინ წასული, ჩვენთვის თავსმოხვეულ ომს რომ ხელი არ შეეშალა.

რა თქმა უნდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ძალა მოიკრიბეს ომის წინა პერიოდში. მათ წარმატებით გაართვეს თავი თავიანთ ამოცანებს ომის დროსაც.

ამხანაგი სტალინი ამის შესახებ ჯერ კიდევ 1943 წელს ამბობდა: „...ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ისე აძარაგებდნენ სურსათით არმიასა და ჩვენს ქვეყანას, რომ ამ საქმეში სერიოზული შეფერხებები არ ყოფილა. რასაკვირველია, საკოლმეურნეო წყობილება რომ არა ყოფილიყო, კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა თავდადებული შრომა რომ არა ყოფილიყო, ჩვენ ამ უძნელეს ამოცანას ვერ გადავწყვეტდით. თუ ომის მესამე

წელს ჩვენი არმია სურსათის ნაკლებობას არ განიცდის. თუ მოსახლეობა მარაგდება სურსათით, ხოლო მრეწველობა — ნედლეულით, ამაში თავი იჩინა საკოლმეურნეო წყობილების ძალამ და სიცოცხლისუნარიანობამ, **კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმმა**".

ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი სიძნელენი წამოიჭრნენ სოფლის მეურნეობის წინაშე ომის დროს, მაგრამ, მიუხედავად ყველა ამ სიძნელისა, ჩვენმა კოლმეურნეობებმა ღირსეულად გაართვეს თავი თავიანთ ამოცანებს და ომის შემდეგ მორალურად და პოლიტიკურად კიდევ უფრო განმტკიცებული გამოვიდნენ. საკოლმეურნეო წყობილების ძალა უძლეველი აღმოჩნდა.

საკოლმეურნეო წყობილების მტერთა იმედი, რომ ომის დროს ჩვენი კოლმეურნეობები დაიშლებოდნენ, მთლიანად გაჭარწყლდა. მიუხედავად იმისა, რომ ოკუპანტები ყოველნაირად ცდილობდნენ აღეგვათ პირისაგან მიწისა ყველაფერი, რაც კი კოლმეურნეობებს მოაგონებდათ, როგორც კი ჩვენი არმია ოკუპირებულ ტერიტორიებს გაათავისუფლებდა. კოლმეურნეობები კვლავ დაუყოვნებლივ ღორძინდებოდნენ, ხოლო მათი მეურნეობა აღსდგებოდა. და უფრო მეტიც, კოლმეურნეობანი ოკუპაციის ზონაშიც კი არსებობდნენ და პარტიზანულ რაზმებს ჰქმნიდნენ მტერთან საბრძოლველად.

მაგრამ ომს არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა სოფლის მეურნეობაზე და სერიოზული შედეგები არ გამოეწვია მის მდგომარეობაში. შემცირდა ნათესი ფართობები, იკლო ნათესთა მოსავლიანობამ, შემცირდა პირუტყვის სულადობა და მისი პროდუქტიულობა. რამდენადმე შესუსტდნენ კადრები, ნაკლები ხალხი დარჩა კოლმეურნეობებში, ნაკლები ტექნიკა — მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სოფლის მეურნეობამ ყოფილი ოკუპირებული ტერიტორიის ზონაში დიდი ნგრევა განიცადა. ამიტომ ახლა, მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის საკითხები წამოიჭრნენ, როგორც პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

როგორ მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის აღდგენა ომისშემდგომ პერიოდში?

განთავისუფლებული რაიონების სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში მთავრობამ თავიდანვე მიიღო სერიოზული ღონისძიებანი მათთვის დახმარების გასაწევად. ამ რაიონებში შეტანილ იქნა ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მნიშვნელოვანი რაოდენობა როგორც ახლების, ისე სხვა რაიონებიდან გადმოტანის ხარჯზე. კოლმეურნეობებს დახმარება გაეწიათ ცხენებით და პროდუქტიული პირუტყვით. სახელმწიფო დახმარება თესლეულთა და ფურაჟით. ყველა ამ ღონისძიებათა შედეგად განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებმა და გლეხურმა მეურნეობებმა უკვე აღადგინეს ომამდელი ნათესი ფართობების სამ მეოთხედამდე, ხოლო პირუტყვის სულადობა უკვე აღდგენილია ნახევრად ომამდელთან შედარებით.

მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ღონისძიებანი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მათი სამარაგო ნაწილების, მინერალური სასუქების წარმოების აღსადგენად.

ამ ხნის განმავლობაში მიღებულ იქნა მთელი რიგი გადაუდებელი ღონისძიებანი სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის მარცვლეულის ჯიშიანი ნათესების აღსადგენად. ჩატარებულ იქნა სერიოზული მუშაობა კოლმეურნეობებში თესლბრუნვების აღსადგენად და ახალ თესლბრუნვათა შემოსაღებად. ღონისძიებანი შაქრის ჭარხლის თესვის, მესელეობის აღსადგენად. ზეთოვანი კულტურების ნათესთა გასაფართოებლად და მებამბეობის აღმავლობისათვის.

უნდა ითქვას, რომ 1946 წლის გვალვამ, რასაკვირველია, ძლიერ შეგვიშალა ხელი სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობაში ნაჩვენებია გვალვის ოდენობა. საიდანაც ჩანს, რომ გვალვა მეტად სერიოზული იყო, და შეიძლება სრულიად გაუზვიადებლად ითქვას: საკოლმეურნეო წყობილება და საბჭოთა ხელისუფლება რომ არ გვქონოდა,

ასეთი გვალვა ძლიერი შიმშილობის მომასწავებელი იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენში კი ეს არ მომხდარა. როგორც კი ცხადი გახდა, რომ ვორონეჟის, კურსკის, ორიოლის, ტამბოვის ოლქებს, უკრაინის ოლქების ნაწილს, მოლდავეთს და სხვებს გვალვა ეწია, ამხანაგმა სტალინმა გადაჭრით დასვა საკითხი კოლმეურნეობებისა და გლეხური მეურნეობებისათვის რეზერვიდან სურსათითა და ფურაჟით დახმარების, ტრაქტორებითა და ყოველივე იმით, რაც საჭიროა, დახმარების შესახებ, რათა თავიდან აგვეცილებინა გვალვის შედეგები, რაც კიდეც გაკეთდა.

ახლა ნება მიბოძეთ გადავიდე იმ ამოცანებზე, რომლებიც დასმულია დადგენილების პროექტში.

## I

## მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების წარმოების აღმავლობის ამოცანები

**მარცვლეულის დარგში.** ცნობილია, რომ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულის პრობლემას მთელი ჩვენი მეურნეობისათვის. ამიტომ მარცვლეულის წარმოების აღმავლობა ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში.

ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად დასახულია ამოცანა 1950 წელს მივაღწიოთ მარცვლეულის საერთო მოსავლის მიღებას 127 მილიონი ტონის რაოდენობით, 1945 წელთან შედარებით ნათესი ფართობი გავადიდოთ 20,6 მილიონი ჰექტარით და მნიშვნელოვნად გავზარდოთ მოსავლიანობა. მიმდინარე წელს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების ზრდა გათვალისწინებულია 6,3 მილიონი ჰექტარით.

ყველა ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ დიდი მუშაობა უნდა გასწიონ მარცვლეულის წარმოების უსწრაფესად გადიდებისათვის. ეს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს უკლებლივ ყველა რაიონისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს ყველაზე უფრო ძვირფასი სასურსათო კულტურის — ხორბლის: სამხრეთის რაიონებში **საშემოდგომო ხორბლის** და ციმბირისა და ვოლგისპირეთის რაიონებში **საგაზაფხულო ხორბლის** წარმოების აღმავლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ **საგაზაფხულო ხორბლის** ნათესი ფართობები განსაკუთრებით შემცირდა მისი ძირითადი წარმოების ისეთ რაიონებში, როგორიცაა სარატოვის, ომსკის, კურგანის, ნოვოსიბირსკის ოლქები, თათრეთის ასს რესპუბლიკა.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს რომ შეუწყნარებელია საგაზაფხულო ხორბლის განდევნა, უმთავრესად ჭერის მიერ, უკრაინაში. საქმე ისაა, რომ ჭერის ნათესებმა უკრაინაში 1946 წელს უკვე გადააჭარბეს ომამდელ დონეს. ხოლო საგაზაფხულო ხორბლის ნათესები მნიშვნელოვნად ნაკლები იყო. ეს, რა თქმა უნდა, არასწორია, რომ უკრაინის კარგ შავმიწიან ნიადაგში ითესება არა ხორბალი, არამედ ნაკლებ ძვირფასი კულტურა — ჭერი. ამიტომ უკვე საჭიროა, მიმდინარე წლიდანვე დაწყებული, გადიდდეს საგაზაფხულო ხორბლის ნათესები უკრაინაში.

ციმბირის ოლქების, ვოლგისპირეთის, უკრაინის, ჩრდილოეთ კავკასიის და სხვა ოლქების მუშაკებისაგან მოვითხოვთ არა მარტო აღადგინონ, არამედ კიდეც გადააჭარბონ ხორბლის წარმოების წინანდელ დონეს.

პროექტით დასახულია მარცვლეულ-პარკოსანი და **საბურღულე კულტურების** საერთო მოსავლის საგრძნობი გადიდება, რომლებსაც დიდი სასურსათო მნიშვნელობა აქვთ მოსახლეობისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება **უგრეხელის** დარგში კურსკის, ორიოლის, ბრიანსკის, ტულის ოლქებსა და თათ-

რეთს, რომლებიც დიდ როლს ასრულებდნენ უგრეხელის წარმოებაში და ძლიერ შეამცირეს მისი ნათესები.

რაც შეეხება **ფეტვს**, უნდა ითქვას, რომ ადგილებზე არასწორ მიდგომას იჩენენ ამ კულტურისადმი, როგორც რომელიღაც სადაზღვევო კულტურისადმი, სხვა კულტურების ნათესთა ნაკლებობის შესავსებად. ამიტომ ფეტვს ხშირად სთესენ უკვე მაშინ, როდესაც ვადა გავიდა, და ამასთან ცუდ მიწებში, რის შედეგადაც ძალიან მცირე მოსავალს იღებენ. ეს კულტურა კი ძლიერ საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი შეიძლება უხვმოსავლიანიც იყოს და იმავე დროს გვალვის გამძლეც. მაგალითად, 1940 წელს 500.000 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე აღებულ იქნა 15 ცენტნერი, ხოლო 200.000 ჰექტარზე — 20 ცენტნერი.

არ შეიძლება არ ითქვას კიდევ ერთ მნიშვნელოვან მარცვლეულ კულტურაზე — **სიმინდზე**, განსაკუთრებით სამხრეთი რაიონებისათვის. უნდა ვთქვა, რომ ამ კულტურის ენთუზიასტია ამხ. ხრუშჩოვი, და იგი მართალია. საქმე ის არის, რომ სიმინდს, სასურსათო მნიშვნელობის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის აღმავლობისათვის. ეს კულტურა უხვმოსავლიანია, გვალვის გამძლეა, ხოლო ჰიბრიდული თესლით სიმინდის თესვის გამოყენებისას შეიძლება მივაღწიოთ მის მნიშვნელოვან მოსავალს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მის გავრცელებაში კონსერვატიზმის ბევრი ელემენტია სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში. ფიქრობენ, რომ ეს კულტურა პირწმინდად სამხრეთული კულტურაა, მაშინ როცა გამოცდილებით დამტკიცდა, იგი შეიძლება გადმოწეულ იქნას გაცილებით უფრო ჩრდილოეთით — ვოლგისპირეთში, ცენტრალური შავმიწიანი ზოლის ოლქებში და სამხრეთ ციმბირის ველებშიც კი. საცდელი სადგურები, როგორც კუიბიშევის ოლქის ბეზენჩუკის, სტალინგრადის ოლქის კამიშის სადგურები, რომლებიც ამ საქმეზე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობენ, სიმინდის კარგ მოსავალს იღებენ უფრო ჩრდილოეთ ზონებში. უნდა მოვთხოვოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს, რომ ისინი სერიოზულად შეუდგნენ სიმინდის ნათესების გაფართოებას და მისი მოსავლიანობის გადიდებას. აგრეთვე სიმინდის ჰიბრიდული თესლის სწრაფად გამრავლებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული ტექნიკური კულტურების დარგში.

**ბამბის დარგში.** დასახულია ამოცანა 1950 წელს მივაღწიოთ ნედლი ბამბის საერთო მოსავლის მიღებას 3,1 მილიონი ტონის რაოდენობით, ხოლო სარწყავი ბამბის ომამდელ საერთო მოსავალს უკვე 1948 წელს გადავაჭარბოთ. მიმდინარე წლისათვის ბამბის ნათესი ფართობის გადიდების გეგმა დამტკიცებულია 166.000 ჰექტარის რაოდენობით და გათვალისწინებულია მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება.

გასულ წელს, მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა და რესპუბლიკებში ჩატარებული დიდი მუშაობის მეოხებით, სერიოზული შედეგებია მიღწეული მებამბეობის აღდგენაში. მთლიანად შესრულებულია თესვისა და მოსავლიანობის გეგმები. გადაჭარბებით შესრულებულია ბამბის დამზადების გეგმა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ დასაწყისია. ბამბა ძალიან ბევრი გვესაჭიროება. ბამბის მთესველმა რესპუბლიკებმა და პირველ რიგში უზბეკეთმა, რომელსაც მებამბეობაში დიდი ხვედრითი წონა აქვს, დიდი მუშაობა უნდა გასწიონ წლიური და ხუთწლიანი გეგმებით დასახული ამოცანების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

უნდა ითქვას, რომ მებამბეობის შემდგომი აღმავლობა პირდაპირ დამოკიდებულია მისი ნათესების დამუშავების მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე. სარწყავი მიწების სწორ გამოყენებასა და შემდგომ გაფართოებაზე. ორწლის ნათესების მნიშვნელოვან გადიდებაზე.

სჩანს, რომ იქ, სადაც ამ საქმეს სათანადო ყურადღებას აქცევენ, გასულ წელს უხვი მოსავალი მიიღეს. აი, მაგალითად, უზბეკეთში ჰექტარზე საშუალოდ 13,7 ცენტნერი ბამბის მიღებისას ანდიჟანის ოლქმა ჰექტარზე მიიღო 18 ცენტნერი, სურხან-დარიის ოლქმა — 19 ცენტნერი, ტაშკენტის ოლქის იანგიიულის რაიონმა — 24,6 ცენტნერი. ამავე დროს უზბეკეთში აღმოჩნდა ისეთი ოლქები და რაიონები, რომლებმაც ცუდი მუშაობის შედეგად ძალიან მცირე მოსავალი მოგვცეს. ასეთ ოლქებს უნდა მიეკუთვნოს ხორეზმის ოლქი, რომელმაც ჰექტარზე მხოლოდ 9 ცენტნერი აიღო.

მე მაგალითები მომყავს უზბეკეთიდან, მაგრამ ასეთივე მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ სხვა ბამბისმთესველი რესპუბლიკებიდანაც.

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით უზბეკეთში, შესრულებულია დიდი მუშაობა ირიგაციის, წყლის რესურსების გადიდების დარგში და მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ წყლის გამოყენების, სარწყავი სისტემების მდგომარეობის საქმე კარგადაა, განსაკუთრებით სარწყავი მიწების გამოყენების საქმე.

ცნობები იმას მოწმობენ, რომ უზბეკეთში სარწყავი მიწების მნიშვნელოვანი ფართობები უკანასკნელ წლებში მორწყვის არასწორი გამოყენების, არხების არა თავის დროზე გაწმენდის შედეგად მიტოვებული და ღანაგვიანებული აღმოჩნდა. მარტო 1945 წელს სარწყავი ფართობები უზბეკეთში 100.000 ჰექტარით შემცირდა, 1946 წელს გრძელდებოდა სარწყავი ფართობების შემცირება.

წყლის არასწორი გამოყენებისა და სარწყავი მიწების უყურადღებოდ მიტოვების ასეთი ფაქტები არის ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთისა და სხვა რესპუბლიკებში.

მებამბეობის განვითარებისათვის სერიოზულ საკითხს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, მინერალური სასუქები. ყველა ამხანაგი ადგილებიდან მოითხოვს — მოგვცეთ სასუქებიო. ქიმიურმა მრეწველობამ მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოს მათი წარმოება. უნდა დაჩქარდეს სიმძლავრეთა აძუშავება ყარატაუს ფოსფორიტების მოსაპოვებლად, რომლებიც მებამბეობის რაიონებს ახლო მდებარეობენ, და დაჩქარდეს ასაგებად დასახული 4 სუპერფოსფატის ქარხნის მშენებლობა შუა აზიასა და ყაზახეთში.

მაგრამ არის სხვა მნიშვნელოვანი წყაროები ბამბისათვის სასუქების გასადიდებლად — ეს არის იონჯის ნათესების გაფართოება, რომელიც ბევრ აზოტს იძლევა. უნდა ითქვას, რომ იონჯის ნათესები ბამბისმთესველ ყველა რესპუბლიკაში ძლიერ შემცირდა. მაგალითად, უზბეკეთში 1946 წელს იონჯის სათიბი ფართობი 1940 წელთან შედარებით, 40 პროცენტით შემცირდა.

საჭიროა სერიოზულად ვიმუშაოთ იონჯის ნათესების გასაფართოებლად. ეს მტკიცე საფუძველს შეუქმნის ბამბის მოსაელიანობას და იმავე დროს მეცხოველეობის განვითარებას.

**შაქრის ჭარხლის დარგში.** უნდა ითქვას, რომ შაქრის ჭარხლის წარმოება ომის პერიოდში მნიშვნელოვნად დაეცა ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის შემცირებასთან დაკავშირებით. 1946 წელს შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობი, 1945 წელთან შედარებით, 100.000 ჰექტარით გადიდდა. მაგრამ, ჭარხლის მთესველ რაიონებში გვალვასთან დაკავშირებით, ჩვენ ვერ მოვახერხეთ შაქრის ჭარხლის საერთო მოსავლის გადიდება.

ისმება ამოცანა — 1950 წელს შაქრის ჭარხლის საერთო მოსავალი მივიღოთ 26 მილიონი ტონის რაოდენობით და მოსავლიანობა. 1945 წელთან შედარებით, გავადიდოთ თითქმის ერთიორად. ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრად გადავაჭარბოთ საერთო მოსავლის ომამდელ დონეს და 3-ჯერ — 1945 წლის დონეს. მიმდინარე წელს შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობი უნდა გადიდდეს 120.000 ჰექტარით და ამასთან მნიშვნელოვნად გაიზარდოს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა.

ამ ამოცანის გადაჭრა უმთავრესად მოდის მაქრის ჭარხლის მთესველ ძირითად რაიონებზე — უკრაინასა, ვორონეჟსა, კურსკსა და კრასნოდარზე.

ძირითადი, რამაც უნდა უზრუნველჰყოს მაქრის ჭარხლის მოსავლიანობის აღმავლობა, სასუქების შეტანის გადიდების გარდა, არის მისი ძოვლის გაუმჯობესება და ღრმა მზრალად ხვნა.

მშვიდობიანი მშენებლობის წლებში მეჭარხლეთა შორის კოლმეურნეობებში გაჩაღებული იყო ფართო მოძრაობა მაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მისაღებად. ამან მეტად სერიოზული დახმარება გაუწია ჭარხლის თესვის აღმავლობას. ჭარხლის მთესველი რაიონების წინაშე უნდა დაისვას ამოცანა — განაახლონ ეს მეტად მნიშვნელოვანი მოძრაობა მეჭარხლე კოლმეურნეთა შორის.

**სელის დარგში.** საბოჭკოე სელის საქმე ისეა, რომ მისი ნათესი ფართობები ომამდელი დონის ნახევარსაც ვერ აღწევენ. ამ კულტურის მხრივ განსაკუთრებული სიძნელეები არსებობდა ომის პერიოდში, რამდენადაც მესელეობის ძირითადი რაიონების ნაწილმა okkupacia განიცადა. ამ რაიონებში მოხდა სელის ნათესთა მნიშვნელოვანი შემცირება, თესლის დაკარგვა, ნასამყურალების, როგორც სელის საუკეთესო წინამორბედების, შემცირება, ძლიერ შემცირდა სელის დარგში სამუშაოთა მექანიზაცია.

მაგრამ, მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ზოგიერთი ოლქი, მაგალითად, კალინინის ოლქი წარმატებით მუშაობს სელის წარმოების აღდგენაზე. ამ მხრივ სერიოზულად ჩამორჩებიან ბელორუსია, სმოლენსკისა და კიროვის ოლქები.

სელის დარგში დასახულია ამოცანა — 1950 წელს საერთო მოსავალი მიღებულ იქნას 800 ათასი ტონის რაოდენობით და გადიდდეს სელის საშუალო ნომერი, ე. ი. გაუმჯობესდეს ბოჭკოს ხარისხი, ხოლო მიმდინარე წელს სელის ნათესი ფართობი 366.000 ჰექტარით უნდა გადიდდეს.

სელის მთესველი ძირითადი რაიონებისაგან — ბელორუსიის სსრ, სმოლენსკის, კოსტრომის, იაროსლავლის, კალინინის, კიროვისა და სხვა ოლქებისაგან მოვითხოვთ ენერგიულ მუშაობას სელის აღდგენისა და შემდგომი აღმავლობისათვის, მისი მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ნასამყურალების აღდგენისათვის.

სერიოზულ ნაკლად უნდა იქნას აღიარებული სელის მოსავლის დიდი დანაკარგები იმის გამო, რომ დიდი დაგვიანებით სწარმოებს მისი დაფუნა, დალბობა და საფენებიდან აღება, რის შედეგადაც სელის ნაწილი თოვლქვეშ რჩება. ამ ნაკლოვანებათა გამო დამზადების დროს სელი დიდი რაოდენობით გვაკლდება. მაგალითად, ივანოვოს ოლქის კოლმეურნეობებში 1945 წელს სელის 31.000 ჰექტარი საერთო ნათესიდან შემოდგომაზე დაფენილი იყო მხოლოდ 18.000 ჰექტარი, საფენებიდან აღებული იყო 16.000 ჰექტარი, ხოლო 2.0 ათასი ჰექტარი თოვლქვეშ დარჩა. სელის საერთო-მოსავალმა ამ ოლქში 1945 წელს შეადგინა 8.000 ტონა, ხოლო დამზადებულია მარტო 4.8 ათასი ტონა, ანუ 59 პროცენტი. საკითხავია, სად დაიკარგა სელი? სთესეს, სთესეს, ხოლო ნახევარი სელი აღარ აღმოჩნდა. ასეთ ნაკლოვანებებს გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. საქმე არ შეიძლება გაიზომოს მხოლოდ იმით, თუ რამდენია სელი დათესილი. საჭიროა კარგად ავიღოთ იგი, დავამუშაოთ და შეეასრულოთ დამზადების გეგმა.

დადგენილების პროექტში არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული სხვა მარცვლეული და ტექნიკური კულტურების — **ზეთოვანების, კანაფის, თამბაქოს, სოიის, ციტრუსების, ჩაისა და მეხილეობის** დარგებშიც. გარდა ამისა, 1945-1946 წლებში მთავრობის მიერ მიღებულია მთელი რიგი სპეციალური დადგენილებანი აღნიშნული კულტურების დარგში.

მე მინდა კიდევ შევჩერდე მხოლოდ **კარტოფილის** საკითხზე. როგორც ცნობილია, სასურსათო ბალანსში კარტოფილს მეორე ადგილი უკავია მარცვლეულის შემდეგ. აქედან სჩანს ამ კულტურის

მნიშვნელობა. კარტოფილის ნათესები მთლიანად ჩვენში, ომამდელ დონესთან შედარებით, თითქმის არ შემცირებულა, ხოლო 20-მდე ოლქმა, მათ შორის სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, მოსკოვის, გორკისა და სხვ. ოლქებმა კარტოფილის წარმოების დარგში კიდეც გადააჭარბეს ომამდელ დონეს, თუმცა არის ზოგიერთი ოლქი, მათ შორის რიაზანის, სარატოვის, ტამბოვისა და სხვა ოლქები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეამცირეს კარტოფილის ნათესები. მაგრამ, მიუხედავად კარტოფილის ნათესი ფართობების შედარებით კარგი მდგომარეობისა, ამ კულტურას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

ჯერ-ერთი, უნდა გადიდდეს კარტოფილის მოსავლიანობა. ეს მოსავლიანობა ჩვენში ჯერ კიდევ დაბალია და ომამდელ დონესაც კი ვერ აღწევს. მეორე, კარტოფილი, სურსათად მისი გამოყენების გარდა, ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული პირუტყვის საკვებად, განსაკუთრებით ღორის სულადობის სწრაფი აღმავლობისათვის, აგრეთვე მან მნიშვნელოვანწილად უნდა შესცვალოს მარცვლეული სპირტის გამოსახდელად. მით უმეტეს, რომ ერთ ჰექტარზე მიღებული კარტოფილის საშუალო მოსავალი გადამუშავებისას 4-ჯერ მეტ სპირტს იძლევა, ვიდრე ერთი ჰექტარი მარცვლეულის მოსავალი.

მარცვლეულის მეურნეობისა და ტექნიკური კულტურების აღმავლობის ამოცანებიდან, რომლებიც პროექტშია დასახული, ჩანს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ექნება მოსავლიანობის აღმავლობის საკითხებს.

თუ ხუთწლედის ბოლოს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობები, 1945 წელთან შედარებით, 24 პროცენტით უნდა გადიდდეს, მოსავლიანობა უნდა გადიდდეს 54 პროცენტით: ბამბის ფართობი გადიდდება 40 პროცენტით, ხოლო მოსავლიანობა — 79 პროცენტით; შაქრის ჭარხლის დარგში ფართობები გაიზრდება 63 პროცენტით, ხოლო მოსავლიანობა — 79 პროცენტით; მზესუმზირის დარგში ფართობები გადიდდება 28 პროცენტით, ხოლო მოსავლიანობა — 59 პროცენტით. აქედან გამომდინარეობს, თუ რა უდიდესი მუშაობა უნდა ჩატარდეს მოსავლიანობის გასადიდებლად.

მოსავლიანობის გადიდების საქმეში მთავარია, უწინარეს ყოვლისა, ანეულისა და მზრალად ხვნის დროზე შესრულება და დამუშავება. ამ ამოცანის გადაუჭრელად წარმოუდგენელია მოსავლიანობის აღმავლობა. ბოლო უნდა მოეღოს უკანასკნელ წლებში გაზრდილ ზერელე ხვნას, რამაც ძლიერ დაანაგვიანა მინდვრები, განსაკუთრებით ვოლგისპირეთის, ციმბირის რაიონებში და იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს.

მოსავლიანობის აღმავლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს თესლბრუნვათა შემოღება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. 1945-1946 წლებში თესლბრუნვები შემოღებულია 50.000 კოლმეურნეობაში. ამჟამად თესლბრუნვები აქვს კოლმეურნეობათა რაოდენობის ნახევარს. 3-4 წლის განმავლობაში თესლბრუნვები უნდა შემოვიღოთ კოლმეურნეობათა დანარჩენ ნაწილში. მიმდინარე წელს დასახულია თესლბრუნვები შემოღებულ იქნას 30.000 კოლმეურნეობაში. ამ დარგში არის ის სერიოზული ნაკლოვანება, რომ დადგენილი თესლბრუნვები ხშირად ირღვევა, არ არსებობს სათანადო პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის აღგილობრივი ორგანოების, აგრონომების მხრივ თესლბრუნვების დაცვისათვის. ამ მნიშვნელოვან საქმეში მკაცრი სახელმწიფო წესრიგი უნდა დამყარდეს.

მინდვრების მოსავლიანობის გადიდების მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ბალახთესვის, განსაკუთრებით მრავალწლიანი ბალახების თესვის ფართოდ დანერგვა. ხუთწლიანი გეგმით დასახულია ბალახის თესვის დარგში ომამდელი დონე გადაჭარბებულ იქნას ერთიორად. ბალახთესვა ერთსა და იმავე დროს სწყვეტს ორ ამოცანას: ნიადაგის სტრუქტურის, მისი ნაყოფიერების აღდგენის ამოცანას და მეცხოველეობისათვის საკვების პრობლემას.

ბალახთესვის განვითარებაში მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს ბალახების თესლის ნაკლებობა. ყველა ოლქი მოითხოვს, რომ მათ მიეცეს ბალახების თესლი და არავინ არ აწყობს მათს წარმოებას ადგილობრივ, როგორც საჭიროა. თვითეულმა ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ თვითონვე უნდა გადასჭრას ბალახის მეთესლეობის საკითხი. თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ თვითონ უნდა უზრუნველჰყოს თავისი თავი ბალახების თესლით და, გარდა ამისა, საჭიროა მოეწყოს სპეციალური მეთესლეობის მეურნეობანი, მარცვლეული კულტურების მეურნეობათა ტიპის მიხედვით, ბალახების საუკეთესო თესლის გამოსაყვანად და გასამრავლებლად.

მოსავლიანობის გადიდების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ჯიშიან ნათესებზე გადასვლამ. 1940 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უკვე ჰქონდათ მარცვლეულის ჯიშიანი ნათესების 84 პროცენტი და ტექნიკური კულტურების თითქმის ყველა ჯიშიანი ნათესი. ომის პერიოდში ეს საქმე რამდენადმე გაუარესდა. ომის შემდეგ დაიწყო ჯიშიანი ნათესების აღდგენა. 1946 წელს მათ მთლიანად მარცვლეული კულტურების დარგში 60 პროცენტი შეადგინეს. დადგენილების პროექტით დასახულია 1949 წელს დამთავრდეს მთლიან, უფრო მოსავლიან ჯიშიან ნათესებზე გადასვლა. ეს ამოცანა უნდა გადაიჭრას კოლმეურნეობებში მეთესლეობის საქმის მოწესრიგების და სპეციალურ მეთესლეობის მეურნეობათა — მეთესლეობის რაიონულ მეურნეობათა ხელმძღვანელობის გაუმჯობესების გზით.

უნდა ვაღიაროთ, რომ მეთესლეობა კოლმეურნეობებში ძლიერ დარღვეულია, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს დროზე თესვასა და მოსავლიანობაზე. მეორე მხრივ, ეს იმას იწვევს, რომ იძულებული ვართ ბევრ ოლქს ყოველ წელს ვაძლიოთ სათესლე სესხი, თუ არ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ ადგილებზე ზოგან ბოროტად იყენებენ და ამარტივებენ საკოლმეურნეობათაშორისო სათესლე ურთიერთდახმარების საქმეს, რაც მოწინავე კოლმეურნეობათა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ისე გამოდის, რომ კოლმეურნეობათა ნაწილი წლითი-წლობით თესლს იღებს ან სესხის გზით, ან სესხულობს სხვა კოლმეურნეობებისაგან. ამასთან სესხად წაღებულ თესლს ხშირად არ აბრუნებენ, რაც გავლენას ახდენს მოწინავე კოლმეურნეობათა მეურნეობაზე.

რა არის საჭირო? სერიოზულად შევუდგეთ კოლმეურნეობებში სათესლე მეურნეობის მოწესრიგებას, მოსავლიანობის გადიდებას კოლმეურნეობათა სათესლე ნაკვეთებზე. ამ ნაკვეთების მართლაც კულტურულ ნაკვეთებად, მაღალნაყოფიერ მინდვრებად გადაქცევას საუკეთესო სათესლე მასალის მოსაყვანად. ამჟამად სათესლე ნაკვეთები ხშირად არაფრით არ განსხვავდება საერთო რიგითი ნათესებისაგან, რის შედეგადაც კოლმეურნეობანი საქმაოდ ვერ იღებენ თესლს სათესლე ნაკვეთებზე და თესლად იღებენ საერთო ნათესების მოსავალს სახელმწიფო დამზადებათა საზარალოდ.

სათესლე ნაკვეთებზე აღებული თესლის შენახვის არსებული სისტემა და სათესლე ნაკვეთების ოდენობა, თუ სათანადოდ მოვუვლით მათ და გავადიდებთ მოსავლიანობას, სავსებით უზრუნველჰყოფენ თვითეული კოლმეურნეობის საჭიროებას სათესლე მასალის მხრივ.

## II

## მეცხოველეობის აღმავლობის ამოცანები

როგორც ცნობილია, დადგენილების პროექტით დასახულია აღვადგინოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის სულადობის ომამდელი დონე და 1948 წლის დამლევისათვის გადავაჭარბოთ მას, ხოლო 1949 წლის დამლევისათვის აღვადგინოთ ღორის სულადობის ომამდელი დონე და რამდენადმე გადავაჭარბოთ მას. 1950 წლის დამლევისათვის ცხენის სულადობა 58 პროცენტით გავადიდოთ 1946 წელთან შედარებით. თავისთავად ცხადია, ამ

ამოცანების შესრულება დიდ მუშაობას მოითხოვს სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან, პარტიული და საბჭოთა ორგანოებისაგან ადგილებზე—ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში.

როგორია მთავარი საკითხები მეცხოველეობის დარგში დასახული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად?

**მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დარგში.** ჯერ-ერთი, პირუტყვის მეტისმეტად დიდი სიბერწის ლიკვიდაცია. 1946 წელს კოლმეურნეობებში 100 ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 72 ხბო. ეს იმას ნიშნავს, რომ 100-დან 28 ძროხა ნამატს არ იძლევა. ეს საკოლმეურნეო ფერმების დიდი ნაკლია და ამავე დროს, თუ სიბერწეს აღმოვფხვრით, ეს ჯოგის სწრაფი აღდგენის წყაროა.

შეიძლება თუ არა მივაღწიოთ სიბერწის მნიშვნელოვან შემცირებას? ამაზე მეტყველებენ მაგალითები მთელი რიგი ოლქებისა, რომლებიც დიდ ნამატს ღებულობენ. მაგალითად, ასტრახანის ოლქში 1946 წელს კოლმეურნეობებში 100 ძროხაზე მიღებულია 92 ხბო. სტალინგრადის ოლქის კოლმეურნეობებში—90 ხბო, კიროვოგრადისაში—88, ომსკისაში—85. ხოლო ამავე დროს ჩვენში არის ოლქები, სადაც მოზარდეულის მეტად დაბალი მატებაა. მაგალითად, გორკის ოლქში 100 ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 64 ხბო, სვერდლოვსკის ოლქში—65, ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკაში—63.

როცა ანალიზს უკეთებ, თუ რა არის დიდი სიბერწის მიზეზი, ირკვევა, რომ ბუღები არ ჰყოფნით. აქ ჩვენი მეცხოველეობის პირდაპირი შეცდომებია. მათ სურთ ყველა კოლმეურნეობაში მაინცდამაინც ჯიშიანი მწარმოებლები იყოლიონ, ასეთი მწარმოებლები კი არ ჰყოფნით, რის შედეგადაც ნაწილი ძროხებისა დაუგრილებელი რჩება, რასაც ჩვენი მეცხოველეები და აღგილობრივი ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ამიტომ უმოკლეს ვადაში ყოველ ოლქში უნდა გადავწყვიტოთ ის ამოცანა, რომ კოლმეურნეობათა პირუტყვი და კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში არსებული პირუტყვი საესებით უზრუნველყოფილი იყოს მწარმოებლებით.

მეორეც—ისეთი ნაკლის ლიკვიდაცია, როგორიც არის ის, რომ კოლმეურნეობათა მნიშვნელოვან რაოდენობას ჯერ კიდევ აქვს წვრილი, ნაკლებსაჭონლიანი ფერმები, ხოლო მთელი რიგი ოლქების კოლმეურნეობათა ნაწილს სრულებით არა ჰყავს ფერმებში ძროხები. მაგალითად, კიროვის ოლქში კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობიდან — 8.600 კოლმეურნეობიდან — 586 კოლმეურნეობას 1946 წელს ძროხები არ ჰყავდა, რიაზანის ოლქში ძროხები არ ჰყავდა 108 კოლმეურნეობას. ეს უეჭველად აფერხებს კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის განვითარებას.

მესამე დიდ ნაკლს წარმოადგენს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დაბალი პროდუქტიულობა. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობა 1945 წელს 945 კილოგრამს შეადგენდა. მართალია, ჩვენს აღრიცხვას ის ნაკლი აქვს, რომ კოლმეურნეობებში მიღებულ მთელ სარძეო პროდუქციას ვერ მოიცავს, მაგრამ მაინც წველადობა არასაკმაოდ უნდა იქნას ცნობილი. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს სახელმწიფოსათვის სავალდებულო მიწოდების ხაზით ჩაბარებული სახორცე პირუტყვის მცირე წონა, რის გამო კოლმეურნეობებს ხშირად ერთნახევარ-ჯერ—ორჯერ მეტი პირუტყვი ჩააბარონ, ვიდრე მაშინ მოუხდებოდათ, უფრო მსუქან პირუტყვს რომ აბარებდნენ. მაგალითად, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჩაბარებული სულადობის საშუალო წონა 1945 წელს ორი ფუთით ნაკლებს შეადგენდა, ვიდრე 1940 წელს.

აქედან გამომდინარეობს, რომ საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების საქმეს. ჩვენში —ოლქებში, რაიონებსა და კოლმეურნეობებში მეცხოველეობის მდგომარეობას ჩვეულებრივად სულადობის მიხედვით აფასებენ. როგორც სჩანს, ეს არ კმარა. შეფასება უნდა ვაწარმოოთ პირუტყვის პროდუქტიულობის მიხედვი-

თაც და მეცხოველეობაში გეგმის შესრულება გაძოვიანგარიშოთ როგორც ერთი, ისე მეორე მაჩვენებლის შესრულების მიხედვით.

**ცხვრის დარგში.** ყველა რაიონისათვის დგას ცხვრის სულადობის შემდგომი გადიდებისა და პროდუქტიულობის ამაღლების ამოცანა. რა არის საჭირო ცხვრის სულადობის სწრაფი ზრდისათვის? უწინარეს ყოვლისა, ცხვრის ნამატის გადიდება. ომამდე 100 დედაცხვარზე კოლმეურნეობები 107 ბატკანს ღებულობდნენ, 1946 წელს კი ნამატი მხოლოდ 90 ბატკანს შეადგენდა, ზოგიერთ ოლქში კი უფრო ნაკლებსაც. მაგალითად, ულიანოვსკისა და პენზის ოლქებში მიღებულია ძხოლოდ 69 ბატკანი 100 დედაცხვარზე, ამავე დროს არის მთელი რიგი ოლქები, რომლებიც უფრო მაღალ ნამატს იძლევიან. ეს მოწმობს იმას, რომ ახლანდელ ომისშემდგომ პირობებში ყოველ ოლქს შეუძლია უეჭველად მიაღწიოს ნამატის მნიშვნელოვან გადიდებას და ამით უზრუნველჰყოს ცხვრის სულადობის სწრაფი ზრდა.

სერიოზულ საკითხს წარმოადგენს წმინდამატყლიანი ცხვრის სულადობის უსწრაფესი აღდგენა და შემდგომი ზრდა. ომის წლებში წმინდამატყლიანი ცხვრის სულადობაც და მატყლის ნაპარსიც რამდენადმე შემცირდა. ამ მხრივ გადაჰწყვეტია ორი ზონა: ყაზახეთი და ჩრდილოეთ კავკასია. ყაზახეთმა ერთგვარ წარმატებებს მიაღწია—მის კოლმეურნეობებში წმინდამატყლიანი ცხვრის სულადობა გაიზარდა, მაგრამ მან კვლავ უნდა გასწიოს წინ. ჩრდილოეთ კავკასიის რაიონების — სტავროპოლის, როსტოვისა და კრასნოდარის წინაშე დგას სერიოზული ამოცანა: აღადგინონ წმინდამატყლიანი ცხვრის ომამდელი სულადობა და შემდგომ გაზარდონ იგი.

**მელორეობის დარგში.** ყველა სახის პირუტყვიდან ჩვენში ყველაზე მეტად ჩამორჩენილია მეღორეობა, მისი უსწრაფესი აღმავლობა კი, როგორც უფრო სწრაფმზარდი და სწრაფი გამრავლების უნარის მქონე პირუტყვისა, ძლიერ გამოგვასწორებინებდა ჩვენი ქვეყნის სახორცე ბალანსს, ხოლო კოლმეურნეობებისა და გლეხური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებაში ღორის ხორცის ხვედრითი წონის ამაღლება გააადვილებდა მერძეული პირუტყვის სულადობის უფრო სწრაფი აღმავლობის ამოცანასაც. აქედან გამომდინარეობს, თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანია ღორის სულადობის უსწრაფესი აღდგენის ამოცანა. ეს ეხება საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რაიონს, მაგრამ ამ საქმეში განსაკუთრებით სერიოზული მუშაობა უნდა გასწიონ უკრაინამ, ცენტრალურმა და დასავლეთმა რაიონებმა, ჩრდილო კავკასიამ და ვოლგისპირეთმა.

რა თქმა უნდა, ღორის სულადობის სწრაფი გადიდება დაკავშირებულია საკვებთან. მარცვლეულის მეურნეობის ზრდა შეჰქმნის ამ ბაზას, მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ მეღორეობისათვის საკვების პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხოლოდ მარცვლეულზე. არის დიდი შესაძლებლობანი შევავსოთ მეღორეობისათვის საჭირო საკვები ბაზა კარტოფილით, ძირხვენებით, სილოსით, რასაც კიდევაც აკეთებს ბევრი კოლმეურნეობა.

მაგრამ ღორის სულადობის ზრდას აფერხებს არა მარტო საკვები, არამედ ისიც, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ღორებს მეტად ხელგაშლილად ხარჯავენ, როგორც ხურდა ფულს,—სჭამენ, არიგებენ. ღორის სულადობის განიავების ეს პრაქტიკა უნდა აღმოიფხვრას, ხოლო ჩვენი ორგანიზაციები ვალდებული არიან სერიოზულად მოჰკიდონ ხელი მეცხოველეობის ამ მეტად დიდმნიშვნელოვანი დარგის აღმავლობას.

რამდენიმე სიტყვა **ცხენის** შესახებ კოლმეურნეობებში. დიდი და სერიოზული მუშაობა უნდა ჩატარდეს კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალის აღსადგენად. მტკიცება არ ესაჭიროება იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცხენს კოლმეურნეობისათვის და რომ, მიუხედავად სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ზრდისა, ცხენს მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება კოლმეურნეობათა მეურნეობაში.

რა უნდა გაკეთდეს კოლმეურნეობებში მეცხენეობის უსწრაფესი აღდგენისათვის? აქაც, უწინარეს ყოვლისა, დგას მოზარდეულის გამოსავლიანობის გადიდებისა და დედაპირუტყვის შემადგენლობის სრული გამოყენების ამოცანა. ჩვენ ჯერ კიდევ მეტად ცოტა კვიცებს ვღებულობთ. საშუალოდ 100 ფაშატზე 1946 წელს მიღებულია ძხოლოდ 38 კვიცი, ხოლო არის ისეთი ოლქები, რომლებიც კვიცის გაცილებით მეტ ნამატს იღებენ. მაგალითად, ასტრახანის ოლქმა მიიღო 75 კვიცი, ყირგიზეთმა—59, უაზახეთმა—58, ჩელიაბინსკის ოლქმა—52. ხოლო გორკის ოლქში მაგალითად, მიღებულია 25 კვიცი, კოსტრომის ოლქში—28, ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკაში—30, თათრეთში—32.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებში ჯოგური მეცხენეობის, როგორც ველიან რაიონებში სასაქონლო მეურნეობის განვითარებას ჩვენი ქვეყნის ცხენებით მოსამარაგებლად. ცხენის გამრავლების ეს წესი საშუალებას იძლევა მივიღოთ კვიცების ყველაზე მაღალი გამოსავლიანობა და იმ შევინახოთ ცხენები, რომ მცირე ხარჯებით გვეხარჯებოდეს შენობებზე და ნაკლებ საკვებს ვხარჯავდეთ. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა დაისვას ამოცანა ყაზახეთისა და ყირგიზეთის წინაშე, ვოლგისპირეთისა და ციმბირის ოლქების წინაშე.

აუცილებლად საჭიროა ვილაპარაკოთ კიდევ საკოლმეურნეო ცხენებისადმი ფრთხილად მოპყრობასა და მათს დაცვაზე. ამაზე ლაპარაკი იმიტომ გვიხდება, რომ მთელი რიგი ოლქების კოლმეურნეობებში ცხენების სიკვდილიანობა მეტად მაღალია. აი, მაგალითად, გორკის ოლქში 1946 წელს ცხენების 18 პროცენტი დაიხოცა, როსტოვის ოლქში—15 პროცენტი, კრასნოდარის მხარეში—13 პროცენტი, ზაპოროჟიეს ოლქში—22 პროცენტი.

რამდენიმე სიტყვა ცხენის ინვენტარის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობებში ცოცხალი გამწევი ძალის ნაკლებობაა, ცხენის ინვენტარის საკითხი პირდაპირ პრობლემად იქცა. ცხენის ინვენტარი კოლმეურნეობებში ძლიერ გაცვდა, ანდა პირდაპირ აღარ კმარა, ხოლო ამავე დროს ჩვენს ადგილობრივ მრეწველობაში მოწყობილი არ არის ცხენის ინვენტარის: ურმების, თვლების, ცალღუნების, ნალ-ლურსმნის წარმოება, რის შედეგადაც მუშა პირუტყვის არსებული სულადობა ჯეროვნად არ არის გამოყენებული. საჭიროა რესპუბლიკებსა და ოლქებში მიღებულ იქნას სერიოზული ზომები ცხენის ინვენტარისა და აკაზმულობის წარმოების გასაჩაღებლად. ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია, რომ ეს საკავშირო მრეწველობამ უნდა გააკეთოს. ეს შეცდომაა. საკავშირო მრეწველობას დიდი ამოცანები აქვს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის დარგში.

გარდა ჩამოთვლილი საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეული სახის პირუტყვის სულადობის აღმავლობასთან, არის კიდევ მეცხოველეობის საერთო საკითხებიც, როგორიცაა:

პირველი—პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესება და საჯიშე მუშაობის მნიშვნელოვანი აღმავლობა, იმიტომ, რომ ეს არის პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების დიდი წყარო.

მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში მიღწეულ იქნა პირუტყვის ჯიშიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მაგალითად, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობაში 1931 წელს ჯიშიანი პირუტყვის ხვედრითი წონა მხოლოდ 2,7 პროცენტს შეადგენდა, 1939 წელს კი—17 პროცენტს; ცხვრის სულადობაში შესაბამისად—4,4 პროცენტს და 42 პროცენტს; ღორის სულადობაში იყო 3 პროცენტი, გახდა 28 პროცენტი. 1945 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით ჯიშიანი პირუტყვის რაოდენობა დაახლოებით ომამდელ დონეზე დარჩა.

ჩვენს ქვეყანაში უკვე შეიქმნა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ძვირფასი ჯიშების: იაროსლაველური, ხოლმოგორული, ვე-

ლის წითელი, სიმენტალური და სხვა ჯიშების მიღების დიდი წყაროები. გამოყვანილია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ახალი ჯიში — კოსტრომული, რომელიც ყველაზე მაღალ წველადობასა და ხორცის დიდ გამოსავლიანობას იძლევა. რაც შეეხება ცხვარს, არის მთელი მასივები ისეთი ჯიშებისა, როგორიცაა რამბულიე, მერინოსი, ხოლო ყაზახეთში გამოყვანილია წმინდამატყლიანი ცხვრის ახალი ჯიში, რომელიც ერთდროულად იძლევა მატყლისა და ხორცის დიდ გამოსავლიანობას, უხეშმატყლიანთაგან — რომანოვული ცხვარი. გისარის ცხვრის სახორცე ჯიშები შუა აზიაში. თუ ავიღებთ ცხენს, აქ გვაქვს რუსული ჩორთის ცხენისა და დონური ცხენის საჯიშე სანაშენოები და ცხენსაშენები, გვყავს მძიმე ტვირთის მზიდავი ცხენის რამდენიმე ჯიში.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად წავწიოთ წინ საჯიშე მუშაობა? ჯერ-ერთი, ჯიშიანი პირუტყვის ყველა არსებული წყარო სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და გლეხურ მეურნეობათა პირუტყვის შემადგენლობის გასაუმჯობესებლად; მეორე, საჭიროა რესპუბლიკებსა და ოლქებში მოვაწყოთ დამატებითი საჯიშე სანაშენოები, ჯიშიანი პირუტყვის მოსაშენებლად; მესამე, საჭიროა მნიშვნელოვნად გავაღრმავოთ პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება, რასაც ამჟამად ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყენებენ. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო სწრაფად გავაუმჯობესოთ პირუტყვის ჯიშიანობა; მეოთხე, სწორად, გამოცდილების საფუძველზე, დავარაიონოთ ჯიშიანი პირუტყვის მოშენება. აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს მოუწესრიგებელი. პირუტყვის ჯიშთა განლაგების ასეთი გეგმა უკვე მოამზადა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ოლქებისა და რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად და იგი უახლოეს ხანში შეტანილ უნდა იქნას დასამტკიცებლად მთავრობაში.

მთელი მეცხოველეობისათვის მეორე საერთო საკითხს წარმოადგენს საკვები ბაზის შექმნა. ურომლისოდაც წარმოუდგენელია უზრუნველვყოთ მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობა. ამ მხრივ პროექტში დასახულია მეტად სერიოზული ღონისძიებანი ბალახთესვის განსავითარებლად, საძოვრებისა და მდელოების გამოყენების გასაუმჯობესებლად. მაგრამ განსაკუთრებით საჭიროა შევეხოთ იმ დიდ მუშაობას, რომელიც უნდა ჩატარდეს ძირხვენებისა და სილოსის, როგორც პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების უძვირფასესი წყაროს, წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ადგილებზე აქა-იქ ეხვდებით უდარდელობას საკვების დამზადებაში. მაგალითად, კემეროვოს ოლქში 1946 წელს კოლმეურნეობებში გაუთიბავი დარჩა სათიბების ერთი მესამედი, ხოლო პირუტყვი ზამთარს ისე შეხვდა, რომ აკლდა დიდძალი საკვები. ეს კი ნიშნავს პირუტყვის ნაწილის უეჭველად დაღუპვას. ჩკალოვის ოლქი ზამთარს ისე შეხვდა, რომ საკვები აკლდა, ხოლო გაუთიბავი დარჩა 100 ათასამდე ჰექტარი სათიბი; დაახლოებით ასეთსავე მდგომარეობაშია კოსტრომის ოლქი და მთელი რიგი სხვა ოლქები.

მესამე საკითხია პირუტყვის დიდი სიკვდილიანობა და განიავება კოლმეურნეობებში, რაც ძლიერ აფერხებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობას და რასაც ბოლო უნდა მოვუღოთ.

აი 1946 წლის ზოგიერთი ცნობები ოლქების შესახებ. ვიღებ ორ ოლქს. სარატოვის ოლქის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნამატი და შესყიდვა 63 ათას სულს შეადგენდა, ხოლო გასავალი 74 ათას სულს უდრიდა — მაშასადამე, ბალანსი უარყოფითია; აქედან დაიხოცა 15 ათასი სული და ყოველგვარ შინასამეურნეო საჭიროებისათვის გამოყენებულ იქნა 23 ათასი სული. ცხვრის ნამატი და შესყიდვა 170 ათას სულს შეადგენს, დაი-

ხოცა 53 ათასი სული, ხოლო ეგრეთწოდებული სხვა ხარჯი იყო ე. ი. განიავებულ იქნა 80 ათასი სული; ვოლოგდის ოლქში 1945 წელს ცხვრისა და თხის ნამატმა კოლმეურნეობებში ერთ წელიწადს 158 ათასი სული შეადგინა, ხოლო გასავალმა—194 ათასი. აქედან 58 ათასი სული დაიხოცა, 85 ათასი სული შინასამეურნეო საჭიროებაზე დაიხარჯა. მაგალითისათვის ზოგიერთი სხვა ოლქის მოყვანაც შეიძლებოდა, საჭიროა ბოლო მოვუღოთ პირუტყვის ასეთ განიავებას და მივაღწიოთ მისი სიკვდილიანობის გადაჭრით შემცირებას.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის საერთო შედეგებს ძალიან სწევენ უკან მთელი რიგი ოლქები, რომლებიც სერიოზულად ჩამორჩებიან მეცხოველეობის განვითარების მხრივ. წლითიწლობით ჯერ ასრულებენ მეცხოველეობის გეგმებს და, უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი სულადობის შემდგომი შემცირებისკენ მიდის. ასეთებს ეკუთვნიან: სარატოვის, ნოვოსიბირსკის, ვოლოგდის ოლქები, კრასნოიარსკის მხარე, ბაშკირეთის ასსრ და სხვები. ასეთ ოლქებს საჭიროა წავუყენოთ მოთხოვნა—ბოლო მოუღონ ჩამორჩენას მეცხოველეობის განვითარებაში.

არის მეორე ჯგუფი რესპუბლიკებისა და ოლქებისა, რომლებმაც შეინარჩუნეს სულადობის ომამდელი დონე და ზოგიერთი მათგანი ომამდელ დონეზე მაღლაც კი დგას. ასეთებს ეკუთვნიან უაზახეთის, ყირგიზეთის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკები, კალინინის ოლქი და კიდევ მთელი რიგი ოლქები. ასეთ ოლქებსა და რესპუბლიკებს, აღვნიშნავთ რა მათს წარმატებებს, უნდა მოვთხოვოთ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, უაზახეთსა და ყირგიზეთს, იმიტომ რომ მათ, ისევე როგორც ციმბირისა და სამხრეთ ურალის ველიან რაიონებში, სამომთაბარეო მეცხოველეობის განვითარების უდიდესი შესაძლებლობა მოეპოვებათ. საკმარისია ითქვას, რომ უაზახეთი თავის საძოვრებს მხოლოდ 30-35 პროცენტით იყენებს, მეტი წილი საძოვრები კი გამოუყენებელია.

როგორია საქმის ვითარება კოლმეურნეთა პირადი სარგებლობის მეცხოველეობაში? ამ საკითხს ჩვენ გულგრილად ვერ მოვეკიდებით, ვინაიდან ცნობილია, რომ კოლმეურნეთა პირადი სარგებლობის მეცხოველეობა დიდ ხვედრით წონას შეადგენს პირუტყვის საერთო სულადობაში. ომის დროს ჩვენში რამდენადმე გადიდდა ისეთ კოლმეურნე კომლთა რიცხვი, რომლებსაც პირად სარგებლობაში პირუტყვი და ძროხები არა ჰყავთ. აქედან გამომდინარეობს, როგორც მეცხოველეობის განვითარების საქმეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, კოლმეურნე კომლებში უძროხობის ლიკვიდაციის ამოცანა.

კოლმეურნეთა უძროხობის ლიკვიდაციას დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ეს საგრძნობლად აამაღლებს საკოლმეურნეო მეცხოველეობის საჭონლიანობას, ვინაიდან უძროხო კოლმეურნეთა კომლების არსებობისას კოლმეურნეობათა მეცხოველეობის პროდუქციის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ამ კომლების საჭიროებათა დაკმაყოფილებას ხმარდება. ჩვენ მოგვეპოვება ყველა შესაძლებლობა უძროხობის სრული ლიკვიდაციისა იმ გზით, რომ უძროხო კოლმეურნეებისათვის შეძენილ იქნას მოზარდეულის ნამატი იმ კოლმეურნეებთან და მუშა-მოსამსახურეებთან, რომლებსაც პირუტყვი ჰყავთ, კოლმეურნეობათა და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით, რაც კიდევაც დასახულია დადგენილების პროექტში.

როგორია დასახული ამოცანების უზრუნველყოფის გზები და საშუალებანი, რა დაბრკოლებანი და ნაკლოვანებანი უნდა აღმოვფხვრათ იმისათვის, რომ გზა გავუკაფოთ სოფლის მეურნეობის წარმატებითს აღმავლობას?

## III

## სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის საკითხები

რა თქმა უნდა, ამ ამოცანების გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის მიერ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სათადარიგო ნაწილების, სასუქებისა და საწვავის წარმოების გადიდებას.

პლენუმის დადგენილების პროექტსა და ხუთწლიან გეგმაში დასახულია ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების მეტად სერიოზული პრობლემა.

გასული წლის დეკემბერში ამხანაგ სტალინის დავალებით შემუშავდა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მიღებულ იქნა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების 1947 წლის გეგმა, აგრეთვე ღონისძიებანი სიმძლავრეთა ისე მოსამზადებლად, რომ 1948 წელს გაორკეცდეს ტრაქტორების წარმოება და მნიშვნელოვნად გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება.

მრეწველობის მუშაკებს უნდა მოვთხოვოთ სერიოზულად მოეკიდონ თავიანთ ამოცანებს ამ პროგრამის შესრულების საქმეში. ეს საჭიროა ითქვას იმიტომაც, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და სხვა სამინისტროთა ქარხნებმა 1946 წლის გეგმა არ შეასრულეს და სოფლის მეურნეობას დააკლდა 3.5 ათასამდე ტრაქტორი და საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

ჩვენში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებისათვის ძალიან სერიოზული ბაზა იქმნება. ომამდე არსებული სამი სატრაქტორო ქარხნის ნაცვლად უკვე გვაქვს 5 ქარხანა—ალტაისა, სტალინგრადისა, ხარკოვისა, ჩელიაბინსკისა, ვლადიმირისა და გვექნება კიდევ ორი ქარხანა—ლიპეცკისა და მინსკისა. სასოფლო-სამეურნეო მანქანების ისეთი ქარხნების აღდგენასთან ერთად, როგორიცაა „როსტსელმაში“, „კომუნარი“, „კრასნაია ზვეზდა“, „სერპ ი მოლოტ“, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სათადარიგო ნაწილების წარმოებაზე გადაყვანილია ბევრი ქარხანა, რომლებიც წინათ სამხედრო შეკვეთებს ასრულებდნენ.

ჩვენი მრეწველობის წინაშე დასახულია ამოცანა არა მარტო აღადგინოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ომამდელი დონე და გადააჭარბოს მას, არამედ მნიშვნელოვნადაც შეცვალოს ამ მექანიზაციის ხარისხი ახალი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებით.

ცნობილია, რომ ჩვენი ტრაქტორების კონსტრუქცია რამდენადმე მოძველდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მათ გადაგდებას ვაპირებთ. ისინი ბოლომდე უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ საქმე ეხება იმას, რომ უკვე ახლა დავამზადოთ უფრო სრულყოფილი და უფრო ეკონომიური ტრაქტორები. ამასთან დაკავშირებით მთავრობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ავალებს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მომდინარე წლიდან დაწარმოს 37 ცხენისძალის სიმძლავრის, დიზელმოტორიანი ახალი მუხლუხა ტრაქტორის „კიროვეცის“ წარმოება. ამავე სამინისტროს დავალებული აქვს შემოიტანოს წინადადება „სტზ-ნატის“ ტრაქტორის ანალოგიური სიმძლავრის მჭრელ დიზელიანი ტრაქტორის წარმოების შესახებ. ასეთი ტრაქტორის ტიპი უკვე გვაქვს. მარშან მან წინასწარი გამოცდა გაიარა. გარდა ამისა, ჩელიაბინსკის ქარხანაში უკვე უშვებენ ახალ 80 ცხენისძალის სიმძლავრის დიზელიან ტრაქტორს. ამავე ქარხანას მიცემული აქვს დავალება მოამზადოს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ახალი 64 ცხენისძალის სიმძლავრის დიზელიანი ტრაქტორის წარმოება.

მეტად დიდმნიშვნელოვანია რაც შეიძლება მალე დავნერგოთ წარმოებაში მაღალნაყოფიერი მანქანები: მარცვლეულის მოსავლის აღებისათვის—თვითმავალი კომბაინები; ტექნიკური კულტურების — ჭარხლის, ბამბის, სელის, კარტოფილის აღების მექანიზაციისათვის. შემდეგ ისეთი, პერსპექტიული მანქანები, როგორიცაა იარაღები ტრაქტორებისათვის, რომლებიც აღარ მოითხოვენ დამატებით მიმბმელებს, ამცირებენ მუშახელის საჭიროებას, ვინაიდან მანქანებს პირდაპირ ტრაქტორიდან მართავს თვითონ ტრაქტორისტი.

ყველა ჩამოთვლილი მანქანის ნიმუშები გვაქვს, მათ უკვე გაიარეს გამოცდა. სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებული არიან რაც შეიძლება მალე შემოიტანონ მთავრობაში თავისი წინადადებანი ამ მანქანების წარმოებაში დანერგვის შესახებ.

არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ითქვას სოფლის მეურნეობისათვის საჭირო კიდევ ერთ სერიოზულ დამატებითს ძალოვან წყაროზე — ადგილობრივ ელექტროფიკაციაზე. სურვილისა და ჯეროვანი ენერგიის პირობებში აქ ბევრი რამის გაკეთება რომ შეიძლება, ამას მოწმობს სვერდლოვსკის ოლქის მაგალითი. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ოლქში ელექტროფიცირებულია კოლმეურნეობათა სამი მეოთხედი ნაწილი და ყველა მტს-ი, აგებულია და ამუშავდა 163 ჰიდროელექტროსადგური, 422 თბოელექტროსადგური, რამაც შესაძლებელი გახადა ელექტროლეწვის მოწყობა 500 კოლმეურნეობაში. ელექტროწევაზე გადაყვანილი 400 მარცვალსაწმენდი მანქანა, ბევრი წისქვილი, სატუმბავი დანადგარი და სამჭედლო. ელექტროფიცირებულია კოლმეურნეობების მეცხოველეობის 4 ათასი ფერმა. წელს ოლქში დასახულია კოლმეურნეობათა ელექტროფიკაციის დამთავრება. როგორც ხედავთ, ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა.

ადგილობრივ ელექტროფიკაციას უნდა დავუმატოთ ქარძრავების ფართოდ გამოყენების აუცილებლობა, განსაკუთრებით ველიან რაიონებში. მრეწველობა უნდა დაეხმაროს სოფლის მეურნეობას ქარძრავების და მათი ელექტროდანადგარების წარმოებით.

მაგრამ ახალი ტექნიკის მიღებასთან ერთად ჩვენ სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობაში არსებული ტექნიკა, რომელიც არცთუ ისე ცოტა გვაქვს, და უნდა ამოვწუროთ იქიდან ყველაფერი, რაც კი შესაძლოა.

ამ მხრივ მრეწველობა უნდა დაეხმაროს სოფლის მეურნეობას სათადარიგო ნაწილებით. აქ საჭიროა აღინიშნოს ის ნაკლი, რომ სათადარიგო ნაწილების წარმოების პროგრამა სრულდება უმთავრესად არადეფიციტური დეტალების დამზადებით, ხოლო ტრაქტორების მოცდენა ჩვენში დამოკიდებულია ისეთ ყველაზე დეფიციტურ დეტალებზე, როგორიცაა მუხლა ლილვები, ცილინდრის თავები, კბილანები და საკისარები.

ჩვენში ათი ათასზე მეტი ტრაქტორი მოითხოვს აღდგენითს რემონტს და სრულებით არ არის გამოყენებული სოფლის მეურნეობაში, მათი აღდგენა კი შეიძლება, თუ სათადარიგო ნაწილებს ძიცემთ. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოანგარიშებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში მტს-ებში სათადარიგო ნაწილების ნაკლებობის გამო მომცდარია 20-დან 30 ათასამდე ტრაქტორი. მთელი ამ ტრაქტორების ისეთ მდგომარეობაში მოყვანას, რომ მათ მუშაობა შეეძლოთ, სერიოზული მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად შესრულებისათვის.

## IV

## მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესების საკითხები

არსებული ტექნიკის გამოყენების საკითხთან დაკავშირებულია მტს-ების მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ჩვენში 7.584 მტს-ი არსებობს. ყველასთვის გასაგებია, თუ რა დიდმნიშვნელოვანი ბერკეტია ეს სახელმწიფოს ხელში სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში მტს-ებმა ჩვენში დიდი როლი შეასრულეს საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებასა და სოფლის მეურნეობის აღმავლობაში. ეს გადამწყვეტი როლი მტს-ებს შენარჩუნებული აქვთ ახლაც, მეტადრე თუ გავითვალისწინებთ, რომ კოლმეურნეობებში ცოცხალმა გამწევმა ძალამ იკლო.

თუ გავიანგარიშებთ წევითს ბალანსს კოლმეურნეობებსა და მტს-ებში, გამოვა, რომ კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალა და მტს-ების ტრაქტორები საერთოდ შეადგენენ 10,2 მილიონ ცხენის ძალას, კომბაინები და ავტომანქანები რომ არ ვიანგარიშოთ, აქედან მტს-ების ტრაქტორთა სიმძლავრე შეადგენს 6 მილიონ ცხენის ძალას, ანუ 58 პროცენტს. კოლმეურნეობებში ხვნის სამუშაოთა საერთო რაოდენობიდან მტს-ები ასრულებენ 70-75 პროცენტს, ე. ი. უდიდეს ნაწილს. ვოლგისპირეთის, ციმბირისა და ჩრდილოეთ კავკასიის ოლქებში ეს წილი კიდევ უფრო მაღალია. მაშასადამე, მტს-ების მანქანები მნიშვნელოვანწილად სწყვეტენ საქმეს, და ნათესი ფართობების გადიდებისა და მოსავლიანობის ამაღლების ამოცანა უდიდესწილად მტს-ებს ეკისრება. მტს-ების ეს გადამწყვეტი როლი უფროდაუფრო გაიზრდება — ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაოდენობის გადიდების მიხედვით.

ამავე დროს კი უნდა ითქვას, რომ მტს-ების მუშაობასა და მათს ხელმძღვანელობაში ძალიან სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. რაში მდგომარეობენ ეს ნაკლოვანებანი?

ჯერ-ერთი, ჯერ კიდევ დაბალია ტრაქტორებისა და კომბაინების გამოშუშავება. საშუალო გამომუშავება ტრაქტორზე 1946 წელს 348 ჰექტარს შეადგენდა, კომბაინით მოსავლის აღება შეადგენდა 142 ჰექტარს. მართალია, ეს გამომუშავება ომის დამთავრების შემდეგ წლითიწლობით მატულობს. შარშანდელთან შედარებით გამომუშავება 48 ჰექტარით გადიდდა, მაგრამ მაინც დაბალია. ომამდე, როცა სოფლის მეურნეობა ძლიერ აღჭურვილი იყო ტრაქტორებით, გამომუშავება ტრაქტორზე 411 ჰექტარს შეადგენდა, ახლა გამომუშავება უფრო მაღალი უნდა იყოს, იმიტომ რომ ტრაქტორების რაოდენობამ იკლო, და ამის მიღწევა რომ შეიძლება, ამას მოწმობს მრავალი მაგალითი კარგი მტს-ების მუშაობისა და ცალკეულ ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში ყველა მტს-ისაც კი.

მაგალითად, კემეროვოს ოლქის მტს-ებმა 1946 წელს საშუალოდ ერთ 15-ძალიან ტრაქტორზე გამოიმუშავეს 400 ჰექტარი ნახნავი, მაშინ როცა ციმბირის მტს-ებში საშუალო გამომუშავება ტრაქტორზე 256 ჰექტარს შეადგენდა. კუიბიშევის ოლქის მტს-ებმა 1946 წელს ტრაქტორზე გამოიმუშავეს 374 ჰექტარი, მეზობლად, ულიანოვსკის ოლქში კი მხოლოდ 273 ჰექტარი გამოიმუშავეს.

განსხვავება კიდევ უფრო გეცემა თვალში, როცა აიღებ ტრაქტორზე გამომუშავებას საშუალოდ ოლქში და ცალკეულ მტს-ებში. აი 1945 წლის მონაცემები: ჩუვაშეთის ასსრ ეურნარის მტს-ში გამომუშავება ტრაქტორზე შეადგენდა 585 ჰექტარს, ხოლო საშუალო გამომუშავება რესპუბლიკაში 317 ჰექტარს, გორკის ოლქის ბოგოროდსკის მტს-მა გამოიმუშავა 869 ჰექტარი, ხოლო საშუალო გამომუშავება ოლქში 325 ჰექტარი იყო, ოდესის ოლქის „პრავ-

დის“ სახელობის მტს-მა გამოიმუშავა 1.079 ჰექტარი, ოლქში საშუალო გამომუშავება კი 543 ჰექტარს შეადგენდა.

ეს მაგალითები მოწმობენ, რომ მტს-ის კარგი მუშაობის პირობებში შეიძლება მიღწეულ იქნას გაცილებით უფრო დიდი გამომუშავება ტრაქტორზე.

მეორე დიდ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ჩვენი მტს-ები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი მოსავლიანობის გადიდებით, ნიადაგის კარგი დამუშავებით, თავის დროზე თესვითა და მოსავლის აღებით.

მტს-ების მუშაობის შეფასების მოქმედი სისტემა — რბილ ხვნაზე გადაყვანილ ჰექტართა მიხედვით და მტს-ების მუშაკთა წახალისების სისტემა იმას იწვევს, რომ ბევრი მტს-ი ცდილობს რაც შეიძლება მეტი იოლი სამუშაო შეასრულოს ხვნის მძიმე სამუშაოთა ნაცვლად. აი,მაგალითად, რა სურათია ამ მხრივ ცალკეულ ოლქებში. როსტოვის ოლქმა მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 1946 წელს ხვნაზე გადაყვანით 107 პროცენტით შეასრულა. მზრალად ხვნა კი მხოლოდ 59 პროცენტით, კომბაინებით მოსავლის აღება 78 პროცენტით; ჩკალოვის ოლქმა მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 93 პროცენტით შეასრულა, მზრალად ხვნის გეგმა კი 41 პროცენტით, საანეულო ხვნის გეგმა 61 პროცენტით, ხოლო ფარცხვის გეგმა 16-ჯერ გადაჭარბებით შეასრულა; სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში შესრულებას თუ ავიღებთ, აქ კიდევ უფრო ცუდი სურათი გვაქვს.

აი რა სურათია 1945 წელს მტს-ებში სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის შესრულებისა და მოსავლიანობის გეგმის შესრულების მხრივ. გორკის ოლქის მტს-ებმა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 130 პროცენტით შეასრულეს, მოსავლიანობის გეგმა კი მხოლოდ 81 პროცენტით, ტულის ოლქში სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, მოსავლიანობის გეგმა კი 77 პროცენტით.

იბადება კითხვა, რა ფასი აქვს სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებისათვის მტს-ების მიერ სამუშაოთა ისეთ შესრულებას, როცა შედეგად დაბალი მოსავალი გამოდის. საქმე აქ ის კი არ არის, რომ როგორმე მოჩიჩქნო ნიადაგი, არამედ უნდა შეჰქმნა კარგი მოსავლის მიღების ნამდვილი წინაპირობები და დროულად აიღო იგი კომბაინებით.

საჭიროა, რომ მტს-ები იბრძოდნენ მოსავლისათვის, პასუხს აგებდნენ სახელმწიფოს წინაშე მათი მომსახურების კოლმეურნეობებში მოსავლიანობის გეგმების შესრულებისათვის—ამას ეყრდნობა მტს-ების მუშაობის დაგეგმვისა და სამუშაოთა შეფასების ახალი წესი, რომელიც გათვალისწინებულია პლენუმის დადგენილების პროექტით.

მტს-ებმა ყველაზე მძიმე სამუშაოები უნდა იკისრონ. აი, მაგალითად, ციმბირში, ყაზახეთსა და ნაწილობრივ ვოლგისპირეთში არის შესაძლებლობა სწრაფად გაადიდონ მოსავალი ყამირისა და ნასვენის დამუშავებით. ამავე დროს კი, მტს-ები ცდილობენ თავი აარიდონ ამ სამუშაოებს და უფრო ეშურებიან მოხნან რბილი და უკვე ათვისებული მიწები, იმიტომ რომ ასე უფრო იოლია სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის შესრულება.

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ასეთი მაგალითი. ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სატრაქტორო ხვნას წინასახნისიანი გუთნებით. ეს შესაძლებლობას იძლევა სწრაფად აღმოვფხვრათ მინდვრების დასარეველიანება და მნიშვნელოვანი გაკულენა მოვახდინოთ მოსავლიანობის ამაღლებაზე. ამასთან დაკავშირებით ტრაქტორის გუთნებს ჩვენში წინასახნისებით უშვებდნენ და უშვებენ. ბევრი მტს-ი კი, სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა უფრო იოლად რომ შეასრულოს და საწვავის მოჩვენებითი ეკონომია მიიღოს, გუთნებს წინასახნისებს აცლის და უწინასახნისოდ ხნავს.

ბოლო უნდა მოვუღოთ ასეთ პრაქტიკას მტს-ებში და საგანგებოდ გამოვიყენოთ ყველა არსებული წინასახნისი, რათა 1948 წელს მთელი სატრაქტორო

ხვნის ნახევარი მაინც წინასახნისიანი გუთნებით ჩავატაროთ, 1949 წლიდან კი მთლიანად გადავიდეთ წინასახნისიანი გუთნებით ხვნაზე.

მოსავლიანობით მტს-ების სუსტი დაინტერესების გაგრძელება აღგილს პოულობს სატრაქტორო ბრიგადებშიც. მოქმედი სისტემა ტრაქტორისტების შრომის საგარანტიო ანაზღაურებისა ნატურით, როგორც გამოცდილებამ ცხადჰყო, არ იწვევს მათს დაინტერესებას მათ მიერ დამუშავებული კოლმეურნეობათა მინდვრების მოსავლიანობის გეგმის შესრულებით, ხშირად არა იმიტომ, რომ ტრაქტორისტები ცუდი ადამიანები არიან, არამედ იმიტომ, რომ ცუდია ანაზღაურების სისტემა, ისინი ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ჰექტარი შეასრულონ ზერელე ხვნით, დაზოგონ საწვავი უფრო იოლი მუშაობით, გააჭიანურონ გაზაფხულზე მინდვრის სამუშაოთა დაწყება, რომ საწვავი არ გადახარჯონ. ეს კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს კოლმეურნეობებში. ამიტომ დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია, რომ ტრაქტორისტებს საგარანტიო მინიმუმი ნატურით მიეცეთ იმის მიხედვით, თუ როგორ შესრულდება მოსავლიანობის გეგმა, და მოსავლიანობის გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, საგარანტიო ანაზღაურება ნატურით მცირდება ორ კილოგრამამდე ბრომადღეზე.

გარდა ამისა, საჭიროა ლიკვიდირებულ იქნას საწვავის ეკონომიისათვის ტრაქტორისტების დაჯილდოების არასწორი პრაქტიკა, როცა ეს ეკონომია ცუდად შესრულებულ სატრაქტორო სამუშაოთა შედეგად გამოდის. საწვავის ასეთი ეკონომია არათუ არავისთვის საჭირო არ არის, არამედ მავნეც არის, და ამიტომ მტს-ების დირექტორებს უნდა დავავალოთ არ მისცენ ტრაქტორისტებს პრემია საწვავის ეკონომიისათვის იმ შემთხვევაში, როცა იმ კოლმეურნეობაში, რომელსაც მომსახურებას უწევს მტს-ი, მიღებულია გეგმით გათვალისწინებულზე დაბალი მოსავლიანობა.

მტს-ების მუშაობის მესამე ნაკლია კოლმეურნეობებსა და მტს-ებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის დაუცველობა. ზოგიერთი მტს-ი სრულებით აღარ სდებს ხელშეკრულებებს კოლმეურნეობებთან, სხვები ხელშეკრულებებს სდებენ დიდი დაგვიანებით და მხოლოდ ფორმისათვის. დადებულ ხელშეკრულებებს კი არ ასრულებენ. აი რამდენიმე მაგალითი: სახელმწიფო კონტროლის სამინისტრომ შეამოწმა ომსკის, როსტოვის, სარატოვის, ჩკალოვის ოლქების და უკრაინის 69 მტს-ის მუშაობა. შემოწმების მასალებით გამოირკვა, რომ ამ მტს-ების მომსახურების კოლმეურნეობათა 13 პროცენტს სრულებით არა აქვს ხელშეკრულება მტს-თან, 71 პროცენტი ხელშეკრულებებისა დადებულია 2-დან 9 თვემდე დაგვიანებით.

კოლმეურნეობებსა და მტს-ებს შორის ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკა სავსებით უნდა იქნას აღდგენილი, ხოლო ჩვენი აღგილობრივი ორგანიზაციები ვალდებული არიან უზრუნველჰყონ უსასტიკესი კონტროლი ხელშეკრულებათა დაცვისადმი, რათა მინდვრის სამუშაოთა შესრულებისას არ ხდებოდეს როგორც კოლმეურნეობის, ისე მტს-ის ნაკლოვანებათა ურთიერთ დაფარვა.

მეოთხე ნაკლია მანქანების ცუდი რემონტი და რემონტის არადროულად ჩატარება. ეს განსაკუთრებით ეხება კომბაინებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რომლებიც, როგორც წესი, თითქმის სანახევროდ შეუკეთებელი რჩება მინდვრის სამუშაოთა დაწყებისათვის. ამავე დროს კი აუცილებელია, რომ ყველა სასოფლო-სამეურნეო მანქანამ და ტრაქტორმა რემონტი გაიაროს ზამთრის პერიოდის განმავლობაში, და რომ გაზაფხულზე მტს-ები მთლიანად ჩაებან მინდვრის სამუშაოებში. რა თქმა უნდა, მტს-ებს ამ მხრივ სერიოზული დახმარება უნდა გაეწიოს. ბევრი მტს-ი ჩვენში ცუდად არის აღჭურვილი მოწყობილობით, აკლია დაზგები, სათადარიგო ნაწილები. დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია მტს-ებისათვის სერიოზული დახმარების გაწევა —

განზრახულია გამოიყოს 25 ათასი დაზგა, 10 ათასი ავტომოძრავი სახელოსნო, მტს-ებთან აშენდეს ბევრი სახელოსნო.

საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი ნაკლი—ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის გაუპიროვნება ტრაქტორზე მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით მუშაობისას. თუ ტრაქტორზე მუდმივი ადამიანები არიან, მისაბმელ მანქანებზე, რომლებზეც მუშაობის დროსაც საჭიროა უნარიანი მოვლა და რაზედაც დამოკიდებულია მინდვრის სამუშაოთა ხარისხი, მომუშავენი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში რამდენჯერმე იცვლებიან. მიზანშეწონილი იქნება, რომ ტრაქტორის მისაბმელ მანქანებზე სამუშაოდ გამოყოფილი კოლმეურნენი მიმაგრებულ იქნან ამ საქმეზე მინდვრის სამუშაოთა მთელ პერიოდში და ამრიგად ამ ხნის განმავლობაში ჩაირიცხონ სატრაქტორო ბრიგადების შემადგენლობაში.

მტს-ების მუშაობაში არსებულ ყველა ამ და სხვა ნაკლოვანებათა აღმოფხვრა აუცილებლად მალე იჩენს თავს მინდვრის სამუშაოთა ხარისხითა და დროულად შესრულებით და, მაშასადამე, კოლმეურნეობათა მინდვრებზე მოსავლიანობის გადიდებითაც.

## V

## საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შესახებ

ცნობილია, რომ საბჭოთა მეურნეობები ჩვენში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ და ასრულებენ სოფლის მეურნეობაში ჯერ-ერთი, როგორც მაღალსასაქონლო, სახელმწიფო მეურნეობა, რომელსაც საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა აქვს მარცვლეული და ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში. მაგალითად, 1940 წელს საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 200 მილიონ ფუთამდე მარცვლეული, 270 ათასი ტონა ხორცი, 900 ათას ტონამდე რძე და 15 ათასი ტონა მატყლი. მეორე მხრივ, საბჭოთა მეურნეობები დიდ როლს ასრულებენ ჯიშიანი პირუტყვის მოშენებაში კოლმეურნეობათა პირუტყვის ჯიშიანობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე საჯიშე სათესლე მასალის წარმოებაში.

ომის დროს საბჭოთა მეურნეობებში ნათესი ფართობებისა და პირუტყვის სულადობის შემცირება მოხდა და საქმე ეხება იმას, რომ უახლოეს წლებში უზრუნველვყოთ საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სერიოზული აღმავლობა.

ხუთწლიანი გეგმით დასახულია საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობი 1950 წელს აყვანილ იქნას 10 მილიონ ჰექტარამდე და უკვე 1949 წელს სავსებით აღდგენილ უნდა იქნას მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის სულადობა.

საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში დიდი ნაკლოვანებებია, რაც ხელს უშლის საბჭოთა მეურნეობების წარმატებით განვითარებას, ამ ნაკლოვანებებზეა ლაპარაკი დადგენილების პროექტში. მე მხოლოდ ორ ძირითად ნაკლზე შევჩერდები.

ჯერ-ერთი, ისეთ დიდ ნაკლზე, როგორიცაა საბჭოთა მეურნეობებში მეურნეობის მხოლოდ ერთი დარგის უპირატესი განვითარება. როგორც ცნობილია, საბჭოთა მეურნეობები იყოფა მეცხოველეობის, მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებად.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ პარტიის XVII ყრილობაზე ამბობდა იმ დიდი ნაკლის შესახებ, რომ ჩვენი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობები მეტის-

მეტად მსხვილია, მეტისმეტად სპეციალიზებულია და თავიანთ შემადგენლობაში მეცხოველეობა არ მოეპოვებათ.

ამის შემდეგ ზოგი რამ გაკეთდა, მაგრამ მაინც ძირითადად საბჭოთა მეურნეობების მიმართულება კვლავ ცალმხრივია, ამავე დროს კი ცხადია, რომ არ შეიძლება სოფლის მეურნეობა ვაწარმოოთ როგორც ცალმხრივი მეურნეობა, ეს ეკონომიურად არახელსაყრელია, მთელი რესურსების, მიწის, მუშახელის გამოყენების თვალსაზრისით. აი ავიღოთ თუნდაც მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობები. მათ აქვთ 8,5 მილიონი ჰექტარი მიწის ფართობი და მხოლოდ 2,5 მილიონი ჰექტარი ნათესი ფართობი, პირუტყვი კი მხოლოდ 640 ათასი სული ჰყავთ. როგორც ხედავთ, გამოუყენებელი მიწა მათ ძალიან ბევრი აქვთ, პირუტყვი კი ძალიან ცოტა ჰყავთ, 10 ჰექტარ ფართობზე 1 სულზე ნაკლები, ამის შედეგად უამრავი საძოვრები, სათიბი მიწები ფუჭად ცდება.

მუშახელის გამოყენების თვალსაზრისითაც — გაზაფხულის და ზაფხულის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში საბჭოთა მეურნეობებს ბევრი მუშახელი ესაჭიროებათ, ზამთარში კი ეს მუშახელი გამოუყენებელი რჩება. გამოდის რაღაც სეზონური მეურნეობა. ეს საბჭოთა მეურნეობებში მუდმივი კადრების შექმნასაც უშლის ხელს.

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებზე სხვა რამ უნდა ითქვას, რომ იქ ძალიან ნაკლებად არის განვითარებული მარცვლეული და სხვა კულტურების ნათესი. ამავე დროს კი განვითარებული მემინდვრეობის არსებობა დამარეგებითს რესურსებს შეუქმნიდა საბჭოთა მეურნეობებს მეცხოველეობის განვითარებაში.

მაგალითისათვის მოვიყვან ორ საბჭოთა მეურნეობას, რათა ცხადყო საბჭოთა მეურნეობების მეურნეობაში ვიწრო სპეციალიზაციის არახელსაყრელობა.

აი კრასნოდარის მხარის ორ მარცვლეულ საბჭოთა მეურნეობას — „ყუბანსა" და „კრაპოტკინსკის" მიწის ერთნაირი ფართობი აქვს, თვითეულს 18 ათას ჰექტარამდე. საბჭოთა მეურნეობა „ყუბანი" მრავალ დარგიანი მეურნეობაა და განვითარებული მეცხოველეობა აქვს, ხოლო საბჭოთა მეურნეობა „კრაპოტკინსკი" ვიწრო სპეციალიზებული, მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაა. პირველში 6 ათასი სული პირუტყვია, მეორეში კი მხოლოდ 620 სული. 1945 წელს საბჭოთა მეურნეობა „ყუბანმა" მემინდვრეობისა და მეცხოველეობისაგან 2 მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღო, ხოლო საბჭოთა მეურნეობა „კრაპოტკინსკიმ" მხოლოდ 700 ათასი მანეთი.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი საბჭოთა მეურნეობები უნდა განვითარდეს არა მეურნეობის ცალმხრივი წარმოების მიმართულებით, არამედ როგორც მეცხოველეობისა და მემინდვრეობის კომბინირებული მეურნეობანი.

მეორე დიდი ნაკლი, რომელიც სერიოზულად უშლის ხელს საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის აღმავლობას, არის მუდმივი კადრების ნაკლებობა, მათი დენადობა. ხალხი სამუშაოზე არ რჩება: ხან მოდიან, ხან მიდიან. უმუდმივკადრებოდ კი საბჭოთა მეურნეობების რთული მეურნეობის წარმატებით წარმოება არ შეიძლება. როგორ შევქმნათ ეს მუდმივი კადრები?

დადგენილების პროექტით დასახულია საბჭოთა მეურნეობების მუშების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის დახმარების საკმაოდ სერიოზული ღონისძიებანი, რათა მათ შეეძლოთ დარჩნენ სამუშაოდ საბჭოთა მეურნეობებში. მარცვლეულისა და მეცხოველეობის რაიონების საბჭოთა მეურნეობებში პირადი მეურნეობისათვის საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობა ამჟამად არსებული 0,15 ჰექტარის ნაცვლად 0,5 ჰექტარამდე დიდდება, დასახულია

საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისათვის კრედიტის გამოყოფა საკუთარი სახლების ასაგებად.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ საბჭოთა მეურნეობების ვიწრო სპეციალიზაციის არასწორი სისტემის ლიკვიდაცია და მუდმივი საკუთარი კადრების შექმნა უზრუნველჰყოფს საბჭოთა მეურნეობების მეურნეობის სწრაფ აღმავლობას.

## VI

## კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების საკითხების შესახებ

უწინარეს ყოვლისა ასეთ საკითხებს ეკუთვნის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების იმ სერიოზულ დარღვევათა ბოლომდე გამოსწორება, რომლებიც გამოააშკარავა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილებამ.

მთავრობასთან არსებულ კოლმეურნეობების საქმეთა საბჭოში განხილულ იქნა როგორც მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, ისე ცალკეულ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში ამ დადგენილების გატარების წინასწარი შედეგები.

მოვიყვან ზოგიერთ ცნობას. 222 ათასი კოლმეურნეობიდან 1947 წლის პირველ იანვრისათვის საზოგადოებრივი მიწები და საკარმიდამო ნაკვეთები აზომილია 198 ათას კოლმეურნეობაში, გამორკვეულია საკოლმეურნეო მიწების დატაცების 2.255 ათასი შემთხვევა. კოლმეურნეობებს დაუბრუნდა 4,7 მილიონი ჰექტარი საზოგადოებრივი მიწა, მათ შორის სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან — 4 მილიონი ჰექტარი, კოლმეურნეთაგან — 521 ათასი ჰექტარი და სხვა პირთაგან—177 ათასი ჰექტარი.

შემცირებულია კოლმეურნეობათა აღმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის ზედმეტი შტატები 456 ათასი კაცით და, გარდა ამისა, შრომადღეებით ანაზღაურებისაგან მოხსნილია 182 ათასი კაცი, რომელთაც კოლმეურნეობებთან დამოკიდებულება არა აქვთ. გამოვლინებულ იქნა და კოლმეურნეობებს დაუბრუნდა უკანონოდ წაყვანილი 140 ათასი სული პირუტყვი და 15 მილიონ მანეთამდე ფულადი სახსრები. საკოლმეურნეო მიწისა და ქონების დატაცებაში დამნაშავენი სათანადოდ დაისაჯნენ.

ეს ცნობები ერთის მხრივ მოწმობენ იმას, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების შემდეგ ადგილებზე გაწეულია დიდი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა გამოსასწორებლად, ხოლო მეორე მხრივ ეს ცნობები მოწმობენ იმას, რომ ადგილებზე დაშვებულ იქნა სერიოზული დამახინჯებანი კოლმეურნეობათა მიმართ.

უნდა ვთქვა, რომ როგორც კი მიღებულ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, ჩვენი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უმეტესობა სერიოზულად მოეკიდა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეს. მაგრამ ანგარიშებისა და ჩატარებული შემოწმების საფუძველზე შე-

იძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ოლქი მაინც არადამაკმაყოფილებლად ახორციელებს ამ დადგენილებას. ცუდად არის ჩატარებული კოლმეურნეობებისათვის მიწის დაბრუნება ომსკის, კემეროვოს და ვინიცის ოლქებში, სადაც კოლმეურნეობათა ერთ მეოთხედში მიწები არც კი აუზომავთ; არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალის შემცირება ტულის, ბრიანსკის, ტომსკის ოლქების კოლმეურნეობებში; კოლმეურნეობებისათვის ქონების დაბრუნების მხრივ ჯერ კიდევ ცუდად მიმდინარეობს საქმე ივანოვოს ოლქში, კრასნოიარსკის მხარესა და უზბეკეთის ზოგიერთ ოლქში.

როგორ მოხდა, რომ, სასტიკ გაფრთხილებათა მიუხედავად, რაც გაკეთებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1939 წელს, ეს დამახინჯებანი განმეორდა?

ამხანაგი სტალინი სოფლად მუშაობის საკითხზე ჯერ კიდევ 1933 წელს ამბობდა, რომ „გადასვლა კოლექტიურ მეურნეობაზე, როგორც მეურნეობის გაბატონებულ ფორმაზე, კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს ჩვენს ზრუნვას სოფლის მეურნეობის მიმართ, კი არ ამცირებს, არამედ ადიდებს კომუნისტების ხელმძღვანელ როლს სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში“, და რომ პარტიამ „ახლა თავის ხელში უნდა აიღოს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა, იკისროს პასუხისმგებლობა მუშაობისათვის და დაეხმაროს კოლმეურნეებს წინ წასწიონ თავისი მეურნეობა“, „რომ პარტიამ კი არ უნდა შეასუსტოს, არამედ უნდა გააძლიეროს თავისი კავშირი კოლმეურნეობებთან, რომ მან უნდა იცოდეს ყველაფერი, რაც ხდება კოლმეურნეობებში, რათა თავის დროზე გაუწიოს დახმარება და თავიდან ააცილოს კოლმეურნეობებს მოსალოდნელი საფრთხე“.

ეტყობა, ბევრმა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ დაივიწყა ეს გაფრთხილებანი და კოლმეურნეობების ხელმძღვანელობის მხრივ თავისი მოვალეობანი, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის პოლიტიკიდან, დაივიწყა თავისი მთავარი ამოცანა — განამტკიცოს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა. ამის შედეგად ბევრი ჩვენი პარტიული ორგანიზაცია კვლავ დაღგა კოლმეურნეობების მიმართ სერიოზულ დამახინჯებათა და დარღვევათა ფაქტის წინაშე.

მაშასადამე, ახლა საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ბოლომდე მივიყვანოთ ნაკლოვანებათა გამოსწორება, არამედ ისიც, რომ წინასწარაც უშიშარვყოთ ჩვენი თავი ამ ნაკლოვანებათა განმეორებისაგან; ამის მიღწევა კი შეიძლება მხოლოდ პარტიის პოლიტიკის ყოველდღიური, სწორი გატარებით და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებით.

მეორე დიდმნიშვნელოვანი საკითხია კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და შრომადღეების განაწილების საქმეში ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მიღების დღიდან 12 წელი გავიდა. მას შემდეგ ჩვენი კოლმეურნეობები შორს წავიდნენ წინ. მდიდარი გამოცდილება შეიძინეს და ზოგი რამ უნდა განახლდეს და გაუმჯობესდეს.

კოლმეურნეობების პრაქტიკაში შრომადღეების ანაზღაურებასა და განაწილებაში გათანაბრების არსებობა, მოძველებული და შემცირებული გამომუშავების ნორმების არსებობა, რაც იწვევს შრომადღეების ფლანგვას, ყოვე-

ლივე ეს სერიოზულად აფერხებს კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებას და კოლმეურნეობათა შემდგომ განმტკიცებას. კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილებაში გათანაბრების ფესვები იმ არასწორ პრაქტიკაში მარხია, რომ შრომადღეების დარიცხვა ხდება არა იმის მიხედვით, თუ რა მოსავალია მიღებული ბრიგადებსა და რგოლებში.

ხდება ხოლმე, და ძალიან ხშირადაც, რომ ბრიგადამ ან რგოლმა ბევრი შრომადღე დახარჯა, მაგრამ ცუდი მოსავალი მოიყვანა იმის გამო, რომ მინდვრის სამუშაოები ცუდად იყო მოწყობილი, არაკეთილხარისხოვნად ან დაგვიანებით იყო შესრულებული, ხოლო მეორე ბრიგადა ან რგოლი შრომადღეებს მომჭირნედ ხარჯავდა, მინდვრის სამუშაოები უფრო გულმოდგინედ შეასრულა და თავისი მუშაობით კარგი მოსავალი მისცა კოლმეურნეობას. მაგრამ, დარიცხული შრომადღეების მიხედვით შემოსავლის განაწილების არსებული წესის გამო, იმ ბრიგადებს ან რგოლებს, რომლებიც ცუდად მუშაობდნენ, მაგრამ ბევრი შრომადღე დახარჯეს, შეუძლიათ მეტი შემოსავალი მიიღონ კოლმეურნეობისაგან, ვიდრე იმ ბრიგადებმა ან რგოლებმა, რომლებიც შრომადღეებს მომჭირნედ ხარჯავდნენ და თავიანთი შრომით უკეთესი შედეგი მოგვცეს.

განმარტებისათვის შემიძლია დავიმოწმო ორი მაგალითი, რომლებიც მოყვანილია ამხანაგ დორონინისა და ამხანაგ იუსუპოვის ჩანაწერებში—ერთი მაგალითი მარცვლეულის, მეორე კი ტექნიკური კულტურების დარგში.

კურსკის ოლქის კოლმეურნეობა „კრასნაია ზარიას“ ერთ-ერთი ბრიგადის ორ რგოლში შრომისუნარიანთა თანაბარი რაოდენობა და თანაბარი ნათესი ფართობია. ბურიაჩენკოს რგოლმა ჰექტარზე 8 ცენტნერი მარცვლეულის მოსავალი მიიღო, გამოიმუშავა 2.200 შრომადღე, რუდენკოს რგოლმა ჰექტარზე 3,4 ცენტნერი მოსავალი მიიღო, ხოლო შრომადღე 2.300 გამოიმუშავა. მაგრამ რუდენკოს რგოლმა, რომელმაც უფრო ცუდად იმუშავა და ერთიორად ნაკლები მოსავალი აიღო, კოლმეურნეობისაგან მეტი პური მიიღო, რადგან მეტი შრომადღე გამოიმუშავა. მეორე მაგალითი. ტაშკენტის ოლქის კოლმეურნეობა „ყზილ-ტულკუნში“ ბეგიმკულოვის რგოლმა 1945 წელს ჰექტარზე 28 ცენტნერი ბამბა აიღო, მეორე რგოლმა — კულდაშევისამ თვითეულ ჰექტარზე 15 ცენტნერი მოსავალი მოიყვანა, ხოლო ორივე რგოლმა თანაბარი ფულადი ანაზღაურება მიიღო, კულდაშევის რგოლმა კი, რომელმაც ნაკლები მოსავალი აიღო, შრომადღეებზე მეტი მარცვლეულიც კი მიიღო, რადგან ამ რგოლს მეტი შრომადღეები აქვს დარიცხული.

რასაკვირველია, ეს სამართლიანი არ არის. ამიტომ საჭიროა ისეთი წესები გამოვიყენოთ შრომადღეებისა და შემოსავლის განაწილებაში, რომლებიც წაახალისებენ კარგად მომუშავე კოლმეურნეებს და აღმოფხვრიან მათი შრომის ანაზღაურებისადმი უსამართლო დამოკიდებულებას. ცხადია, რომ ბრიგადებს შორის, ხოლო ბრიგადებში — რგოლებსა და კოლმეურნეებს შორის შრომადღეებისა და შემოსავლის განაწილება რამდენადმე დამოკიდებული უნდა გავხადოთ მიღებულ მოსავალზე.

გათანაბრების აღმოფხვრა და გამომუშავების ნორმების გაუმჯობესება აუცილებლად შეუწყობს ხელს კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების შემდგომ აღმავლობას.

მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შემოღებამ გაუმჯობესება შეიტანა კოლმეურნეთა დაინტერესებულობაში, მაგრამ ვერ გადასწყვიტა ძირითადი ამოცანა — გათანაბრების ლიკვიდაცია შრომადღეების ძირითად ანაზღაურებასა და განაწილებაში.

სხვადასხვა ოლქებში კოლმეურნეობები და ადგილობრივი ორგანიზაციები ზომებს იღებენ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების წესების გასაუმჯობესებლად, და ეს მაშინვე ახდენს გავლენას ამ კოლმეურნეობათა სამეურნეო შედეგებზე.

კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების საკითხებზე ჩვენ უკვე გვაქვს წინადადებანი უკრაინის, კურსკის, გორკის ოლქების, უზბეკეთის მხრივ. კოლმეურნეობების საქმეთა საბჭო მთელი რიგი კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა მონაწილეობით, იხილავს ამ წინადადებებს, რათა უახლოეს ხანში შეიტანოს მთავრობაში თავისი სათანადო წინადადებანი.

## VII

## სოფლის მეურნეობის კადრების შესახებ

სოფლის მეურნეობის უსწრაფესი აღმავლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, რასაკვირველია, სოფლის მეურნეობის კადრების განმტკიცების საკითხი. ცნობილია, რომ ომის დროს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა რამდენადმე შეიცვალა და კადრების ერთგვარი შესუსტება მოხდა.

რა ამოცანები დგას სოფლის მეურნეობისათვის საჭირო კადრების მხრივ?

მტს-ების მხრივ დგას მტს-ების დირექტორთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. ჩვენში საკმაოდ ბევრი გამოიზარდა გამოცდილი პრაქტიკოსი —მტს-ის დირექტორი, მაგრამ აშკარად საგრძნობია მტს-ების ხელმძღვანელთა ტექნიკური და აგრონომიული ცოდნის ნაკლებობა. მტს-ების დირექტორთა შემადგენლობაში აგრონომები მხოლოდ 13 პროცენტია, ინჟინრები და ტექნიკოსები—5 პროცენტი, ხოლო დირექტორთა 82 პროცენტს სასოფლო-სამეურნეო განათლება არა აქვს; მტს-ების აგრონომთა საერთო რაოდენობიდან უმაღლესი განათლება აქვს 2.300 კაცს, საშუალო—9 ათასს, 9.800 კაცი კი, რომელთაც აგრონომის თანამდებობა უკავიათ, მხოლოდ პრაქტიკოსებია, რომელთაც მიღებული აქვთ მოკლევადიანი მომზადება. გარდა ამისა, მტს-ებში აგრონომთა, მექანიკოსთა და ინჟინერთა შემადგენლობა დაუკომპლექტებელია.

აქედან სჩანს, რომ ჯერ-ერთი, ჩვენი მტს-ების ხელმძღვანელი კადრები აღჭურვილი არ არიან საკმაო ცოდნით და, მეორეც, პირდაპირ კადრების ნაკლებობაა. ცხადია საკითხი ისე როდი დგას, რომ პრაქტიკოსები ავტომატურად შეიცვალონ ცოდნით აღჭურვილი ადამიანებით, რადგან, ჯერ-ერთი, ასეთი ადამიანები საკმაო რაოდენობით არა გვყავს, ხოლო მეორეც, მიზანშეუწონელი იქნებოდა მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსების შეცვლა, მათ უნდა დავეხმაროთ, რათა ცოდნა შეიძინონ გადამზადებით, რაც საფუძვლიანად უნდა მოაწყოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

**კოლმეურნეობათა კადრების შესახებ.** ომის დროს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შემადგენლობაც მნიშვნელოვნად განახლდა. ეს სჩანს შემდეგი ცნობებიდან: ერთ წლამდე სტაჟის მქონე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები შეადგენენ 38 პროცენტს, ერთიდან სამ წლამდე სტაჟის მქონე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები—34 პროცენტს და სამი წლისა და უფრო მეტი ხნის სტაჟის თავმჯდომარეები—28 პროცენტს. კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა შორის ჩვენში ჯერ კიდევ ცოტაა სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე ადამიანი, რთული, დიდი საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელობა კი ძნელი საქმეა.

ცხადია, რომ, მიუხედავად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შემადგენლობაში დაბალი განათლების მქონე ადამიანთა მეტი რაოდენობისა, ამ ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება აქვს, მათ უნდა დავეხმაროთ მიიღონ სასოფლო-სამეურნეო ცოდნა გადამზადების გზით.

მტკიცება არ ესაჭიროება იმას, რომ, როგორც წესი, სადაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ერთსა და იმავე დროს გამოცდილებაც მოეპოვება და სასოფლო-სამეურნეო ცოდნაც, საქმე გაცილებით უკეთ მიდის და ეს კოლმეურნეობები, როგორც წესი, მოწინავე კოლმეურნეობები არიან. მაშასადამე, უნდა მოეწყოს კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა, აგრეთვე ბრიგადირთა, ფერმების გამგეთა და მოანგარიშეთა კადრების სერიოზული მომზადება და გადამზადება.

ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ოლქებში ეწყობოდა კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა კურსები, სადაც სწავლა ერთიდან ორ თვემდე სწარმოებდა. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კადრების გადამზადების ასეთი მოკლევადიანი სისტემა მცირე შედეგს იძლევა. დადგენილების პროექტში დასახულია ერთწლიანი და ორწლიანი სკოლების მოწყობა ხელმძღვანელ საკოლმეურნეო მუშაკთა გადასამზადებლად.

**აგრონომების შესახებ.** ჩვენ მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობათა აგრონომიული მომსახურება, ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა ითქვას აგრონომებზე, მათს გამოყენებასა და მომზადებაზე. აქ ჩვენ დიდი ნაკლოვანებანი გვაქვს.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების საერთო ნაკლებობასთან ერთად, ისინი ჩვენში არასწორად არიან გამოყენებული—არა იქ, სადაც საჭიროა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობებით, უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე 46 ათასი აგრონომიდან კოლმეურნეობებში მუშაობს 5 ათასი აგრონომი, მტს-ებში—11 ათასი, უბნის აგრონომის თანამდებობაზე—2 ათასი, სასელექციო და საცდელ სადგურებში—3,7 ათასი აგრონომი. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ უშუალოდ წარმოებაში მუშაობს აგრონომთა ნახევარზე ნაკლები, ნახევარზე მეტი კი თავმოყრილია აპარატში.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობების აგრონომიულ მომსახურებაში პირდაპირ გაუპიროვნებაა. დებულების მიხედვით უნდა არსებობდეს აგრონომიული უბნები, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ კოლმეურნეობათა მცირე ჯგუფებს—4-5 კოლმეურნეობას; უბნებში მუდმივად უნდა იმყოფებოდნენ აგრონომები, რომლებიც პასუხს აგებენ კოლმეურნეობათა ამათუიმ ჯგუფში

აგროტექნიკის მდგომარეობისათვის, თესლბრუნვის მხრივ სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხარისხისათვის. ნამდვილად კი ეს არ არის. მტს-ებისა და რაიმიწგანების ეგრეთწოდებული უბნის აგრონომები იმყოფებიან რაიონულ ცენტრებში ანდა მტს-თან. მათზე ფაქტიურად მიმაგრებული არ არიან გარკვეული კოლმეურნეობები. არამედ ისინი დავალებით დადიან, სადაც მოხვდებათ და ისეთ პირობებში არიან ჩაყენებულნი, რომ არაფრისათვის პასუხს არ აგებენ. საჭიროა ბოლო მოეღოს გაუპიროვნების ამ პრაქტიკას კოლმეურნეობების აგრონომიულ მომსახურებაში და ნამდვილად მოეწყოს აგრონომიული უბნები. რისთვისაც აგრონომთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადაყვანილ იქნას მტს-ებისა და სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა უბნებზე და კარგი იქნება აგრონომებს მივცემდეთ დიდ კოლმეურნეობებს.

შემდეგი დიდი ნაკლია ის, რომ არ არსებობს უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა წარმოებაში გაგზავნის სწორი სისტემა. ამიტომ ადამიანები იფანტებიან, საითაც მოხვდებათ და მეტწილად ცდილობენ აპარატებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში მოეწყონ. სპეციალისტების არასწორ განაწილებასა და გამოყენებას ხელს უწყობს მათი შრომის ანაზღაურების არასწორი სისტემაც—რაც უფრო ახლო არიან წარმოებასთან, მით უფრო ნაკლებ საზღაურს იღებენ. მაგალითად, მტს-ის უბნის აგრონომი, უმაღლესი განათლების მქონე, 500-დან 650 მანეთამდე ხელფასს იღებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის რიგითი აგრონომი კი 800-დან 1.000 მანეთამდე.

ამხანაგმა სტალინმა პლენუმისათვის, სოფლის მეურნეობის საკითხების განხილვისას წინადადება წამოაყენა შრომის ანაზღაურების საქმე ისე მოვაწყოთ, რომ სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ არა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, არამედ აპარატში, 25 პროცენტით ნაკლებ ხელფასს იღებდნენ, ვიდრე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში მომუშავე შესაბამისი მუშაკები. ეს სწორია და, რასაკვირველია, შეჰქმნის სპეციალისტების მისწრაფებას წარმოებისაკენ.

მეორე მხრივ, შემოღებულ იქნება უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულ პირთა სტაჟის გავლის წესი, რომლის მიხედვითაც ისინი იგზავნებიან მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, უბნებში და ერთ წელიწადს მუშაობენ უმცროსი აგრონომის თანამდებობაზე, რათა საჭირო პრაქტიკული გამოცდილება შეიძინონ. ესეც შეუნარჩუნებს სპეციალისტებს წარმოებას.

საჭიროა კიდევ აღინიშნოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების არასაკმაო მოცულობა. სულ ჩვენში 88 უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში 59 ათასი სტუდენტი სწავლობს, მათ შორის 25 ათასი მომავალი აგრონომი. 1946 წელს გამოშვებული იყო სოფლის მეურნეობის 4,6 ათასი სპეციალისტი, ხოლო აგრონომი 2,5 ათასი. 558 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში 140 ათასი სტუდენტი სწავლობს და 1946 წელს გამოშვებულ იქნა საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე 25 ათასი სპეციალისტი. აქ საქმის ვითარება რამდენადმე უკეთესია. მაგრამ ეს ძალიან ცოტაა, ჩვენ ხომ ბევრი აგრონომი გვესაჭიროება, საერთოდ პერსპექტივაში

ჩვენ იქითკენ უნდა მივისწრაფოდეთ, რომ კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის სათავეში იდგეს განათლებული ადამიანი, რომელსაც თუ უმაღლესი არა, საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლება მაინც ჰქონდეს მიღებული. ამ მხრივ სოფლის მეურნეობა ძლიერ ჩამორჩა მრეწველობას. ახლა ძალიან იშვიათად შეხვდება კაცი თუნდაც პატარა ქარხანას, რომლის სათავეში ინჟინერი არ იდგეს. მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადების მოცულობა საკმარისი არ არის და საჭიროა მისი გადიდება.

დადგენილების პროექტში ჩაწერილია, როგორც ერთ-ერთი ღონისძიება —საშუალო განათლების მქონე აგრონომთა მომზადების გადიდება, თვითეულ ოლქში სამწლიანი აგრონომიული სკოლების მოწყობის გზით.

უნდა აღინიშნოს, როგორც სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სასწავლო მომზადების სერიოზული ნაკლი, ის, რომ ახალგაზრდა აგრონომები საკმაო ცოდნას ვერ იღებენ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ორგანიზაციის საკითხებში, ცუდად იცნობენ ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ხოლო თანამედროვე აგრონომი ძველი ტიპის კულტუროსან-მრჩეველი კი არ არის, არამედ ორგანიზატორია და მას მუდამ საქმე აქვს მეურნეობის ორგანიზაციის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებთან. ამიტომ საჭიროა სერიოზულად შევასწოროთ სასწავლო პროგრამები, გვქონდეს სახელმძღვანელოები შრომის ორგანიზაციის, მექანიზაციის დარგში და სათანადოდ მოვაწყოთ საწარმოო პრაქტიკა ჩვენს მსხვილ მეურნეობებში: კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

## VIII

## დამზადებათა საკითხების შესახებ

დადგენილების პროექტში დამოუკიდებელ თავად არის შეტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა საკითხი. რატომ წამოიჭრა ეს საკითხი?

ცნობილია, რომ 1940 წლამდე ჩვენში არსებობდა პრინციპი, კოლმეურნეობების მიერ სავალდებულო ჩაბარებისა ნათესი ფართობების მიხედვით—ვემინდვრეობის პროდუქტების დამზადებისას და პირუტყვის სულადობის მიხედვით—მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისას.

1940 წელს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღიარებულ იქნა, რომ ეს პრინციპი აღარ შეეფერება არც კოლმეურნეობათა განვითარების ინტერესებს და არც სახელმწიფოს ინტერესებს და ამიტომ გაუქმებულ იქნა. შემოღებულ იქნა სავალდებულო ჩაბარებათა გამოანგარიშების ახალი კანონი ჰექტარი სახნავი მიწის მიხედვით — მემინდვრეობის პროდუქტების ჩაბარების დავალებათა მიცემისას და კოლმეურნეობებისათვის მიმაგრებული თვითეული ჰექტარი მიწის ფართობის მიხედვით—მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების დავალებათა მიცემისას.

რატომ იქნა გაუქმებული დამზადებათა ძველი კანონი? იმიტომ, რომ ივი ზღუდავდა კოლმეურნეობათა ნებისყოფას ნათესების გაფართოებასა და პირუტყვის სულადობის გადიდებაში, იმიტომ, რომ, რაც უფრო ადიდებდა კოლმეურნეობა ნათესსა და პირუტყვის სულადობას, მით უფრო მეტი მარცვლე-

ული და პირუტყვი უნდა ჩაებარებინა ჩაბარებათა ანგარიშში და პირიქით, რაც უფრო ნაკლებს სთესავდა და ნაკლებ პირუტყვს აშენებდა კოლმეურნეობა, მით უფრო ნაკლები უნდა ჩაებარებინა. ცხადია, რომ დამზადებათა ასეთი წესი აფერხებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას.

მემინდვრეობის პროდუქტების დარგში ჰექტარი სახნავის მიხედვით და მეცხოველეობის პროდუქტების დარგში ჰექტარი მიწის მიხედვით სავალდებულო ჩაბარებათა პრინციპის ძალა და პროგრესული ხასიათი ის არის, რომ იგი სტიმულს აძლევს კოლმეურნეობებს მათი საზოგადოებრივი მეურნეობის გაფართოებისათვის, სპობს ყოველგვარ შეზღუდვას, აინტერესებს კოლმეურნეობებს ახალი მიწების ათვისებით და პირუტყვის სულადობის გადიდებით.

სავალდებულო ჩაბარებათა ამ ახალ პრინციპში კარგად არის გაერთიანებული როგორც კოლმეურნეობათა ინტერესები, ისე სახელმწიფოს ინტერესები, და უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონის გამოყენების პირველსავე წელს —1940 წელს მისმა ამ პროგრესულმა მნიშვნელობამ მკაფიოდ იჩინა თავი.

კოლმეურნეობათა ნათესი ფართობი 1940 წლის განმავლობაში 3 მილიონი ჰექტარით გადიდდა და კოლმეურნეობებისაგან შემოვიდა 400 მილიონი ფუთით მეტი მარცვლეული, მათ შორის სავალდებულო ჩაბარებათა ხაზით 276 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე წინა 1939 წელს, ხოლო კოლმეურნეობების პირუტყვის საერთო სულადობა 1940 წლის განმავლობაში 12 მილიონი სულით გადიდდა.

მაშასადამე, აქედან გამომდინარეობს, რომ დამზადებათა წინანდელ პრინციპზე დაბრუნება კოლმეურნეობათა ინტერესებისა და სახელმწიფოს ინტერესების პირდაპირ საწინააღმდეგო იქნებოდა.

ამიტომ დადგენილების პროექტში სწორად არის ნათქვამი, რომ მხოლოდ საკოლმეურნეო წყობილების მოწინააღმდეგეებს, რომელთაც არ ესმით სახნავი მიწის თვითეული ჰექტარის მიხედვით სავალდებულო ჩაბარებათა გამოანგარიშების კანონის პროგრესული მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის, შეუძლიათ უკან ეწეოდნენ პარტიას ნათესი ფართობების მიხედვით ჩაბარებათა პოლიტიკისაკენ, რომელიც გაუქმებულია როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის შეუფერებელი.

1940 წელს მიღებული კანონი დამზადებათა შესახებ ინარჩუნებს მთელ თავის ძალასა და პროგრესულობას ომის შემდეგ შექმნილ პირობებშიც და უნდა დარჩეს, ხოლო მისი უარყოფის ყოველი ცდა დაგმობილ უნდა იქნას, ვინაიდან ყოველგვარი განწყობილება და მერყეობა შემოღებული კანონის გაღასინჯვისაკენ მავნეა და ძირს უთხრის პურის დამზადებათა საქმეს.

კოლმეურნეობებში და მრავალმიწიანი რაიონების ადგილობრივ მუშაკებში სხვა განწყობილებაც არის — შეამცირონ სახნავი მიწის ფართობი დავალებათა მისაცემად ანდა მრავალმიწიან კოლმეურნეობათა მიწის ნაწილი სახელმწიფო ფონდში გადარიცხონ. ესეც არასწორი განწყობილებაა, რასაც მივყევართ არა მიწების გამოყენების გაფართოებისა და ნათესი ფართობების გადიდებისაკენ, არამედ მათი შეზღუდვისაკენ.

ომისდროინდელ და ომისშემდგომ ვითარებასთან დაკავშირებით ერთგვარი სიძნელეები შეიქმნა ჩაბარებათა შესახებ არსებული კანონის გატარების მხრივ; ეს სიძნელეები იმაში მდგომარეობს, რომ მრავალმიწიანი რაიონების

კოლმეურნეობებში ნათესი ფართობი შემცირდა, იკლო ტრაქტორების რაოდენობამ მტს-ებში და ცოცხალმა გამწევმა ძალამ კოლმეურნეობებში, შემცირდა ადამიანთა რაოდენობა, რის შედეგადაც კოლმეურნეობათა ნაწილი მათზე მიმაგრებული მიწის დიდი რაოდენობით საძნელო მდგომარეობაში აღმოჩნდა სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებათა შესრულებაში იმის გამო, რომ ამ კოლმეურნეობებში მიწების ათვისება შემცირდა, დავალებათა მიცემის ნორმები კი წინანდელი დარჩა.

მეორე მხრივ, სავალდებულო ჩაბარებათა გეგმის შესრულებისთვისაც შეიქმნა მისი უზრუნველყოფის სიძნელეები. როგორ უნდა გადაწყდეს დამზადებათა ეს საკითხები თანამედროვე პირობებში?

უნდა გამოინახოს მრავალმიწიანი რაიონების კოლმეურნეობათა მიმართ ჩაბარებათა კანონის გამოყენების უფრო მოქნილი ფორმები. საქმე ეხება ისეთ მრავალმიწიან რაიონებსა, როგორიცაა ციმბირი, ყაზახეთის ჩრდილოეთი ოლქები, ვოლგისპირეთი. რაც შეეხება ცენტრალურ, სამხრეთ, დასავლეთ რაიონებსა და უკრაინას, სადაც კოლმეურნეობებში მეტი ხალხია, ეს საკითხები სხვანაირად დგას.

პლენუმის წინ სოფლის მეურნეობის საკითხების განხილვისას ამხანაგმა სტალინმა წინადადება წამოაყენა—გამოყენებულ იქნას სავალდებულო ჩაბარებათა სხვადასხვა ნორმები მრავალმიწიანი რაიონების კოლმეურნეობებში და ნაცვლად ერთი ნორმის რაიონის კოლმეურნეობებისათვის, როგორც ეს ჩვენში დადგენილია კანონით, ვიქონიოთ რამდენიმე, რათა ამ სხვადასხვა ნორმებით მხედველობაში მივიღოთ განსხვავება კოლმეურნეობების მიერ მიწების ათვისებაში.

აქედან ის გამომდინარეობს, რომ მრავალმიწიან რაიონებში იმ კოლმეურნეობებისთვის, რომლებშიც მიწების ათვისება დაბალია და ხალხი ცოტაა, ნორმებიც უფრო დაბალი უნდა დაწესდეს, იმ კოლმეურნეობებისათვის კი, სადაც ხალხი და მიწების ათვისების საშუალებანი უფრო მეტია, უნდა დაწესდეს ჩაბარების უფრო მაღალი ნორმები.

რაც შეეხება იმ რაიონებს, სადაც კოლმეურნეობების მიერ მიწის ათვისება ხდება და სადაც მუშახელი საკმარისია, მათთვის ნორმები რამდენადმე უნდა გადიდდეს.

ასეთი მოქნილი სისტემა საგსებით ძალაში სტოვებს კანონს დამზადებათა შესახებ და გამოსავალს აძლევს მრავალმიწიან კოლმეურნეობებს, ამიტომ მთლიანად ამოსწურავს საკითხს ომისშემდგომ პირობებში კანონის გატარების სიძნელეთა შესახებ.

რამდენიმე სიტყვა იმ კოლმეურნეობებზე, რომლებსაც მომსახურებას არ უწევენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. პროექტი მათთვის ითვალისწინებს მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებათა ნორმების 25 პროცენტით გადიდებას ნაცვლად ამჟამად არსებული 15 პროცენტისა იმ კოლმეურნეობებისათვის დაწესებულ ნორმებთან შედარებით, რომლებსაც მომსახურებას უწევენ მტს-ები. ასეთი გადიდების აუცილებლობა იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებსაც მტს-ები არ უწევენ მომსახურებას, იქიდან გამომდინარეობს, რომ ერთი და იმავე რაიონის ფარგლებში კოლმეურნეობები, რომლებსაც მტს-ები არ უწევენ მომსახურებას, უფრო ხელსაყრელ პირობებში არიან, ფაქტიუ-

რად კოლმეურნეობები, რომლებსაც მტს-ები უწევენ მომსახურებას, საველეებულო ჩაბარებათა და ნატურანაზღაურებათა მიხედვით 40-50 პროცენტით მეტს აბარებენ, ვიდრე ის კოლმეურნეობები, რომლებსაც მტს-ები არ უწევენ მომსახურებას. ეს, რასაკვირველია, სამართლიანი არ არის იმ კოლმეურნეობათა მიმართ, რომლებსაც მტს-ები უწევენ მომსახურებას, სწორედ ამიტომ საჭიროა ნორმების შესწორება.

მინდა შევჩერდე დამზადებათა კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე—ეს არის საკითხი ხორბლისა და ჭვავის შვრიით, ქერითა და ფეტვით შეცვლის არსებული ეკვივალენტისა იმ შემთხვევებში, როცა მთავრობა ნებას რთავს, გამონაკლისის წესით, მიღებულ იქნას კოლმეურნეობებისაგან შვრია, ქერი ან ფეტვი სახელმწიფოსათვის ხორბლისა და ჭვავის ჩაბარების ვალდებულებათა ანგარიშში.

საქმე ის არის, რომ ჩვენში ხორბალი და ჭვავი არახელსაყრელ მდგომარეობაში ექცევა სხვა კულტურებით მათი შეცვლისას. ამჟამად ასეთი ეკვივალენტი მოქმედებს—1 ფუთი ხორბალი უდრის ფუთ ფეტვს, ფუთსა და 10 გირვანქა ქერსა და შვრიას. ასევეა ჭვავი—1 ფუთი ჭვავი უდრის ფუთ ფეტვს, ფუთსა და 7 გირვანქა ქერსა და შვრიას. ამიტომ ხშირად აბარებენ საფურაჟე კულტურებს სასურსათო კულტურების ანგარიშში, ჩვენ კი უნდა წავახალისოთ ხორბლისა და ჭვავის წარმოება და გავადიდოთ მათი დამზადება და შესაბამისად შევცვალოთ ხორბლისა და ჭვავის სხვა კულტურებით შეცვლის ეკვივალენტი.

ამხანაგებო! დამზადებათა საკითხს მუდამ და მით უმეტეს ახლა, სოფლის მეურნეობის ერთგვარი სიძნელეების პირობებში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობაში.

მარშან პარტიის ზოგიერთი საოლქო კომიტეტი და საოლქო აღმასკომი დამზადებათა გეგმის უზრუნველყოფის საქმეში თავის სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა და სერიოზული შეცდომები ჩაიდინა. ეს შეცდომები იმაში მდგომარეობდნენ, რომ პურის დამზადება გაჭიანურდა, პური ნელა იღებოდა, დაშვებული იყო მარცვლეულის დიდი დანაკარგი. ზოგიერთ ოლქში საქმე ისე იყო, რომ არადიფერენცირებული მიდგომის გამო ცალკეული რაიონები და კოლმეურნეობები საკუთარ გეგმაზე მეტად იყვნენ ყურადღებიდან, ცუდად ასრულებდნენ გეგმას, ანდა სრულიადაც არ მონაწილეობდნენ პურის დამზადებაში.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა 1947 წელს აუცილებლად შეასრულოს თვითეულმა რაიონმა, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, ხოლო მთელი მუშაობა დამზადებათა დარგში სერიოზულად უნდა გაუმჯობესდეს.

## IX

## სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ

ასეთია ჩვენი ამოცანები, რომლებიც დგას სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში. თავისთავად იგულისხმება, რომ მათი წარმატებით გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ყველაზე ძირითადი პირობის შესრულებით—სოფლის

მეურნეობისადმი როგორც სასოფლო-სამეურნეო სამინისტროებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების, ისე რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებსა და რაიონებში პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებით.

თქვენ ძალიან კარგად იცით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ორგანიზატორულ მუშაობას და სოფლის მეურნეობისა და კოლმეურნეობებისადმი სწორ ხელმძღვანელობას. ეს მუდამ შეიძლება დავინახოთ კონკრეტული მაგალითებით და ცალკეული ოლქების, რაიონების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშაობის შედეგებით, სადაც უზრუნველყოფილია სწორი ხელმძღვანელობა და სისტემატური ორგანიზატორული მუშაობა, იქ მუდამ, სოფლის მეურნეობის ყველა სიძნელეთა დროსაც კი სულ სხვა შედეგებს იღებენ გეგმის შესრულებაში.

იმისათვის, რომ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ მთელი ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი თავიდან ბოლომდე, საჭიროა ბოლო მოვუღოთ აგრ მხრივ არსებულ დიდ ნაკლოვანებებს.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ითქვას სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების მხრივ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებზე.

წინანდელი მიწსახკომისა და ცალცალკე სამინისტროთა დიდი ნაკლი იყო ოპერატიული ხელმძღვანელობის სისუსტე. საკითხები დაგვიანებით წყდებოდა, ინიციატივა ნაკლები იყო და თითქმის სრულებით არ ხდებოდა შესრულების შემოწმება — ბრძანება ბევრი იყო, ხოლო შემოწმება არა. ამას უნდა დაემატოს კიდევ ადგილობრივი სამიწათმოქმედო ორგანოების სისუსტე და უავტორიტეტობა.

სერიოზული ნაკლი ის იყო, რომ სამინისტროებში ბევრი იყო თავმოყრილი ყოველგვარი სამმართველო, განყოფილება და ხელმძღვანელობა დაქუცმაცებული იყო, რის შედეგადაც, მაგალითად, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მართვის საქმე დაქსაქსული იყო მიწათმოქმედების სამინისტროს მრავალ მთავარ სამმართველოში, რაც აძნელებდა მტს-ებისადმი ხელმძღვანელობას, მანქანების რემონტის წარმოების, მტს-ებისათვის კადრების შერჩევისა და მომზადების საქმეს. ავიღოთ უმნიშვნელოვანესი კულტურები, მაგალითად, მარცვლეული, ტექნიკური კულტურები — მათი ხელმძღვანელობა ერთ ხელში კი არ იყო თავმოყრილი, არამედ აგრეთვე დაქსაქსული იყო მრავალ სამმართველოში.

სამინისტროების გაერთიანებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურის შეცვლის შესახებ მიღებული დადგენილებით ეს ორგანიზაციული ნაკლოვანებანი აღმოფხვრილია. აშკარაა, სათანადო ცვლილებანი და გაუმჯობესება უნდა მოხდეს რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების სოფლის მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურაშიც, ხოლო ამავე დროს ისინი განმტკიცებულ უნდა იქნან, რასაც სერიოზულად უნდა შეუწყონ ხელი პარტიის საოლქო კომიტეტებმა.

უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების კიდევ ერთი ნაკლი. ესაა რაღაც გულგრილი დამოკიდებულება ყოველივე ახლისადმი. მაგალითად, კარგი, ახლად გამოყვანი-

ლი თესლი ხშირად ძალიან ნელა ინერგება წარმოებაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. თესლის ჯიშების გამოცდისა და მათი გამრავლების სისტემა ისეთია, რომ რომელიმე ახალი ჯიში მასობრივად რომ გავრცელდეს, სულ ცოტა 8-10 წელი გამოცდაში უნდა გაატაროს.

ჩვენ საკმაოდ დიდი მოწინავე გამოცდილება შევიძინეთ სხვადასხვა კულტურების აგროტექნიკაში, კოლმეურნეობათა შრომის ორგანიზაციაში, მეცხოველეობაში, მექანიზაციაში. ნაცვლად იმისა, რომ ყოველივე ეს სწრაფად ავითვისოდ და გავავრცელოთ, უფრო ფართო მასშტაბით გამოვიყენოთ, ყოველივე ამას ხშირად ვაჭიანურებთ, დაუსრულებლივ ვმსჯელობთ, რაღაც გაუბედაობას, სკეპტიციზმს ვიჩენთ.

ეს შეზღუდულობა და გაუბედაობა არა მარტო ცენტრალურ აპარატშია, არამედ ადგილებზეც, სამეცნიერო და საცდელ დაწესებულებებში. ადამიანები ათეულ წლობით მუშაობენ საცდელ სადგურებში, კარგ შედეგებს აღწევენ, ხოლო ამავე დროს ყოველივე ეს მნიშვნელოვანწილად მხოლოდ მოცემული საცდელი სადგურის ფარგლებში რჩება და ფართოდ არ ვრცელდება ახლო-მახლო რაიონებსა და კოლმეურნეობებში, რის შედეგადაც მრავალი ძვირფასი გამოცდილება გამოუყენებელი რჩება. მოწინავე გამოცდილების გავრცელება კი სოფლის მეურნეობის აღმავლობის უდიდეს წყაროს წარმოადგენს. მაშასადამე, საჭიროა ბოლო მოეღოს ამ ნაკლს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ორგანოების მხრივ ხელმძღვანელობაში.

შემდეგ სერიოზულ ნაკლს, რომელიც შეეხება როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ისე აღგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობასაც — წარმოადგენს დაგვიანება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მომზადებაში.

სოფლის მეურნეობა ისეთი საქმეა, რომ თუ მომზადება ხელიდან გაუშვი, მოსავალსაც დაჰკარგავ. სწორად რომ ვთქვათ, მოსავალი ერთი წლით ადრე მზადდება: თუ ანეული და მზრალი არ მოხანი, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსავლის ნაწილს დაჰკარგავ, თუ ზამთარში სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ტრაქტორები არ შეაკეთე, მაშასადამე, თესვასა და მოსავლის აღებას ჩაშლი, მაშასადამე, მოსავლის ნაწილსაც დაჰკარგავ; თუ ზაფხულში საკვები არ მოამზადე ზამთარში პირუტყვის სულადობას დაჰკარგავ.

ამხანაგებო! მე მეტად მარტივ ჭეშმარიტებებს ვამბობ, ამავე დროს კი, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ დაგვიანებით ჩვენ ძალიან, ძალიან ბევრს ვკარგავთ: მომზადებას დაგვიანებენ, შემდეგ კი იწყება ფაციფუცი, ყოველგვარი ნაჩქარევი ღონისძიებანი, რწმუნებულთა—ზოგჯერ საქმეს ნაკლებად გაცნობილ ადამიანთა გზავნა. სოფლის მეურნეობაში დროულ ხელმძღვანელობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად, ვიდრე მეურნეობის რომელიმე სხვა დარგში.

შემდეგი საერთო ნაკლია სოფლის მეურნეობაში ყველაფრის გაზომვა საშუალო მონაცემებით, ნაცვლად იმისა, რომ რაიონში დიფერენცირებულად მიეუდგეთ ცალკეულ კოლმეურნეობებს, ხოლო ოლქებში ცალკეულ რაიონებს. შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს—ჩვენს პრაქტიკაში ეს ნაკლი რომ არ გვქონებოდა, გაცილებით ნაკლები გვეყოლებოდა ყოველგვარი ჩამორჩენილი რაი-

ონები, მტს-ები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, იმიტომ რომ დიფერენცირებული მიდგომა და სათანადო ორგანიზაციული მუშაობა თავიდან აგვაცილებდა ასეთ ჩამორჩენას. აღარ განვავითარებ ამ დებულებას, მე მგონია, რომ იგი საკმაოდ ნათელია პრაქტიკოსი ხელმძღვანელებისათვის.

მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და ჩვენი გეგმების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი პირობა არის ის, რაზედაც არაერთხელ უთქვამს ამხანაგ სტალინს, რომ გეგმების შედგენისას და მთელ ჩვენს მუშაობაში გეზი უნდა ავიღოთ არა საშუალოებზე, არამედ, მოწინავეებზე. ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, იმიტომ, რომ, მაგალითად, აიღეთ რაიონის, ოლქის სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკა. ჩვენი გეგმები სოფლის მეურნეობაში ისე სდგება, რომ იქ გათვალისწინებულია საშუალო მოსავლიანობა რაიონებისათვის, ოლქისათვის, მეცხოველეობის საშუალო მაჩვენებლები, ტრაქტორის საშუალო გამომუშავება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ზოგიერთმა რაიონმა, კოლმეურნეობამ და მტს-მა უკვე დიდი ხანია გადააბიჯეს ამ საშუალო დავალებებს. მაშასადამე, ჩვენი გეგმები ასეთ შემთხვევაში მათ უკან ეწევიან და არა წინ.

აქედან ცხადია, რომ უნდა ვეგეგმაოდეთ არა საშუალო მაჩვენებლების მიხედვით, არამედ უნდა ვახდენდეთ გეგმების დიფერენცირებას ცალკე მოწინავეთათვის, საშუალოთათვის, ჩამორჩენილთათვის, ამასთან წინ ვეწეოდეთ მათ მოწინავეთა დონემდე.

საჭიროა გადაჭრით მოვუღოთ ბოლო ისეთ ნაკლს, როგორიცაა კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ორგანიზატორული მუშაობის შეცვლა ადმინისტრირებით, რაზედაც უკვე საკმაოდ ნათლად იყო ნათქვამი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილებაში კოლმეურნეობათა შესახებ. ნაცვლად იმისა, რომ არსებითად გაერკვნენ საქმის ვითარებაში და გამოასწორონ აღმოჩენილი ნაკლოვანებანი, ხშირად საქმე იმით განისაზღვრება, რომ კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიკურად სცვლიან ადამიანებს, ცოტა ხნით შეიცვლიან ხოლმე ანდა სხვადასხვაგვარ რწმუნებულებს გაგზავნიან, ყოველგვარ დავალებებსა და გრაფიკებს აძლევენ, ამასთან ყოველივე ეს განმტკიცებული როდია ორგანიზაციული მუშაობით.

რით შეიძლება გავამართლოთ, მაგალითად, ხელმძღვანელობის ისეთი პრაქტიკა, როგორიცაა კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა და მტს-ების დირექტორთა მასობრივი შეცვლა? მაგალითად, კოსტრომის ოლქში 1946 წელს შესცვალეს 1.304 კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანუ მთელი შემადგენლობის ნახევარი; კუიბიშევის ოლქში 1945 წელს შესცვალეს 540 კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პენზის ოლქში მტს-ის 115 დირექტორიდან შესცვალეს 64.

უნდა შევიგნოთ, რომ ადმინისტრირებისა და კოლმეურნეობებსა და მტს-ებში ადამიანთა ხშირი შეცვლის პრაქტიკა ნაცვლად იმისა, რომ დახმარება

ვაკუწროთ მათ ყოველდღიურ ორგანიზაციულ მუშაობაში, ხელმძღვანელობის სისუსტის გამოხატულებაა და არა ძლიერებისა, და ხელმძღვანელობის ასეთ მანკიერ პრაქტიკას ბოლო უნდა მოეღოს.

და, ბოლოს, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების კიდევ ერთი პირობის შესახებ. ამხანაგ სტალინს არაერთხელ უთქვამს: რომ უხელმძღვანელო — უნდა განჭვრიტო,—და გავუფრთხილებივართ, რომ მუშაობის პრაქტიკიდან განგვედევნა ისეთი სერიოზული ნაკლი, როგორიცაა თვითდინება, როცა ადამიანები დინებას მიჰყვებიან და არ იციან, სად გაირიყებიან.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ეს ნაკლი ჩვენს მუშაობაში აღმოფხვრილია? არა, ამის თქმა არ შეიძლება. განა მუშაობაში თვითდინების არსებობის საკმარისი მაგალითი არ არის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების აღმოჩენილი დარღვევანი? განა შეიძლებოდა განმეორებულიყო კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავება, მუშაობაში თვითდინება რომ არ ყოფილიყო?

განა თვითდინების არსებობას არ ადასტურებენ ცალკეული რაიონების, კოლმეურნეობების, მტს-ების მიერ მუშაობის და გეგმების შესრულების ჩაშლის მრავალრიცხოვანი ფაქტები, როცა ჩვენი ორგანიზაციები უეცრად აღმოჩნდებიან ასეთი ჩაშლის წინაშე, ხოლო მუშაობაში თვითდინება რომ არ ყოფილიყო, ეს მნიშვნელოვანწილად გამორიცხული იქნებოდა.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა რომ გავაუმჯობესოთ, ამისათვის გადაჭრით უნდა მოეუღოთ ბოლო ამ ნაკლს ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში.

პროექტი ითვალისწინებს სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების ღონისძიებებს. ომის პერიოდში და ომისშემდგომი წლების მანძილზე ერთნახევარჯერ და უფრო მეტად იმატა კომუნისტების რაოდენობამ სოფლად, ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციათა რაოდენობა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ორგანიზაციული ხელმძღვანელობისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე სოფლად მნიშვნელოვნად ჩამორჩება სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს. სწორედ ამიტომ პროექტით დასახულია პარტიის სასოფლო რაიკომების განმტკიცების, სოფლად პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების, მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ამხანაგებო! დადგენილების პროექტით დასახულია სოფლის მეურნეობის არა ერთი წლის, არამედ მთელი რიგი წლების აღმავლობის ღონისძიებანი. ჩვენი უახლოესი ამოცანაა წლევანდელი საგაზაფხულო თესვის წარმატებით მომზადება და ჩატარება, რაც სოფლის მეურნეობის აღმავლობის დასახულ პროგრამაში შეტანილი კარგი წვლილი იქნება.

ცხადია, რომ ამოცანები, რომლებიც დასახულია სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, მთელი პარტიისა და საბჭოთა ორგანიზაციების დიდ და დაძაბულ მუშაობას მოითხოვენ, მაგრამ ჩვენ ყველა პირობა მოგვეპოვება ამ ამოცანების უმოკლეს ვადაში გადაწყვეტისათვის.

სოფლის მეურნეობა ჩვენს ქვეყანაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ძირითადად ომამდელ დონემდე აღდგენილ იქნა მხოლოდ 10 წლის შემდეგ. ახლა ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს აღვადგინოთ ჩვენი სოფლის მეურნეობა 1940 წლის უფრო ძაღლ დონემდე მნიშვნელოვნად მოკლე ვადებში იმის გამო, რომ სააშისოდ უდიდესი შესაძლებლობანი მოგვეპოვება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, მექანიზაციის ბაზის, კადრების არსებობის, საკოლმეურნეო მშენებლობის პერიოდში შეძენილი უდიდესი გამოცდილების სახით, განვითარებული მრეწველობის სახით, რათა სოფლის მეურნეობა მოვამარაგოთ ყოველივე იმით, რაც მისთვის საჭიროა. საესებით უეჭველია, რომ ჩვენი პარტია, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, შეასრულებს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის დასახულ ამოცანებს.

# ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ

## საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება. მიღებული ამხ. ანდრეევის მოხსენების გამო

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისა და ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მიერ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ჩატარებული უდიდესი მუშაობის შედეგად, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე ჩვენი სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილი მეურნეობიდან გადაიქცა მოწინავე, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ მეურნეობად.

სტალინური ხუთწლედების წლებში გადაიჭრა ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიცაა მარცვლეულის პრობლემა — მარცვლეულის საერთო მოსავალმა 1940 წელს გადააჭარბა 7 მილიარდ ფუთს, ხოლო სასაქონლო მარცვლეული მოყვანილ იქნა თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე 1913 წელს. დიდად განვითარდა ტექნიკური კულტურები: ბამბა, სელი, შაქრის ჭარხალი, ზეთოვანი კულტურები, ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, აგრეთვე კარტოფილი და ბოსტნეული, რის შედეგადაც ჩვენმა მსუბუქმა მრეწველობამ მიიღო ნედლეულის საკუთარი ბაზა. ამავე დროს ხდებოდა მეცხოველეობის მნიშვნელოვანი აღმავლობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. გაზრდილი ბალახთესვისა და მარცვლეულის წარმოების გადიდების მეოხებით შეიქმნა მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობის განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობის აღმავლობამ უზრუნველჰყო კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სიმდიდრისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ზრდა. სახელმწიფო ამზადებდა მარცვლეულს, ხორცს, ცხიმეულს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს იმ ოდენობით, რაც უზრუნველჰყოფდა ჩვენი ქვეყნის სურსათისა და ნედლეულის მოთხოვნილებას და სერიოზული რეზერვების შექმნას.

სოფლად გამარჯვებული და განმტკიცებული საკოლმეურნეო წყობილების მეოხებით ჩვენმა სოფლის მეურნეობამ ომის პერიოდში წარმატებით გაართვა თავი თავის ამოცანებს. თუ ომის მძიმე წლებში ჩვენი არმია არ გაინცდიდა სურსათის ნაკლებობას, თუ მოსახლეობა მარაგდებოდა სურსათით, ხოლო მრეწველობა ნედლეულით, ამაში გამოჩნდა საკოლმეურნეო წყობილების ძალა და სიცოცხლისუნარიანობა, კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი.

რა თქმა უნდა, ომმა, რომელიც თავს მოგვახვიეს გერმანელმა დამპყრობლებმა, დროებით შეაფერხა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარება. სამამულო ომის მსვლელობაში სოფლის მეურნეობისათვის შეიქმნა სერიოზული სიძნელენი. კოლმეურნეობებიდან, მტს-ებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან არმიაში გაიგზავნა კადრების, ტრაქტორების, ცხენებისა და ავტომანქანების მნიშვნელოვანი ნაწილი. მრეწველობას, სამხედრო საჭიროებაზე მისი გადაყვანის გამო, უნდა შეეწყვიტა სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორების წარმოება და მნიშვნელოვნად შეემცირებინა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მათი სათადარიგო ნაწილების, სასუქებისა და საწვავის წარმოება. ომის პერიოდში ტერიტორიის ნაწილმა განიცადა ოკუპაცია და განადგურება გერმანელ დამპყრობთა ხელით.

ომის წლებში შემცირდა ნათესი ფართობები, იკლო თავის დროზე მოხნული და დამუშავებული ანეულის, მზრალის ფართობმა, სერიოზულად შემცირდა ბალახთესვა. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსავლიანობის შემცირებაზე, პირუტყვის სულადობის დაკლებასა და მისი პროდუქტიულობის შემცირებაზე.

ომის შემდეგ კოლმეურნე გლეხობა წარმატებით აღადგენს სოფლის მეურნეობას. 1946 წელს, მიუხედავად ძლიერი გვალვისა, რაც სსრ კავშირის ევროპული ნაწილის მნიშვნელოვან ტერიტორიას მოედო და რაც ოდენობით სჭარბობდა 1921 წლის გვალვას, მარცვლეულის საერთო მოსავალი და სასაქონლო პროდუქცია, მართალია, რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე 1945 წელს, მაგრამ გაცილებით მაღალია 1921 წლის დონეზე, რასაც შეიძლებოდა აღგილი ჰქონოდა მხოლოდ წარმოების სოციალისტური ორგანიზაციის, მისი მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საკოლმეურნეო წყობილების მეოხებით.

ომის დამთავრების შემდეგ გასულ პერიოდში მთავრობამ და პარტიამ ჩაატარეს მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის აღსადგენად.

მოწყობილია სახელმწიფო დახმარება განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებისადმი ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ავტომანქანებით, მოწყობილობით მტს-ებისათვის, ცხენებით და პროდუქტიული პირუტყვით კოლმეურნეობებისათვის. გაწეულია დიდი დახმარება თესლეულითა და ფურაჟით. დაწესებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების შეღავათიანი პირობები. ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა საზოგადოებრივი ნაგებობებისა და კოლმეურნეთა სახლების აღსადგენად. ძირითადად აღდგენილია ყველა მტს-ი. ამ ღონისძიებებმა შესაძლებლობა მოგვცა 1946 წელს უზრუნველგვეყო განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებსა და გლეხურ მეურნეობებში ნათესი ფართობების აღდგენა ომამდელი დონის სამ მეოთხედამდე და მეცხოველეობის სანახევროდ და უფრო მეტად აღდგენა კოლმეურნეობებში და კოლმეურნეთა სარგებლობაში.

აღდგენილია და მუშაობენ სატრაქტორო ქარხნები სტალინგრადსა და ხარკოვში, აგებულია ალტაისა და ვლადიმირის ახალი სატრაქტორო ქარხნები, მთავრდება ლიპეცკის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობა, აღდგენილია ტრაქტორების წარმოება ჩელიაბინსკის ქარხანაში. აღდგენის პროცესშია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნები, რომლებიც დანგრეულ იქნენ ოკუპაციის დროს. სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებაზე გადაყვანილია ბევრი ქარხანა, რომლებიც წინათ სამხედრო შეკვეთებს ასრულებდნენ. ჩვენმა მრეწველობამ უკვე მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება სოფლის მეურნეობისათვის.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აღდგენის პროცესშია ჯიშიანი ნათესები და ბალახთესვა, აღდგენის პროცესშია დარღვეული თესლბრუნვები და შემოღებულია ახალი. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად უკვე მოპოვებულია წარმატებანი ბამბის ნათესი ფართობების აღდგენისა და მოსავლიანობის გაღიდების საქმეში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად დიდი მუშაობა სწარმოებს კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გამოვლინებულ ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად.

ახლა, მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე კვლავ მთელი სიგრძე-სიგანით დაისახა, როგორც სრულიად გადაუდებელი ამოცანა, — უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის

ისეთი აღმავლობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს უმოკლეს ვადაში შევქმნათ სურსათის სიუხვე ჩვენი მოსახლეობისათვის, ნედლეულისა მზარდი მოთხოვნილებისათვის და სურსათისა და ნედლეულის აუცილებელი სახელმწიფო რეზერვების დაგროვება.

იმისათვის, რომ ეს ამოცანა წარმატებით და უმოკლეს ვადაში გადავწყვიტოთ, საჭიროა:

1. გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და მათი ადგილობრივი ორგანოების მხრივ. სოფლის მეურნეობისადმი მთელი ხელმძღვანელობა თავიდან ბოლომდე აყვანილ უნდა იქნას უფრო მაღალ დონეზე, რომელიც შეეფერება სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომ უდიდეს ამოცანებს.

საჭიროა ბოლო მოეღოს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში ისეთ სერიოზულ ნაკლოვანებებს, როგორიცაა სათანადო ოპერატიულობის უქონლობა და დაგვიანება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მომზადებასა და ჩატარებაში, ბოლო უნდა მოეღოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ებისა და რაიონების მუშაობის შეფასებისადმი საშუალო მონაცემთა მიხედვით არასწორ მიდგომას დიფერენცირებული მიდგომის ნაცვლად, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დავინახოთ მოწინავენი და ჩამორჩენილნი და წავწიოთ ჩამორჩენილნი მოწინავეთა დონემდე. არ შეიძლება მოვითმინოთ ისეთი ნაკლოვანებანი, როგორიცაა კოლმეურნეობებში ბეჯითი სისტემატური ორგანიზატორული მუშაობისა და კადრების აღზრდის შეცვლა ადმინისტრირებით, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ხშირი შეცვლით, შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევით.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთ მოეთხოვებათ სისტემატური და უნარიანი ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი, პრაქტიკიდან ხელმძღვანელობის ბიუროკრატიული, კანცელარიული მეთოდების განდევნა, რომლებიც გამოიხატება დავალებათა ისე მიცემით, რომ ისინი უზრუნველყოფილი არაა ორგანიზაციულად და ადგილებზე არ ხდება გეგმის შესრულების ყოველდღიური შემოწმება.

დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობის წლიური გეგმები, დამტკიცებული მთავრობის მიერ სახალხო-სამეურნეო გეგმასთან ერთად, ოლქებს, მხარეებსა და რესპუბლიკებს უნდა ეცნობოთ არაუგვიანეს სათანადო წლის 1 იანვრისა.

2. ბოლომდე აღმოიფხვრას სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევანი, რომლებიც გამოვლინებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ. ეს დარღვევები გამოიხატება შრომადღეების არასწორი ხარჯვით, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების დატაცებით, საკოლმეურნეო საკუთრების განიავებით, სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეთა მართვის დემოკრატიული საფუძვლების დარღვევით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ამ დარღვევათა და დამახინჯებათა არსებობა, რომლებიც ხელს უშლიან სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების საქმეს, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ კოლმეურნეობებისადმი არადამაკმაყოფილებელი, ზოგჯერ კი პირდაპირ არასწორი ხელმძღვანელობის შედეგია.

3. აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაციასა და ანაზღაურებაში, რომლებიც აბრკოლებენ კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობისა და საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების საქმეს. ეს ნაკლოვანებანი გამოიხატებიან:

გათანაბრებით შრომადღეების დარიცხვაში და შემოსავლის განაწილებით არა ბრიგადებისა და რგოლების მუშაობის შედეგების მიხედვით, რის გამო პატიოსანი და კარგად მომუშავე კოლმეურნეები არახელსაყრელ მდგომარეობაში ექცევიან კოლმეურნეთა შორის არსებულ წამგლეჯ და არაკეთილსინდისიერ ელემენტებთან შედარებით;

კოლმეურნეობებში გამომუშავების მოძველებული, შემცირებული ნორმების არაებობით, რაც იწვევს შრომადღეების გაფლანგვას, შრომადღეების ხარჯვაში ჯეროვანი წესრიგის უქონლობით.

საჭიროა შემუშავდეს და უზრუნველყოფილ იქნას შრომის ანაზღაურების უფრო სწორი წესების გამოყენება, კარგად მომუშავე კოლმეურნეთა წახალისება კოლმეურნეობათა არსებული დადებითი გამოცდილების საფუძველზე.

4. გადაჭრით გაუმჯობესდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობა, რომლებზეც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საკოლმეურნეო მიწდვრების მოსავალი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოებისაგან, პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და მტს-ების დირექტორებისაგან მოითხოვს აღმოფხვრან მტს-ების მუშაობაში ისეთი სერიოზული ნაკლოვანებანი, როგორიცაა ტრაქტორებისა და კომბაინების გამომუშავების ჯერ კიდევ დაბალი დონე, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის ცუდი ხარისხი, მათი რემონტის დაგვიანება, მტს-ების ბევრი დირექტორის, აგრონომისა და ტრაქტორისტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სატრაქტორო სამუშაოთა თავის დროზე ჩატარებისა და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის საქმისადმი და, მაშასადამე, კოლმეურნეობათა მინდვრებში მოსავლიანობის გადიდებისადმი.

არასწორად ჩაითვალოს, რომ მტს-ების მუშაობის შეფასება სწარმოებს მხოლოდ რბილ ხვნაში სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის შესრულების მიხედვით, ნაცვლად იმისა, რომ მტს-ების მუშაობა შეფასდეს მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების უმნიშვნელოვანეს სახეთა გეგმების შესრულების მიხედვით. ეს იმას იწვევს, რომ მტს-ების ნაწილი ცდილობს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა შეასრულოს ყოველნაირ მსუბუქ სამუშაოთა — ფარცხვისა და სხვათა ხარჯზე. მტს-ებისა და სატრაქტორო ბრიგადების ბევრი მუშაკი ცდილობს მიაღწიოს ტრაქტორის მოჩვენებითს მაღალ გამომუშავებას რბილი ხვნის ჰექტარებში, რის გამო ურიგდება სატრაქტორო სამუშაოთა დაბალ ხარისხს და არღვევს აგროტექნიკის ელემენტარულ მოთხოვნებს.

გაუქმდეს მოქმედი სისტემა მტს-ების მუშაობის შეფასებისა გეგმების მხოლოდ რბილი ხვნის ჰექტარობით შესრულების მიხედვით და დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემოიღოს ახალი წესი მტს-ების მუშაობის შეფასებისა მათ მიერ სატრაქტორო სამუშაოთა ძირითადი სახეების შესრულების მიხედვით.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის ადგილობრივ ორგანოებს, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს სათანადო წესრიგზე მოიყვანონ მტს-ებში არსებული ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მიაღწიონ მათს უფრო მაღალ გამომუშავებას, აამაღლონ სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხი, გააუმჯობესონ მტს-ებისათვის ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, ბრიგადირთა კადრების მომზადების საქმე.

5. მოეწყოს სოფლის მეურნეობისათვის კადრების ფართო მომზადება და გაძლიერება, რათა უმოკლეს ვადაში აღმოიფხვრას გამოცდილი და მომზადებული კადრების ნაკლებობა მტს-ებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში; ბოლო მოეღოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების არასწორ გამოყენებას, როდესაც მათი დიდი რაოდენობა მუშაობს არა

წარმოებაში, არამედ ასრულებს საკანცელარიო სამუშაოს, რის გამო კოლმეურნეობები თავის დროზე ვერ იღებენ საჭირო დახმარებას თავიანთი მეურნეობის ორგანიზაციისა და მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში მოწინავე ხერხების დანერგვის საქმეში.

6. აღიჭურვოს სოფლის მეურნეობა ახალი ტრაქტორებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, ავტომანქანებით, უზრუნველყოფილ იქნას იგი სასუქებითა და საწვავით. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოებისა და მრეწველობის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს ენერგიულ მუშაობას მათ მიერ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მათი სათადარიგო ნაწილების, სასუქებისა და საწვავის წარმოების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. საჭიროა აღმოიფხვრას ისეთი სერიოზული ნაკლოვანებანი, როგორიცაა სოფლის მეურნეობისათვის შეკვეთების თავის დროზე შესრულების შეუფასებლობა, არაკეთილხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, მრეწველობისა და ქარხნების ზოგიერთი მუშაკის ცდები შეჩერდნენ მანქანების მოძველებული ტიპების დამზადებაზე და მათი კონსერვატიული დამოკიდებულება ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ახალი, უფრო მაღალწაყოფიერი კონსტრუქციების უსწრაფესად დანერგვისადმი.

აღნიშნული ამოცანების გათვალისწინებით, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

## I

## მარცვლეულის წარმოების გაღიდების ღარგში

დაევალოს პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და მათ ადგილობრივ ორგანოებს:

1. სამი წლის — 1947, 1948 და 1949 წლების განმავლობაში აღადგინონ საერთო მოსავლის ხაზით მარცვლეულის წარმოების ომამდელი დონე და მნიშვნელოვნად გადააჭარბონ ამ დონეს ხუთწლედის დამლევისათვის.

ნათესი ფართობის გადიდებასთან ერთად ძირითად ამოცანად მიჩნეულ იქნას მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ამაღლება, რისთვისაც საჭიროა სავსებით უზრუნველყოფილ იქნას ანეულის დროულად მოხვნა და დამუშავება საშემოდგომო კულტურებისათვის, ხოლო აღმოსავლეთ რაიონებში — საგაზაფხულო ხორბლისათვის, საგაზაფხულო კულტურები დაითესოს მზრალად ნახნავში, აღმოიფხვრას ზერელედ ხვნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში და ხუთწლედის დამლევისათვის სავსებით აღდგენილ და შემოღებულ იქნას სწორი თესლბრუნვა ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

2. მთავრობის მიერ მიღებული გეგმის შესაბამისად 1946 წელთან შედარებით მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი გადიდდეს 1947 წელს 6,3 მილიონი ჰექტარით, მათ შორის კოლმეურნეობებში 5,7 მილიონი ჰექტარით, ხოლო 1948 წელს 6,1 მილიონი ჰექტარით 1947 წელთან შედარებით, მათ შორის კოლმეურნეობებში 5 მილიონი ჰექტარით.

უზრუნველყოფილ იქნას, რომ აუცილებლად მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანა 1950 წელს 127 მილიონი ტონა მარცვლეულის საერთო მოსავლის მიღებისა.

3. აღინიშნოს, რომ მარცვლეულის ისეთი ძირითადი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, როგორიცაა ნოვოსიბირსკის, როსტოვის, კუიბიშევის, ჩელიაბინსკის, ტამბოვის, ულიანოვსკის, კურსკის, ვორონეჟის ოლქები, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მარცვლეულის წარმოების აღდგენისა და განვითარების საქმეზე, განსაკუთრებით

ნელა მემდინარეობს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობისა და მოსავლიანობის აღდგენა სარატოვის, სტალინგრადის, პენზის, კურგანის ოლქებისა და კრასნოიარსკის მხარეში.

4. გადიდდეს ხორბლის, როგორც ძირითადი სასურსათო კულტურის, წარმოება:

ა) **საშემოდგომო ხორბლისა** — უკრაინის სს რესპუბლიკაში, კრასნოდარის, სტავროპოლის მხარეებში, როსტოვის, ყირიმის, ვორონეჟის, კურსკის ოლქებში და მოლდავეთის სს რესპუბლიკაში საშემოდგომო ხორბლის წარმოება აღდგენილ იქნას 1949 წელს ომამდელ დონემდე, მნიშვნელოვნად გადიდდეს მოსავლიანობა, ამასთან საშემოდგომო ხორბლის ნათესი ამ რაიონების კოლმეურნეობებში 1947 წლის შემოდგომაზე 1.500 ათასი ჰექტარით გადიდდეს 1946 წლის აღებულ ფართობთან შედარებით და აყვანილ იქნას 7,2 მილიონ ჰექტარამდე, მათ შორის უკრაინის სს რესპუბლიკაში 4,4 მილიონ ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 8,3 მილიონ ჰექტარამდე, მათ შორის უკრაინის სს რესპუბლიკაში 4,8 მილიონ ჰექტარამდე.

უზრუნველყოფილ იქნას მოსავლიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება და საერთო მოსავლის გადიდება დანარჩენ რაიონებში, სადაც საშემოდგომო ხორბალი მოჰყავთ, განსაკუთრებით ვოლგისპირეთის რაიონებში, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის სს რესპუბლიკების რაიონებში, ყაზახეთის სს რესპუბლიკის სამხრეთ ოლქებში, ყირგიზეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებში;

ბ) **საგაზაფხულო ხორბლისა** — აღმოსავლეთი რაიონების (ციმბირის, ურალისა და ყაზახეთის სსრ ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქების) კოლმეურნეობებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ნათესი ფართობი გადიდდეს 1.324 ათასი ჰექტარით და 1947 წელს აყვანილ იქნას 7,9 მილიონ ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 9,4 მილიონ ჰექტარამდე და 1949 წელს 11,4 მილიონ ჰექტარამდე, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას მოსავლიანობის ამაღლება. საგაზაფხულო ხორბალი პირველ რიგში დაითესოს ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის პირველ და მეორე წელს, შემოდგომაზე გადახნულ სუფთა ანეულსა და მზრალად ნახნავში.

ვოლგისპირეთში (კუიბიშევის, სარატოვის, სტალინგრადისა და ულიანოვსკის ოლქებში) მიღებულ იქნას ზომები საგაზაფხულო ხორბლის ნათესის, განსაკუთრებით მაგარი ხორბლის ჯიშთა ნათესის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, 300 ათასი ჰექტარით გადიდდეს საგაზაფხულო ხორბლის ნათესი ამ ოლქების კოლმეურნეობებში და 1947 წელს აყვანილ იქნას 2,4 მილიონ ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 3 მილიონ ჰექტარამდე, ხორბლის სათესად გამოყენებულ იქნას ყამირი და ძველნასვენი მიწები, ვოლგის გაღმა გვალვიან რაიონებში გამოყენებულ იქნას საგაზაფხულო ხორბლის თესვა სუფთა, კარგად დამუშავებულ ანეულში.

გადიდდეს საგაზაფხულო ხორბლის ფართობი არაშავნიადაგიანი ზოლის ოლქთა კოლმეურნეობებში 200 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას იგი 1947 წელს 1,6 მილიონ ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 1,8 მილიონ ჰექტარამდე. უზრუნველყოფილ იქნას საგაზაფხულო ხორბლის მოსავლიანობის ამაღლება და საერთო მოსავლის გადიდება დანარჩენ რაიონებში, სადაც მის მოყვანას მისდევენ.

აღინიშნოს საგაზაფხულო ხორბლის წარმოების სერიოზული ჩამორჩენა უკრაინის სს რესპუბლიკაში. შეუწყნარებლად ჩაითვალოს, რომ ისეთი ძვირფასი სასურსათო კულტურა, როგორიცაა საგაზაფხულო ხორბალი, უკრაინის სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წლითიწლობით მცირდება, ხოლო ნაყოფიერი შავნიადაგიანი მიწები გამოყენებულია უფრო ნაკლები ღირებულების საფურაჟე კულტურების, განსაკუთრებით ქერის სათესად. გადიდდეს 1947 წელს 1946 წელთან შედარებით საგაზაფხულო ხორბლის ნათესი უკრაინის კოლმეურნეობებში 182 ათასი ჰექტარით და აყვანილ

იქნას 750 ათას ჰექტარამდე, ხოლო მომდევნო წლებში უზრუნველყოფილ იქნას საგაზაფხულო ხორბლის ნათესის შემდგომი გადიდება.

5. მიღებულ იქნას ზომები საშემოდგომო ჭვავის წარმოების გასადიდებლად არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში, ცენტრალურ-შავნიადაგიან ოლქებში, უკრაინის ჩრდილოეთ ოლქებში, ვოლგისპირეთის მარჯვენა ნაპირის რაიონებსა და სხვა რაიონებში.

წინადადება ძიეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განუსაზღვროს საშემოდგომო ჭვავის ნათესის გადიდებისა და მისი მოსავლიანობის ამაღლების დავალებანი რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს.

6. აღინიშნოს მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების წარმოების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, განსაკუთრებით პენზის, სტალინგრადის, ულიანოვსკისა და რიაზანის ოლქებში, თათრეთის, ბაშკირეთისა და მორდვეთის ასს რესპუბლიკებსა და უკრაინის სს რესპუბლიკაში, გადიდდეს სსრ კავშირში მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობი კოლმეურნეობებში 300 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას იგი 1947 წელს 1,3 მილიონ ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 1,6 მილიონ ჰექტარამდე, ძნიშვნელოვნად გადიდდეს ამ კულტურების მოსავლიანობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუხუდოს ნათესების უსწრაფეს აღდგენას უკრაინის სს რესპუბლიკაში, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებში. გაფართოვდეს ლობიოს ნათესი და გადიდდეს მისი მოსავლიანობა. უზრუნველყოფილ იქნას ოსპის, განსაკუთრებით მსხვილთესლა ოსპის ჯიშთა ნათესის გადიდება ცენტრალურ-შავნიადაგიან ოლქებში, ვოლგისპირეთის და უკრაინის სსრ ტყე-ველის რაიონებში.

7. გადიდდეს სსრ კავშირში სიმინდის ნათესი ფართობი კოლმეურნეობებში 1947 წელს 280 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას იგი 2.260 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს — 2.700 ათას ჰექტარამდე, ამასთან მნიშვნელოვნად ამაღლდეს სიმინდის მოსავლიანობა. უახლოეს წლებში გადიდდეს სიმინდის თესვის, მწკრივთა შორის დამუშავებისა და მოსავლის აღების მექანიზაცია. სიმინდის მოსავლიანობის გასადიდებლად უზრუნველყოფილ იქნას 2-3 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ოდენობით სიმინდის ჰიბრიდული თესლის თესვა, რათა მომავალში შემოღებულ იქნას ჰიბრიდული თესლის მასობრივი თესვა. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარიატს ჰიბრიდული თესლის წარმოება ძირითადად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სიმინდის პირველი გენერაციით გამოყვანილი ჰიბრიდული თესლი კოლმეურნეობებისა და სხვა მეურნეობებისაგან მიღებულ იქნას ელიტური თესლის თანაბარ პირობებში.

8. გადიდდეს სსრ კავშირში ბარდის ნათესი ფართობი კოლმეურნეობებში 1947 წელს 420 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას იგი 1.5 მილიონ ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს — 1,7 მილიონ ჰექტარამდე, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება.

9. ძნიშვნელოვნად გადიდდეს ფეტვის მოსავლიანობა, ამასთან გამოყენებულ იქნას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების გამოცდილება ამ კულტურის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლისა 1939 და 1940 წლებში. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარიატს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს გ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად 1939 და 1940 წლების მიხედვით მოაწყოს 1947 წელს ფეტვის მოსავლის მიღება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1 მილიონ ჰექტარზე — საშუალოდ 15 ცენტნერი ჰექტარზე.

10. გადიდდეს სსრ კავშირში ბრინჯის ნათესი ფართობი კოლმეურნეობებში 15 ათასი ჰექტარიდ და აყვანილ იქნას იგი 1947 წელს 150 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 160 ათას ჰექტარამდე და ამაღლდეს ბრინჯის

მოსავლიანობა. უზრუნველყოფილ იქნას თესლბრუნვის უსწრაფესი ათვისება ბრინჯის თესვის რაიონებში და ბრინჯის ყანების რწყვის სწორად ჩატარება.

11. უზრუნველყოფილ იქნას სუფთა ანეულის ხვნა ადრეულ ვადებში და ზაფხულის მანძილზე ამ ანეულის სულ ცოტა სამჯერ, ხოლო სამხრეთში ოთხჯერ დამუშავება. დაწესდეს, რომ ადრეული სუფთა ანეული უნდა მოიხნას სამხრეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში არაუგვიანეს 20 მაისისა, ხოლო დანარჩენ რაიონებში — 10 ივნისისათვის, 1947 წელს კი, როგორც გამონაკლისი, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამწევი ძალის რესურსების დაძაბულობის გამო, ანეულის ხვნა დამთავრდეს სამხრეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში არაუგვიანეს 10 ივნისისა და დანარჩენ რაიონებში არაუგვიანეს 20 ივნისისა.

12. დამთავრდეს საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების მთლიანად რაიონირებული, უფრო მოსავლიანი ჯიშების თესვაზე გადასვლა ყველა ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში არაუგვიანეს 1949 წლისა და მიღებულ იქნას ზომები ახალი უფრო მოსავლიანი რაიონირებული ჯიშების სწრაფად გამრავლებისათვის მოძველებული და ნაკლებმოსავლიანი ჯიშების შესაცვლელად.

აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მის მთავარ სასჯიშე სამმართველოში და სამინისტროსთან არსებულ მარცვლეული კულტურების ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიაში სასელექციო მუშაობა უხვმოსავლიანი და ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ჯიშების გამოსაყვანად ჯერ კიდევ ჩამორჩება სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებებს. ძველი მაღალპროდუქტიული ჯიშები, განსაკუთრებით საგაზაფხულო ხორბლისა, მრავალ რაიონში დაკარგულია, ხოლო ახალი უფრო მოსავლიანი ჯიშები მეტად ნელა ინერგება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ციმბირის კოლმეურნეობებს დღემდე არ მოეპოვებათ საშემოდგომო ხორბლის ზამთარგამძლე ჯიშები.

გაუმჯობესდეს მუშაობა სასელექციო მეთესლეობის დარგში და სასოფლო-სამეურნეო ორგანოთა, სასელექციო-საცდელ დაწესებულებათა და სელექციონერთა წინაშე დაისახოს ამოცანა უახლოეს 2-3 წლის განმავლობაში გამოიყვანონ მარცვლეულ, მარცვლეულ-პარკოსან, ზეთოვან კულტურათა და ბალახთა უხვმოსავლიანი, ადგილობრივ პირობებთან შეგუებული ჯიშები.

აუცილებლად ჩაითვალოს, რომ ციმბირისა და იმიერურალის რაიონებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ითესებოდეს როგორც საადრეო, ისე უფრო საგვიანო ჯიშებიც იმ ანგარიშით, რომ შენელდეს დაძაბულობა მუშაობის ყველაზე პასუხსაგებ პერიოდებში — თესვისა და მოსავლის აღების პერიოდებში — და უზრუნველყოფილ იქნას მარცვლეულის უფრო უხვი მოსავლის მიღება. ამ ზონის სასელექციო დაწესებულებებში გაძლიერდეს მუშაობა საგაზაფხულო ხორბლის უხვმოსავლიანი საადრეო ჯიშების გამოსაყვანად.

13. 1947 წლიდან აღდგენილ იქნას ნათესი ფართობების უმნიშვნელოვანესი მარცვლეული კულტურების შიხედვით დაგეგმვის წესი, რომელიც ითვალისწინებს კოლმეურნეობებისათვის თესვის გეგმის მიცემას თვითეული მარცვლეული კულტურის მიხედვით.

14. აუცილებლად ჩაითვალოს, რომ პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნან მარცვლეულის ძირითადი რაიონები ტრაქტორებით, კომბაინებით, სხვა

სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და ავტომობილებით, განსაკუთრებით ის რაიონები, სადაც კოლმეურნე კომლზე სახნავი მიწის დიდი ფართობი მოდის (ციმბირი, ჩრდილოეთ ყაზახეთი, ვოლგისპირეთი). ძარცვლეული ძეურნეობის მექანიზაციის გაძლიერებლად უახლოეს წლებში ფართოდ დაინერგოს თვითმავალი კომბაინები, სატრაქტორო დისკოიანი საოშები, ძძიმე დისკოიანი ფარცხები, კვადრატულ-საბუდნავი სათესი მანქანები სიმინდისათვის, მოძრავი მარცვალსახმობები, რთული მარცვალსაწმენდი მანქანები.

## II

## ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

დაევალოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და მათ ადგილობრივ ორგანოებს 1947 წლის სახელმწიფო გეგმის და ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესაბამისად სამი წლის — 1947, 1948 და 1949 წლების — განმავლობაში აღადგინონ ტექნიკური კულტურების: ბამბის, საბოჭკოე სელის, შაქრის ჭარხლის წარმოების ომამდელი დონე და გადააჭარბონ ამ დონეს.

მოსავლიანობის გასადიდებლად ტექნიკური კულტურები დაითესოს საუკეთესო მიწებზე. მზრალად ნახნავში, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ნიადაგის კარგი დამუშავება თესვის წინ, თესვა და მწკრივთა შორის დამუშავება ხდებოდეს დროულად, გადიდდეს მინერალური სასუქების გამოყენება და სავსებით გამოყენებულ იქნას სარწყავი მიწები.

### ბამბის დარგში

1. აღინიშნოს, რომ 1946 წელს მებამბეობის ძირითად რაიონებში—უზბეკეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებში — მიღწეულია მოსავლიანობის ამაღლება და ბამბის საერთო მოსავლის გადიდება.

ძაგრამ ბამბის წარმოებაში ჯერ კიდევ გვხვდება სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც აფერხებს მებამბეობის შემდგომ აღმავლობას. სარწყავი მიწების არასწორი გამოყენების გამო მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით უზბეკეთის სს რესპუბლიკაში, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვას გამოაკლდა სარწყავი მიწების მნიშვნელოვანი ფართობები. სარწყავ სისტემათა ექსპლოატაცია არასწორად სწარმოებს, არასრულად იყენებენ მექანიზმებს, ირღვევა აგროტექნიკის მოთხოვნები დამუშავების, მორწყვისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ვადებისა და ხარისხის მხრივ, ნელა ვითარდება ბალახთესვა, არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს თესლბრუნვის დანერგვა და ათვისება.

მთელ რიგ ოლქებსა და რაიონებში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ბამბის დაბალ მოსავალს იღებენ და დამზადების სახელმწიფო გეგმებს ვერ ასრულებენ.

ბამბის განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მოსავალი მიღებულია 1946 წელს ხორეზმის, სამხრეთ ყაზახსტანის ოლქებში და უზბეკეთის, თურქმენეთის სსრ მთელ რიგ სხვა რაიონებში.

2. მებამბეობის უსწრაფესი აღდგენისა და შემდგომი აღმავლობის მიზნით გადიდდეს ბამბის ნათესი ფართობი 1947 წელს 165,6 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას იგი 1947 წელს 1.467 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს — 1.530 ათას ჰექტარამდე.

უზრუნველყოფილ იქნას მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება ხუთწლიანი გეგმის დავალებისა 1950 წელს ბამბის საერთო მოსავლის 3,1 მილიონ ტონამდე აყვანის შესახებ.

3. უზრუნველყოფილ იქნას მებამბეობის ყველა რესპუბლიკაში არსებული სარწყავი მიწების სწორი და სრული გამოყენება. არ იქნას დაშვებული მათი დაძლაშება და დაჭაობება. 1947-1948 წლებში აღდგენილ იქნას მიტოვებული სარწყავი მიწები განსაკუთრებით უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკებში.

4. გაუმჯობესდეს სარწყავი და ამოსაშრობი სისტემების ტექნიკური მდგომარეობა. გაძლიერდეს კონტროლი სარწყავი წყლის სწორად გამოყენებისადმი, არ იქნას დაშვებული ერთჯერადი მორწყვისა და ფართობის რწყვის ნორმების დარღვევა. მოწესრიგდეს წყლით სარგებლობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, გაუმჯობესდეს რწყვის ტექნიკა, უველგან დაინერგოს სწორი რწყვა კვლების გამოყენებით და ლიკვიდირებულ იქნას ბამბის ნათესის მორწყვა შეტბორების გზით.

5. 1950 წელს ბამბის ძირითად სამუშაოთა მექანიზაციის დონე აყვანილ იქნას: ხვნა-თესვაში 95 პროცენტამდე, გრძივ კულტივაციაში — 90 პროცენტამდე, გარდიგარდმო კულტივაციაში — 40 პროცენტამდე, ბამბის მოსავლის აღებაში—30 პროცენტამდე და მის წმენდაში—60 პროცენტამდე.

6. უზრუნველყოფილ იქნას 1947 წელს მებამბეობის რესპუბლიკების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 565 ათასი ტონა მინერალური სასუქის შეზიდვა.

## შაქრის ჭარხლის დარგში

7. აღინიშნოს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების მნიშვნელოვანი შემცირება, განსაკუთრებით მეჭარხლეობის ძირითად რაიონებში: უკრაინის სს რესპუბლიკაში, კურსკის, ვორონეჟისა და ტამბოვის ოლქებში.

შაქრის ჭარხლის წარმოების უსწრაფესად აღდგენისა და შემდგომი გადიდების მიზნით გადიდდეს შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობი 1947 წელს 120 ათასი ჰექტარით, მათ შორის უკრაინის სს რესპუბლიკაში 93 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას იგი 1947 წელს სსრ კავშირში 1.058 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 1.349 ათას ჰექტარამდე.

8. 1949 წელს მეჭარხლეობის ყველა კოლმეურნეობაში დამთავრდეს სწორი თესლბრუნვის აღდგენა და შემოღება, თესლბრუნვაში პარკოსან და მარცვლეულ მრავალწლიან ბალახთა ნარევის გამოყენებით, 1947-1948 წლებში შაქრის ჭარხლის თესვა სწარმოებდეს მხოლოდ ღრმა მზრალად ნახნავში, ნაწვერალის წინასწარ და თავის დროზე აოშვით. შაქრის ჭარხლის თესვა ჩატარდეს ადრეულ, შემჭიდროებულ ვადებში, სულ დიდი 6-7 დღეში და მისი თესვა დაიწყოს საადრეო მარცვლეული კულტურების მასობრივი თესვის დაწყებასთან ერთად.

9. მოეწყოს შაქრის ჭარხლის მავნებლებთან ბრძოლა, ფართოდ გამოყენებულ იქნან ქათმები ცხვირგრძელასთან საბრძოლველად, დროულად მომზადდეს და შეტანილ იქნას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად საჭირო საშუალებები — შხამქიმიკატები, სასხურებლები, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველი უმარტივესი ინვენტარის დამზადება.

10. 1947 წელს უზრუნველყოფილ იქნას შაქრის ჭარხლისათვის 397 ათასი ტონა მინერალური სასუქების შეზიდვა.

11. შაქრის ჭარხლის სამუშაოთა მექანიზაცია აყვანილ იქნას 1949 წელს ღრმა მზრალად ხვნაზე 100 პროცენტამდე, თესვისწინა კულტივაციაზე — 85 პროცენტამდე, თესვაზე — 90 პროცენტამდე, მწკრივთა შორის დამუშავებაზე — 75 პროცენტამდე, ჭარხალაათხრელებით თხრაზე — 80 პროცენტამდე და უზრუნველყოფილ იქნას ჭარხლის კომბაინების გამოყენება.

12. უზრუნველყოფილ იქნას შაქრის ჭარხლის მოსავლის აღებისა და დამამზადებელ პუნქტებში მისი გაზიდვისათვის დროული მომზადება, ჩატარდეს ჭარხალსათხრელების რემონტი და სათანადო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დამზადება, აგრეთვე კოლმეურნეობების, მტს-ებისა და შაქრის ქარხნების საჭაპანო და საავტომობილო ტრანსპორტის მომზადება და მისი სრული გამოყენება, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მოსავლის დანაკარგებთან ბრძოლისა და სახელმწიფოს წინაშე კოლმეურნეობების მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მეჭარხლეობის რაიონების ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შეკეთებულ იქნას ყამირგზები და გზატკეცილები და დაცულ იქნას ეს გზები წესიერ მდგომარეობაში. 1947-1950 წლებში ჩატარდეს გზატკეცილებისა და ვიწროლიანდაგიანი რკინიგზების მშენებლობა შაქრის ქარხლის ყველაზე დიდი ტრანსპორტირების რაიონებში.

## საბოჭკოე სელისა და კანაფის დარგში

13. აღინიშნოს სელის ნათესი ფართობების დიდი შემცირება, მოსავლიანობის დაკლება და სახელმწიფოსათვის სელის პროდუქციის ჩაბარების შემცირება კიროვის, კოსტრომის, იაროსლავლის, კალუგის, ნოვოსიბირსკის, ივანოვოს ოლქებში და უდმურტეთის ასს რესპუბლიკაში და კანაფისა ჰენზის, ბრიანსკის, კურსკის ოლქებში და მორდვეთის ასს რესპუბლიკაში. ნელა მიმდინარეობს მესელეობისა და მეკანაფეობის აღდგენა აგრეთვე ბელორუსიისა და უკრაინის სს რესპუბლიკებში.

ამ ოლქებსა და რესპუბლიკებში პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მესელეობასა და მეკანაფეობას, რის შედეგადაც სელისა და კანაფის მოყვანის აგროტექნიკა დაბალ დონეზეა. თესვა ხდება დიდი დაგვიანებით და ცუდად მომზადებულ ნიადაგში. მოსავლის აღება ხდება არაოპტიმალურად და დიდი დანაკარგებით. სელისა და კანაფის პირველადი დამუშავება ცუდად არის მოწყობილი. სელის გლეჯისა და ცეხვის დაგვიანება იწვევს სელის თესლის მნიშვნელოვან დანაკარგებს, ხოლო სელის ღეროს გვიან გაფენა, საფენიბზე სელისადმი ცუდი მეთვალყურეობა და მეტად ხანგრძლივი გაფენის დაშვება იწვევს სელის ბოჭკოს დიდ დანაკარგს და მისი ხარისხის დაწევას.

14. სელისა და კანაფის წარმოების უსწრაფესი აღდგენისა და შემდგომი გადიდების მიზნით:

გადიდდეს საბოჭკოე სელის ნათესი ფართობი 1947 წელს სსრ კავშირში 366 ათასი ჰექტარით, მათ შორის კოლმეურნეობებში 223 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას ეს ფართობი 1947 წელს 1.300 ათას ჰექტარამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში 1.014 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 1.580 ათას ჰექტარამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში 1.240 ათას ჰექტარამდე.

უზრუნველყოფილ იქნას მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება საბოჭკოე სელის საერთო მოსავლის დავალებისა 800 ათასი ტონის რაოდენობით, რაც ხუთწლიანი გეგმით დაწესებულია 1950 წლისათვის.

15. გადიდდეს შუა რუსეთისა და სამხრეთი ზოლის ნათესი ფართობი 1947 წელს 108 ათასი ჰექტარით, მათ შორის კოლმეურნეობებში 67 ათასი ჰექტარით, აყვანილ იქნას ეს ფართობი 1947 წელს 337 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 506 ათას ჰექტარამდე.

16. სელის მოსავლიანობის გასადიდებლად გაფართოვდეს მრავალწლიანი ბალახების — სამყურისა და ტიმოთელას ნათესები. უზრუნველყოფილ იქნას 1950 წელს მესელეობის ძირითადი რაიონების კოლმეურნეობებში სელის თესვა, როგორც წესი, მრავალწლიანი ბალახების ფართობის მოხვნის პირველ

წელს. სელი და კანაფი, დაწყებული 1948 წლიდან, მთლიანად ითესებოდეს მზრალად ნახნავში. უზრუნველყოფილ იქნას სამი წლის მანძილზე კოლმეურნეობებში სელისა და კანაფის ძთლიანად მწკრივად სათესი მანქანებით თესვაზე გადასვლა, ხოლო აღებისა და ცეხვის ჩატარება—ასაღები და საცეცხვი მანქანებით.

17. გაფართოვდეს საბოჭკოე სელისა და კანაფის მეთესლეობის კოლმეურნეობათა და სადგურთა ქსელი, დაუწესდეს მათ თესლის წარმოების დავალებანი იმ ანგარიშით, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში საესებით უზრუნველყოფილ იქნას სელისა და კანაფის თესვა ჯიშიანი და აღდგილობრივი ვაუმჯობესებული თესლით. გაუმჯობესდეს სასელექციო მუშაობა როგორც ბოჭკოს, ისე თესლის მხრივ უხვმოსავლიანი საბოჭკოე სელისა და კანაფის ახალი ჯიშების გამოსაყვანად.

## კაუჩუკოვანთა დარგში

18. ნატურალური კაუჩუკის წარმოებისათვის ნედლეულის მტკიცე ბაზის რაც შეიძლება მალე შექმნის მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს კაუჩუკოვანი კულტურების — კოკ-საგიზის, გვაიულისა და ტაუ-საგიზის ნათესი ფართობების მნიშვნელოვნად გადიდება და მათი მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლება. უზრუნველყოფილ იქნას 1947 წელს კოკ-საგიზის თესვის გეგმის აღცილებლად შესრულება. 1947-1948 წლებში კოკ-საგიზის ნათესები განლაგდეს უმთავრესად ბელორუსიისა და უკრაინის სს რესპუბლიკებში, ჩუვაშეთისა და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკებში, კურსკის, ვლადიმირის, ორიოლის, ტულის, გორკისა და რიაზანის ოლქებში. კოკ-საგიზის ნათესები თავმოყრილ იქნას პირველ რიგში იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც ამ კულტურის მოყვანის გამოცდილება აქვთ, და არ იქნას დაშვებული ნათესების ბეტისმეტი დაქსაქსვა.

19. ფართოდ დაინერგოს კოკ-საგიზის მოყვანის მოწინავე აგროტექნიკა — თესვა ღრმა მზრალად ნახნავში ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენებით, ნათესების გულმოდგინედ მოვლა, თესვისა და დამუშავების დაწესებული ვადების ზუსტად დაცვა. შეიქმნას ვეთესლეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქსელი კოკ-საგიზის ჯიშიანი და გაუმჯობესებული თესლის მოსაყვანად.

20. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად დაარჩაროს კოკ-საგიზის ვეგეტაციური გამრავლების წესის შემუშავება და ამავე დროს ამ წესის წარმოებაში დანერგვა, აგრეთვე შეიმუშაოს უკრაინის სსრ ტრწყავ ველიან რაიონებში ტაუ-საგიზის მოყვანის წესი.

## თამბაქოსა და წეკოს დარგში

21. აღინიშნოს თამბაქოს მოსავლიანობის მნიშვნელოვანი შემცირება კრასნოდარის მხარეში, უკრაინის სს რესპუბლიკაში, ყირიმის ოლქში და წეკოსი სარატოვის, ტამბოვის, რიაზანის ოლქებში და მორდვეთის ასს რესპუბლიკებში. თამბაქოსა და წეკოს დაბალი მოსავლიანობა იმის შედეგს წარმოადგენს, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ამ კულტურების წარმოებას. ირღვევა აგროტექნიკა, დანაკარგებია მოსავლის აღების დროს, აგრეთვე არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია სათბურთა და სახმობთა მეურნეობა.

გადიდდეს თამბაქოს ნათესი ფართობი 15,3 ათასი ჰექტარით და წეკოსი 32,0 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას ეს ფართობი 1947 წელს — თამბაქოსი — 98,2 ათას ჰექტარამდე. მათ შორის კოლმეურნეობებში — 83,8 ათას ჰექტარამდე, ხოლო წეკოსი — 129 ათას ჰექტარამდე, მათ შორის კოლმეურ-

ნეობებში — 116,5 ათას ჰექტარამდე, და 1948 წელს — თამბაქოსი 101,4 ათას ჰექტარამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში — 87 ათას ჰექტარამდე, და წეკოსი—141 ათას ჰექტარამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში — 123 ათას ჰექტარამდე.

22. უზრუნველყოფილ იქნას სათბურთა მეურნეობის მოწყობა მეთამბაქოობის ყველა კოლმეურნეობაში იმ ოდენობით, რომ იგი სავსებით უზრუნველჰყოფდეს თამბაქოსა და წეკოს ჩითილის ადრეულ ვადებში გამოყვანას.

1947-1948 წლებში აღდგენილ იქნას კოლმეურნეობებში არსებული ყველა საშრობი სათავსი თამბაქოსა და წეკოს საშრობად, აგრეთვე გაჩაღდეს ახალ საშრობ სათავსთა მშენებლობა, რათა მეთამბაქოობის ყოველ კოლმეურნეობას ჰქონდეს საშრობი სათავსი, რომელიც სავსებით აკმაყოფილებდეს მის საჭიროებას. თამბაქოსა და წეკოსათვის გამოიყოს საუკეთესო გაპატიებული, სარეველა ბალახებისაგან სუფთა და მზრალად მოხნული მიწები.

თამბაქოსა და წეკოს დარგვა და მოვლა ჩატარდეს საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დარგვის სიხშირის ნორმების სრული დაცვით, ხოლო ამ კულტურების მოსავლის აღება დამთავრდეს ყინვების დაწყებამდე და არ იქნას დაშვებული მოსავლის დაკარგვა განსაკუთრებით აღებისა და შრობის პერიოდში.

## მეაბრეშუმეობის დარგში

23. უზრუნველყოფილ იქნას 1948 წელს პარკის საერთო მოსავლის მიღება სულ ცოტა ომამდელი დონის ოდენობით.

შეუწყნარებლად ჩაითვალოს, რომ ამ უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემცირდა თუთის ხის ნარგავები, დაშვებულ იქნა თუთის ხის გაკაფვა, პირუტყვისაგან წახდენა და გახმობა, განსაკუთრებით ზუზეკეთის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებში. იმის გათვალისწინებით, რომ შეაბრეშუმეობის განვითარების ძირითად პირობას წარმოადგენს საკვები ბაზის ჯსწრაფესი აღდგენა და განვითარება, მნიშვნელოვნად გაღიდდეს თუთის ხის ნარგავთა ფართობი, გაუქმდეს ნარგავთა მოვლა, აღმოიფხვრას პლანტაციების სიმეჩხრე და ფართოდ დაინერგოს თუთის ხის მაღალმოსავლიანი ჯიშები.

შუა აზიისა და ამიერკავკასიის რაიონებში მეაბრეშუმეობის შემდგომ განვითარებასთან ერთად, ძლებულ იქნას ზომები მეაბრეშუმეობის გასაფართოებლად და როგორც თუთის აბრეშუმის ჭიის, ისე ძუხის აბრეშუმის ჭიისათვის საკვები ბაზის შესაქმნელად რსფსრის სფს რესპუბლიკაში, უკრაინისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკებში.

გაჩაღდეს პარკსახრჩობთა, პარკსაშრობთა და საგრენაჟო ქარხნების ახალი მშენებლობა.

## ციტრუსოვანი კულტურებისა და ჩაის დარგში

24. სუბტროპიკული რაიონების სასოთლო-სამიტრნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე დაისახოს ამოცანა მნიშვნელოვნად გააფართოონ ციტრუსოვანთა ნაყოფისა და ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა. 1948 წელს გადაჭარბებულ იქნას ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის ომამდელი დონე.

გაფართოდეს ციტრუსოვანი კულტურების ფართობი 1947 წელს 20,8 ათას ჰექტარამდე და ჩაის პლანტაციების ფართობი 55,6 ათას ჰექტარამდე, რათა უკვე 1949 წელს ციტრუსოვანი კულტურების ფართობი აყვანილ იქნას 27,5 ათას ჰექტარამდე, ხოლო ჩაის პლანტაციებისა 60 ათას ჰექტარამდე.

ციტრუსოვანი კულტურების ფართობის გაფართოება მოხდეს მხოლოდდამხოლოდ ფორთოხლისა და ლიმონის ნარგავთა ზრდით.

უზრუნველყოფილ იქნას სხვა სუბტროპიკული ხეხილის კულტურათა (ზეთისხილის, ლეღვის, ბროწეულის, ხურმის) განვითარება.

25. 1947-1948 წლების განმავლობაში ბოლო მოეღოს ჩაის პლანტაციების სიმეჩხრეს, და 1949 წელს დამთავრდეს მცირემოსავლიანი ციტრუსოვანი ხეების ხელახალი დამყნობა; უზრუნველყოფილ იქნას პლანტაციების ჯეროვანი ბოვლა და არ იქნას დაშვებული აგროტექნიკის გაძარტივება.

26. იმ მიზნით, რომ ციტრუსოვანთა ნარგავები გავრცელდეს სუბტროპიკული ზონის შედარებით დაბალ ტემპერატურიან რაიონებში, მოეწყოს სასელექციო მუშაობა ფორთოხლისა და ლიმონის ყინვაგამძლე, საადრეო და მაღალმოსავლიანი ჯიშების გამოსაყვანად და ამ საქმეში ჩაბმულ იქნან, გარდა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა, მცდელი კოლმეურნეები, მებაღეები და აგრონომები.

ჩატარდეს ციტრუსოვან და ჩაის პლანტაციებში სოფლის მეურნეობის მავნებლებთან და დაავადებასთან ბრძოლის აუცილებელი ღონისძიებანი და უახლოეს 2-3 წელიწადში მიღწეულ იქნას დაავადებია კერათა ლიკვიდაცია.

უზრუნველყოფილ იქნას 1947 წელს ჩაისა და ციტრუსოვანთა ხარგავებისათვის მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატებით შეზიდვა და ფართოდ გამოყენებულ იქნას სიდერატები და ადგილობრივი ორგანული სასუქები.

1947 წელს საქართველოს სს რესპუბლიკას ციტრუსოვანთა კულტურებისა და ჩაისათვის გამოეყოს 84 ათასი ტონა მინერალური სასუქები, მათ შორის 45 ათასი ტონა აზოტოვანი სასუქები.

## მებაღეობისა და მევენახეობის დარგში

27. უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობათა მიერ 1947 წელს 16.700 ჰექტარი ახალი ბაღებით, 6.700 ჰექტარი საკენკრეებისა და 11.400 ჰექტარი ვენახების, ხოლო 1948 წელს 25 ათასი ჰექტარი ბაღების, 10 ათასი ჰექტარი საკენკრეებისა და 16 ათასი ჰექტარი ვენახების გაშენება, ამავე დროს გადიდებულ იქნას არსებული ბაღების, საკენკრეებისა და ვენახებია ძოკავლიანობა.

28. განმტკიცდეს არსებული საკოლმეურნეო და საბელმწიფო სანერგეები და მოეწყოს ახალი, რათა სავსებით უზრუნველყოფილ იქნას სარგავი მასალით ახალი ბაღების, ვენახებისა და საკენკრეების გაშენება, მათი რეკონსტრუქტი, აგრეთვე ხეხილისა და ვაზის დარგვა კოლმეურნეთა, ძუშათა და მოსაძსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე.

29. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს აღადგინოს 1948 წლიდან ბაღის სპეციალური მანქანებია (ბაღის გუთნები, ფარცხები, კულტივატორები, საპლანტაჟე გუთნები), ბაღისა და ვენახის მავნებლებთან და დაავადებასთან საბრძოლველი აპარატურის, აგრეთვე ბაღის წვრილი ინვენტარის წარმოება.

## სოჭისა და აბუსალათინის დარგში

30. აღინიშნოს სოჭისა და აბუსალათინის ნათესი ფართობების მეტად ნელი აღდგენა. განსაკუთრებით ნელა მიმდინარეობს სოჭიაა და აბუსალათინის ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის აღდგენა კრასნოდარის მხარესა და უკრაინის სს რესპუბლიკაში.

გადიდდეს სოჭის ნათესი ფართობი 1947 წელს 52 ათასი ჰექტარით, მათ შორის კოლმეურნეობებში 29 ათასი ჰექტარით, და აყვანილ იქნას ეს ფართობი 274 ათას ჰექტარამდე იმ ანგარიშით, რომ 1948 წელს სოჭის ნათესი ფართობები სავსებით აღდგენილ იქნას ომამდელ ოდენობამდე; აბუსალათინის ნათესი ფართობი 1947 წელს კოლმეურნეობებში გადიდდეს 48 ათას ჰექტარამდე და აყვანილ იქნას 112,5 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 150 ათას ჰექტარამდე.

31. სოიისა და აბუსალათინის უხვი და მყარი მოსავლის მისაღებად ამ კულტურების თესვა სწარმოებდეს მზრალად სახნავში, ხოლო სოიის თესვა შორეულ აღმოსავლეთში ანეულად ნახნავში. გაუმჯობესდეს სასელექციო მუშაობა სოიისა და აბუსალათინის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების მისაღებად. წარმოებაში ფართოდ დაინერგოს აბუსალათინის უსკდომკოლოფიანი ჯიშები. გადიდდეს კოლმეურნეობებში ჯიშიანი თესლის წარმოება, რათა 1949 წელს სოიისა და აბუსალათინის მთელი ნათესი ფართობი უზრუნველყოფილ იქნას ჯიშიანი თესლით.

## ზეთოვანი კულტურების დარგში

32. უზრუნველყოფილ იქნას მზესუმზირას ნათესი ფართობების გადიდება 105 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას ეს ფართობი 1947 წელს 3.100 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 3.392 ათას ჰექტარამდე, გადიდდეს საზეთე სელის ფართობი 40 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას ეს ფართობი 1947 წელს 238 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 336 ათას ჰექტარამდე, აყვანილ იქნას მდოგვის ფართობი 1947 წელს 286 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 300 ათას ჰექტარამდე, წიწმატასელისა — 1947 წელს 223 ათას ჰექტარამდე.

33. უზრუნველყოფილ იქნას, 1947 წლიდან დაწყებული, ზეთოვანი კულტურების თესვის ჩატარება მზრალად ნახნავში, გაუმჯობესდეს ნიადაგის თესვისწინა დამუშავებისა და თესვის ხარისხი; ზეთოვანი კულტურების (მზესუმზირას, შირაბახტის, ყაყაჩოს, ალისარჩულის, პერილისა და არახისის) განიერმწკრივიან ნათესებში ჩატარდეს რიგთა შორის დამუშავება სულ მცირე სამჯერ და ამავე დროს მწკრივებში ამოიმარგლოს სარეველა ბალახები.

34. შემდეგში შეუწყნარებლად ჩაითვალოს ზეთოვანი კულტურების, განსაკუთრებით მზესუმზირას მოსავლის აღების დაყოვნება, რის შედეგადაც მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება; დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველჰყონ 1947 წელს და შემდგომ წლებში ზეთოვანი კულტურების მოსავლის დროულად აღება, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ მოაწყოს ზეთოვანი კულტურების მოსავლის ასაღებად კომბაინთა მოწყობილობის წარმოება ისეთი რაოდენობით, რამაც საჭიროებით უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნილება ამ მოწყობილობაზე.

## კარტოფილისა და ბოსტნეულის დარგში

35. გადიდდეს 1947 წელს კარტოფილის ნათესი ფართობი სსრ კავშირში 647 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას იგი 8.318 ათას ჰექტარამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში 2.682 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 9.108 ათას ჰექტარამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში 3.045 ათას ჰექტარამდე.

36. გადიდდეს 1947 წელს სსრ კავშირში ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობი 138 ათასი ჰექტარით, მათ შორის კოლმეურნეობებში 120 ათასი ჰექტარით, აქედან ხახვისა 26 ათასი ჰექტარით და კომბოსტოსი 49 ათასი ჰექტარით. აყვანილ იქნას ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობი 1947 წელს 1.800 ათას ჰექტარამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში 835 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 2 მილიონ ჰექტარამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში 900 ათას ჰექტარამდე.

მოლოტოვის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, კემეროვოსა და მოსკოვის ოლქებში, ალტაის მხარეში, უდმურტეთის ასს რესპუბლიკაში, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებში, სადაც მიღწეული და გადაჭარბებულია კოლმეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის ომამდელი დონე, — პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე დაი-

საბოს ამ კულტურების ნათესი ფართობების შემდგომი გადიდებისა და მოსავლიანობის ამაღლების ამოცანა. სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში ორი წლის განმავლობაში აღდგენილ იქნას ზაფხულის ნარგავი კარტოფილის ომამდელი ფართობები.

აღინიშნოს, რომ რიაზანის, სარატოვისა და ტამბოვის ოლქებმა კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის გადიდების ნაცვლად დაუშვეს ბოსტნეულისა და კარტოფილის მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის შემცირება.

37. მიღებულ იქნას ზომები მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ხარკოვის, კიევის, გორკის, სტალინგრადის, ურალის, დონბასის, კუზბასის სამრეწველო ცენტრების, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქალაქებისა და სხვა დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო კარტოფილისა და ბოსტნეულის და მეცხოველეობის ბაზების შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის, რათა სავსებით უზრუნველყოფილ იქნას ამ ცენტრების მოსახლეობა საკუთარი წარმოების ბოსტნეულითა და კარტოფილით და მნიშვნელოვანწილად ხორცითა და რძით, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას სათბურთა მეურნეობის ყოველმხრივი განვითარება ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის გაზაფხულის პერიოდში ადრეული ბოსტნეულითა და მწვანილით მოსამარაგებლად.

გადიდდეს კარტოფილის მოყვანა საგემოვნო და სახამებელბადაგის მრეწველობის ზონებში, განსაკუთრებით რიაზანის, ბრიანსკის, ორიოლის, ვლადიმირის, გორკის, ივანოვოს, იაროსლავლის, ტულის, სმოლენსკის, ჩერნიგოვის, ჟიტომირისა და მოგილიოვის ოლქებში, იმ ანგარიშით, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში მნიშვნელოვნად გადიდდეს კარტოფილის ნედლეულის წილი სპირტის წარმოებაში და მკვეთრად შემცირდეს სპირტის წარმოებისათვის მარცვლეულის ხარჯვა.

გაფართოვდეს ბოსტნეულის მოყვანა საკონსერვო ქარხნების ზონებში, განსაკუთრებით ასტრახანისა და ყირიმის ოლქებში, კრასნოდარის მხარეში, დაღისტნის ასს რესპუბლიკაში, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, უკრაინისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკებში, რათა მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას ნედლეულით საკონსერვო ქარხნების საჭიროება.

კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის ამაღლებისა და კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსაყვანად სარწყავი ფართობების მნიშვნელოვანი გადიდების მიზნით, დაევალოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაამზადოს ხელოვნური წვიმის დანადგარები. მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ დაამზადოს ნავთის ძრავები, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ დაამზადოს წყლის ტუმბოები ისეთი რაოდენობით, რაც აუცილებელია რწყვის დროულად ჩატარებისათვის. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს ახალ სარწყავ დანადგართა ტიპები.

## III

## მეცხოველეობის აღმავლობის დარგში

1948 წლის დამლევისათვის აღდგენილ და გადაჭარბებულ იქნას მსხვილფეხა რქიანი საქონლის, ცხვრისა და თხის სულადობის, ხოლო 1949 წლის დამლევისათვის — ღორის სულადობის ომამდელი დონე; ხუთწლედის დამლევისათვის მნიშვნელოვნად გადაჭარბებულ იქნას ყველა სახის პროდუქტიული საქონლის ომამდელი დონე; 1950 წლის დამლევისათვის ცხენის სულადობა კოლმეურნეობებში 1946 წელთან შედარებით გადიდდეს 58 პროცენტით.

გადიდდეს პირუტყვის პროდუქტიულობა ხორცის, რძის, მატყლის, გამოსავლიანობის მხრივ, მოზარდეულის ნამატის მიღება, ამასთან მიღწეულ

იქნას ომამდელი დონე რძისა და მატყლის საერთო გამოსავლიანობის მხრივ 1948 წელს, ხორცის მხრივ 1949 წელს და მნიშვნელოვნად გადაჭარბებულ იქნას ეს დონე ხუთწლედის დამლევისათვის.

უზრუნველყოფილ იქნას მეცხოველეობისა და მისი პროდუქტიულობის განვითარება, შეიქმნას მტკიცე საკვები ბაზა, აღმოიფხვრას დედა პირუტყვის სულადობის სიბერწე, ფართოდ გამოყენებულ იქნას ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერება და გადაჭრით გაუმჯობესდეს საჯინე მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მაღალპროდუქტიული ჯიშის პირუტყვის ფართოდ დასანერგავად.

აღინიშნოს, რომ ყაზახეთის სსრ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა 1941-დან 1946 წლამდე უზრუნველჰყვეს ცხენის, მსხვილფეხა რქიანი საქონლისა და ცხვრის განსაზოგადოებული სულადობის გადიდება. ამ პერიოდის განმავლობაში გაადიდეს მსხვილფეხა რქიანი საქონლისა და ცხვრის სულადობის ნამატი კალინინის, მოსკოვის ოლქებმა და ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკამ და მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობისა — გორკის, ივანოვოს ოლქებმა და იაკუტიის ასს რესპუბლიკამ. ცხვრისა და თხის სულადობა გაადიდეს საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქმენეთის სს რესპუბლიკებმა, არხანგელსკის ოლქმა და ხაბაროვსკის მხარემ.

ამავე დროს იმის შედეგად, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევდნენ მეცხოველეობის განვითარებას, 1941-დან 1946 წლამდე მოხდა მსხვილფეხა რქიანი საქონლისა და ცხვრის საერთო სულადობის შემცირება ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში, ალტაის, კრასნოიარსკის მხარეებში, ნოვოსიბირსკის, სარატოვისა და ომსკის ოლქებში. ამავე პერიოდის განმავლობაში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა შეამცირეს ვოლოგდის, კიროვის, ირკუტსკის, ჩიტის ოლქებმა, ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკამ და ცხვრის სულადობა — ულიანოვსკის, ჩკალოვის ოლქებმა, თათრეთის ასს რესპუბლიკამ.

დაევალოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და მათს ადგილობრივ ორგანოებს 1947 წლის სახელმწიფო გეგმისა და ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად:

## მსხვილფეხა რქიანი საქონლის დარგში

1. გაადიდონ მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა 1947 წელს 5,2 მილიონი სულით და აიყვანონ იგი 1948 წლის 1 იანვრისათვის 52 მილიონ სულამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში გაადიდონ 2,6 მილიონი სულით და აიყვანონ 18,4 მილიონ სულამდე, ხოლო 1949 წლის 1 იანვრისათვის — 56,1 მილიონ სულამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში 21,2 მილიონ სულამდე და ძროხის სულადობა 1948 წლის 1 იანვრისათვის — 24,7 მილიონ სულამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში — 4,4 მილიონ სულამდე და 1949 წლის 1 იანვრისათვის — 27,2 მილიონ სულამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში — 6 მილიონ სულამდე.

2. მეცხოველეობის განვითარებაში მიჩნეულ იქნას სერიოზულ ნაკლოვანებად, რომ ბევრ კოლმეურნეობაში არსებობს წვრილი ფერმა ძროხების მცირე სულადობით, რომლებიც ვერ უზრუნველჰყოფენ მეცხოველეობის საერთო რაოდენობის პროდუქციის წარმოებას სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესასრულებლად და კოლმეურნეთათვის შრომადღეებზე გასაცემად. ტამბოვის ოლქში საშუალოდ 1 ფერმაზე მხოლოდ 6 ძროხა მოდის, კიროვის ოლქში — 7 ძროხა, პენზის ოლქში — 8 ძროხა. განსაკუთრებით შეუწყნარებელი ის არის, რომ მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში ზოგიერთ კოლმეურნეობას სრულიად არ მოეპოვება დედა საქონლის სულა-

დობა ფერმაში. კიროვის ოლქში ძროხები ფერმებში არა ჰყავს 586 კოლმეურნეობას, რიაზანის ოლქში — 108 კოლმეურნეობას, ტამბოვის ოლქში — 53 კოლმეურნეობას.

დაევალოს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს 1947-1948 წლების განმავლობაში უზრუნველჰყონ სარძეო-სასაქონლო ფერმების მოწყობა ყველა კოლმეურნეობაში, ხოლო 1950 წლის დამლევისათვის იმას მიაღწიონ, რომ ყველა კოლმეურნეობას ჰქონდეს ფერმა და ჰყავდეს სადედე სულადობა არანაკლებ კანონით დაწესებული რაოდენობისა. კოლმეურნეობებისათვის, რომლებმაც შეასრულეს მათთვის დაწესებული მინიმუმი ძროხების დარგში, საქონლის რაოდენობის გადიდების საგეგმო დავალების მიცემისას მხედველობაში მიღებულ იქნას სულადობის შემდგომი გადიდების საჭიროება.

3. მიჩნეულ იქნას ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანად კოლმეურნეთა შორის უძროხობისა და უსაქონლობის ლიკვიდაცია 2-3 წლის განმავლობაში. ამ მიზნით 1947-1948 წლების განმავლობაში მოეწყოს უძროხო კოლმეურნეთათვის სახელმწიფო დახმარება კრედიტით მათ მიერ დეკეულების შეძენად.

დაევალოს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეებს უხეში და წვნიანი საკვებით, აგრეთვე საძოვრით მათი კუთვნილი პირუტყვის უზრუნველყოფაში.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგში ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ ღონისძიებათა გატარებისას ზოოტექნიკური და ვეტერინარული დახმარება გაუწიონ მეცხოველეობას, რომელიც კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში იმყოფება.

4. უზრუნველყოფილ იქნას 1947 წლის დამლევისათვის წველადობის გადიდება საკოლმეურნეო ფერმების ერთ ძროხაზე საშუალოდ 15 პროცენტით 1946 წელთან შედარებით, ხოლო 1948 წლის დამლევისათვის — 15 პროცენტით 1947 წელთან შედარებით.

დაევალოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და მათს ადგილობრივ ორგანოებს უზრუნველჰყონ ერბო-კარაქის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება ყველა ოლქში, მხარესა და რაიონში, და განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებიც ოდითვე განთქმული არიან სასაქონლო ერბო-კარაქის წარმოებით — ციმბირში, არხანგელსკის, ვოლოგდის, მოლოტოვისა და კიროვის ოლქებში — კოლმეურნეობებში ძროხის სულადობის უფრო სწრაფი ზრდის, ძროხის პროდუქტიულობის გადიდების, მყარი საკვები ბაზის შექმნის, სარძეო ქარხნების ქსელის ფართო განვითარების საფუძველზე.

5. მიჩნეულ იქნას არასწორად, რომ კოლმეურნეებს არ უქმნიდნენ შესაძლებლობას შეესრულებინათ რძის ჩაბარება ერბო-კარაქით, არ მიუყიდნიათ მათთვის სეპარატორები, და კოლმეურნეობები, ერბო-კარაქის სახელმწიფო ქარხნების საკმაო ქსელის უქონლობის გამო, იძულებული იყვნენ ერბო-კარაქის დაშორებულ სახელმწიფო მისაღებ პუნქტებსა და ერბო-კარაქის ქარხნებში მიეტანათ რძე, რის შედეგად რძის მნიშვნელოვანი ნაწილი ერბოდ აღარ კეთდება და დიდძალი რძე ფუჭდება. არსებული ერბო-კარაქის ქარხნები, მიმღები პუნქტები და კოლმეურნეობები არადამაკმაყოფილებლად არიან უზრუნველყოფილი რძის ჭურჭლით, მოწყობილობით და რძის ცხიმიანობის გამოსარკვევი რეაქტივებით. ყოველივე ამას ის მოსდევს, რომ სახელმწიფოს

აკლდება მნიშვნელოვანი რაოდენობის ერბო-კარაქი, ხოლო კოლმეურნეობებს დიდი ზარალი მოსდით.

ერბო-კარაქის გამომუშავების მნიშვნელოვანი გადიდების მიზნით დაევალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს შეუფერხებლად მიიღოს კოლმეურნეობებისაგან, კოლმეურნეებისა და გლეხთა პეურნეობებისაგან, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან კარაქი მათ მიერ რძის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების ანგარიშში.

რძის ქარხნები, რძის დამამზადებელი პუნქტები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეები და გლეხთა მეურნეობები რომ უზრუნველყოფილ იქნან სეპარატორებით, რძის ჭურჭლითა და ლაბორატორიული მოწყობილობით, ამისათვის უზრუნველყოფილ იქნას 1947 წელს 150 ათასი ცალი სეპარატორის, 850 ათასი ცალი რძის ბიდონის, 242 ათასი გოგზაკის, 143,5 ათასი რძის საზომის, 21 ათასი ცენტროფუგის, 500 ათასი ცალი პუტირომეტრის დამზადება. კოლმეურნეობებსა და რძის მრეწველობას გამოეყოს საჭირო რაოდენობის გოგირდმჟავა და ანილის სპირტი.

6. აღინიშნოს, როგორც სერიოზული ნაკლოვანება, რომ კოლმეურნეობებში ცუდად არის მოწყობილი საქონლის გასუქება, რის შედეგად ჩაბარების ანგარიშში იძლევიან საშუალოზე ნაკლები სიმსუქნის საქონლის მნიშვნელოვან რაოდენობას, რითაც სერიოზული ზარალი აქვს სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს, რადგან სახელმწიფო იღებს მდარე ხარისხის ხორცს, ხოლო კოლმეურნეობები იძულებული არიან ჩააბარონ პირუტყვის ზედმეტი სულადობა.

დაწესდეს კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის გასუქების გეგმა 1947 წელს 2 მილიონი სულის რაოდენობით და 1948 წელს — 2,2 მილიონი სულის რაოდენობით იმ ვარაუდით, რომ კოლმეურნეობებმა შემდეგში აღარ ჩააბარონ საშუალოზე ნაკლები სიმსუქნის პირუტყვი ხორცის ჩაბარების ანგარიშში და მნიშვნელოვნად გაადიდონ საშუალოზე მეტი სიმსუქნისა და მსუქანი პირუტყვის ჩაბარება.

7. გათვალისწინებულ იქნას დიდძალი საძოვრების არსებობა სახორცე მესაქონლეობის განვითარებისათვის ყაზახეთის, ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკებში, ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთის, სამხრეთ ურალისა და აღმოსავლეთ ციმბირის რაიონებში და წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს და გადასწყვიტოს აღნიშნულ რაიონებში ზათბელისა და ზამთრის საძოვრების უფრო სრული გამოყენების საფუძველზე სახორცე მესაქონლეობის ფართო განვითარების საკითხი ამ საძოვრების მოწყობის ღონისძიებათა ფართო მასშტაბით გატარების გზით.

8. დამამზადებელი ბაზების არასაკმარ ქსელთან დაკავშირებით, რის გამო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იძულებული არიან დიდ მანძილზე გარეკონ საქონელი, დაევალოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს გააუმჯობესოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან პირუტყვის მიღების ორგანიზაცია, გააფართოოს დამამზადებელი ბაზები და უფრო ფართო მასშტაბით მოაწყოს დამზადებული პირუტყვის გასუქება.

## მეცხვარეობის დარგში

9. 1947 წელს ცხვრისა და თხის სულადობა გადიდდეს 15,6 მილიონი სულით, მათ შორის კოლმეურნეობებში 6,9 მილიონი სულით და აყვანილ იქნას იგი 1948 წლის 1 იანვრისათვის 84.7 მილიონ სულამდე, მათ შორის წმინდამატყლიანი და ნახევრადუხშმატყლიანი 20,1 მილიონ სულამდე, და 1949 წლის 1 იანვრისათვის 97,8 მილიონ სულამდე, მათ შორის წმინდამატყლიანი და ნახევრადუხშმატყლიანი 27.2 მილიონ სულამდე; ცხვრისა და თხის სულადობა კოლმეურნეობებში 1948 წლის 1 იანვრისათვის აყვანილ იქნას 46 მილიონ სულამდე, მათ შორის წმინდამატყლიანი და ნახევრადუხშმატყ-

ლიანი 14,4 მილიონ სულამდე და 1949 წლის 1 იანვრისათვის 53,7 მილიონ სულამდე, მათ შორის წმინდამატყლიანი და ნახევრადუხეშმატყლიანი 18,9 მილიონ სულამდე.

10. აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში განსაკუთრებით ალტაის, კრასნოიარსკის მხარეებში, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ჩკალოვის, კუიბიშევისა და სარატოვის ოლქებში სათანადო ყურადღება არ ეთმობა წმინდამატყლიანი მეცხვარეობის განვითარებას, მკვეთრად შემცირდა ცხვრის ხელოვნური განაყოფიერება, რაც ფართოდ იყო გამოყენებული ომამდელ წლებში; ამან გამოიწვია წმინდამატყლიანი და ნახევრადუხეშმატყლიანი ცხვრის სულადობის შემცირება და წმინდა და ნახევრადუხეში მატყლის დამზადების შემცირება.

დაევალოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს უზრუნველჰყონ ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად წმინდამატყლიანი და ნახევრადუხეშმატყლიანი მეცხვარეობის შემდგომი განვითარება განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უკრაინის სს რესპუბლიკის, დასავლეთი ციმბირის, ყირიმის ოლქის რაიონებში, ვოლგისპირეთში, აგრეთვე სატყაპუჭ-საქურქე, სახორცე-საქონე მეცხვარეობის შემდგომი განვითარება მისი გავრცელების რაიონებში.

## მელოტრეობის დარგში

11. გადიდდეს ღორის სულადობა 1947 წელს 4,8 მილიონი სულით და აყვანილ იქნას იგი 1948 წლის 1 იანვრისათვის 13,4 მილიონ სულამდე და 1949 წლის 1 იანვრისათვის 20,3 მილიონ სულამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში 1947 წელს გადიდდეს სულადობა 2,2 მილიონი სულით და აყვანილ იქნას იგი 1948 წლის 1 იანვრისათვის 4,6 მილიონ სულამდე და 1949 წლის 1 იანვრისათვის 6,3 მილიონ სულამდე.

12. გათვალისწინებულ იქნას, რომ სხვადასხვა ჯიშის ღორების შეჯვარებით მიღებული ნამატის სუქების თვისებები მნიშვნელოვნად დიდდება და რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ფართოდ გამოიყენონ ჯიშთა შეჯვარების მეთოდები.

კოლმეურნეობებში მელორეობისათვის საკვები ბაზის უზრუნველსაყოფად მოეწყოს სიმინდის, ბაღჩეული კულტურების, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის სპეციალური თესვა, ჩაიდოს სილოსი, მომზადდეს ბოსტნისა და სამყურის თივის ფქვილი, მოეწყოს ღორების საძოვრებზე შენახვა.

## მეცხენეობის დარგში

13. გადიდდეს 1947 წელს ცხენის სულადობა 1.100 ათასი სულით და აყვანილ იქნას იგი 1948 წლის 1 იანვრისათვის 11,9 მილიონ სულამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში გადიდდეს ცხენის სულადობა 1947 წელს 1946 წელთან შედარებით 700 ათასი სულით და აყვანილ იქნას იგი 7,5 მილიონ სულამდე, ხოლო 1949 წლის 1 იანვრისათვის 12,9 მილიონ სულამდე, მათ შორის კოლმეურნეობებში 8.2 მილიონ სულამდე.

მიღებულ იქნას ზომები სახელმწიფო საჯიშე სანაშენოთა, კოლმეურნეობების საჯიშე ფერმათა და სახელმწიფო სანაშენოთა თავლების მუშაობის გასაუმჯობესებლად, იქ არსებულ მწარმოებელთა სავსებით გამოსაყენებლად, გადიდდეს საკოლმეურნეო საჯიშე მეცხენეობის ფერმათა რიცხვი; მეღიანი რაიონების კოლმეურნეობებში ფართოდ განვითარდეს ჯოგური მეცხენეობა.

14. დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საშხარეო აღმასკომებს, საოლქო აღმასკომებს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო

კოოპერაციის საწარმოებში მოაწყონ ცხენის აღალის, აკაზმულობის წარმოება და შეკეთება, ნალის, ნალის ლურსმნის, თექის, კუპრის, თვლის საცხის და ხის ნახშირის წარმოება.

დაევალოს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს გაადიდოს 1947 წლიდან ცხენის აკაზმულობის, უნაგირის, ცხენის მოსავლელი ინვენტარის, თექის, მოუქნელი ტყავის წარმოება.

15. მოეწყოს მუშა ხარების მოშენება კოლმეურნეობებში ცოცხალი გამწევი ძალის გასადიდებლად და მუშა ხარების სულადობა კოლმეურნეობებში 1948 წლის 1 იანვრისათვის აყვანილ იქნას 3,5 მილიონ სულამდე და 1949 წლის 1 იანვრისათვის 4,1 მილიონ სულამდე.

16. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გაუმჯობესონ მეცხოველეობის ვეტერინარული მომსახურება, მიაღწიონ საქონლის დაავადებისა და სიკვდილიანობის მკვეთრად შემცირებას, მოაწყონ სარაიონო ვეტერინარულ სამკურნალოთა, ზოოვეტუბანთა, ვეტერინარულ-საფერშლო პუნქტებისა და ვეტერინარულ-ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიათა შენობების აგება და რემონტი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და ზოოვეტერინარული ქსელის მედიკამენტებით, სადეზინფექციო საშუალებებით, ინსტრუმენტებითა და მოწყობილობით მომარაგების საქმე. აღდგენილ იქნას და გადიდდეს ვეტერინარული მოწყობილობის საგნების, მედიკამენტების, სადეზინფექციო საშუალებების წარმოება იმ დონემდე, რომელიც სავსებით უზრუნველჰყოფს მეცხოველეობის ძოროხოვნილებას. დაჩქარდეს სტანდარტული ვეტერინარული აფთიაქები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის და ვეტერინარული კომპლექტები ვეტერინარული სამკურნალოებისა და ვეტერინარულ-საფერშლო პუნქტებისათვის.

## ჯიშთა გამოყვანის საქმეში

17. მიჩნეულ იქნას არასწორად, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯეროვნად არ აფასებენ ჯიშიანი მეცხოველეობის მნიშვნელობას და არ ითვალისწინებენ, რომ ჯიშიანი პირუტყვის გადიდება საშუალებას მოგვცემს უფრო მალე გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მრავალ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოწყობილი არ არის ჯიშიან მწარმოებელთა მოშენება. არასაკმაოდაა მოწყობილი ხუშაობა მეტისური და განსაკუთრებით ადგილობრივი ჯიშის პირუტყვთაგან მაღალპროდუქტიული ცხოველების შერჩევა-მოშენების დარგში. არ მომხდარა პირუტყვის ჯიშის მიხედვით დარაიონება. ამავე დროს ჯიშიანი პირუტყვი ყველაზე უფრო მაღალპროდუქტიულია.

დაევალოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს აღადგინონ და მოაწყონ ახალი საჯიშე საბჭოთა მეურნეობები, სახელმწიფო საჯიშე სანაშენოები და კოლმეურნეობათა საჯიშე ფერმები. ხუთწლედის დამლევისათვის უზრუნველჰყონ ყველა კოლმეურნეო ფერმა ყველა სახეობის პირუტყვის საუკეთესო თვისებათა მქონე ჯიშიანი მწარმოებლებით.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამი თვის ვადაში წარუდგინოს განსახილველად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ჯიშთა გამოყვანის საქმის გაუმჯობესებისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ჯიშთა დარაიონების შესახებ.

18. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და მათს ადგილობრივ ორგანოებს უზრუნველჰყონ საჯიშე მუშაობა ცალკეული სახეობის პირუტყვზე

შემდეგი მიმართულებით: მეცხენეობაში — ცხენის მუშაობისუნარიანობისა და ამტანობის გადიდება, ცხენის ტანის გადიდება; მსვილფეხა რქიანი საქონლის დარგში — რძისა და ხორცის პროდუქტიულობის, რძის ცხიმიანობის შემდგომი გადიდება, მალე მომწიფება და ცოცხალი წონის გადიდება; მეცხვარეობაში — წაქიდამატყლიანი და ნახევრადუქიმატყლიანი ჯიშის ცხვრის აღდგენა და შემდგომი გაუმჯობესება, ძიაც ხარისხობრივი და სახორცე პროდუქტიულობის გადიდება, ანგორეთი უხეშმატყლიანი ჯიშის ცხვრის შემდგომი გაუმჯობესება, მეღორეობაში — ნაყოფიერების, მალე მომწიფების გადიდება, ადგილობრივი საკოე ჯიშების გაუმჯობესება.

19. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მიიღონ ზომები, რათა ფართოდ იქნას გამოყენებული ხელოვნური განაყოფიერება ჯიშიანი საქონლის რაოდენობის შემდგომი გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის და დააკომპლექტონ ხელოვნური განაყოფიერების პუნქტები კარგი საწყისი თვისებების მქონე მწარმოებლებით. ცხვრის ხელოვნური განაყოფიერება 1947 წელს აყვანილ იქნას 7,6 მილიონ სულამდე და ძროხისა — 640 ათას სულამდე, ხოლო 1948 წელს ცხვრისა — 11 მილიონ სულამდე და ძროხისა — 820 ათას სულამდე. უზრუნველყოფილ იქნას საკავშირო ღა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში საჭირო ინსტრუმენტების წარმოება ხელოვნური განაყოფიერების პუნქტებისათვის.

მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ხელოვნური განაყოფიერების დარგის ინსტრუქტორთა და ტექნიკოსთა კადრების მომზადება. ხელოვნური განაყოფიერების პუნქტებისათვის საჭირო კადრების მომზადებისა და საჭირო მოწყობილობით პუნქტების მომარაგების ხარჯები გათვალისწინებულ იქნას სახელმწიფო ბიუჯეტით.

## მეფრინველეობის დარგში

20. აღიარებულ იქნას აუცილებლად, რომ თვითეულ კოლმეურნეობაში, რომელსაც მარცვლეულის ნათესი აქვს, მოეწყოს მეფრინველეობის ფერმა, ხოლო კოლმეურნეობებში, რომლებსაც წყალსატევები მოეპოვებათ მოეწყოს წყალმცურავი ფრინველის ფერმები.

გადიდდეს 1947 წელს ფრინველის სულადობა კოლმეურნეობებში სულ ცოტა ერთიორად, ხოლო 1948 წელს—სულ ცოტა ერთისამად 1946 წელთან შედარებით.

გაუმჯობესდეს არსებულ საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურთა მუშაობა და 1947-1948 წლებში აშენდეს 120 ახალი სადგური, ამასთან გაჩაღდეს ახალ ინკუბატორთა წარმოება.

ფართოდ განვითარდეს მეფრინველეობა კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა პირად სარგებლობაში. მოეწყოს 1947-1948 წლებში კვერცხის მიღება საინკუბაციოდ და კოლმეურნეებისა და მუშა-მოსამსახურეებისათვის წიწილების მიყიდვა შეღავათიან პირობებში საინკუბატორო-მეფრინველეობის სადგურებიდან.

## საკვების დარგში

21. უხეში საკვების მოსავალი კოლმეურნეობებში 1947 წელს აყვანილ იქნას 95 მილიონ ტონამდე, მათ შორის საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის 76 მილიონ ტონამდე; 1948 წელს 105 მილიონ ტონამდე, მათ შორის საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის 84 მილიონ ტონამდე.

საკვები კულტურების ნათესი ფართობი კოლმეურნეობებში აყვანილ იქნას შემდეგ ოდენობამდე: მრავალწლიანი ბალახეულისა 1947 წელს 3.450 ათას ჰექტარამდე, 1948 წელს — 5.200 ათას ჰექტარამდე, ერთწლიანი ბალახეულისა 1947 წელს 1.597 ათას ჰექტარამდე და 1948 წელს 1.952 ათას ჰექ-

ტარამდე; საკვები ძირხვენებისა და ბაღჩეული კულტურებისა (გოგრა, საკვები საზამთრო) — 1947 წელს 547 ათას ჰექტარამდე და 1948 წელს—638 ათას ჰექტარამდე.

ჩატარდეს მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების და მათი მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებანი ამოშრობის, ამოძირკვის და ბალახეულის ჩათესვის გზით, განსაკუთრებით ბარაბის ველის რაიონებში, ჩრდილოეთ დვინის, ვოლგის, ოკის, კამისა და სხვა მდინარეთა ნოლებში.

საკვების დასილოსება 1947 წელს აყვანილ იქნას 23 მილიონ ტონამდე და 1948 წელს — 25 მილიონ ტონამდე. ამ მიზნით გადიდდეს სასილოსე კულტურების ნათესი 1947 წელს 426 ათას ჰექტარამდე და 1948 წელს — 543 ათას ჰექტარამდე.

მდელო საძოვრების ბალახეულის მეთესლეობის გასაუმჯობესებლად შეიქმნას მეთესლეობის მეურნეობის ქსელი, მოეწყოს საკვები ძირხვენებისა და ბაღჩეული კულტურების მეთესლეობა, ამ თესლის წარმოება ეახლოეს ორ წელში აყვანილ იქნას ისეთ ოდენობამდე, რომელიც სავსებით უზრუნველჰყოფს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საჭიროებას და თესლის სახელმწიფო სარეზერვო ფონდის შექმნას.

აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ცუდად მუშაობენ მეცხოველეობის საკვები ბაზის შექმნისათვის. კემეროვოს, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ჩკალოვის, კოსტრომის ოლქების, სტავროპოლისა და კრასნოიარსკის მხარეების კოლმეურნეობებში 1946 წელს არ შესრულებულა თიბვის გეგმა, მდელოების დიდი ფართობები მოუთიბავი დარჩა, ამავე დროს კოლმეურნეობათა პირუტყვი ზამთრისათვის არ არის უზრუნველყოფილი საკვებით.

22. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აღადგინოს 1947-1948 წელს მტს-ებთან არსებული მანქანით მთიბავი რაზმები, დააკომპლექტოს ეს რაზმები მანქანების საჭირო რაოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ მოაწყოს 1947 წელს ფართოპირიანი სათიბი მანქანისა და ფოცხის სათადარიგო ნაწილების წარმოება და 1948 წელს მოაწყოს ფართოპირიანი სათიბი მანქანისა და ფოცხის წარმოება.

23. დაევალოს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ზომები, რათა გაუმჯობესდეს კოლმეურნეობებში პირუტყვის უზრუნველყოფა შენობებით, რისთვისაც კოლმეურნეობებში გაჩაღდეს მეცხოველეობის შენობათა მშენებლობა და ამ მიზნით ადგილობრივი საშენი მასალის (აგურის, კრამიტის, კირისა და სხვა) წარმოება. ველიანი რაიონების კოლმეურნეობებს ყოველმხრივი დახმარება გაეწიოს ხე-ტყის დამზადებაში. დაევალოს „ცენტროსოიუზს“ გაადიდოს კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად საშენი მასალის — მინის, ლურსმნის, ცემენტის და სხვა, აგრეთვე კავეული ნაწარმის და ინსტრუმენტის შეზიდვა.

24. გაჩაღდეს მუშაობა მეცხოველეობის ფერმებში მექანიზაციის დასანერგავად, პირველ რიგში ფერმებისათვის წყლის მიწოდების, საკვების დამზადების, შიდასაფერმო ტრანსპორტის, ხოლო ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობებში, გარდა ამისა, ძროხის ელექტროწველის და ცხვრის ელექტროპარსვის დარგში. 1947 წლიდან სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოებში მოეწყოს მეცხოველეობის ფერმების სამექანიზაციოდ მანქანათა წარმოება.

25. ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდავეთის სს რესპუბლიკების, უკრაინისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკების დასავლეთი ოლქების საგლეხო მეურნეობებისათვის პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებასა და მისი პროდუქტიულობის გადიდებაში დახმარების გასაწევად დაევალოს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მოაწყონ სახელმწიფო და კოოპერაციული დასაგრილებელი პუნქტების და მსხვილფეხა რქიანი საქონლის, ცხვრის, ღორისა და ცხენის ხელოვნური განაყოფიერების პუნქტების დამატებითი ქსელი, ხოლო ღარიბ უძრავ მეურნეობებს სახელმწიფო დახმარება გაუწიონ პირუტყვის შესაძენად კრედიტის მიცემით.

## IV

## თესლბრუნვის დანერგვის, ბალახთესვის გაფართოების და აგროტექნიკისა და ირიგაციის გაუმჯობესების დარგში

დაევალოთ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და მათ ადგილობრივ ორგანოებს:

1. ხუთწლედის განმავლობაში ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაამთავრონ სწორი თესლბრუნვის შემოღება, ამასთან თესლბრუნვაში შეიტანონ ბალახთესვა, ფართოდ გამოიყენონ პარკოსანი და მარცვლოვანი მრავალწლიანი ბალახების ნარევი.

თესლბრუნვის შემოღებისას უზრუნველჰყონ:

ა) რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თესლბრუნვა მოეწყოს ოლქებისა და რაიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების დარგში ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების, აგრეთვე თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კონკრეტული სამეურნეო და ბუნებრივი პირობების შესაბამისად;

ბ) რაიონებში, რომლებსაც აქვთ სახნავად ვარგისი თავისუფალი მიწები, გარდა პროდუქტიული მდელოებისა და საძოვრებისა, გათვალისწინებულ იქნას თესლბრუნვაში ახალი მიწების შეტანა და ამ მიწების სათესად და საანეულოდ გამოყენება უახლოეს წლებში.

სარწყავი რაიონების კოლმეურნეობებში გათვალისწინებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული სარწყავი მიწების აღდგენა, აგრეთვე ახალი მიწების ათვისება სარწყავი მიწების მატების გზით;

გ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონალურ თავისებურებათა შესაბამისად სსრ კავშირის ველიან რაიონებში თესლბრუნვა შემოღებულ იქნას ბალახთესვისა და საშემოდგომო ანეულის გამოყენებით. საქმაო ტენიანობის რაიონებში, და განსაკუთრებით არამავნიადაგიან ზოლში, მიწების რაც შეიძლება უფრო სრულად გამოყენების მიზნით სარეველებისაგან მინდვრების გაწმენდისთანავე გამოყენებულ იქნას მოთესილი ანეული. სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში სწორი თესლბრუნვა შემოღებულ იქნას ბალახთესვის გამოყენებით უსუფთაანეულოდ.

ციმბირის, ურალის და ყაზახეთის სსრ ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქების რაიონებში უზრუნველყოფილ იქნას ყამირი და ნასევნი მიწების გამოყენება საგაზაფხულო ხორბლისათვის, ხოლო ველიან რაიონებში, ამასთან ერთად, ყველა სუფთა გადახნული ანეულისაც.

ამ რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მრავალწლიანი ბალახების თესლის ნაყოფობისას ბალახების თესლის ნაცვლად დროებით გათვალისწინებულ იქნას ანეულის ფართობის გადიდება.

2. პასუხისმგებლობა შემოღებული თესლბრუნვის დაცვისა და იმისათვის, რომ სათესი ფართობის გეგმები შეესაბამებოდეს მიღებულ თესლბრუნვაზე გადასვლის გეგმებს, დაეკისროს — ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლი-

კებში საოლქო, სამხარეო აღმასკომების თავმჯდომარეებსა და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებს, ხოლო რაიონებში — რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს.

3. რადგან დაწესებული ოდენობის სათესლე ნაკვეთებზე კოლმეურნეობებს სრული შესაძლებლობა აქვთ მოიყვანონ საჭირო რაოდენობის კარგი თესლი, დატოვებულ იქნას კოლმეურნეობათა სათესლე ნაკვეთებზე მოყვანილი თესლის შენახვის მოქმედი წესი, არ იქნას დაშვებული სახელმწიფო სავალდებულო ჩაბარებათა შესრულებამდე საერთო ნათესებზე მიღებული მარცვლეულის სათესლედ დახარჯვა.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველჰყონ სათესლე ნაკვეთების მოსავლიანობის გადიდება, მოაწყონ გულმოდგინე მოვლა სათესლე ნაკვეთებისა კოლმეურნეობებში, მოსავლის დროული აღება, გალეწვა, გაწმენდა, სათესლე ფონდების უვნებლად შენახვა და მომავალში თესლის საჭიროება მთლიანად დაიკმაყოფილონ კოლმეურნეობათა სათესლე ნაკვეთებით, არ ითხოვონ სახელმწიფო სესხი.

4. ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესაბამისად აყვანილ იქნას 1948 წელს მრავალწლიანი ბალახების სათიბი ფართობი ომამდელ დონემდე იმ ანგარიშით, რომ ეს ფართობი ხუთწლედის დამლევისათვის ყველა კატეგორიის მეურნეობებში გადიდებულ იქნას 21,4 მილიონ ჰექტარამდე და კოლმეურნეობებში 15,3 მილიონ ჰექტარამდე. მოეწყოს თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მრავალწლიანი ბალახების თესლის წარმოება, რათა უახლოეს 2-3 წელში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სავსებით უზრუნველჰყონ თავიანთი თესლით თესლბრუნვის მინდვრები. გადიდებულ იქნას სათესლე მრავალწლიანი ბალახების ფართობი კოლმეურნეობებში 1947 წელს 1.267 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 1.500 ათას ჰექტარამდე.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და მათ ორგანოებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველჰყონ მრავალწლიანი ბალახების თესლის მოსავლიანობის და წარმოების გადაჭრით გადიდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბალახების სათესლეებზე აგროტექნიკის გაუმჯობესების, მინერალური სასუქის საჭირო რაოდენობის გამოყოფის და ბალახების თესლის დროული აღების, გალეწვის და გამოფშვნის უზრუნველყოფის გზით.

იონჯისა და ორჯერ გასათიბი სამყურის თესლის მოსავლის გადიდების მიზნით უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში მოეწყოს იონჯისა და სამყურის ფართო მწკრივად თესვა, მწკრივთაშორისი დამუშავება დათესვის წელსვე თესლის მისაღებად და ფართოდ იქნას გამოყენებული იონჯის საზაფხულო თესვა სუფთა, კარგად დამუშავებულ ანეულში უკრაინის, ჩრდილოეთ კავკასიის, ყირიმისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკის რაიონებში.

მიღებულ იქნას ზომები მრავალწლიანი პარკოსანი და მარცვლეული ბალახების, განსაკუთრებით ვოლგისპირეთის რაიონებში კაპუეტის მეთესლეობის განვითარებისათვის. მეთესლეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჭკვლის მოწყობისათვის. ჩაბმულ იქნას ბალახების მეთესლეობაში სასელექციო და საცდელი სადგურები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო მეურნეობები.

5. მინდვრების დასარიგლიანების რაც შეიძლება მალე აღმოსაფხვრელად, ყველგან დაცულ იქნას ხვნა 20-22 სანტიმეტრი სიღრმით, ხოლო ნაკლები სახნავი ჰორიზონტის მქონე ნაკვეთებზე მთელი მისი სიღრმით, მოხნული ფენის თანდათან გაღრმავებით. 1947 წელს მთლიანად გამოყენებულ იქნას ყველა არსებული კორდამღები (წინამხვნელი), 1948 წელს გაკეთებულ

იქნას კორდამღებიანი გუთნები, რათა მტს-ებმა სატრაქტორო ხვნის სულ ცოტა ნახევარი შეასრულონ კორდამღებიანი გუთნებით, ხოლო 1949 წელს ძთლიანად გადაიდგნენ კორდამღებიანი გუთნებით ხვნაზე. ფართოდ იქნას გამოყენებული მინდვრების აოშვა დისკოიანი და სახნისიანი გუთნებით.

6. პარტიული და საბჭოთა ორგანოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მოსავლის გადიდების საქმეში ჩაითვალოს ადგილობრივი სასუქის — ნაკელის, ტორფის, სხვადასხვა კომპოსტის, ნაცრის და სხვ. დაგროვების, წარმოებისა და ნიადაგში შეტანის მნიშვნელოვანი გადიდება.

უზრუნველყოფილ იქნას საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესებში ადგილობრივი სასუქის შეტანის ყოველწლიური გადიდება, ამასთან მიღწეულ იქნას 1947 წელს ნიადაგში ადგილობრივი სასუქის შეტანის ერთიორად გადიდება 1946 წელთან შედარებით.

უზრუნველყოფილ იქნას ხანჭკოლისა და სხვა კულტურების, როგორც მწვანე სასუქის, ნათესების გადიდება არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში, განსაკუთრებით ქვიშიან ნიადაგში. მოეწყოს ხანჭკოლის მეთესლეობა ამ მიზნით სპეციალურად შერჩეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, გავრცელებულ იქნას უალკალოიდო (გლუვი) ხანჭკოლის თესვა.

7. ველიან რაიონებში მოეწყოს თოვლის შეკავება, თოვლის წყლის დაგუბება. უზრუნველყოფილ იქნას მინდვრის საცავი ტყის ზოლების გაშენების გეგმის შესრულება, აგრეთვე ნარგავების მართებული მოვლა. დაწესდეს ტყეების გაკაფვის მკაცრი რეჟიმი წყალგამყოფებზე და დიდ მდინარეთა სათავეებში. აიკრძალოს ტყეების, ბუჩქნარებისა და კორომების გაკაფვა ველიან რაიონებში, განსაკუთრებით ციმბირსა და ყაზახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებში. ფართოდ გაიშალოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობა.

8. ახალი საირიგაციო მშენებლობის განხორციელებასა და სარწყავი მიწების სათესი ფართობის გადიდებასთან ერთად შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, უზრუნველყოფილ იქნას შუა რუსეთის მაღლობის (კურსკის, ვორონეჟის, ორიოლის, ტამბოვის ოლქები), ვოლგისპირეთის, ჩრდილო-კავკასიის, ყირიმის, უკრაინის, დასავლეთ ციმბირის და ყაზახეთის სსრ ურწყავ რაიონებში მორწყვის მნიშვნელოვანი გადიდება, რათა შეიქმნას ძარცვლეული, ტექნიკური და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გარანტირებული მოსავლის ნაკვეთები.

უზრუნველყოფილ იქნას საირიგაციო მშენებლობის და სარწყავი სისტემების გაწმენდის მექანიზაციის ფართო განვითარება, მხედველობაში იქნას მიღებული ხელით შრომის შემცირება ამ სამუშაოებზე, აგრეთვე სამშენებლო და საექსპლოატაციო სამუშაოთა ტემპისა და ხარისხის გაუმჯობესება.

ამ მიზნით მოეწყოს საკმაო ოდენობით მიწის სახაპავი და ჰიდრომონიტორული დანადგარების, მისაბმელი მიწისსათხრელი მექანიზმების, ექსკავატორებისა და საფეთქებელ სამუშაოთათვის საბურღავი მოწყობილობის წარმოება.

წყალთა მეურნეობის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად განმტკიცდეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში წყალთა მეურნეობის მთავარი სამმართველო, გადაეცეს მას საჭირო საპროექტო, სამშენებლო და მომმარაგებელი ორგანიზაციები.

დანიშნულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში მინისტრის მოადგილე ირიგაციისა და მელიორაციის საკითხებზე.

9. მოეწყოს კოლმეურნეთა კადრების მომზადება იაროვიზაციის ჩასატარებლად იმ ანგარიშით, რომ 1948 წლიდან დაწყებული მარცვლეული თავთავიანი კულტურების და ფეტვის იაროვიზებული თესლი ითესებოდეს იმ რაიონებში, რომლებიც ომამდე ეწეოდნენ იაროვიზაციას.

10. ფართო ოდენობით მოეწყოს საშემოდგომო ნათესების ფარცხვა, ადგილობრივი და მინერალური სასუქით გაპოხიერება, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას დროული გამოხშირვა მწკრივებში და მწკრივთაშორის გულმოდგინე დამუშავება სათოხნი კულტურების ნათესებისა.

11. მარცვლეული კულტურების გაფუჭების თავიდან ასაცილებლად სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში, აგრეთვე არამავნიადაგიანი ზოლის და ჭრალის რაიონებში უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეულსახმობთა, გადახურული კალოებისა და ფარდულების აშენება.

12. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დარგში დასახულ იქნას შემდეგი ძირითადი ამოცანები ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიისა და სოფლის მეურნეობის სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა წინაშე:

ა) შეიმუშაონ სსრ კავშირის ცალკეული სასოფლო-სამეურნეო ზონების შეფარდებით ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მარცვლეული, ზეთოვანი, ტექნიკური, ბოსტნეული კულტურების, კარტოფილისა და მრავალწლიანი ბალახების უხვი და მყარი მოსავლის მიღებას; ღონისძიებანი ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისა და გადიდების, გვალვის, ყინვის, დაავადებათა და მავნებელთა გამძლე უხვმოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გამოყვანის, მიწათმოქმედების საერთო კულტურის აღმავლობის დარგში;

ბ) შეიმუშაონ მეცხოველეობის აღმავლობის, პირუტყვის ჯიშების გაუმჯობესების, მისი პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებანი;

გ) გააძლიერონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში, განსაკუთრებით კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივ განვითარების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ეკონომიკის განმტკიცების დარგში.

საცდელ სასელექციო საღგურებში, დასაყრდენ პუნქტებში და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ძირეული ქსელის სხვა რგოლებში კვლევითი მუშაობის დონის ასამაღლებლად სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა შრომის საზღაური გაუთანაბრდეს საზღაურს, რომელიც დაწესებულია მათთვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მიიღონ ზომები, რათა რაც შეიძლება ადრე დაინერგოს წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევები, ეს მუშაობა განიხილონ როგორც უმნიშვნელოვანესი პირობა სოფლის მეურნეობის აღმავლობისა.

13. მოეწყოს მეთესლეობის სარაიონო მეურნეობებში 1947 წლიდან, მეთესლეობის მუშაობასთან ერთად, საცდელი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის აგროტექნიკაში, რათა მეთესლეობის სარაიონო მეურნეობები გადაიქცნენ სანიმუშო მეურნეობებად, რომლებიც მუშაობას ეწევიან მოწინავე აგრონომიული მეცნიერების და საწარმოო გამოცდილების საფუძველზე.

14. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმების, სამეცნიერო დაწესებულებების, საუკეთესო რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლი-

კების, აგრეთვე სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკთა და ორგანიზატორთა მიღწევების ფართოდ ჩვენებისა და დანერგვის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივ გაჩაღების მიზნით, აუცილებლად ჩაითვალოს 1950 წლიდან სრულიად საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენის მუშაობის განახლება 1947 წლიდან გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით.

## V

## მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესების ღარგში

1. დაწესდეს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ძირითად ამოცანას წარმოადგენს მათს მომსახურებაში მყოფ კოლმეურნეობებში მოსავლიანობის გადიდება, მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესება, სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხის ამაღლება და ამ სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში შესრულება, მოსავლის თავის დროზე აღება და მტს-ის სამუშაოებისათვის ნატურანაზღაურების ჩაბარების გეგმების შესრულება.

2. დაწესდეს, რომ მტს-ებისა და სატრაქტორო ბრიგადების საწარმოო გეგმები შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ პირობით, თუ შესრულებულია სატრაქტორო სამუშაოების გეგმა ძირითადი სახეების მიხედვით: საგაზაფხულო ხვნა, თესვისწინა კულტივაცია, საგაზაფხულო თესვა, ანეულის მოხვნა და დამუშავება, სათოხნი კულტურების კულტივაცია, მოსავლის აღება, საშემოდგომო თესვა, მზრალად ხვნა დაწესებულ ვადებში და ნატურანაზღაურების ჩაბარების გეგმის აუცილებელი შესრულება.

დაევალოთ მტს-ების დირექტორებს სატრაქტორო ბრიგადებისათვის მიასცეს საწარმოო დავალებებში დაწესონ თვითეული სახის სამუშაოს მოცულობა და სავალდებულო აგროტექნიკური მოთხოვნები ხარისხის მიხედვით: ხვნის სიღრმე, დამუშავებული კვლების რაოდენობა, თესვის ნორმები, თესლის ჩაფლვის სიღრმე, სამუშაოთა ვადები.

დაეკისროთ სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა მთავარ აგრონომებს, სოფლის მეურნეობის რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო სამმართველოების მთავარ და უფროს აგრონომებს სახელმწიფო ინსპექტორების მოვალეობა მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხისადმი კონტროლის დარგში.

3. გაუქმდეს 1947 წლიდან მტს-ების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა პრემირების არსებული სისტემა, რომელიც არ შეესაბამება სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისა და მომსახურებაში მყოფ კოლმეურნეობებში მოსავლიანობის გადიდების ამოცანებს. დაწესდეს, რომ პრემიები უნდა გაიცეს უმნიშვნელოვანეს სატრაქტორო სამუშაოთა — ანეულის მოხვნისა და დამუშავების, კომბაინებით მოსავლის აღებისა და მზრალად ხვნის თავის დროზე შესრულებისათვის; ნატურანაზღაურების ჩაბარების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის; დაწესდეს, რომ თუ შესრულებული არ არის სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების გეგმა, პრემიების გაცემა ნატურანაზღაურების ჩაბარების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის მცირდება 15-20 პროცენტით. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სახინატროს წარუდგინოს მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მტს-ების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა პრემირების შესახებ.

4. მომსახურებაში მყოფ კოლმეურნეობებში სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გადიდების დარგში ტრაქტორისტთა პასუხისმგებლობისა და დაინტერესების გადიდების მიზნით და-

წესდეს 1947 წლიდან ტრაქტორისტებისა და სატრაქტორო ბრიგადების სხვა მუშაკთა მიერ გამომუშავებული შრომადღეების ანაზღაურების შემდეგი წესი:

ა) მიეცეს საგარანტიო მინიმუმი 3 კილოგრამი მარცვლეულის რაოდენობით ტრაქტორისტს, ბრიგადირს, ბრიგადირის თანაშემწეს, აღმრიცხველ-გამომწყობს იმ პირობით, თუ შესრულებულია მოსავლიანობის დაწესებული გეგმა კოლმეურნეობათა იმ ნაკვეთებზე, რომლებიც დამუშავებულია ამ სატრაქტორო ბრიგადის მიერ; თუ მოსავლიანობის დაწესებული გეგმა შესრულებული არ არის, ეს საგარანტიო მინიმუმი მიეცეთ 2 კილოგრამი მარცვლეულის რაოდენობით;

ბ) რჩება მიეცეთ კოლმეურნეობებს მისცენ დამატებითი ანაზღაურება გეგმის გადამეტებით მიღებული მოსავლიანობისათვის ტრაქტორისტებს, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებს, მათ თანაშემწეებს, აღმრიცხველ-გამომწყობებს და გადამბმელებს მათ მიერ დამუშავებულ ნაკვეთებზე გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის შესაბამისად მემინდვრეობის ბრიგადის ან რგოლის კოლმეურნეთა თანაბრად.

დაევალოთ მტს-ების დირექტორებს არ მისცენ ტრაქტორისტებს პრემიები საწვავის ეკონომიისათვის იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობამ გეგმაზე დაბალი მოსავალი მიიღო, ხოლო სატრაქტორო ბრიგადამ ვერ შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა და ვერ გამოიმუშავა ნატურსაზღაური გეგმით გათვალისწინებული ოდენობით.

5. იმ კოლმეურნეთა პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით, რომლებიც მტს-ებში მუშაობენ მისაბმელ მანქანებზე და მათ დასაინტერესებლად სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხისა და მტს-ების მანქანების მოვლის გაუმჯობესების დარგში მიზანშეწონილად იქნას ცნობილი, რომ კოლმეურნეობის მიერ გამოყოფილი გადამბმელი შეყვანილ იქნას სატრაქტორო ბრიგადის შემადგენლობაში მინდვრის სამუშაოების პერიოდში.

6. მთლიანად აღდგენილ იქნას მტს-ებსა და მათ მომსახურებაში მყოფ კოლმეურნეობათა შორის იმ ხელშეკრულებათა მნიშვნელობა, რომლებიც განსაზღვრავენ მტს-ებისა და კოლმეურნეობების ურთიერთვალდებულებებს, და დაგმობილ იქნას ხელშეკრულებათა შესრულებისადმი უგულებელმყოფელი დამოკიდებულების პრაქტიკა.

აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობებისაგან ნატურანაზღაურების ერთნაირი ოდენობით გადახდევინების არსებული პრაქტიკა სამუშაოთა შესრულების ვადების მიუხედავად, ამცირებს მტს-ების პასუხისმგებლობას სატრაქტორო სამუშაოთა თავის დროზე ჩატარებისათვის და იწვევს იმას, რომ ნატურანაზღაურების დარიცხვა ხდება ერთნაირი ოდენობით როგორც დროზე ჩატარებული სამუშაოებისათვის, ისე დაგვიანებით ჩატარებული სამუშაოებისათვის.

დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და დამზადებათა სამინისტროს ორი თვის ვადაში წარადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი სატრაქტორო სამუშაოთა ძირითადი სახეების (საგაზაფხულო ხვნა, თესვისწინა კულტივაცია, საგაზაფხულო თესვა, საანეულო ხვნა, მოსავლის აღება, საშემოდგომო თესვა და მზრალად ხვნა) ნატურანაზღაურების განაკვეთების შესახებ მოსავლიანობისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ სამუშაოთა ჩატარების ვადების გათვალისწინებით.

7. ტექნიკური მომსახურების საქმის გაუმჯობესებისა და ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის ჩატარებისათვის დაარსდეს შემდეგი ტიპის სარემონტო საწარმოები:

ა) სახელოსნოები მტს-ებთან უმთავრესად ტრაქტორების, კომბაინების მიმდინარე რემონტისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ყოველწლიური რემონტისათვის, გარდა რთული სარემონტო ოპერაციებისა, როგორიცაა: მუხლა ლილვების ხეხვა, განმანაწილებელი ლილვების რემონტი, ბლო-

კების შიგაგახარატება, სათბობი აპარატურისა და ელექტრომოწყობილობის რემონტი.

სატრაქტორო ბრიგადებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, ტექნიკური მოვლისა და ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დაზიანებათა აღსაკვეთად მინდვრის სამუშაოების პერიოდში მტს-ებთან არსებულ სახელოსნოთა შემადგენლობაში შეიქმნას ავტომძრავი სახელოსნოები საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტის კომპლექტით, დაზგით, საველე სამჭედლო ქურით და მოსახსნელი მოწყობილობის კომპლექტით. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1947-1948 წლებში მტს-ებში შეზიდოს 10 ათასი ავტოსარემონტო მოძრავი სახელოსნო, აქედან 1947 წელს 3 ათასი და 1948 წელს 7 ათასი;

ბ) კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოები (15-20 მტს-ისათვის) ტრაქტორებისა და კომბაინების ძრავების სრული კაპიტალური რემონტისათვის, აგრეთვე ცალკე კვანძებისა და აგრეგატების — მაგნეტოს, დინამოს, მუხლა ლილვების, განმანაწილებელი ლილვების ხეხვის, ბლოკების შიგაგახარატების, სათბობი აპარატურის და გადასაბმელი მუფთების რემონტისათვის;

გ) სარემონტო ქარხნები (1-2 ოლქზე) ავტომანქანების კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის, მტს-ების დაზგებისა და სტაციონარული ძრავების რემონტისათვის, სარემონტო მოწყობილობის და მტს-ებისა და სატრაქტორო ბრიგადების მოსახსნელი მოწყობილობისა და ხელსაწყოს დასამზადებლად.

8. მტს-ებთან არსებული სარემონტო სახელოსნოების, კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოებისა და სარემონტო ქარხნების მოწყობილობით უზრუნველყოფისათვის საჭიროდ ჩაითვალოს გამოიყოს სოფლის მეურნეობისათვის (მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის) 25 ათასი ლითონმჭრელი დაზგა.

ამის შესაბამისად წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ორი თვის ვადაში განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილებები:

ა) მტს-ებთან არსებული სახელოსნოების, კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოებისა და სარემონტო ქარხნების ტიპობრივი მოწყობილობის განსაზღვრის შესახებ;

ბ) სახალხო მეურნეობიდან 1947 წელს 20 ათასი წესიერული გამოუყენებელი ლითონმჭრელი დაზგის ამოღების შესახებ, უმთავრესად საშოქალაქო და სამხედრო მანქანათმშენებლობის საწარმოებიდან;

გ) სოფლის მეურნეობისათვის 1947-1948 წლებში წარმოების ხარჯზე 5.000 დაზგის გამოყოფის შესახებ;

დ) ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში სარემონტო სახელოსნოებისა და ქარხნების ლითონმჭრელი დაზგებით დაკომპლექტების ვადების შესახებ დაზგების ძირითადი ჯგუფების მიხედვით;

ე) ამ დადგენილების შესაბამისად შესაქმნელი სარემონტო ქარხნებისათვის საჭირო რაოდენობის სამჭედლო-საწნეხო, ელექტრომოწყობილობის, ელექტროშემდუღებელი და სხვა მოწყობილობის გამოყოფის შესახებ.

9. 1947-1949 წლებში აშენდეს 631 სარემონტო სახელოსნო იმ მტს-ებთან, რომლებსაც სახელოსნოები არა აქვთ, კაპიტალური რემონტის 194 სარაიონთაშორისო სახელოსნო და 32 სარემონტო ქარხანა ვათი საქაპლოატაციოდ გადაცემის შემდეგი ვადებით: მტს-ების სახელოსნოები 1947 წელს 150, 1948 წელს—200, კაპიტალური რემონტის სარაიონთაშორისო სახელოსნოები 1947 წელს—50, 1948 წელს—60, სარემონტო ქარხნები 1947 წელს—5, 1948 წელს—8.

10. შეუწყნარებლად ჩაითვალოს, რომ ბევრ მტს-ში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო მანქანების უყაირათოდ შენახვის ფაქტებს, ხოლო სსრ

კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანოები და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ამას ყურადღებას არ აქცევენ.

დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს მიიღონ ზომები და უზრუნველჰყონ მუდმივი კონტროლი მტს-ებში და სატრაქტორო ბრიგადებში სამანჭანო-სატრაქტორო პარკის საიმედო დაცვისა და შენახვის მოწყობისადმი. მტს-ებში მანჭანების უყაირათოდ შენახვის საქმეში დამნაშავენი მიცემულ იქნან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახად 1947-1949 წლებში საჭირო რაოდენობით აშენდეს ფარდულები. დაევალოს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მოაწყონ კოლმეურნეობათა დახმარება მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისადმი მუშახელისა და ტრანსპორტის მიცემით მტკიცე სახელმწიფოებრივ პირობებში ისე, რომ ზიანი არ მოუვიდეს მინდვრის სამუშაოებს.

11. მოეწყოს მრეწველობის ქარხნებში მოძრავი და სტაციონარული ნავთის ჭურჭლის, ტუმბოების, შლანგების, მილსადენების, სასწორებისა და ნავთის საწყობის სხვა ინვენტარისა და მოწყობილობის დამზადება.

12. არასწორად იქნას ცნობილი, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დირექტორების თანამდებობაზე ხშირად ნიშნავენ გამოუცდელ და უცოდინარ ადამიანებს, რომლებიც თავს ვერართმევენ დაკისრებულ საქმეს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების გადაუდებელ ამოცანად ჩაითვალოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განმტკიცება მომზადებული, თავისი საქმის მცოდნე მუშაკებით, მტს-ების დირექტორებად წამოაყენონ ისეთი პირები, რომელთაც აქვთ საჭირო ცოდნა და ორგანიზატორული გამოცდილება.

შესწყდეს საქმისათვის მავნე ხშირი შეცვლა მტს-ების დირექტორებისა და ზუსტად დაცულ იქნას წესი, რომლის დროსაც მტს-ების დირექტორების დანიშვნა და შეცვლა ხდება მხოლოდ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ.

13. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უზრუნველჰყოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებთან სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 6 ოქტომბრის დადგენილებით მოწყობილი მტს-ების დირექტორებისა და მექანიკოსების დახელოვნების მუდმივმოქმედი ერთწლიანი კურსების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ამ კურსებზე გასაგზავნ მსმენელთა რაოდენობა 1947 წელს აყვანილ იქნას 2.500 კაცამდე, აქედან: 1.200 მტს-ის დირექტორი და 1.300 მტს-ის მექანიკოსი.

14. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1947-1948 წლებში არსებული ქსელის დამატებით მოაწყოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის 25 ტექნიკუმი და მექანიზაციის 13 განყოფილება არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან.

15. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს 1947 წელს გახსნას მტს-ების აგრონომთა დახელოვნების კურსები 1.500 კაცის საერთო ყოველწლიური კონტინგენტით: კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიასთან, ომსკის, ვორონეჟის, სარატოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, კიევის, ნოვოსიბირსკის, ირკუტსკის, ტაშკენტისა და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებთან.

16. აღდგენილ იქნას 1947 წლიდან სწავლების ომამდელი ვადები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლებში: მექანიკოსებისათვის—18 თვე, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებისათვის—10 თვე, კომბაინერებისათვის—6 თვე და ტრაქტორისტებისათვის—5 თვე.

17. მტს-ების მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და ნატურანაზღაურების ჩაბარებია გეგმების შესრულებისა და სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების საქმეში მათი წახალისების მიზნით, 1947 წლიდან მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში შეიქმნას მტს-ის დირექტორის ფონდი იმ ანარიცხების ხარჯზე, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 13 იანვრის დადგენილებით „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შესახებ“.

18. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მეურნეობის ყველა საკითხისადმი ხელმძღვანელობის გაერთიანების მიზნით მოწონებულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემადგენლობაში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მთავარი სამმართველოს შექმნა.

## VI

## საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

1. საბჭოთა მეურნეობების მუშაობის დიდ ნაკლად ჩაითვალოს მათი მეტისმეტი სპეციალიზაცია და მეურნეობის ცალმხრივი წარმართვა, მეცხოველეობის სუსტი განვითარება მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში და ტექნიკური კულტურების საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში — მემინდვრეობის დარგების არასაკმაო განვითარება.

საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ მეურნეობის ცალმხრივი განვითარება ეკონომიურად არახელსაყრელია. იწვევს შრომითი და გამწვევი ძალის რესურსების მეტისმეტ სეზონურ დაძაბვას მინდვრის სამუშაოთა პერიოდში და მათს მნიშვნელოვნად არასრულ გამოყენებას წლის დანარჩენ დროს. საბჭოთა მეურნეობების მეურნეობის ცალმხრივი განვითარება ამცირებს მათ შემოსავლიანობას და ასუსტებს საბჭოთა მეურნეობების საფინანსო მდგომარეობას. მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში და ტექნიკური კულტურების საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის სუსტი განვითარების დროს გამოყენებული არ არის ჩალის, ბზის და მემინდვრეობის სხვა არამთავარი პროდუქციის უდიდესი რაოდენობა, გამოყენებული არ არის აგრეთვე საძოვართა მნიშვნელოვანი ფართობები, რაც აფერხებს საბჭოთა მეურნეობების მეურნეობის განვითარებას და ზღუდავს დამატებითი პროდუქციის მიღების შესაძლებლობას. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში მემინდვრეობის არასაკმაო განვითარების დროს სასუქად არასრულად არის გამოყენებული ნაკელის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა მეურნეობების წარმატებით განვითარება მათი ეკონომიური და საფინანსო განმტკიცება შეიძლება განხორციელდეს მრავალმხრივი მეურნეობის შექმნის ბაზაზე, დარგების სწორად შეხამებით, დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს წამყვან დარგთან ერთად საბჭოთა მეურნეობებში განავითარონ მეურნეობის სხვა დარგებიც, რომლებიც საშუალებას იძლევიან, რაც შეიძლება სრულად იქნას გამოყენებული ცალკეული საბჭოთა მეურნეობების ბუნებრივი და ეკონომიური პირობები, აღმოფხვრან სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეტისმეტი სეზონურობა და მნიშვნელოვნად გაადიდონ შრომის ნაყოფიერება. ამ მიზნით განვითარდეს მეცხოველეობა მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში, უპირატესად სახორცე მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა, ხოლო ქალაქების, სამრეწველო ცენტრებისა და რძის ქარხნების ახლო მდებარე მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში — სარძეო მეცხოველეობა. ტექნიკური კულტურების საბჭო-

თა მეურნეობებში შეძლებისდაგვარად განვითარდეს სარძეო მეცხოველეობა და მეფრინველეობა. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში, ძირითადი სახის პირუტყვის გარდა, განვითარდეს სხვა სახის პირუტყვი, აგრეთვე განვითარდეს მარცვლეულის, მათ შორის საფურაჟე და სხვა კულტურების თესვა.

2. საბჭოთა მეურნეობების მუშაობის სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს აგრეთვე მუშათა და სპეციალისტთა კადრების დიდი დენადობა. საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მუშების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების მუდმივი კადრების შექმნა. ამ მიზნით ცნობილ იქნას საჭიროდ მარცვლეულისა და მეცხოველეობის რაიონებში 0,5 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთის მიცემა საბჭოთა მეურნეობების მუდმივ მუშაკთათვის ამ ნაკვეთებზე საკუთარი სახლებისა და სხვა შენობათა ასაგებად, ხეხილის დასარგავად და ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასათესად. გაეწიოს სახელმწიფო დახმარება საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც საკუთარ სახლებს იშენებენ 5-დან 15 ათას მანეთამდე გრძელვადიანი ორპროცენტიანი კრედიტით თითო ოჯახზე, ისე რომ კრედიტი გასტუმრებულ იქნას თანაბარ ნაწილებად 10 წლის განმავლობაში. გაეწიოს დახმარება მშენებელთ ინდივიდუალური სახლების ასაგებად აღგილობრივი საშენი მასალების გამოყოფითა და ტრანსპორტით. დაწესდეს, რომ მუშების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების მიერ საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე აგებული სახლები მათ საკუთრებად გადადის სახელმწიფო კრედიტის სრულად გასტუმრების შემდეგ.

3. 1947 წლის სახელმწიფო გეგმისა და ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესაბამისად:

ა) გადიდდეს ნათესი ფართობი 1947 წელს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში 600 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას იგი 6 მილიონ ჰექტარამდე. მათ შორის მარცვლეული კულტურების ფართობი გადიდდეს 400 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას იგი 4.1 მილიონ ჰექტარამდე. 1948 წელს ნათესი ფართობი გადიდდეს 1 მილიონი ჰექტარით და აყვანილ იქნას იგი 7 მილიონ ჰექტარამდე, მათ შორის მარცვლეული კულტურების ფართობი გადიდდეს 600 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას იგი 4,7 მილიონ ჰექტარამდე.

გადიდდეს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში ხორბლის, როგორც ძირითადი სასურსათო კულტურის წარმოება.

**საშემოდგომო ხორბლის** დარგში— უკრაინის სს რესპუბლიკაში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში, როსტოვის, ყირიმის, ვორონეჟის, ურსკის ოლქებსა და მოლდავეთის სს რესპუბლიკაში აღდგენილ იქნას 1949 წელს ომამდელ დონემდე საშემოდგომო ხორბლის წარმოება, მნიშვნელოვნად გადიდდეს ხორბლის მოსავლიანობა, ამასთან 1947 წელს საშემოდგომო ხორბლის ნათესი ამ რაიონების საბჭოთა მეურნეობებში გადიდდეს 321 ათასი ჰექტარით 1946 წელს აღებულ ფართობთან შედარებით და აყვანილ იქნას 857 ათას ჰექტარამდე, მათ შორის უკრაინის სს რესპუბლიკაში 400 ათას ჰექტარამდე და 1948 წელს 930 ათას ჰექტარამდე, მათ შორის უკრაინის სს რესპუბლიკაში—445 ათას ჰექტარამდე;

**საგაზაფხულო ხორბლის** დარგში — აღმოსავლეთი რაიონების (ციმბირი, ურალი და ყაზახეთის სსრ ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქები) საბჭოთა მეურნეობებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ნათესი ფართობი გადიდდეს 68 ათასი ჰექტარით და 1947 წელს აყვანილ იქნას იგი 534 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს 805 ათას ჰექტარამდე და 1949 წელს 1.290 ათას ჰექტარამდე, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას მოსავლიანობის გადიდება.

ვოლგისპირეთში (კუიბიშევის, სარატოვის, სტალინგრადისა და ულიანოვსკის ოლქებში) მიღებულ იქნას ზომები საგაზაფხულო ხორბლის, განსაკუთრებით მაგარი ხორბლის ჯიშების, ნათეს ფართობთა მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, გადიდდეს საგაზაფხულო ხორბლის ნათესი ამ ოლქებიდ საბჭოთა მეურნეობებში და აყვანილ იქნას იგი 1947 წელს 195 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1948 წელს — 230 ათას. ჰექტარამდე.

გადიდდეს საგაზაფხულო ხორბლის თესვა უკრაინის სსრ საბჭოთა მეურნეობებში;

ბ) გადიდდეს 1947 წელს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა 121 ათასი სულით და აყვანილ იქნას იგი 1948 წლის 1 იანვრისათვის 1.458 ათას სულამდე, ღორის სულადობა—122 ათასი სულით და აყვანილ იქნას იგი 550 ათას სულამდე, ცხვრისა და თხის სულადობა—441 ათასი სულით და აყვანილ იქნას იგი 3.167 ათას სულამდე, ცხენის სულადობა—23 ათასი სულით და აყვანილ იქნას იგი 339 ათას სულამდე. 1948 წელს მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გადიდდეს 141 ათასი სულით და 1949 წლის 1 იანვრისათვის აყვანილ იქნას იგი 1.599 ათას სულამდე, ღორის სულადობა — 151 ათასი სულით და აყვანილ იქნას იგი 701 ათას სულამდე, ცხვრისა და თხის სულადობა — 427 ათასი სულით და აყვანილ იქნას იგი 3.594 ათას სულამდე, ცხენის სულადობა — 31 ათასი სულით და აყვანილ იქნას იგი 370 ათას სულამდე, რათა 1949 წელს აღდგენილ იქნას მსხვილფეხა რქიანი საქონლის, ღორის, ცხვრისა და თხის სულადობა ომამდელ ოდენობამდე.

4. 1947-1949 წლებში სავსებით დამთავრდეს მიწათმოწყობა საბჭოთა მეურნეობებში, სწორი თესლბრუნვის დანერგვა ბალახთესვისა და სუფთა ანეულის გამოყენებით. 1949 წელს უზრუნველყოფილ იქნას მარცვლეული კულტურების მთელ ფართობზე ყველაზე ძოსავლიან ჯიშთა თესლის თესვა. ძოეწყოს სამყურისა და ტიმოთელას, იონჯისა და კაპუეტას და სხვა მრავალწლიან და ერთწლიან ბალახთა თესლის წარმოება ამ თესლით თვითეული საბჭოთა მეურნეობის სრული საჭიროების დასაკმაყოფილებლად და ბალახის თესლის სასაქონლო მარაგის შესაქმნელად.

5. საბჭოთა მეურნეობებში სარძეო მეურნეობის ყოველმხრივ განვითარების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს არსებული ერბო-კარაქის ქარხნების აღჭურვა მოწყობილობით, მოეწყოს ახალი ქარხნების მშენებლობა მსხვილ სარძეო საბჭოთა მეურნეობებში და 1947 წლიდან ფართო მასშტაბით მოეწყოს მაღალხარისხოვანი ერბო-კარაქისა და ყველის წარმოება. საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ სარძეო დარგის საბჭოთა მეურნეობებს ჰქონდეთ თავიანთი ერბო-კარაქის ქარხნები.

6. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ საბჭოთა მეურნეობებისათვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადება სწარმოებდეს სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების ტიპის მიხედვით მოწყობილ სკოლებში.

7. საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო ანგარიშის განსამტკიცებლად საჭიროდ ჩაითვალოს, რომ დაწესდეს გეგმის გადამეტებით ჩაბარებული პროდუქციის წასახალისებელი ანაზღაურება. შეტანილ იქნას პროდუქციის გაგეგმო თვითღირებულებაში საჭირო დაგროვება, აგრეთვე აღდგენილ იქნას საბჭოთა მეურნეობებში დირექტორის ფონდი.

8. მიჩნეულ იქნას უმნიშვნელოვანეს ამოცანად საბჭოთა მეურნეობებში უახლოეს წლებში წარმოების მექანიზაციის დონის გადაჭრით გადიდება, მანქანების გამოყენების გაუმჯობესება და კეთილმოწყობის ჩატარება. მსხვილ საბჭოთა მეურნეობებში მოეწყოს ადგილობრივი საშენი მასალის საკუთარი წარმოება და დამზადება, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა, აკაზმულობის, ტარისა და წვრილი ინვენტარის წარმოება ისეთი ოდენობით, რომ ეს უზრუნველჰყოფდეს საბჭოთა მეურნეობების საჭიროებას.

9. გადაისინჯოს საბჭოთა მეურნეობებისა და ტრესტების ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების დაჯილდოების არსებული სისტემა, შეუფარდდეს იგი წარმოების მოცულობას და სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების ოდენობას, შეიქმნას საბჭოთა მეურნეობებისა და ტრესტების მუშაკთა პირდაპირი დაინტერესება ზეგეგმითი პროდუქციის მიღებით. დაწესდეს, რომ თუ მარცვლეულის, რძის, ხორცისა და მატყლის თვითღირებულების გეგმები ძთლიანად არ შესრულდა, პრემიების გაცემა მცირდება 25 პროცენტით.

10. დაევალოთ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს საჭირო დახმარება გაუწიონ საბჭოთა მეურნეობებს, რათა ისინი რაც შეიძლება მალე გადაიქცნენ სანიმუშო და მაღალნაყოფიერ მეურნეობებად.

## VII

## სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის შესახებ

1. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს უზრუნველჰყოს, რომ წარმოების საერთო გეგმიდან 1947 წელს მიაწოდოს სოფლის მეურნეობას: 30,3 ათასი ცალი ტრაქტორი, მათ შორის „სტზ-ნატის“ მარკისა — 23,5 ათასი ცალი, „კიროვეც დ-35“ მარკისა — 2 ათასი ცალი, „უნივერსალი 1 და 2“ მარკისა — 4,8 ათასი ცალი და 510 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მათ შორის: 32 ათასი ცალი ტრაქტორის გუთანი, 80 ათასი ცალი ცხენის გუთანი, 37 ათასი ცალი ტრაქტორის კულტივატორი, 78 ათასი ცალი ცხენის კულტივატორი, 30 ათასი ცალი ტრაქტორის სათესი მანქანა, 38,8 ათასი ცალი ცხენის სათესი მანქანა, 10 ათასი ცალი ტრაქტორის საოში, 7 ათასი ცალი კომბაინი, მათ შორის 700 ცალი თვითმავალი კომბაინი, 50 ათასი ცალი სამკელი მანქანა, 55 ათასი ცალი ცხენის სათიბი, 45 ათასი ცალი ცხენის ფოცხი, 9 ათასი ცალი რთული სალეწი მანქანა, 22,4 ათასი ცალი ცხენის სალეწი მანქანა, 2 ათასი ცალი სელის საგლეჯი, 4 ათასი ცალი ჭარხალსათხრელი, 6 ათასი ცალი ტრიერი, 1.060 ცალი მარცვალსახმობი, და 11 ათასი ცალი ცხენის კარტოფილსათხრელი.

2. დაევალოს სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს უზრუნველჰყოს წარმოების საერთო გეგმიდან 1947 წელს სოფლის მეურნეობისათვის 3,8 ათასი ცალი „ს-80“ მარკის მუხლუხა ტრაქტორის მიწოდება.

3. დაევალოს საავიაციო მრეწველობის, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროებს, მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებსა და რსფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სარეწაო კოოპერაციის საქმართველოს უზრუნველჰყონ სოფლის მეურნეობისათვის 1947 წელს 36,75 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვება, აქედან საავიაციო მრეწველობის სამინისტროს ქარხნებში — 600 ცალი თვითმავალი კომბაინისა; სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ქარხნებში — 8 ათასი ცალი ტრაქტორის გუთნისა.

4. 1948 წელს ტრაქტორების წარმოების საერთო სახელმწიფო გეგმიდან, რაც შეადგენს 75,5 ათას ცალს (სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ხაზით — 57,5 ათასი ცალი და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ხაზით — 18 ათასი ცალი), გამოიყოს სოფლის მეურნეობისათვის 67 ათასი ცალი ტრაქტორი, 80 ათასი ცალი ტრაქტორის გუთანი, 140,2 ათასი ცალი ცხენის გუთანი, 55 ათასი ცალი ტრაქტორის კულტივატორი, 85 ათასი ცალი ცხენის კულტივატორი, 67 ათასი ცალი ტრაქტორის სათესი მანქანა, 49,55 ათასი ცალი ცხენის სათესი მანქანა, 2 ათასი ცალი სახნისიანი კარტოფილსარგავი, 32 ათასი ცალი ტრაქტორის

საოში, 25 ათასი ცალი კომბაინი, 62 ათასი ცალი ცხენის სამკალი მანქანა, 114 ათასი ცალი ცხენის სათიბი მანქანა, 90 ათასი ცალი ცხენის ფოცხი, 16,5 ათასი ცალი რთული სალეწი მანქანა, 34,95 ათასი ცალი ცხენის სალეწი მანქანა, 2 ათასი ცალი ტრაქტორის სათიბი მანქანა, 2 ათასი ცალი ტრაქტორის ფოცხი, 2 ათასი ცალი კარტოფილსათხრელი მანქანა, 4 ათასი ცალი ტრაქტორის ჭარხალსათხრელი, 21 ათასი ცალი ტრიერი, 22 ათასი ცალი სილოსსაჭრელი, 20 ათასი ცალი ჩაჭუჩიანი საფხვნელი, 25 ათასი ცალი კომბინსაფხვნელი, 35 ათასი ცალი ფესვსაჭრელი.

5. დაევალოს სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს უზრუნველჰყოს ტრაქტორთა წარმოების საერთო სახელმწიფო გეგმიდან 1948 წელს სოფლის მეურნეობისათვის „ს-80“ მარკის 10,4 ათასი ცალი მუხლუხა ტრაქტორის მიწოდება.

6. უზრუნველყოფილ იქნას ტრაქტორებისა და სოფლის მეურნეობის მანქანების სათადარიგო ნაწილთა, განსაკუთრებით მწვავე დეფიციტური დეტალების ჯგუფის, წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება, რისთვისაც გადიდდეს როგორც სათადარიგო ნაწილთა დამამზადებელი ქარხნების რაოდენობა, ისე სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სხვა სამრეწველო სამინისტროების: საავტომობილო, საავიაციო მრეწველობის, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, შეიარაღებისა და სხვ. ჰიქმად ქარხნებში სათადარიგო ნაწილების წარმოების სიმძლავრეები, რათა სავსებით უზრუნველყოფილ იქნას არა მარტო ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის ჩატარება, არამედ მტს-ებშიც იყოს ამ მანქანათა სათადარიგო ნაწილების ერთგვარი რეზერვი.

7. დადგენილ იქნას ახალგამოშვებულ ტრაქტორთა და კომბაინთა სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფის შემდეგი წესი:

ა) თვითეულ გამოშვებულ ტრაქტორსა და კომბაინს სათანადო მიმწოდებელმა ქარხანამ უნდა გამოაყოლოს სათადარიგო ნაწილების, ინსტრუმენტისა და მოწყობილობის ინდივიდუალური კომპლექტი ტექნიკური პირობის უზრუნველსაყოფად;

ბ) ყოველ 10 ტრაქტორსა და კომბაინს მიმწოდებელი ქარხანა გამოაყოლებს სათადარიგო ნაწილთა კომპლექტს მიმდინარე რემონტის შესასრულებლად;

გ) ყოველ 50 ტრაქტორსა და კომბაინს მიმწოდებელი ქარხანა გამოაყოლებს სათადარიგო ნაწილთა კომპლექტს კაპიტალური რემონტის შესასრულებლად.

დაევალოს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს დააწესონ სათადარიგო ნაწილთა ნომენკლატურა კომპლექტობით მიმდინარე და კაპიტალური რემონტისათვის.

8. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროებს და სხვა სამრეწველო სამინისტროებს გაათანაბრონ გამოშვებული ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მათი სათადარიგო ნაწილების ხარისხი, გამოიყენონ წარმოების ტექნოლოგიაში ტექნიკის უახლესი მიღწევები. მიჩნეულ იქნას საჭიროდ, რომ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მწარმოებელ ძირითად ქარხნებში იყვნენ მიმღებნი — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელნი.

9. სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორების დაჩქარებული გამოშვების უზრუნველსაყოფად:

ა) 1948 წლის პირველ ნახევარში დამთავრდეს მთელი სამშენებლო სამუშაოები ალტაის, სტალინგრადის, ხარკოვის, ვლადიმირისა და ლიპეცკის სატრაქტორო ქარხნებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ნიკოლაის თასამოშავებელი და მოსაელის ასაღები სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნებში;

ბ) 1948 წლის პირველ ნახევარში დამთავრდეს მინსკის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობა და უზრუნველყოფილ იქნას იგი მოწყობილობითა და აღჭურვილობით „კიროვეც დ-35“ მარკის ტრაქტორთა წარმოებისათვის 1948 წლის მეორე ნახევარში.

10. ჩაითვალოს სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნების მშენებლობა პირველი რიგისა და დაკვრითი ხასიათის მშენებლობებად. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საკავშირო კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს სისტემატური დახმარება გაუწიონ სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებს, აგრეთვე მშენებელ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ ქარხნებს აშენებენ, საწარმოო სიმძლავრეთა უსწრაფეს აღდგენასა და ამუშავებაში, მათი კადრებით დაკომპლექტებაში, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში მათთვის დაწესებული სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

ჩაითვალოს ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა პირველი რიგისა და უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად.

11. იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობაში ახალ-ახალი ტიპის ტრაქტორთა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათა უსწრაფეს დანერგვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, დაევალოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს უზრუნველჰყოს უფრო სრულყოფილი ტრაქტორების, თვითმავალი კომბაინებისა და მარცვლეულის ახალები სხვა მანქანების, ფარდულიანი სატრაქტორო მანქანების, ტექნიკური კულტურების, განსაკუთრებით ბამბის, ჭარხლის, საბოჭკოე სელის, კოკ-საგიზის მანქანების, კარტოფილის, სიმინდის სათესი და ასაღები მანქანების, თივის ასაღები და საწნეხი მანქანებს, მეცხოველეობის ფერმათა სამუშაოების მექანიზაციის მანქანების და საზამთრო საძოვრების ნაკვეთებზე ყინულის სამტვრევი და თოვლსაწმენდი მანქანების კონსტრუირება და დანერგვა.

ზემოაღნიშნული მანქანების უსწრაფესი კონსტრუირებისა და წარმოებაში დანერგვის უზრუნველყოფასთან ერთად დაევალოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს უზრუნველჰყოს მებოსტნეობაში, მებაღეობაში და ტექნიკური კულტურების მოყვანისას სამუშაოთა მექანიზაციისათვის საჭირო ხელის მოტორიზებული ინვენტარის კონსტრუირება და წარმოება.

დაევალოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, საავიაციო მრეწველობისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროებს მიიღონ ზომები ჭარის ძრავების, ელექტროდანადგარებისა და მათი სათადარიგო ნაწილების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის.

12. გამოიყოს მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის და დამზადებათა სამინისტროს დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის 1947 წელს 40 ათასი და 1948 წელს 60 ათასი სატვირთო ავტომობილი; გადიდდეს მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგება „გაზ-67“ მარკის მსუბუქი ავტომანქანებით.

13. დაევალოს ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, შავი მეტალურგიის სამინისტროს, ლიტვისა და ლატვიის სს რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებს აუცილებლად შეასრულონ მინერალურ სასუქთა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებასთან საბრძოლველ ქიმიურ საშუალებათა წარმოების 1947 წლის გეგმა. უზრუნველყოფილ იქნას 1948 წელს სოფლის მეურნეობისათვის სუპერფოსფატის, აზოტოვანი სასუქის, კალიუმიანი სასუქის, ფოსფორიტის ფქვილის წარმოება სულ ცოტა 3.130 ათასი ტონის რაოდენობით სტანდარტულ მარილებზე გა-

დაანგარიშებით და შეიქმნას 1947 წლის დამლევისათვის სიმძლავრეები გეგმით დაწესებული ოდენობით შხამქიმიკატთა საწარმოებლად.

დაევალოს გზათა სამინისტროს და რკინიგზების უფროსებს დაგეგმონ ვაგონები სასუქის მთლიანად გადასაზიდავად, სასუქის მიწოდების გეგმის შესაბამისად და უზრუნველჰყონ სასუქისათვის ვაგონების პირველ რიგში მიწოდება უმნიშვნელოვანესი ტვირთის თანაბრად.

იმის გამო, რომ ლისიჩანსკის სასუქისა და ქიმიკატთა წარმოების ქიმიური კომბინატის მშენებლობასა და უსწრაფეს ამოშვებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსაზღვროს ქიმკომბინატის მშენებლობის ვადები და მოცულობა, აგრეთვე მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ლისიჩანსკის ქიმკომბინატის დაჩქარებული მშენებლობა 1947 წელს.

14. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობმარაგების მთავარსამმართველოს და გზათა სამინისტროს უზრუნველჰყონ ნავთბაზებში ნავთის პროდუქტების შეზიდვა გარდამავალი მარაგის შესაქმნელად ისეთი რაოდენობით, რომელიც საჭიროა მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორთა მუშაობის შეუფერხებელი მომარაგებისათვის მინდვრის სამუშაოთა პერიოდში.

## VIII

## კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის დარგში

1. აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში ბევრ ოლქსა, მხარესა და რესპუბლიკაში დაშვებულია კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯებანი და დარღვევანი, რაც გამოიხატება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების დატაცებით, კოლმეურნეობის ქონების — ინვენტარის, პირუტყვის, სხვა ქონებისა და ფულადი სახსრების განიავებით, შრომადღეების არასწორი ხარჯვით, სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეთა მართვის დემოკრატიული საფუძვლების დარღვევით, და დაევალოთ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ბოლომდე აღმოფხვრან ეს დარღვევანი და დამახინჯებანი. მიიღონ ზომები კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივი განმტკიცებისა და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის სერიოზული გაუმჯობესებისათვის.

2. დაწესდეს, რომ პარტიის მთავარ ამოცანას საკოლმეურნეო მშენებლობაში წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელის შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საკუთრების გადიდება. ეს მოითხოვს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ბეჯით, ყოველდღიურ მუშაობას და პასუხისმგებლობის გაძლიერებას წარმოების საზოგადოებრივ საშუალებათა — მუშა და პროდუქტიული პირუტყვის, სათესლე, საფურაჟე და სადაზღვევო ფონდების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დაცვისა და გადიდებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამხმარე დარგების განვითარებას, სამეურნეო ნაგებობათა შექმნას და არტელის განუყოფელი ფონდების გადიდებას.

3. სერიოზულ ნაკლად ჩაითვალოს კოლმეურნეობებში მიწის გამოყენების საქმეში გაუპიროვნების არსებობა, რაც იმით გამოიხატება, რომ მემინდვრეობის ბრიგადებს ყოველთვის როდი ამაგრებენ მუდმივ ნაკვეთებს თესლბრუნვის მინდვრებში, რაც ხელს უშლის მოსავლიანობის აღმავლობას, და საჭიროდ ჩაითვალოს, რომ კოლმეურნეობებმა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან ეს სერიოზული ნაკლოვანება და მემინდვრეობის ბრიგადებს მიუჩი-

ნონ მუდმივი ნაკვეთები თესლბრუნვის მინდვრებში, ინვენტარი, პირუტყვი და არ დაუშვან მემინდვრეობის ბრიგადების შემადგენლობის დენადობა. ბრიგადებში შეიქმნას რგოლები მათთვის საშარგლი, ტექნიკური, საბოსტნე კულტურებისა და სათესლე ნაკვეთების, ხოლო, სადაც შესაძლებელია, მარცვლეული კულტურებიც ძისახეხად.

4. აღინიშნოს, რომ სერიოზულ დაბრკოლებას შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების, მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საქმეში წარმოადგენს კოლმეურნეობებში არაეფექტური გათანაბრება შრომის ანაზღაურებაში, კოლმეურნეთა შორის შრომადღეებისა და საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილებაში, ინდივიდუალური და წვრილჯგუფური სანარდო სისტემის არასაკმარო გამოყენება მინდვრისა და სხვა სამუშაოებში, გამომუშავების შემცირებული და მოძველებული ნორმების არსებობა, რომლებიც აფერხებენ შრომადღეების გაფლანგვას, და ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს უახლოეს დროში გამომუშავების ნორმებისა და შრომადღეებში მუშაობის შეფასების გადასინჯვა და უზრუნველყოფილ იქნას შრომის უფრო მაღალი ანაზღაურება უმნიშვნელოვანეს სამუშაოებისათვის და ანაზღაურების შემცირება მეორეხარისხოვანი სამუშაოებისათვის.

შრომადღეების უფრო მომჭირნედ და სწორად ხარჯვისათვის, რჩება მიეცეთ კოლმეურნეობებს წლის დამდეგიდან დაგეგმონ შრომადღეების ხარჯვა ცალკე დარგებში და სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე სამუშაოდ და მკაცრი კონტროლი დააწესონ შრომადღეების დარიცხვის სისწორისადმი შესრულებული სამუშაოსა და ბრიგადებისა და რგოლებისათვის შრომადღეების დახარჯვის გეგმების შესაბამისად.

შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში სწარმოებდეს ბრიგადის მიერ მოწეული მოსავლის გათვალისწინებით, ხოლო ბრიგადებში რგოლების მიერ მიღებული მოსავლის გათვალისწინებით ისე, რომ იმ ბრიგადებისა და რგოლების კოლმეურნეებმა, რომლებმაც უფრო უხვი მოსავალი მოიწიეს, მიიღონ შესაბამისად უფრო მაღალი ანაზღაურება, ხოლო იმ ბრიგადებისა და რგოლების კოლმეურნეებმა, რომლებმაც დაბალი მოსავალი მიიღეს, თავიანთი შრომისათვის ნაკლები საზღაური მიიღონ.

ამ ძირითადი დებულებების შესაბამისად და ცალკე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების კოლმეურნეობათა გამოცდილების გათვალისწინებით წინადადება მიეცეთ მთავრობასთან არსებულ კოლმეურნეობების საქმეთა საბჭოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შეიტანონ წინადადებანი კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საქმის გასაუმჯობესებლად, გამომუშავების ნორმების გასადიდებლად და შრომადღეების დარიცხვაში წესრიგის დასამყარებლად.

საჭიროდ იქნას მიჩნეული შრომისუნარიანი კოლმეურნეების მიერ შრომადღეების გამომუშავების 1942 წელს გადიდებული სავალდებულო მინიმუმის შენარჩუნება.

შეუწყნარებლად ჩაითვალოს, რომ კანონი დამატებითი ანაზღაურების შესახებ ჯერ კიდევ ყველა კოლმეურნეობაში არ სრულდება, აგრეთვე ის, რომ ბევრ შემთხვევაში მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის კუთვნილი დამატებითი საზღაური კოლმეურნეებს თავის დროზე არ ეძლევათ, — დაწესდეს მკაცრი კონტროლი კოლმეურნეებისათვის კუთვნილი დამატებითი ანაზღაურების თავის დროზე მიცემისადმი.

5. რჩება მიეცეთ კოლმეურნეობებს, რომ იმ ნაკვეთებში, რომლებიც სოფლებს დაშორებულია 8 კილომეტრზე მეტი მანძილით, მოაწყონ მუდმივი საველე ბანაკები, რათა უფრო პროდუქტიულად იქნას გამოყენებული სამუ-

შაო დროს და უზრუნველყოფილ იქნას სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები სასოფლო-სამეურნეო საძუშაოთა პერიოდში მეშინდვრეობის, სატრაქტორო და მეცხოველეობის ბრიგადების კოლმეურნეებისათვის.

საველე ბანაკებში აგებულ იქნას საცხოვრებელი შენობები, — მუდმივი და საზაფხულო საერთო საცხოვრებლები; პირუტყვის შესანახავად აშენებულ იქნას მეცხოველეობის საჭირო ნაგებობანი; სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ინვენტარის შესანახავად მოეწყოს ფარდულები.

6. იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობის ამოცანები მოითხოვენ კოლმეურნეობებისადმი აგრონომიული და ზოოვეტერინარული დახმარების გაძლიერებას, საჭიროდ იქნას ცნობილი მტს-ებისა და სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილებების აგრონომიული უბნების გასაძლიერებლად მტს-ების, სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილებების აგრონომიულ უბნებში, აგრეთვე დიდ კოლმეურნეობებში 1947 წელს კოლმეურნეობებისათვის აგრონომიული დახმარების გასაწევად გაგზავნილ იქნას აგრონომების მნიშვნელოვანი რიცხვი უწყებებიდან, დაწესებულებებიდან და სასწავლებლებიდან.

აგრონომიული მომსახურების მოწესრიგების მიზნით დაწესდეს, რომ მტს-ების აგრონომიული უბნები მომსახურებას უწევენ იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც ხელშეკრულება აქვთ დადებული მტს-ებთან, ხოლო იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც მტს-ების საქმიანობის ზონაში არ შედიან, მომსახურებას უწევენ სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა აგრონომიული უბნები. დაწესდეს, რომ მტს-ების აგრონომების აგრონომიულ მუშაობას ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევენ სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილებანი.

7. დაწესდეს, რომ აგრონომიულ, ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი იგზავნებიან მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, აგრონომიულ და ზოოვეტერინარულ უბნებში და ერთი წლის განმავლობაში სტაჟს გადიან საჭირო პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად. უმაღლეს სასწავლებლებში კურსდამთავრებულნი სტაჟს გადიან უმცროსი აგრონომების, უმცროსი ზოოტექნიკოსებისა და უმცროსი ვეტექიმების თანამდებობაზე.

8. დაწესდეს, რომ აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები, ინჟინრები, მექანიკოსები და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ არა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, აგროუბნებს და ზოოვეტერინარულ უბნებში, არამედ აპარატში, 25 პროცენტით ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვიდრე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში მომუშავე შესაბამისი მუშაკები.

9. საკოლმეურნეო კადრების — კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, ფერმის გამგეებისა და მოანგარიშეების მომზადებისა და გადამზადების გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ იქნას ცნობილი ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში 1947 წელს მოეწყოს ერთწლიანი და ორწლიანი სახელმწიფო სკოლები და მათთან სანიმუშო სასწავლო-საცდელი მეურნეობანი, რათა ამ სკოლებიდან გამოშვებულ იქნან სავსებით მომზადებული ხელმძღვანელი საკოლმეურნეო მუშაკები. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოკლევადიანი გადამზადებისათვის ყოველ ოლქსა, მხარესა და რესპუბლიკაში 1947 წელს მოეწყოს მუდმივად მოქმედი ექვსთვიანი კურსები.

საკოლმეურნეო წარმოების ოსტატების — მემინდვრეების, მეცხოველეების, მებაღეების, მებოსტნეების, მეფუტკრეების მომზადების დიდი მნიშვ-

ნელობის გამო გაფართოვდეს ერთწლიანი სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო სკოლების ქსელი ისე, რომ ყოველი ოლქი, მხარე და რესპუბლიკა ამზადებდეს ამ კადრებს კოლმეურნეობათა სრული მოთხოვნილების ფარგლებში.

10. აგრონომების უსწრაფესად მომზადების საჭიროების მიხედვით, მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული საოლქო აგრონომიული სკოლების მოწყობა სწავლების 3-წლიანი ვადით. იმ პირებს, რომლებიც საოლქო აგრონომიულ სკოლებს დაამთავრებენ, მიენიჭოთ უმცროსი აგრონომის წოდება.

## IX

## სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების დარგში

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების პოლიტიკამ, რომელიც 1940 წელს იქნა მიღებული და მდგომარეობს იმაში, რომ კოლმეურნეობების მიერ მეძინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების საკალდებულო ჩაბარება გამოანგარიშებულ იქნას კოლმეურნეობათა ყოველი ჰექტარი სახნავის ან მიწის ფართობის მიხედვით, მთლიანად და სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

1940 წლამდე არსებული წესი საკალდებულო ჩაბარების გამოანგარიშებისა ნათესი ფართობის ან პირუტყვის სულადობის მიხედვით აჭარწყლებდა კოლმეურნეობათა დაინტერესებას საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეურნეობის განვითარებით, კოლმეურნეობათა შორის იწვევდა მისწრაფებას მიეღოთ თესვისა და მეცხოველეობის განვითარების შემცირებული გეგმები, ხელს უწყობდა ნათესი ფართობების შემცირებას, სტიმულს არ იძლეოდა ახალი მიწების ათვისებისათვის.

საკალდებულო ჩაბარებათა გამოანგარიშების ახალმა პრინციპმა, რომელიც ეყრდნობა ისეთ მყარ ბაზას, როგორიცაა სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობებზე აქტებით უვადო სარგებლობისათვის მიწის მიმაგრება, შეჰქმნა კოლმეურნეობათა დაინტერესება საზოგადოებრივი მემინდვრეობისა და მეცხოველეობის განვითარებით, აღმოფხვრა რა დამზადებათა სისტემის ის მანკი, როცა მოწინავე კოლმეურნეობანი, რომლებიც აფართოებენ ნათესებს და ამრავლებენ პირუტყვის სულადობას ფერმებში, არახელსაყრელ მდგომარეობაში ვარდებოდნენ იმ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებთან შედარებით, რომლებიც არ ზრდიან ნათეს ფართობებს, რომელთაც არა აქვთ ფერმები ან საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

მხოლოდ საკოლმეურნეო წყობილების მოწინააღმდეგეებს, რომელთაც არ ესმით კოლმეურნეობებზე მიმაგრებული სახნავ-სათესი თვითეული ჰექტარის მიხედვით საკალდებულო ჩაბარებათა გამოანგარიშების კანონის პროგრესული მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის და რომლებიც იცავენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობისათვის ომით მიყენებული ზარალის მთელ სერიოზულობას, შეუძლიათ უკან ეწეოდნენ პარტიას ნათესი ფართობების მიხედვით ჩაბარებათა პოლიტიკისაკენ, რომელიც გაუქმებულია როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის შეუფერებელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა დარგში საკალდებულოდ მიაჩნია უმკაცრესად დაცულ იქნას პოლიტიკა კოლმეურნეობებზე მიმაგრებული თვითეული ჰექტარი სახნავი მიწის მიხედვით საკალდებულო ჩაბარებათა გამოანგარიშებისა მემინდვრეობის პროდუქტების ჩაბარების დავალებათა მიცემისას და კოლმეურნეობებზე მიმაგრებული მიწის ფართობის თვითეული ჰექტარის მიხედვით—მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების დავალებათა მიცემისას.

ამასთან ერთად, ახლანდელ პირობებში იბადება საჭიროება სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებათა ერთიანი ნორმის ნაცვლად ერთი ადმინისტრაციული რაიონის ყველა კოლმეურნეობისათვის გამოყენებულ იქნას რამდენიმე ნორმა რაიონში კოლმეურნეობათა ჯგუფების მიხედვით, ვინაიდან ეს მოგვცემს შესაძლებლობას საჭირო შემთხვევებში მოვაწესრიგოთ კოლმეურნეობების მიერ სავალდებულო ჩაბარებათა ოდენობა მათზე მიმაგრებული მიწის ათვისების ოდენობის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით მრავალმიწიან კოლმეურნეობათა რაიონებში, რომელთაც მუშახელის ნაკლებობის გამო ვერ აუთვისებიათ მიწა, კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებათა ნორმები უნდა შემცირდეს, ხოლო იმ რაიონებში, სადაც კოლმეურნეობანი ახერხებენ მიწის ათვისებას და მუშახელიც საკმაოა, კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებათა ნორმები გადიდდეს.

1. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს არაუგვიანეს 1947 წლის 1 მაისისა დააწესოს კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებათა დიფერენცირებული ნორმები, როგორც მუდმივი ნორმები, და დაუშვას რამდენიმე ნორმის გამოყენება ერთ ადმინისტრაციულ რაიონში.

2. სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარებათა ნორმები იმ კოლმეურნეობათა მიერ, რომლებსაც მომსახურებას არ უწევენ მტს-ები, 25 პროცენტით მეტი უნდა იყოს იმ ნორმებზე, რაც დაწესებულია კოლმეურნეობებისათვის, რომელთაც მომსახურებას უწევენ ამა თუ იმ რაიონის მტს-ები.

3. არასწორად და შემცირებულად ჩაითვალოს ხორბლეულისა და ჭვავის შვრიით, ქერითა და ფეტვით შეცვლის არსებული ეკვივალენტები.

ყველაზე უფრო ძვირფასი სასურსათო კულტურების — ხორბლისა და ჭვავის წარმოების წახალისებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს ხორბლისა და ჭვავის შვრიით, ქერითა და ფეტვით შეცვლის ეკვივალენტების გადიდება იმ შემთხვევებში, როცა სსრ კავშირის მთავრობა, გამონაკლისის წესით, ნებას დართავს კოლმეურნეობებისა და გლეხური მეურნეობებისაგან მიიღოს შვრია, ქერი და ფეტვი სახელმწიფოსათვის ხორბლისა და ჭვავის სავალდებულო ჩაბარების შესრულების ანგარიშში. დაწესდეს, რომ, 1947 წლის მოსავლით დაწყებული, ხორბლისა და ჭვავის შეცვლა დამზადებისა და გადაცვლისას სწარმოებს შემდეგი ეკვივალენტით: 1 ფუთი ხორბალი უდრის 2 ფუთ შვრიას, 1 ფუთსა და 30 გირვანქა ქერს, 1 ფუთსა და 20 გირვანქა ფეტვს; 1 ფუთი ჭვავი უდრის 1 ფუთსა და 30 გირვანქა შვრიას, 1 ფუთსა და 20 გირვანქა ქერს, 1 ფუთსა და 10 გირვანქა ფეტვს.

წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაადიდოს კოლმეურნეობებისა და გლეხური მეურნეობების მიერ 1947 წლის მოსავლის ხორბლისა და ჭვავის ჩაბარება საფურაჟე კულტურების ჩაბარებათა შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

4. მიღებულ იქნას მხედველობაში პოლიტიკური და სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა ცნობებისა მარცვლეული, ზეთოვანი და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობისა და ნათესი ფართობების, ბალახებისა და კარტოფილის სათესლე ნაკვეთების შესახებ და საჭიროდ იქნას ცნობილი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მოსავლიანობის გამომრკვევი სახელმწიფო ინსპექციის მოწყობა.

5. ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს სავალდებულო ჩაბარებათა კანონის მკაცრი დაცვის უზრუნველყოფა და 1947 წელს პურის დამზადებათა სახელმწიფო გეგმის აუცილებლად შესრულება ყოველი რაიო-

ნის, ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ კანონით დაწესებულ ვადებში.

დაევალოთ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს პურის დამზადება გააჩაღონ ჩრდილოეთ ალების პირველი დღეებიდანვე და არ დაუშვან წარსული წლების შეცდომები, როდესაც პურის ჩაბარების ტემპები ჩამორჩებოდა გალეწვის ტემპებს ან როცა გალეწვა ჭიანურდებოდა, რის გამოც იშლებოდა პურის დამზადების გეგმის შესრულება მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში. გალეწვის დაწყებისთანავე მიღწეულ იქნას, რომ ყოველი კოლმეურნეობა, ყოველი საბჭოთა მეურნეობა ყოველდღიურად იღებდეს ვალდებულებას სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებაში და იბყოფებოდეს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი გავლენის ქვეშ პურის დამზადებათა გეგმის ძთლიანად შესრულებამდე და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონებს.

6. გათვალისწინებულ იქნას მეცხოველეობის პროდუქტებით ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა და ამ პროდუქტების სახელმწიფო რეზერვების შექმნის საჭიროება და დაევალოთ ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს სერიოზულად გააუმჯობესონ მეცხოველეობის პროდუქტებზე დამზადებისადმი ხელმძღვანელობა და უზრუნველჰყონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და გლეხური მეურნეობების მიერ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებათა სახელმწიფო გეგმების თავის დროზე შესრულება.

## X

## სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დარგში

1. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში პარტიის წინაშე მდგომი ამოცანები პარტიულ ორგანიზაციებს ავალებენ ფართოდ გააჩაღონ სოფლად პოლიტიკური მუშაობა, განუმარტონ მშრომელებს ეს ამოცანები, დარაზმონ ისინი სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის საბრძოლველად და მიაღწიონ მასებთან კავშირის შემდგომ განმტკიცებას. საჭიროა ბოლო მოეღოს სოფლად მუშაობაში არსებულ დიდ ნაკლოვანებებს და უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ხელმძღვანელი კადრების ზოგი ნაწილი ჯერ კიდევ უდარდელად ეპყრობა კოლმეურნეობებს, უშვებს პარტიის ხაზის დამახინჯებას საკოლმეურნეო მშენებლობაში, არ ეწევა საჭირო საორგანიზაციო და პოლიტიკურ მუშაობას სოფლად. საჭიროა, რომ რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები სისტემატურად დაიარებოდნენ კოლმეურნეობებში და პირადად ეწეოდნენ პოლიტიკურ და საორგანიზაციო-პარტიულ მუშაობას, ატარებდნენ კოლმეურნეებთან საუბრებსა და კრებებს, აწესრიგებდნენ პარტიულ და პოლიტიკურ მუშაობას პირველადს პარტორგანიზაციებში.

2. დაევალოთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს გააუმჯობესონ პარტიის სასოფლო რაიკომებისადმი ხელმძღვანელობა, მიაღწიონ იმას, რომ პარტიის რაიკომები გაიმსჭვალონ სრული პასუხისმგებლობით კოლმეურნეობების მდგომარეობისა და განვითარებისათვის, ღრმად ჩასწვდნენ საკოლმეურნეო ცხოვრების ყოველ წვრილმანს და მიიღონ ღონისძიებანი ცალკე თვითეული კოლმეურნეობის განმტკიცებისათვის.

3. საჭიროდ იქნას ცნობილი მტს-ებში შემოღება დირექტორის მოადგილის თანამდებობისა პოლიტიკურ ნაწილში.

მტს-ების დირექტორთა მოადგილეებმა პოლიტიკურ ნაწილში უნდა მიაღწიონ მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებას, უზრუნველჰყონ აწორი ურთიერთობა მტს-ებსა და კოლმეურნეობათა შორის, იდგნენ იმის საგუშაგოზე, რომ კოლმეურნეობები და მტს-ები ზუსტად იცავდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობას, რომ ამ ურთიერთობაში არ იყოს როგორც მტს-ების, ისე კოლმეურნეობათა მუშაობის ნაკლოვანებათა ურთიერთმიჩქმალვა. მტს-ების დირექტორთა მოადგილეებმა პოლიტიკურ ნაწილში უნდა უზრუნველჰყონ მტს-ების პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუჯობესება, გაიჩალონ პოლიტიკური, აღმზრდელობითი მუშაობა ტრაქტორისტებსა, კომბაინერებსა და მტს-ის სხვა მუშაკებს შორის.

* * *

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს სოფლის მეურნეობის უსწრაფესად აღდგენისა და აღმავლობის საქმეს, როგორც სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარებისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფის აუცილებელ პირობაა. მთელი ჩვენი სახელმწიფოსათვის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრას მთავარი ყურადღება უნდა მიაპყრონ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, იმ მრეწველობის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, რომელიც დაკვეთებს ასრულებს სოფლის მეურნეობისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გააძლიერონ დახმარება მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი წარმოების ორგანიზაციის საქმეში, მოაწყონ და სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალისტების ყოველდღიურ ბრძოლას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ყოველმხრივი გადიდებისათვის, მინდვრის სამუშაოთა ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებისა და საკოლმეურნეო სოფლის შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სრული გამოყენების საფუძველზე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ყველა კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობისა და მთელი გლეხური მეურნეობების მიერ 1947 წლის საგაზაფხულო თესვისათვის მომზადების დროზე დამთავრება, საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა წარმატებით შესრულება უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს.

# კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება

მიმდინარე წლის 9 თებერვალს ჩატარდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული, სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აირჩიეს თავისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ამ დიდ პოლიტიკურ მოვლენას წინ უძღოდა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ბრწყინვალე პატრიოტული დემონსტრაცია, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის საწარმოო და პოლიტიკური აღმაფრენა. უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებმა და თვით არჩევნებმა ახალი ძალით ცხადჰყვეს ბოლშევიკური პარტიის მტკიცე კავშირი ხალხთან, მთელი ხალხის დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ, დიდი სტალინის ირგვლივ.

ისევე, როგორც წინა არჩევნებში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებშიც კომუნისტები გამოდიოდნენ უპარტიოებთან ბლოკით. კომუნისტები და უპარტიოები ერთად ასახელებდნენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, ჩვენი რესპუბლიკის ღირსეულ შვილებს, იმათ, ვინც თავისი უანგარო შრომითა და მოღვაწეობით ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მთელმა ქართველმა ხალხმა თავის პირველ დეპუტატად დაასახელა დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი, ვის სახელთანაც დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვება, ჩვენი ქვეყნის ყველა მიღწევა. საქართველოს მშრომელებმა თავის წინასაარჩევნო კრებებზე დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლები და მოწაფეები. ამით მათ კვლავ ცხადჰყვეს თავიანთი ერთგულება და უსაზღვრო ნდობა ლენინ-სტალინის პარტიისადმი, თავიანთი გაუსაზღვრელი სიყვარული დიდი სტალინისადმი.

ქართველი ხალხი თავისი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ასახელებდა პარტიისა და მთავრობის გამოჩენილ მოღვაწეებს, ხელმძღვანელ საბეურნეო მუშაკებს, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებს, ინტელიგენტური შრომის მუშაკებს — მეცნიერებს, ხელოვანთ, ექიმებს, აგრონომებს, ინჟინრებს, მასწავლებელთ, — საბჭოთა საზოგადოებრივობის მოწინავე ადამიანებს.

და, როდესაც დიდმა **სტალინმა** და მისმა სახელოვანმა თანამებრძოლებმა **ვ. მ. მოლოტოვმა** და **ლ. პ. ბერიამ** დიდი ნდობა გამოუცხადეს ქართველ ხალხს და დასთანხმდნენ კენჭი ეყარათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-

ჭოს დეპუტატობაზე, მთელი ქართველი ხალხი ამ სასიხარულო ცნობას უმაგალითო აღფრთოვანებით შეხვდა; მას ჩვენმა ხალხმა უპასუხა თავისი რიგების კიდევ უფრო შემჭიდროებით ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ, ახალი შრომითი საგმირო საქმეებით თავისი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში კომუნისტები და უპარტიოები ერთად ეწეოდნენ აგიტაციას თავიანთი კანდიდატების სასარგებლოდ. ეს გასაკვირი არის. კომუნისტებისა და უპარტიოების შეთანხმებული საქმიანობა წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ყოველდღიური ცხოვრების დამახასიათებელ თვისებას. კომუნისტებს არა აქვთ სხვა ინტერესი გარდა ხალხის კეთილდღეობის ინტერესისა. კომუნისტთა კანდიდატები უმაღლეს საბჭოში წარმოადგენდნენ უპარტიოთა კანდიდატებსაც, ხოლო უპარტიოთა კანდიდატები — კომუნისტთა კანდიდატებსაც. სწორედ ინტერესთა ამ ერთიანობით, ხალხისადმი ამ ერთგულებით აიხსნება ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რასაც ხალხი იჩენს ჩვენი პარტიისადმი.

კომუნისტებისა და უპარტიოების ეს ურთიერთნდობა და თანამშრომლობა, მათი მტკიცე კავშირი ერთად შრომასა და ბრძოლაში გამოიჭედა. „ამ კავშირსა და თანამშრომლობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. „ცხოვრობენ რა საერთო კოლექტივში, ისინი ერთად იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისათვის, ერთად ომობდნენ და სისხლს ღვრიდნენ ფრონტებზე ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და სიდიადისათვის, ერთად სჭედდნენ და გამოსჭედეს გამარჯვება ჩვენი ქვეყნის მტრებზე. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ ერთნი პარტიაში არიან, მეორენი კი არა. მაგრამ ეს განსხვავება ფორმალურია. მნიშვნელოვანია ის, რომ ერთნიც და მეორენიც ჰქმნიან ერთ საერთო საქმეს. ამიტომ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი ბუნებრივი და სასიცოცხლო საქმეა“. (სტალინი).

აი რატომ გამოვიდა ჩვენი პარტია, ისევე, როგორც წარსულში, ამჯერადაც ბლოკით უპარტიოებთან. აი რატომ ჰქონდა მას იმედი, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ამომრჩევლები კვლავ ნდობით მოეპყრობოდნენ კომუნისტურ პარტიას, მოიწონებდნენ მის პოლიტიკას და ხმას მისცემდნენ კომუნისტური პარტიის მიერ უპარტიოებთან ერთად წამოყენებულ დეპუტატობის კანდიდატებს.

„საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) — **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის ერთგული, მებრძოლი რაზმი, — ნათქვამია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ყველა ამომრჩევლისადმი, — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში, ისევე როგორც 1938 წლის არჩევნებში, გამოდის უპარტიოებთან ბლოკით, მათთან კავშირით. იგი დარწმუნებულია, რომ მთელი ქართველი ხალხი ნდობით მოეპყრობა და მხარს დაუჭერს მას, და იმედი აქვს, რომ ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც წამოაყენა კომუნისტურმა პარტიამ უპარტიოებთან ერთად, ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს“.

ბოლშევიკური პარტიის ეს იმედი სავსებით გამართლდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, რომელიც 9 თებერვალს შესდგა, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურმა ბლოკმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ყველა საარჩევნო უბანში არჩევნები ჩატარდა უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, ამომრჩეველთა დიდი აქტივობითა და ორგანიზაციულობით. სტალინური კონსტიტუციის სრული შესაბამისობით. 2.056.017 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.055.460 კაცმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,97 პროცენტს შეადგენს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 237-ვე საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 2.054.072 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა მთელი რაოდენობის 99,94 პროცენტს. რეგისტრირებულია 237-ვე დეპუტატის არჩევა. ყველა არჩეული დეპუტატი უკლებლივ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატია!

არჩევნების დღეს ყველას გულისყური და აზრი მიმართული იყო თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქისაკენ, სადაც მთელი ქართველი ხალხის სახელით მშრომელნი პირველ დეპუტატად ირჩევდნენ ჩვენი გამარჯვებათა დიდ ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, მშობლიურ სტალინს; ყველა ამომრჩევლის გულისყური მიპყრობილი იყო თბილისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქისაკენ, სადაც კენჭს იყრიდა დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ვ. მ. მოლოტოვი; თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქისაკენ, სადაც ხმას აძლევდნენ დიდი სტალინის ერთგულ მოწაფესა და თანამოღვაწეს, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ დეპუტატად ამხანაგ ი. ბ. სტალინის არჩევით, თავის დეპუტატებად ვ. მ. მოლოტოვისა და ლ. პ. ბერიას არჩევით, კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატთა არჩევით, ქართველმა ხალხმა მკაფიოდ ცხადჰყო თავისი ურყევი კავშირი და დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, თავისი ერთგულება დიდი სტალინისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში ქართველი ხალხის ეს ერთსულოვნება და ორგანიზებულობა ახალი ბრწყინვალე ტრიუმფია ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისა, რომელიც დიდი სტალინის გენიით არის შთაგონებული. არჩევნების ეს ბრწყინვალე გამარჯვება მოულოდნელი როდი იყო. იგი გაპირობებული იყო ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის სისწორით, რომლის ურყევად გატარების შედეგად ჩვენი რესპუბლიკა გადაიქცა სახალხო მეურნეობისა და კულტურის მხრივ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად; იგი შედეგია ბოლშევიკური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობისა, რომელსაც ჩვენი ხალხი გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავს.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის ბრძნული მითითებების განუხრელი შესრულებით საქართველო მოკლე ისტორიულ ვადაში გადაიქცა მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკად განვითარებული მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, კულტურითა და მეცნიერებით. გაჩნდა მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიის მძლავრი კერები, ელექტროსადგურები, გაყვანილი

იქნა ახალი რკინიგზები. ჩამორჩენილ და დაჭუცმაცებულ გლეხურ მეურნეობის ნაცვლად, შეიქმნა თანამედროვე ტექნიკაზე დამყარებული მსხვილი სოციალისტური მეურნეობა. საქართველო მევენახეობის და მეხილეობის აღორძინებასთან ერთად, მოიფინა უაღრესად ძვირფასი კულტურების—ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, შაქრის ჭარხლის, ტუნგოს პლანტაციებით, რაც საკოლმეურნეო გლეხობის შეძლებულობისა და კეთილდღეობის საფუძველი გახდა. საქართველო მოიფინა მრავალი დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი სასწავლებლებით და სამეცნიერო დაწესებულებებით, შეიქმნა ქართული მეცნიერების მძლავრი ცენტრი — მეცნიერებათა აკადემია სამეცნიერო ინსტიტუტების ფართო ქსელით, განვითარდა სახალხო ჯანმრთელობა და ფიზკულტურა, აყვავდა ხელოვნება და ლიტერატურა. და, ყველაფერ ამას ქართველი ხალხი უმადლის ბოლშევიკურ პარტიას, მის სტალინურ ხელმძღვანელობას.

ამიტომ, თვითეულ ამომრჩეველს სურდა რა საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავება, იგი ხმას აძლევდა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ როცა მტერი თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს და სურდა მას საბჭოთა კავშირში გაერთიანებულ ყველა ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსპობა, ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის დარღვევა, თვითეული ხალხის დამონება და მის საუკეთესო შვილთა გაჟლეტა, საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას შემოსეული მტრის წინააღმდეგ ხელმძღვანელობდა და წარმართავდა ბოლშევიკური პარტია. ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ამ უმკაცრესი ომის ძირითადი სიმძიმე თავის მხრებზე გადაიტანა თანასწორთა შორის პირველმა, უფროსმა ძმამ—დიდმა რუსმა ხალხმა. ქართველმა ხალხმა დიდი წვლილი შეიტანა მტერზე გამარჯვების საქმეში. ათობით და ასობით ათასი ქართველი მებრძოლი საბჭოთა სხვა ხალხთა შვილების გვერდით გმირულად იბრძოდა თავისი სოციალისტური სამშობლოსათვის. საქართველოს კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობდა-რა ქართველი ხალხის ამ გმირულ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ, განუწყვეტლივ ნერგავდა მასებში ხალხთა სტალინური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების იდეას. საბჭოთა კავშირის ხალხთა ეს შეკავშირება ერთ ძმურ ოჯახში, მათი ძმური თანამშრომლობა წარმოადგენს საბჭოთა ქვეყნის ძალისა და უძლეველობის ერთერთ მძლავრ ფაქტორს. საბჭოთა მრავალეროვანმა სახელმწიფომ გაუძლო უმკაცრეს გამოცდას ომში და დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა.

ამიტომ, სურდა რა ჩვენი სამშობლოს ძლიერების ახალი აღმავლობა და და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის შემდგომი განმტკიცება, თვითეული ამომრჩეველი, როცა იგი საარჩევნო ყუთთან მიდიოდა, ხმას აძლევდა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

დიდი სამამულო ომის დამთავრებისთანავე ჩვენი ქვეყანა კვლავ დაუბრუნდა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას. მთელი საბჭოთა ხალხი უდიდეს შრომითს ფერხულშია ჩაბმული, წარმატებით ანხორციელებს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიან გეგმას. „უდიდეს

ამოცანებს უსახავს საქართველოს მშრომელთ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა. ამ ამოცანების განხორციელების შედეგად დიდად გაიზრდება საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული ძლიერება, განსაკუთრებით მეტალურგიისა და საავტომობილო მრეწველობის განვითარების ხარჯზე, კიდევ უფრო აყვავდება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა, უწინარეს ყოვლისა, სუბტროპიკული მეურნეობა და მევენახეობა, შეიქმნება ახალი მძლავრი სარწყავი სისტემები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაადიდებენ მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობას, კიდევ უფრო ამაღლდება ქართველი ხალხის კულტურა და მეცნიერება". (საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან).

ქართველი ხალხის ამ შრომითს ენთუზიაზმს წარმართავს და სათავეში უდგას საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა). საქართველოს ბოლშევიკთა წინამძღოლობით ჩვენმა რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა ხუთწლედის პირველი წლის დავალებები და კიდევ უფრო მეტი ენერგიით შეუდგა შემდგომი ამოცანების შესრულებას.

ამიტომ, სურდა-რა კვლავ წარმატებით სრულდებოდეს ომის შემდგომი სტალინური ხუთწლედით გათვალისწინებული გეგმები სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, თვითეული ამომრჩეველი ხმას აძლევდა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ომმა მრავალი სიძნელე შეუქმნა საბჭოთა ხალხს. ეს სიძნელენი კიდევ უფრო გააძლიერა 1946 წლის გვალვებმა და მოუსავლიანობამ. ჩვენი პარტიის ყოველი მეცადინეობა ამჟამად მიმართულია მათს დასაძლევად. საბჭოთა ხალხს მტკიცედ სწამს თავისი პარტიისა, მისი ძალა სიძნელეთა დაძლევის საქმეში და უყოყმანოდ მიჰყვება მას ახალ გამარჯვებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში.

ამიტომაც, სურდა რა ის, რომ რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში დაძლეულიყო ომის შემდგომი სიძნელეები, რომლებსაც ჩვენი ხალხი განიცდის, სურდა რა ის, რომ უახლოეს პერიოდში მიღწეულ იქნას მატერიალურ სიკეთეთა სიუხვე ჩვენი საშობლოს მშრომელებისათვის, ამომრჩევლები 9 თებერვალს უდიდესი სიხარულით მიდიოდნენ საარჩევნო ყუთებისაკენ, რათა თავისი ხმა მიეცათ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის.

ასეთი იყო ის საარჩევნო პლატფორმა, რომლითაც არჩევნების დღეს ერთად მიდიოდნენ კომუნისტები და უპარტიონი. ასე, ერთი აზრითა და ერთი რწმენით იყო გაშუქვალული ჩვენი რესპუბლიკის თვითეული მშრომელი არჩევნებისათვის მზადების დღეებში. „ბოლშევიკური პარტია ჩვენი ხალხის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია.—განაცხადა თავის წინასაარჩევნო სიტყვაში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა.—იგი ერთგულად ემსახურება ხალხის ინტერესებს, დაუღალავ ბრძოლას ეწევა მისი კეთილდღეობისა და აყვავებისათვის. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, დიდი ბოლშევიკური პარტიის ერთერთ რაზმს, უფლება აქვს იქონიოს მთელი ქართველი ხალხის მხარდაჭერისა და ნდობის იმედი. იგი უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე მიდის დარწმუ-

ნებული იმაში, რომ კომუნისტებისა და უპარტიოების მძლავრი ბლოკი მთელი ხალხის ერთსულოვან მხარდაჭერას ჰპოვებს".

ეს ასეც მოხდა! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები გადაიქცა ქართველი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად, მისი კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვად ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ. კომუნისტების და უპარტიოების ბლოკმა კვლავ გვიჩვენა თავისი ძალა. ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატია. 9 თებერვალს ქართველმა ხალხმა უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ბოლშევიკურ პარტიას და უმაღლეს საბჭოში აირჩია უკეთესნი უკეთესთა შორის. ამით მან ერთსულოვნად მოიწონა კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ. ეს საბჭოთა დემოკრატიის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებაა!

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ხალხისა და პარტიის ასეთი ურთიერთობა, ხალხის ასეთი განუსაზღვრელი სიყვარული პარტიისადმი!

9 თებერვლის ისტორიულ დღეს მთელმა ქართველმა ხალხმა ხმა მისცა თავის მშობლიურ და სასიცოცხლო საქმეს, — თავისი რესპუბლიკის შემდგომ სამეურნეო და კულტურულ აყვავებას, თავის საყოფაცხოვრებო და მატერიალურ კეთილდღეობას. ამ დღეს მან კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ ურღვევია ხალხისა და პარტიის კავშირი, მტკიცეა მათი ნებისა და მიზნის ერთიანობა. ამხანაგ სტალინის სახელი ამ დიადი ერთიანობის სიმბოლოა. დიდი სტალინი მთელი ქართველი ხალხის პირველი დეპუტატია!

1947 წლის 9 თებერვლის არჩევნებში მთელმა ქართველმა ხალხმა ახალი ძალით ცხადჰყო თავისი ერთგულება და სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, თავისი ბოლშევიკური პარტიისადმი, ჩვენი ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლისადმი — დიდი სტალინისადმი.

# მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩავაბაროთ საგაზაფხულო თესვა

საბჭოთა სოფლის ცხოვრებაში ახლოვდება ფრიად პასუხსაგები პერიოდი — საგაზაფხულო თესვის პერიოდი, როცა სოციალისტური სოფლის მშრომელებმა უნდა გვიჩვენონ დაუღალავი შრომის ნიმუშები მინდვრებსა და პლანტაციებში, ახლოვდება დრო, როცა მათ მტკიცე საფუძველი უნდა ჩაუყაროონ მიმდინარე წლის ბარაქიან მოსავალს.

ახლა მთავარ ამოცანას წარმოადგენს მალე დავამთავროთ საგაზაფხულო თესვის ყველა მოსამზადებელი სამუშაო და ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ მეოთხე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის გაზაფხულს.

საუკეთესოდ მომზადებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თესვის ორგანიზებულად ჩატარებისა და მომდევნო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. მიმდინარე წლის უხვი მოსავლის ბედი სწორედ თესვის დროს წყდება. სწრაფად და მოკლე ვადებში დავთესავთ — კარგ და უხვ მოსავალს მოვიყვანთ. კიდევ მეტი. საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების მაღალ აგრონომიულ დონეზე მომზადებისა და ჩატარებაზე მიმდინარე წელს დამოკიდებულია არა მარტო ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მოყვანა, არამედ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა — მშრომელთა მატერიალური დონის შემდგომი ამაღლების ღონისძიების განუხრელად განხორციელება.

1947 წელს ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახულია მოსავლიანობის ყოველმხრივ ამაღლება, მარცვლეულის, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების საერთო მოსავლის გადიდება.

ამ ამოცანის გადასაჭრელად ჩვენს კოლმეურნე გლეხობას, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს ყველა პირობა აქვთ.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადება მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში. კოლმეურნეები, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკები აღტურვილი არიან სტალინური მზრუნველობის დოკუმენტით. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ წარმოადგენს გაშლილ პროგრამას სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და მძლავრი განვითარებისათვის. ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტში მოცემულია ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელთა განხორციელება უზრუნველჰყოფს პროექტთა სიუხვის შექმნას მოსახლეობისათვის, ნედლეულისა მსუბუქი, მრეწ-

ვნელობისათვის, სურსათისა და ნედლეულის აუცილებელი რეზერვების დაგროვებას.

დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით — საბჭოთა ადამიანები შესძლებენ უზრუნველჰყონ ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობა, სოციალისტური სოფლის მეურნეობის სრული აყვავება და სურსათის სიუხვე საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

საქართველოს კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკები, რომლებიც გულდასმით გაეცვნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას — მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად ენერგიულად იბრძვიან სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრისათვის.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პასუხად ახალ ვალდებულებებს იღებენ და ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

დადგენილების გაცნობისას გურჯაანის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ელენე უტიაშვილმა განაცხადა:

— მე და ჩემმა მეზობლებმა კოლმეურნეობაში ვპოვეთ ხსნა. კოლმეურნეობა რომ არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ საამური ცხოვრება არ გვექნებოდა. მადლობა დიდ სტალინს საკოლმეურნეო წყობილების შექმნისათვის. ომმა ჩვენს ქვეყანას დიდი ზარალი მიაყენა, მაგრამ ჩვენი ხალხი იშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს. მალე სოფელი კიდევ უფრო წინ წავა და აყვავდება. დადგენილება „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ გვავალებს ვიმუშაოთ დაძაბულად და ამას გავაკეთებთ. ვკისრულობ აბრეშუმის პარკის მოსავლის მიღებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა შევასრულო 120 პროცენტით, გადაჭარბებით გავანაღდო სხვა დავალებებიც.

გორის რაიონის სოფელ ნიჭოზის კოლმეურნეობა „განთიადში“ — გამოვიდა რა კოლმეურნეთა საერთო კრებაზე ბრიგადირმა ვ. მეტრეველმა განაცხადა:

— საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება გვისახავს გზებს სოციალისტური სოფლის მეურნეობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ამ დადგენილებაში მკაფიოდ აღნიშნულია, თუ რა უნდა გააკეთოს თვითეულმა ჩვენთაგანმა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი გახდეს. ბრიგადის სახელით ვკისრულობ ვალდებულებას წელს საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 13 ცენტნერი მარცვლეული კულტურები, 500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და 150 ცენტნერი ბოსტნეული.

ამით ამხ. ი. უტიაშვილმა და ვ. მეტრეველმა მთელი საქართველოს კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების მუშების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების აზრი და ფიქრი გამოხატეს და აგრეთვე მზადყოფნა ყველაფერი გააკეთონ მშობლიური ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის და პირადად ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის დავალებათა განუხრელად შესრულებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია:

„საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს სოფლის მეურნეობის უსწრაფესად აღდგენისა და აღმავლობის საქმეს, როგორც სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარებისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას. მთელი ჩვენი სახელმწიფოსათვის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრას მთავარი ყურადღება უნდა მიაპყრონ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, იმ მრეწველობის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, რომელიც დაკვეთებს ასრულებს სოფლის მეურნეობისათვის“.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში დიდი როლი ეკუთვნის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს. მათს მაღალნაყოფიერ მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი. ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი მტს-ების პარტიულ და სამეურნეო მუშაკებს, სპეციალისტებს კარგად ესმით ეს და ბოლშევიკური შეუპოვრობით იბრძვიან ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ვადამდე დაამთავრეს რემონტი და მზად არიან მინდვრად გასასვლელად ქარელის, წითელქალაქის, დუშეთის, ვაჩიანის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ასურეთის, მარტყოფის, ბაშკიჩეთის, ქუთაისის, ზესტაფონის, ოჩამჩირის, მახარაძის და სხვა მთელი რიგი მტს-ები. დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული რესპუბლიკაში მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურების სათესლე მასალის გამოყოფის გეგმა. ბევრგან გასწმინდეს და სათეს კონდიციამდე აიყვანეს სათესლე მასალა. მუშა პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. სრულ წესრიგზეა მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. თესვისათვის კარგად მზადების საილუსტრაციოდ ავიღოთ სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „შრომა“. წელს აქ საგაზაფხულო კულტურები 600 ჰექტარზე დაითესება. კოლმეურნეობის სამჭედლო კარგად მუშაობს. შედეგიც ჩინებულია. ყველა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი წესრიგზეა მოყვანილი. თესლი გაწმენდილია და სრულ კონდიციამდეა აყვანილი. მუშა პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. მინდვრად საკმაო რაოდენობით არის გატანილი ნაკელი. საკოლმეურნეო შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგი იყო ის, რომ შარშანდელი მოსავლიდან შრომადღეზე განაწილდა 3,3 კილოგრამი მარცვლეული. კოლმეურნეებმა შრომადღეზე ავრიცხეს მიიღეს ფული, მზისუმზირა, ყველი და სხვა პროდუქტები. პრემია-დანამატის სახით კოლმეურნეებს ერგოთ 12,5 ტონა მზისუმზირა. სოფელ მაღაროს და მრავალი სხვა კოლმეურნეობა მზად შეხვდა ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე გაზაფხულს.

საერთოდ შარშანდელთან შედარებით საქართველოს კოლმეურნეობები და მტს-ები უფრო ენერგიულად ემზადებიან ხვნა-თესვისათვის.

მაგრამ ეს ოდნავადაც არ იძლევა თვითდამშვიდების საბაბს. ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი არსებობს გაზაფხულისათვის მზადების საქმეში.

ავიღოთ მაგალითად ტრაქტორების მომზადება მინდვრის სამუშაოებისათვის. ახლოვდება ტრაქტორების რემონტის დამთავრების ვადა—10 მარტი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მტს-ის ხელმძღვანელი მუშაკები შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენენ და რემონტის საქმე თვითდინებაზეა მინდობილი. ამის შედეგია სერიოზული ჩამორჩენა. 25 თებერვლისათვის ახალსოფლის მტს-ს ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 41,5 პროცენტით, მცხეთისას—62,8, შინდისისას—70 პროცენტით. ბევ-

რად უკეთესი მდგომარეობა რემონტის მხრივ არ არის ახმეტის, ალაზნის, დიღმის, სტალინირისა და თიანეთის მტს-ებში.

ზოგიერთ მტს-ში ჭიანურდება მისაბმელი ინვენტარის რემონტი. რემონტის ხარისხს საკმაო ყურადღება არ ექცევა ვანის, შინდისის, გუდაუთისა და გულრიფშის მტს-ებში. მცხეთის მტს-ი ჩამორჩა რემონტის საქმეში. მიზეზი ის არის, რომ სარემონტო სახელოსნო სათანადოდ მოწყობილი არ არის, დაბალია შრომის დისციპლინა. რემონტის ტემპი დაბალია სართიჭალის მტს-შიც. ამის მიზეზი ის არის, რომ აქ სარემონტო სახელოსნო ზამთრისათვის სრულებით არ მოუმზადებიათ; ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტზე მომუშავე 20 ტრაქტორისტი ყოველდღე სახელოსნოდან 10-15 კილომეტრის მანძილზე დადის შინ და ცდება. ყვარლის მტს-ში მოუწესრიგებელია სარემონტო სახელოსნოს მუშაობა, არ არის შემოღებული ბრიგადების ორცვლიანი მუშაობა, მოუგვარებელია რემონტზე მომუშავეთა საყოფაცხოვრებო პირობები. არა აქვთ სასადილო, მოწყობილი არ არის საერთო საცხოვრებელი, მტს-ს აკლია სამი ზეინკალი და ერთი ხარატი. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს მუშაობის ტემპსა და ხარისხზე.

ტრაქტორების შეუფერხებელი და მაღალხარისხოვანი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწვავი ძასალის მარაგის ამთავითვე მიზიდვას მტს-ებში. ბევრგან ამ საქმეს უდარდელად ეკიდებიან და ამიტომ მტს-ებში საწვავის შეზიდვა ნელი ტემპით მიმდინარეობს. 20 თებერვლისათვის ნავთის გატანის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა საქართველოს მტს-ების ხაზით შესრულებულია 40 პროცენტით, ლიგროინისა—20.7 პროცენტით, ბენზინისა—51.2 პროცენტით. მთელ რიგ მტს-ებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს გუთნების, სათესებისა და ფარცხების რემონტი.

არადამაკმაყოფილებელია საკოლმეურნეო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის ტემპიც. 20 თებერვლისათვის შეკეთებული იყო 23.450 გუთანი ანუ გეგმის 58.6 პროცენტი, სათესების შეკეთების რესპუბლიკური გეგმა შესრულებული იყო 37,7 პროცენტით, კულტივატორებისა — 37,4 პროცენტით.

თესლების გამოყოფის დარგშიც ვერ არის საქმე კარგად მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში. 20 თებერვლისათვის კარტოფილის თესლის გამოყოფის გეგმა შესრულებული არ ჰქონდათ წალკის, თეთრი წყაროს, ქაშრეთის, სიღნაღის, თელავის, ახმეტის, მცხეთის, საგარეჯოს, ბაშკიჩეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებს.

შეუწყნარებელი მდგომარეობაა მრავალწლიანი ბალახების თესლის გამოყოფის დარგში. საკმარისია ითქვას, რომ 13.500 ცენტნერი თესლიდან გამოყოფილია მხოლოდ 4.990 ცენტნერი. მრავალწლიანი ბალახების თესლის გამოყოფის გეგმა მთლიანად არ შეუსრულებიათ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, ყარაიის, საგარეჯოს რაიონებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს და სხვ.

თესლის გაწმენდაში ჩამორჩნენ ბოგდანოვკის, ბორჯომის, დუშეთის, ხაშურის, ქარელის, კასპისა და თიანეთის რაიონები.

ბევრგან არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში. 20 თებერვლისათვის ჩაის პლანტაციების ნიადაგის გადაბარვის გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებული იყო მხოლოდ 46,5 პროცენტით. ამ რიცხვისათვის ეს სამუშაო დაწყებული არ ჰქონდა წყალტუბოს რაიონს, ჩოხატაურის რაიონში გეგმა შესრულებულია მხოლოდ 24,3 პროცენტით, გეგეჭკორის რაიონში—34.1, წულუკიძის რაიონში—24.7, ჩხოროწყუს რაიონში—34.8, წალენჯიხისაში—32.7 პროცენტით.

ეს სამუშაო ჩამორჩა აგრეთვე აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების ორგ კოლმეურნეობებში.

ნელი ტემპით სწარმოებს დავალება ჩაის ბუჩქების გასხვლისა და ფორჭის მიცემის დარგში. ამ სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებაზე დამოკიდებულია წელს ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდება.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სუბტროპიკული კულტურების რაიონების სასოფლო-სამეურნეო პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე დასახა ამოცანა მნიშვნელოვნად გაადიდონ ციტრუსოვანთა ხაყოფისა და ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა. 1948 წელს გადაჭარბებულ უნდა იქნას ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლის ომამდელი დონე. ციტრუსოვანი კულტურების ფართობის გადიდება მოხდება ფორთოხლისა და ლიმონის ნარგავთა ზრდით. მოსავლიანობის გადიდებისათვის ყველა პირობა არის შექმნილი. საკმარისია ითქვას, რომ 1947 წელს საქართველოს სს რესპუბლიკას ციტრუსოვანთა კულტურებისა და ჩაისათვის გამოყოფილი აქვს 84 ათასი ტონა მინერალური სასუქი, მათ შორის 45 ათასი ტონა აზოტოვანი სასუქი.

აუცილებელია სწრაფად გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი ხვნა-თესვისათვის მზადებისა, ჩაის და ციტრუსების საგაზაფხულო სამუშაოთა დარგში და თესვის მასობრივად დაწყებას მოშზადებული შევხვდეთ.

რა ამოცანები დგანან ახლა კოლმეურნეობების, მტს-ებისა და პარტიული ორგანიზაციების წინაშე?

გაზაფხული ახლოვდება. თანდათან ჩაღდება მინდვრის სამუშაოები. 25 თებერვლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მოხნული იყო 50.318 ჰექტარი ანუ წინა ხუთდღიურზე თითქმის ორჯერ მეტი. საგაზაფხულო კულტურები დათესილია 6.765 ჰექტარი. მათ შორის თავთავიანი მარცვლეული 4.960 ჰექტარი.

მალე საგაზაფხულო თესვა მასობრივად გაჩაღდება. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ თესვისწინა სამუშაოთა სწრაფად დამთავრებისათვის. ძვირფასია თვითეული დღე, თვითეული საათი. საჭიროა სწრაფი მანევრირება, შრომის სწორად მოწყობა და სამუშაო ძალების გონივრულად განაწილება, რომ მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებით, ჩამორჩენილები მოწინავეებს გავუთანასწოროთ და მივაღწიოთ საერთო აღმავლობას.

უხვი და მყარი მოსავლის მიღების მთავარი და გადამწყვეტი პირობაა სწორი თესლბრუნვის დანერგვა. საჭიროა საგაზაფხულო კულტურები დაითესოს თესლბრუნვის განლაგების მინდვრებში. თესლბრუნვაში შევიტანოთ ბალახთესვა, ფართოდ გამოვიყენოთ პარკოვანი და მარცვლოვანი მრავალწლიანი ბალახების ნარევი.

აუცილებელია უახლოეს დღეებში დავამთავროთ ტრაქტორების და მისი მისაბმელი ინვენტარის რემონტი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რემონტის ხარისხს. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა მტკიცე კონტროლი დააწესონ რემონტის ხარისხის დაცვისადმი. ასევე ყურადღების ღირსია კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო მანქანების დროულად შეკეთების საქმე.

მტს-ებს სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს მანქანებით, საწვავ-საცხები მასალის მიწოდებით. მტს-ების დირექტორებმა საჭიროა ამთავითვე იზრუნონ საწვავი მასალის ადგილზევე მისაზიდად. მინდვრის გაცხოველებული მუშაობის პერიოდში მათ საკმაოდ უნდა ჰქონდეთ მომარაგებული ნავთი, ბენზინი, ლიგროინი და სხვა მასალა. სწორედ ასე სჩვევია კარგ სამეურნეო მუშაკებს.

უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კარგ სათესლე მასალას. თესლი ეს მოსავლის გადიდების ერთერთი აუცილებელი მნიშ-

ვნელოვანი პირობაა. მაგრამ არ კმარა მარტო თესლის გამოყოფა. აუცილებელია სათესლე მასალა დროულად გავწმინდოთ და ყოველმხრივ მოვამზადოთ თესვისათვის. სათესლე მასალა ვარგისიანად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, როცა ის აყვანილია სათეს კონდიციამდე. თესლის სიწმინდისათვის ბრძოლას შეუნელებელი ყურადღება უნდა მიაქციოს მთელმა აგრონომიულმა პერსონალმა. ხალხში ტყუილად როდი ამბობენ „რასაც დასთეს, იმას მოიმკიო".

არანაკლებ საზრუნავია საკოლმეურნეო და მექანიზატორთა კადრების მომზადება. წელს საქართველოში უნდა მომზადდეს და გადამზადდეს მასობრივი კვალიფიკაციის 17 ათასი კოლმეურნე. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს ხაზით მომზადდება 150 ტრაქტორისტი, 50 კომბაინერი, 60 სატრაქტორო ბრიგადირი, 60 კომბაინერის თანაშემწე, 20 მექანიკოსი, 40 რემონტის მუშა. უნდა გადამზადდეს 200 ტრაქტორისტი, 40 კომბაინერი, 30 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი. საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების ხაზით გეგმით მზადდება 100 ტრაქტორისტი, 20 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, 150 მოფერი, 45 რემონტის მუშა. საჭიროა გადამზადდეს 150 ტრაქტორისტი, 20 კომბაინერი, 30 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

კოლმეურნეთა მასობრივი კვალიფიკაციის კურსებზე მზადდება ბრიგადირები, მერგოლურები, მყნობელები და სხვ. მექანიზატორთა ჯგრები მზადდება მტს-ბთან მოწყობილ კურსებზე და სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა სკოლებში. ამოცანა ის არის, რომ კურსებზე სწავლების ხარისხი მუდამ იყოს მოქცეული ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

ხვნა-თესვის წარმატება დამოკიდებულია აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალის კარგად მომზადებისაგან. საჭიროა ყველა კოლმეურნეობამ გამოჰყოს დასუსტებული მუშა პირუტყვი, გადაიყვანოს გაძლიერებულ კვებაზე და უზრუნველჰყოს მუშა პირუტყვის მოვლის გადაჭრით გაუმჯობესება.

მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებას. ამ ამოცანის გადაჭრისათვის აუცილებელია ადგილობრივი ორგანული სასუქი მინდვრად გაუტანოთ საკმაო რაოდენობით. უნდა მივბაძოთ მოწინავე კოლმეურნეობებს, რომლებმაც უკვე დაამთავრეს მინდვრად ნაკელის გატანა.

მოსავლიანობის ამაღლებისათვის განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მორწყვას. სარწყავი სისტემების წესრიგზე მოსაყვანად პარტიის რაიკომებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა ახლავე უნდა მიიღონ ზომები, მოაწყონ კოლმეურნეთა მასობრივი გასვლა არხების გასაწმენდად და შესაკეთებლად.

ახლა კოლმეურნეობებში მიმდინარეობს მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილება. ეს საქმე კარგად უნდა მოვაწყოთ. მოსავალი და შემოსავალი საჭიროა გავანაწილოთ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდებისა და პარტიის და მთავრობის მითითებათა მტკიცედ დაცვით. საკოლმეურნეო შემოსავლის სწორად განაწილება მეტ სტიმულს მისცემს კოლმეურნეებს დაუღალავი შრომისათვის.

საჭიროა ფართოდ გავაჩაღოთ მუშაობა კოლმეურნეობათა 1947 წლის საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების შესადგენად. გეგმის შედგენა სერიოზული საქმეა და ის დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. ახლავე უნდა შევუდგეთ საწარმოო ბრიგადებისა და რგოლების წესიერად დაკომპლექტებას, მათთვის ნაკვეთების მიჩენას, სტახანოვური ჰექტარების გამოყოფას, გამომუშავების ნორმების დაზუსტებას. თვითეულ კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს კარგად მოფიქრებული სამუშაო გეგმა და ამთავითვე გავაჩაღოთ მუშაობა გეგმის მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის.

ქალაქ თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1947 წლის 3 თებერვალს საქართველოს ბოლშევიკების ხელძღვანელმა ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა სთქვა:

„ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე განვითარების ფართო პერსპექტივები ისახება. საქართველომ ახლო მომავალში არა თუ ერთიორად და ერთისამად უნდა გაადიდოს უაღრესად ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურების მოსავალი, არამედ ამასთან ერთად, ბევრად უნდა გაადიდოს მარცვლეულის წარმოება, რათა შეამციროს ჩვენს რესპუბლიკაში პურის შემოტანა, ხოლო შემდგომ მთლიანად უზრუნველჰყოს თავისი თავი საკუთარი პურით. ამ ამოცანის გადასაჭრელად თავდადებით იმუშაონ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა, სამიწათმოქმედო ორგანოები და მთელი კოლმეურნე გლეხობა".

საქართველოს მშრომელები წლითიწლობით წარმატებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს, პირნათლად იხდიან თავიანთ ვალს საბჭოთა სამშობლოს წინაშე. საქართველოს სს რესპუბლიკას მეათეჯერ მიეკუთვნა პირველობა მთელს საბჭოთა კავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. 1946 წელს საქართველოში მარცვლეულის საერთო მოსავალმა კოლმეურნეობებში 1945 წლის საერთო მოსავალს 50 ათასი ტონით და მეტით გადაჭაარბა.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ყველა პირობა მოგვეპოვება მარცვლეულისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის ასამაღლებლად. საჭიროა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ მუშაობა მემინდვრეობაში და წელს მოვიყვანოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ისეთი მოსავალი, როგორც ეს შეშვენის ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წელს.

საჭიროა აღგილობრივმა საბჭოთა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამიწათმოქმედო ორგანოებმა გაითვალისწინონ წლევანდელი გაჭიანურებული ზამთრის პირობები. ზამთრის გახანგრძლივების გამო ხვნა-თესვა ჩაატარონ მაქსიმალურად მოკლე ვადებში და ამასთანავე პირველი შესაძლებლობისთანავე შეუდგნენ ცალკეული ნაკვეთების შერჩევით ხვნა-თესვას, არ დაელოდონ მთელი ნაკვეთის მომზადებას მუშაობისათვის.

მთელს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ ჩაღდება მძლავრი პატრიოტული მოძრაობა — მეოთხე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო გეგმების ვადამდე 7 ნოემბრისათვის — დიდი ოქტომბრის რევოლუციის მეოცდაათე წლისთავზე შესრულებისათვის. მუშათა კლასთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებაში ებმება ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა. აღგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, უზრუნველჰყონ შეჯიბრების ფართოდ გაშლა, მისი მასობრიობა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმების, სამეცნიერო დაწესებულებების, საუკეთესო რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების, აგრეთვე სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკთა და ორგანიზატორთა მიღწევების ფართოდ ჩვენებისა და დანერგვის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივ გაჩაღების მიზნით, აუცილებლად ჩაითვალოს 1950 წლიდან სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობის განახლება 1947 წლიდან გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით".

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადება ახალ შრომითს აღმავლობას გამოიწვევს ჩვენს საბჭოთა სოფელში,

მინდვრებსა და პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში ვიმუშაოთ სტახანოვურად, მოვიპოვოთ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება,—ასეთია საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა ღირსებისა და სახელის საქმე.

საგაზაფხულო სამუშაოთა ორგანიზებულად ჩატარებისათვის გადაჭრით გავაძლიეროთ სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ ფართოდ გააჩაღონ პოლიტიკური მუშაობა, გახუმარტონ მშრომელებს მათს წინაშე მდგარი ამოცანები. საჭიროა გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისადმი, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისადმი. პარტიული ორგანიზაციები ვალდებულია არიან სრული პასუხისმგებლობით მოეკიდონ კოლმეურნეობების მდგომარეობისა და განვითარების საქმეს, ღრმად ჩაწვდნენ საკოლმეურნეო ცხოვრების ყოველ წვრილმანს და მიიღონ ზომები ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა მოწინავეთა ღონემდე ამაღლებისათვის, უზრუნველჰყონ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების — საკოლმეურნეო ცხოვრების ამ უმაღლესი კანონის განუხრელად განხორციელება.

დიდი სტალინი გვასწავლის: „... საკოლმეურნეო წყობილება ის არ ამცირებს, არამედ ადიდებს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას და პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართ. აქედან გამომდინარეობს, რომ პარტია, თუ მას სურს უხელმძღვანელოს საკოლმეურნეო მოძრაობას, უნდა ჩასწვდეს საკოლმეურნეო ცხოვრებისა და საკოლმეურნეო ხელმძღვანელობის ყველა დეტალს. აქედან გამომდინარეობს, რომ პარტიამ კი არ უნდა შეასუსტოს, არამედ უნდა გააძლიეროს თავისი კავშირი კოლმეურნეობებთან, რომ მან უნდა იცოდეს ყველაფერი, რაც ხდება კოლმეურნეობებში, რათა თავის დროზე გაუწიოს დახმარება და თავიდან აიცილოს კოლმეურნეობებს მოსალოდნელი საფრთხე“.

მუდამ გვახსოვდეს დიდი სტალინის ეს ბრძნული მითითება, კიდევ უფრო განვამტკიცოთ კავშირი კოლმეურნე გლეხებთან, ყური ვუგდოთ მათ ხმას, —ეი რაშია ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა და უძლეველობა.

განუხრელად განვახორციელოთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშები დავრაზმოთ საგაზაფხულო ხვნა-თესვის საუკეთესოდ მომზადებისა, მოკლე ვადებში და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარებისათვის.

არ დავუშვათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაგვიანებით ჩატარება, შეუპოვრად ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა!

გვახსოვდეს, რომ ყველა კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობისა და მთელი გლეხური მეურნეობების მიერ 1947 წლის საგაზაფხულო თესვისათვის მომზადების დროზე დამთავრება, საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა წარმატებით შესრულება უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს.

# საერთაშორისო მიმოხილვა

1946 წელმა განვლო მოწინავე, დემოკრატიული ძალების შეუპოვარი ბრძოლის ნიშნით რეაქციის ძალების წინააღმდეგ საერთაშორისო ასპარეზზე იმ ზავის ხასიათისათვის, რომლითაც უნდა დამთავრდეს მეორე მსოფლიო ომი. ომისშემდგომი დროის პრობლემების გადაწყვეტის ორი მეთოდი შეეჯახა ამ ბრძოლაში ერთმანეთს — იმპერიალისტური მეთოდი და დემოკრატიული მეთოდი. მათ შესახებ ლაპარაკობდა ამხანაგი მოლოტოვი გასული წლის 10 ოქტომბერს თავის გამოსვლაში პარიზის საზავო კონფერენციაზე.

„საერთაშორისო ცხოვრებაში არსებობს ორი პირდაპირ საწინააღმდეგო მეთოდი, — სთქვა ამხანაგმა მოლოტოვმა. — ერთი მეთოდია — ძველთაგანვე ყველასათვის კარგად ცნობილი — ძალადობისა და ბატონობის მეთოდი, რომლისთვისაც კარგია ზეგავლენის ყველა საშუალება. მეორე მეთოდია, ჯერ კიდევ არასაკმაოდ ფართოდ გავრცელებული, დემოკრატიული თანამშრომლობის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ყველა დიდი და მცირე სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობის პრინციპისა და კანონიერი ინტერესების აღიარებაზე. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, ქვეყნებს შორის დემოკრატიული თანამშრომლობის მეთოდი ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს".

პირველი მეთოდის მატარებლად, ომში „ღერძის" სახელმწიფოთა განაღგურების შემდეგ, გამოდის ინგლის-ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალი, რომელიც მოქმედებს იმ მთავრობათა საშუალებით, რომელთა პოლიტიკას ის წარმართავს; მეორე მეთოდის მატარებელი არის საბჭოთა კავშირი, რომელიც სათავეში უდგას დემოკრატიულ სახელმწიფოთა ჯგუფს; ეს სახელმწიფოები დაინტერესებული არიან სტაბილური, დემოკრატიული მშვიდობით, მათი მთავრობანი ეყრდნობიან თავიანთი ქვეყნების ხალხთა დიდი უმრავლესობის მხარდაჭერას. სწორედ ამ ორი კურსის შეჯახება ომისშემდგომი დროის მშვიდობის პრობლემათა გადაწყვეტისას ახასიათებს იმ უაღრესად დაძაბულ დიპლომატიურ ბრძოლას, რომლითაც ხასიათდებოდა 1946 წელი.

რა თქმა უნდა, ორივე მხარის პოზიცია ამ ბრძოლაში შემთხვევითი როდია. იგი განისაზღვრება იმ მიზნებით, რომელთაც ისინი ისახავდნენ ჯერ კიდევ ომის დროს. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ბურჟუაზია **ობიექტურად** აკეთებდა ისტორიულად პროგრესიულ საქმეს, როცა მონაწილეობდა ხალხთა სამართლიან ომში ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ. ეს უდავოა. მაგრამ უდავოა ისიც, რომ ამერიკისა და ინგლისის ბურჟუაზია, იბრძოდა რა ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ, ისახავდა **სუბიექტურად** სხვა, სრულიად არა პროგრესიულ მიზნებს. ისწრაფოდნენ რა მათთვის უაღ-

რესად სახიფათო იმპერიალისტური მეტოქეების დასამორჩილებლად მსოფლიო ასპარეზზე, ამერიკისა და ინგლისის კაპიტალის სულისჩამდგმელნი ხელმძღვანელობდნენ, რა თქმა უნდა, ფაშიზმის მიერ დამონებული ხალხების არა განთავისუფლების იდეით, არა ფაშიზმზე დემოკრატიის გამარჯვების იდეით და ა. შ., არამედ მისწრაფებით — გარდაექმნათ მსოფლიო თავის სასარგებლოდ, ე. ი. არსებითად, მსოფლიოზე საკუთარი ბატონობის დამყარებისაკენ მსოფლიო ჰეგემონიაზე გერმანელი და იაპონელი პრეტენდენტების ძალდატანებითი ჩამოშორების შემდეგ.

ომის დამთავრება, თითქოს, გზას უხსნიდა ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტებს სასურველი მიზნისაკენ, რამდენადაც გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ განიცადეს სამხედრო დამარცხება, ხოლო საფრანგეთი, ჰოლანდია და ანტიჰიტლერული ბანაკის სხვა სახელმწიფოები, რომელთაც ჰქონდათ კოლონიური ინტერესები, იმდენად დასუსტდნენ, რომ ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტებს შეეძლოთ მათთვის ფაქტიურად ანგარიში არ გაეწიათ. მაგრამ ანგლო-საქსური კაპიტალის ჰეგემონიური მისწრაფებების გზაზე წამოიჭრა სხვა დაბრკოლებანი, რომლებიც წარმოშვა ხალხთა გამარჯვებამ **სამართლიან, განმათავისუფლებელ ომში** ფაშისტ დამშონებელთა წინააღმდეგ. პირველ რიგში ეს არის სსრ კავშირის, საერთაშორისო ასპარეზზე ამ ძირითადი ანტიიმპერიალისტური ძალის პოზიციების მნიშვნელოვანი გაძლიერება ომის შედეგად, ხოლო მეორე, საერთოდ პროგრესიული, დემოკრატიული ძალების მნიშვნელოვანი განმტკიცება და აქტივიზაცია ყველგან (ბურჟუაზიულ ქვეყნებში კომუნისტური პარტიების რაოდენობისა და გავლენის მძლავრი ზრდა, პროფესიული მოძრაობის ზრდა, დემოკრატიული პარტიების ბლოკთა ორგანიზაცია რეაქციის ძალთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში და ა. შ.). ამრიგად, ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ ძლევამოსილი ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი გახდა ხალხთა ფართო მასების საერთო გამემარცხენება, მათი პოლიტიკური თვითშეგნების ზრდა და ყველა ანტიიმპერიალისტური ფაქტორის გაძლიერება მსოფლიო ასპარეზზე.

„ფაშიზმისა და მსოფლიო აგრესიის ძირითადი კერების განადგურებამ და ლიკვიდაციამ,—სთქვა ამხანაგმა სტალინმა გასული წლის საპირველმაისო ბრძანებაში, — გამოიწვია ღრმა ცვლილებები მსოფლიოს ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრებაში, უზრუნველჰყო ხალხთა შორის დემოკრატიული მოძრაობის ფართო ზრდა. ომის გამოცდილებით ხალხის მასებმა შეიგნეს, რომ სახელმწიფოთა ბედი არ შეიძლება მიენდოს რეაქციულ მმართველებს, რომლებიც ვიწრო-კასტურ ანგარებით ალსავსე, ხალხის საწინააღმდეგო მიზნებს ისახავენ. სწორედ ამიტომ ხალხები, რომლებსაც არა სურთ ძველებურად იცხოვრონ, საკუთარ ხელში იღებენ თავიანთ სახელმწიფოთა ბედს, ამყარებენ დემოკრატიულ წესებს და აქტიურ ბრძოლას ეწევიან რეაქციის ძალების წინააღმდეგ, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ“.

ამასთან დაკავშირებით საგსებით კანონზომიერია, რომ ხალხები, მიაღწიეს რა ფაშიზმის სამხედრო განადგურებას და საკუთარ განთავისუფლებას, ისწრაფვიან განამტკიცონ ეს მდგომარეობა, რაც გამოიხატება მათ მისწრაფებაში

მტკიცე, დემოკრატიული მშვიდობისაკენ, რომელიც უზრუნველჰყოფს მათ უშიშროებას და კოლექტიურ გარანტიებს ფაშისტური აგრესიის განახლების შესაძლებლობის წინააღმდეგ. მაგრამ მეორეს მხრივ კანონზომიერია ისიც, რომ საერთაშორისო რეაქცია საბოტაჟს უწევს მტკიცე, დემოკრატიული მშვიდობის ორგანიზაციას, ვინაიდან ასეთი მშვიდობა თავისი ხასიათით გახდება დაბრკოლება იმ იმპერიალისტური მიზნების მიღწევის საქმეში, რომელთა რეალიზაციას ანგლო-საქსური მონოპოლისტური კაპიტალი უკავშირებდა ომის დამთავრებას. ამრიგად, თუ ხალხები ისწრაფვიან ომის შემდეგ **დემოკრატიული** მშვიდობის დამყარებისაკენ, რეაქცია ცდილობს დაამყაროს **იმპერიალისტური** მშვიდობა; თუ ხალხები ისწრაფვიან **მტკიცე, შეურყეველი** მშვიდობისაკენ, რეაქცია, პირიქით, სინამდვილეში, ცდილობს შეჰქმნას **არამყარი, მერყეველი** წყობილება, **რომელიც თავის არსში დაიტევს შეუზღუდველი ინგლის-ამერიკული იმპერიალისტური ექსპანსიის ყველა შესაძლებლობას.** საბოლოოდ ამაშია იმ ბრძოლის არსი, რომელიც, მიუხედავად იმ საკითხთა ფორმების მრავალფეროვნებისა და სიმრავლისა, რომელთაც იგი მოიცავს, გაჩაღდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მშვიდობისა და უშიშროების მოწყობის პრობლემის გარშემო.

* * *

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციამ (1945 წლის 17 ივლისი — 2 აგვისტო) „დაუყოვნებლივ და დიდმნიშვნელოვან ამოცანად“ დაავალა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს საზავო ხელშეკრულებათა შედგენა ფაშისტური გერმანიის ხუთი მოკავშირისათვის — იტალიისათვის, რუმინეთისათვის, ბულგარეთისათვის, უნგრეთისა და ფინეთისათვის. ამასთან ბერლინის კონფერენციამ თავის გადაწყვეტილებებში ზუსტად ჩამოაყალიბა ის პრინციპი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფოებმა აღნიშნულ ხელშეკრულებათა შედგენის დროს. იგი შემდეგში გამოიხატება: თვითეული ხელშეკრულების შედგენაში მინისტრთა საბჭოში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს კაპიტულაციის პირობებს, რაც ნაკარნახევი იყო იმ სახელმწიფოსათვის, რომლისთვისაც ადგენენ ხელშეკრულებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მინისტრთა საბჭო, ასრულებს რა აღნიშნულ ამოცანას საზავო ხელშეკრულებათა შედგენის შესახებ, სხდომებს მართავს სხვადასხვა შემადგენლობით: ფინეთისათვის ხელშეკრულების შედგენისას—მხოლოდ სსრ კავშირისა და ინგლისის წარმომადგენელთა შემადგენლობით (ამერიკის შეერთებულ შტატებს ფინეთის კაპიტულაციის აქტზე ხელი არ მოუწერიათ), ხელშეკრულებათა შედგენისას რუმინეთისათვის, ბულგარეთისა და უნგრეთისათვის — სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა შემადგენლობით. ბერლინის კონფერენციამ მარტო იტალიისათვის შესადგენ ხელშეკრულების მიმართ დაუშვა გამონაკლისი: მან ნება მისცა საფრანგეთს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის თანაბრად მონაწილეობა მიეღო იტალიისათვის საზავო ხელშეკრულების შედგენის დროს, თუმცა როგორც ცნობილია, საფრანგეთს იტალიის კაპიტულაციის აქტზე ხელი არ მოუწერია.

მაგრამ საზავო ხელშეკრულებათა გამომუშავება მაშინვე წააწყდა ინგლისისა და ამერიკის დიპლომატიის მიერ შექმნილ დაბრკოლებებს. უკვე

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პირველ სესიაზე ლონდონში, 1945 წლის 11 სექტემბერს, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრები შეეცადნენ ჩაეშალათ ბერლინის კონფერენციის მიერ დადგენილი საზავო ხელშეკრულებათა შედგენის ზემოაღნიშნული წესი, მაგრამ, შეხვდნენ რა წინააღმდეგობას საბჭოთა დიპლომატიის მხრივ, ინგლისელები და ამერიკელები დაადგნენ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პირველი სესიის ჩაშლის გზას; სესია დაიხურა 2 ოქტომბერს და მას არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. ამის შემდეგ, ამაოდ შეეცადა რა დაეშინებინა სსრ კავშირი საგაზეთო კამპანიებით ყბადაღებული „ატომური ბომბის“ გარშემო, სამი მინისტრის მოსკოვის თათბირზე (1945 წლის 16-26 დეკემბერი) ინგლისისა და ამერიკის დიპლომატია კვლავ დათანხმდა დაეცვა საზავო ხელშეკრულებათა შედგენის წესი, რომელიც შეიმუშავა ბერლინის კონფერენციამ. გარდა ამისა, მოსკოვის თათბირზე მოხდა სამშვიდობო რეგულაციის მთელი პროცესის დეტალიზაცია, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულებებთან ფაშისტური გერმანიის ზემოდ აღნიშნული ხუთი მოკავშირისათვის. ასე, მაგალითად, დადგენილ იქნა, რომ ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო შეადგენს ხუთი საზავო ხელშეკრულების წინასწარ პროექტებს, შემდეგ მოწვეულ იქნება საზავო კონფერენცია 21 სახელმწიფოს შემადგენლობით, რომელიც გამოსთქვამს თავის რეკომენდაციებს ამ წინასწარი პროექტების გამო, და, ბოლოს, კვლავ იქნება მოწვეული საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, რომელიც, განიხილავს რა საზავო კონფერენციის რეკომენდაციებს, გამოიმუშავებს საზავო ხელშეკრულებათა უკანასკნელ, საბოლოო, შეთანხმებულ ტექსტებს. ასეთი იყო სამი ეტაპი. გათვალისწინებული საგარეო საქმეთა სამი მინისტრის მოსკოვის თათბირის მიერ 1945 წლის დეკემბერში. ამ სამი ეტაპის განვლის შემდეგ ხელშეკრულებებზე უნდა მოეწერათ ხელი, ხოლო შემდეგ მოეხდინათ მათი რატიფიკაცია.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის თათბირზე ინგლისისა და ამერიკის დიპლომატიამ დაადასტურა თავისი თანხმობა—მხარი დაეჭირათ ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებებისათვის საზავო ხელშეკრულებათა შედგენის დროს, მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა არა ერთგზისი ცდა ანგლო-საქსური ბლოკის მხრივ არა მარტო გვერდი აევლოთ ბერლინის კონფერენციის დადგენილებათათვის, არამედ ჩაეშალათ კიდეც ისინი და მოემზადებინათ ნიადაგი მათი სრული ლიკვიდაციისათვის. პრაქტიკულად ანგლო-საქსური ბლოკი ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში აფერხებდა სამშვიდობო მოწესრიგების საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ პოტსდამის დადგენილებანი, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, განიხილავდნენ მას როგორც **გადაუდებელ** დიდმნიშვნელოვან ამოცანას.

მოსკოვის თათბირზე მიღებულ მითითებათა მიხედვით ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის 1946 წლის 25 აპრილს პარიზში მოწვეულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესია, რომელიც შეუდგა ხუთი საზავო ხელშეკრულების წინასწარი პროექტების შედგენას ომში გერმანიის გუშინდელი მოკავშირეებისათვის. მინისტრების საბჭოს პარიზის სესიას ორრიგად ჰქონდა სხდომები: 1946 წლის 25 აპრილიდან 16 მაისამდე (სესიის პირველი ნაწილი) და 15 ივნისიდან 12 ივლისამდე (მეორე ნაწილი).

უნდა ითქვას, რომ მინისტრების საბჭოს პარიზის ამ სესიამ კიდევ უფრო მეტი სიცხადით გვიჩვენა ინგლის-ამერიკის დიპლომატიის ჩამოყალიბებული ბლოკის არსებობა, რომელიც თავისთავს უპირისპირებდა საბჭოთა დიპლომატიას. სესიამ გამოავლინა ის იმპერიალისტური საფუძველიც, რომელზეც შეიქმნა ეს ანგლო-საქსური ბლოკი. ფაქტიურად ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი შეთანხმდნენ ერთსულოვნად დაეჭირათ მხარი ურთიერთ იმპერიალისტური ზრახვებისათვის ომის შემდეგ. ამის გამო ისინი შეთანხმდნენ ერთობლივი დიპლომატიური ფრონტის შესახებ სსრ კავშირის, როგორც მძლავრი ანტიიმპერიალისტური ძალის წინააღმდეგ, რომლის ირგვლივ დარაზმული არიან ყველა სხვა ანტიიმპერიალისტური ძალები საერთაშორისო ასპარეზზე. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიამ გვიჩვენა, რომ ანგლო-საქსური ბლოკი მიზნად ისახავს გადააქციოს სამშვიდობო რეგულირების საქმე აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ინგლის-ამერიკის მონოპოლიების იმპერიალისტურ ზრახვათა დაკმაყოფილების საშუალებად. სესიაზე გამოაშკარავდა, მაგალითად, რომ იტალიისათვის საზავო ხელშეკრულების საშუალებით ინგლისს სურს პირდაპირ თავის სახელზე გადაიტანოს იტალიის ყველა კოლონია, ე. ი. მოკლედ რომ ვთქვათ, პრეტენზიას აცხადებს იტალიის მთელ კოლონიურ მემკვიდრეობაზე. თავის მხრივ ამერიკის შეერთებული შტატები საზავო ხელშეკრულებებს იხილავდნენ როგორც თავიანთი საკომანდო პოზიციების უზრუნველყოფის საშუალებას აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკაში. მინისტრების საბჭოს პარიზის სესია მიმდინარეობდა შანტაჟის ატმოსფეროში ანგლო-საქსური დიპლომატიის მხრივ, რომელიც ცდილობდა დაეშინებინა საბჭოთა კავშირი, მაგალითად, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სეპარაციული ხელშეკრულებების საფრთხით გერმანიის მოკავშირეებთან, მინისტრების საბჭოს სესიის ჩაშლით და საზავო კონფერენციის მოწვევით, რითაც დარღვეული იქნებოდა ის დებულებანი, რომლებიც მოწონებული იყო მოსკოვის თათბირზე, და ა. შ. მთელ ამ შანტაჟს ამერიკის დიპლომატია პირფერულად უწოდებდა „შეტევას მშვიდობის წინააღმდეგ“, რომლის დამყარებასაც თითქოს ხელს უშლიდა საბჭოთა კავშირი. პარიზის სესიას თან ახლდა საშინელი ანტისაბჭოთა ორომტრიალი ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის რეაქციულ პრესაში. ამკარად გამოვლინდა ანგლო-საქსური ბლოკის მისწრაფება—არ ცდილიყვნენ მიეღწიათ დიდ სახელმწიფოთა შორის საკითხების შეთანხმებული გადაწყვეტისათვის, საკითხებისა, რომლებიც გამომდინარეობდნენ საზავო ხელშეკრულებებიდან, არამედ ცდილობდნენ **თავზე მოეხვიათ** საბჭოთა კავშირისათვის ინგლის-ამერიკის დიპლომატიის მიერ წინასწარ შემუშავებული გადაწყვეტილებანი.

მაგრამ ჩაიფუშა დოლარის დიპლომატიის ცდები დაეშინებინათ სსრ კავშირი. საბჭოთა დიპლომატიამ მათ ღირსეული პასუხი გასცა. 1946 წლის 27 მაისს გამოქვეყნებულ განცხადებაში ამხანაგმა მოლოტოვმა თქვა:

„ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფოს მისწრაფება თავს მოახვიოს თავისი ნება სხვა ხალხებს შემდგომშიც იქნება, მაგრამ საბჭოთა კავშირის მიმართ, როგორც წინათ, ისე მომავალშიც, ეს ცდა განწირულია ჩასაფუშავად. მხო-

ლოდ მისწრაფება მეგობრული თანამშრომლობისადმი, სადაც არ არის სხვა სახელმწიფოსათვის ერთი სახელმწიფოს ან ორი სხვა სახელმწიფოს ნების თავს მოხვევა, შეიძლება გახდეს საბჭოთა სახელმწიფოს და სხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობის განვითარების საიმედო საფუძველი".

მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ შექმნილი დაბრკოლებებისა, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიამ საერთოდ მაინც შესძლო გამოემუშავებინა საზავო ხელშეკრულებათა ხუთი წინასწარი პროექტი. მაგრამ, იმის შედეგად, რომ ანგლო-საქსური დიპლომატიას გენერალური კურსი ჰქონდა აღებული იქითკენ, რათა არა იმდენად ცდილიყვნენ მიეღწიათ სსრ კავშირთან შეთანხმებული გადაწყვეტილებებისათვის, რამდენადაც ეკარნახებიათ მისთვის ინგლის-ამერიკის წინადადებანი. გასაკვირი არ არის, რომ ორ ათეულზე მეტი შეუთანხმებელი საკითხი დარჩა, რომლებიც ასეთი შეუთანხმებელი სახით გადაეცა განსახილველად საზავო კონფერენციას საზავო ხელშეკრულებათა წინასწარი პროექტების შეთანხმებულ მუხლებთან ერთად.

სამშვიდობო რეგულაციის პროცესში მეორე ეტაპი იყო პარიზის საზავო კონფერენცია, მოწვეული საგარეო საქმეთა სამი მინისტრის მოსკოვის დეკემბრის თათბირის გადაწყვეტილების თანახმად. კონფერენციის სხდომები ემართებოდა ორთვენახევრის განმავლობაში—1946 წლის 29 ივლისიდან 15 ოქტომბრამდე. მისი შემადგენლობა განსაზღვრულ იქნა მოსკოვის თათბირის მიერ. „კონფერენცია,—ნათქვამია მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებაში,—შედგენილი იქნება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ხუთი წევრისაგან, აგრეთვე გაერთიანებული ერების ყველა წევრებისაგან, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ევროპაში მტრული სახელმწიფოების წინააღმდეგ ომში თავისი არსებითი კონტინგენტებით". ამის საფუძველზე კონფერენციის მონაწილეებად იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები, სსრ კავშირი, ინგლისი, ჩინეთი, საფრანგეთი, ავსტრალია, ბელგია, ბელორუსიის სს რესპუბლიკა, ბრაზილია, ჰოლანდია, საბერძნეთი, ინდოეთი, კანადა, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, უკრაინის სს რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, ეთიოპია, იუგოსლავია, სამხრეთ-აფრიკის კავშირი. სულ ოცდაერთი სახელმწიფო.

როგორც ცნობილია, საზავო კონფერენცია მოწვეული იყო შეზღუდული ფუნქციებით. მოსკოვის თათბირის დადგენილებებს რაიმე გადამწყვეტი უფლებანი საზავო კონფერენციისათვის არ მიუნიჭებია. მას შესაძლებლობა ეძლეოდა გამოემუშავებინა თავისი **რეკომენდაციები** საზავო ხელშეკრულებათა პროექტების გამო ამ რეკომენდაციების წარსადგენად საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსათვის, რომელსაც ეკუთვნოდა უკანასკნელი სიტყვა, ვინაიდან, მოსკოვის თათბირის დადგენილების თანახმად, ხელშეკრულებათა **საბოლოო** ტექსტებს იმუშავებს მინისტრთა საბჭო. ამრიგად, საზავო კონფერენციას მინიჭებული ჰქონდა **კონსულტაციური** ფუნქციები და მის რეკომენდაციებს **სავალდებულო ხასიათი არა ჰქონია.**

მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დიპლომატია საზავო კონფერენციას უკავშირებდა გარკვეულ იმედებს, რომელთაც არაეითარი საერთო არ ჰქონდათ სამშვიდობო რეგულაციის საქმესთან. პირველ ყოვლისა პარიზის საზავო კონფერენცია გამოყენებულ იქნა

როგორც ასპარეზი ანგლო-საქსური ბლოკის სატელიტების მობილიზაციისათვის და სსრ კავშირისადმი მცირე სახელმწიფოთა „ფრონტის“ უკვე დემონსტრაციულად დაპირისპირებისათვის. მინისტრების საბჭოში ასეთი შესაძლებლობა ანგლო-საქსურ დიპლომატიას არ ჰქონდა. გარდა ამისა, მინისტრების საბჭოში მოქმედებდა ერთხმივობის წესი, მაშასადამე, ადგილი არ ჰქონდა ეგრეთწოდებული „კენჭისყრის მანქანის“ სპეკულაციურ გამოყენებას. სულ სხვა საქმეა საზავო კონფერენცია; აქ რეკომენდაციები უნდა მიეღოთ ხმის უმრავლესობით, და ანგლო-საქსებმა, დარაზმეს რა თავიანთი სატელიტები (ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ევატის ან ჰოლანდიის თუ საბერძნეთის წარმომადგენელთა ტიპისა), მიაღწიეს ისეთ პროცედურას, რომელიც თითქმის მუდამ უზრუნველჰყოფდა ანგლო-საქსური ბლოკისათვის ფორმალურ უმრავლესობას. საზავო და საერთაშორისო კონფერენციების ყველა პრეცედენტის უგულებელყოფით ანგლო-საქსურმა ბლოკმა გაიტანა დადგენილება, რომლის თანახმადაც საზავო კონფერენცია ღებულობს თავის რეკომენდაციებს ხმების უბრალო უმრავლესობით (ერთი ხმის უმრავლესობითაც კი!). ყოველივე ამის უკან იმალებოდა ცდა „კენჭისყრის მანქანის“ საშუალებით დაერწმუნებინა მსოფლიო იმაში, რომ ომისშემდგომი მშვიდობის დამყარება დამოკიდებულია მხოლოდდამხოლოდ ანგლო-საქსებზე; რაც შეეხება სსრ კავშირს, იგი თითქოს პოლიტიკურად იზოლირებულია და მუდამ უპცირესობაში იმყოფება. ეს იყო ანგლო-საქსური ბლოკის აშკარა ცდა გამოეყენებინა საზავო კონფერენცია მისი ხელოვნური უმრავლესობით, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი საერთაშორისო პრესტიჟის დამცირების საშუალება, როგორც ხალხებზე მისი ფაქტიური გავლენის შესუსტების საშუალება. ხოლო ყოველივე ამის უკან არაორაზროვნად გამოსჭვიოდა მიზანი: ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის გარშემო მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციით, შემდგომში, თუ მოახერხებდნენ, მიეღწიათ საბჭოთა კავშირის ნამდვილი პოლიტიკური იზოლაციისათვის.

მაგრამ, სსრ კავშირის წინააღმდეგ ანგლო-საქსური ბლოკის დიპლომატიურმა შეტევამ, რასაც თან ახლდა ანტისაბჭოთა ხმაური ამერიკისა და ინგლისის პრესაში, სასურველი შედეგები ვერ მისცა დოლარის დიპლომატიის მომხრეებს. და ვერ მისცა არა მარტო იმიტომ, რომ ხალხების თვალში სსრ კავშირის ავტორიტეტის უაღრესად გაზრდის შედეგად, ახლა მისდამი ცილისწამება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ომამდე იყო.—არამედ იმიტომაც, რომ ის პროგრამა, რომლის რეალიზაციისათვის საზავო კონფერენციაზე ანგლო-საქსებმა შეუპოვარი ბრძოლა გააჩაღეს, არსებითად იყო ანტიხალხური, იმპერიალისტური. საბჭოთა დიპლომატიამ, რომელიც თანმიმდევრულად იცავდა დემოკრატიულ პრინციპებს, ხელი შეუწყო კონფერენციაზე ანგლო-საქსური პროგრამის ამ არსის გამოაშკარავებას. და ამ პროგრამის მომხრეებმა ვერავითარი დემოკრატიული და პაციფისტური ფრაზეოლოგიით ვერ შესძლეს მიეჩქმალათ მსოფლიო-საზოგადოებრივი აზრის წინაშე ის უდავო ფაქტი, რომ ანგლო-საქსური ბლოკი **სამშვიდობო რეგულირების საბაბით სინამდვილეში მიისწრაფოდა მოეწყო თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერვენცია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.** ისეთ

საკითხებში, როგორიც არის ტრიესტი, ნაოსნობა დუნაიზე, რეპარაციები, „თანაბარ შესაძლებლობათა“ ყბადაღებული პრინციპი, საბერძნეთის ზრახვები ალბანეთისა და ბულგარეთის მიმართ და ა. შ. ანგლო-საქსების ამ მისწრაფებამ განსაკუთრებით ცხადი გამოხატულება ჰპოვა.

მიუხედავად ანგლო-საქსური ბლოკის წარმომადგენელთა უცერემონიო და განზრახ დემონსტრაციული ხასიათის საქციელისა საზავო კონფერენციაზე, ამ უკანასკნელის შედეგები ობიექტურად არ შეიძლება შეფასებულ იქნას, როგორც დოლარის დიპლომატიის წარმატება. მართალია, ინგლის-ამერიკის ბლოკმა, მიუხედავად საბჭოთა დიპლომატიის წინააღმდეგობისა, ეგრეთწოდებული „კენჭისყრის მანქანის“ დახმარებით მოახერხა გაეტანა მთელი რიგი აშკარად ანტიდემოკრატიული ხასიათის რეკომენდაციები. მაგრამ, როგორც ითქვა, მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა თანახმად, კონფერენციის რეკომენდაციებს **არავითარი იურიდიული ვალდებულების ძალა არა აქვთ.** რაც შეეხება **მორალურ** ძალას, ისიც, ამ რეკომენდაციების მიღების წესის გამო, ნულს უდრიდა.

მაშ რა მოიგო ანგლო-საქსურმა დიპლომატიამ თავისი მაიორიზირების ტაქტიკით? [1]

საბჭოთა კავშირისათვის აღმოსაყლეთ ევროპაში თავის გადაწყვეტილებათა თავზე მოხვევა, რომლებიც მიღებულ იქნა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებული ქვეყნების ხმებით, მან ვერ შესძლო რამდენადაც კონფერენციის რეკომენდაციებს ვალდებულების ძალა არა აქვთ. აგრეთვე ანგლო-საქსებმა ვერ შესძლეს თავიანთ გარშემო დაერაზმათ მორალურ-პოლიტიკურად მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, რამდენადაც მათი ზრახვების ნამდვილად ანტიდემოკრატიული, იმპერიალისტური ხასიათი გამოაშკარავებულ იქნა საზავო კონფერენციაზე. ამრიგად, მორალურ-პოლიტიკურად ანგლო-საქსები დაზარალდნენ კიდეც, შესუსტდა რა მათი პრესტიჟი და ამასთან ვერაფერი ვერ შეიძინეს რა იურიდიულად. რაც შეეხება სსრ კავშირს, მან შესძლო პირველყოვლისა ხელი შეეშალა მთელი რიგი იმპერიალისტური ზრახვების რეალიზაციისათვის, რომლებიც გათვალისწინებული იყო ინგლის-ამერიკის მონოპოლიების მიერ საზავო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. მეორეც ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს პრესტიჟმა უაღრესად მოიგო საზავო კონფერენციის შედეგად, რამდენადაც ხალხები ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ იმაში, რომ მტკიცე, სამართლიანი, დემოკრატიული მშვიდობის ყველაზე უფრო თანმიმდევრულად და პრინციპულად დამცველი არის სწორედ საბჭოთა კავშირი. კონფერენციაზე მშვიდობის ორი პროგრამის შეჯახებამ ეს განსაკუთრებით თვალნათლივ გვიჩვენა.

აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობის რეგულირების პროცესში შემდეგი, მესამე და უკანასკნელი ეტაპი იყო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესია ნიუ-იორკში, რომლის სხდომები იმართებოდა 1946 წლის 4 ნოემბრიდან 12 დეკემბრამდე. ამ სესიას უნდა განეხილა საზავო კონფერენციის ყველა რეკომენდაცია და გამოემუშავებინა საზავო ხელშეკრულებათა საბოლოო ტექსტები იტალიისათვის, რუმინეთისათვის,

1. მაიორიზირება ნიშნავს თავისი ნება-სურვილის თავზე მოხვევას, ამისათვის მიღწეული ხმების ფორმალური უმრავლესობის სპეკულატურად გამოყენებით.

ბულგარეთისათვის, უნგრეთისა და ფინეთისათვის. რამდენადაც საზავო კონფერენციაზე ინგლის-ამერიკელთა ტაქტიკა დავიდა არა იმდენად თანხმობის ძიებამდე დიდ სახელმწიფოთა შორის, რამდენადაც უთანხმოებათა გაძლიერებამდე მათ შორის, გასაგებია, რომ საზავო კონფერენციის „რეკომენდაციებს“, რომლებიც წარმოიშვნენ ანგლო-საქსური ბლოკის მისწრაფების შედეგად—თავზე მოეხვიათ საბჭოთა კავშირისათვის თავისი ნება-სურვილი, — მინისტრების საბჭოსათვის არავითარი პრაქტიკული ღირებულება არ ჰქონდათ. აქ, როგორც ითქვა, მოქმედებს ერთხმივობის წესი, და ამიტომ საზავო კონფერენციის ყოველი რეკომენდაცია, რომელმაც ვერ მიიღო შესაბამისი საზავო ხელშეკრულების შემდგენელი თუნდაც ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს სანქცია, არ შეიძლებოდა შესულიყო ხელშეკრულების საბოლოო ტექსტში. ამის გამო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ნიუ-იორკის სესიაზე ყველა ასეთი „რეკომენდაცია“, დამყარებული აზრთა სხვადასხვაობაზე, უნდა ხელახლა განხილულიყო და განხილულ იქნა კიდეც. საკითხის ახლად განხილვის დროს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დიპლომატებმა კიდევ რამდენჯერმე თავგანწირვით სცადეს ცალმხრივად თავზე მოეხვიათ საბჭოთა კავშირისათვის თავიანთი ნება-სურვილი, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ იმდენად, რომ შესაძლებელი გაეხადათ სსრ კავშირთან შეთანხმებული საზავო ხელშეკრულებათა ტექსტების მიღება გერმანიის ყოფილი მოკავშირეებისათვის. დეტალებზე შეუჩერებლივ შეიძლება ითქვას, რომ **ძირითადში** ეს ხელშეკრულებანი შეესაბამებიან დემოკრატიულ პრინციპებს. მიუხედავად იმისა, რომ წლის განმავლობაში ანგლო-საქსური დიპლომატიის ღონისძიებანი მიმართული იყო იქითკენ, რათა აეგოთ ხელშეკრულებანი აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სახელმწიფოებისათვის იმპერიალისტურ პრინციპებზე, რომლებიც უზრუნველჰყოფდნენ ამ სახელმწიფოთა შემდგომს დამონებას ინგლის-ამერიკის კაპიტალის მიერ.

რითი-ღა აიხსნება მოულოდნელი მორბედება, რაც გამოიჩინა ანგლო-საქსურმა ბლოკმა ხუთი საზავო ხელშეკრულების საკითხში, რომელთა პრაქტიკულ გამომუშავებას იგი ფაქტიურად საბოტაჟს უწევდა წლის განმავლობაში?

ჯერ ერთი, ინგლის-ამერიკის დიპლომატიის წრეებში როგორც სჩანს, შეიგნეს, რომ შანტაჟითა და დაშინებით შეუძლებელია აიძულო სსრ კავშირი—წავიდეს პრინციპულ დათმობებზე, მეორეც ის, რომ ამ წრეებში, როგორც სჩანს, მხედველობაში მიიღეს, რომ სამშვიდობო რეგულირების ჩაფუშვა და ახლანდელი უხელშეკრულებო ურთიერთობათა შენარჩუნება აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებთან, მაშინ, როცა განუხრელად ვითარდება ურთიერთობა ამ ქვეყნებსა და სსრ კავშირს შორის, აშკარად არ არის ხელსაყრელი ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და გარდა ამისა, ამ ურთიერთობაში იმალება ინგლისელებისა და ამერიკელების პრესტიჟის სრული დაცემის საფრთხე ამ ქვეყნების ხალხების თვალში. მესამეც ის, რომ ინგლისისა და ამერიკის ხელმძღვანელ წრეებში, როგორც სჩანს, შეიგნეს, რომ სამშვიდობო რეგულირების საქმის ჩაშლის შემთხვევაში მთელი წლის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ საზავო ხელშეკრულებათა პროექტების

გარშემო, ამ ჩაშლისათვის მორალურ პასუხისმგებლობას მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი დააკისრებს სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს, და არა სსრ კავშირს, როგორც ეს სასურველი იქნებოდა დოლარის დიპლომატიის მომხრეებისათვის, ვინაიდან წლის განმავლობაში ხალხებს საუკეთესო შესაძლებლობა ჰქონდათ შეედარებინათ მშვიდობის დემოკრატიული პროგრამა, რომელსაც სსრ კავშირი იცავდა, ანგლო-საქსთა იმპერიალისტურ პროგრამასთან, რომელსაც ისინი იცავდნენ მინისტრების საბჭოშიც და საზავო კონფერენციაზეც. გაითვალისწინეს რა ყველა ეს მოსაზრებანი, ანგლო-საქსური ბლოკის ხელმძღვანელებმა, როგორც სჩანს, **თავისთვის** ხელსაყრელად ჩასთვალეს გერმანიის გუშინდელი მოკავშირეებისათვის საზავო ხელშეკრულებანი გაეფორმებინათ მაინც, ვიდრე დაეტოვებინათ ნაკლებად ხელსაყრელი უხელშეკრულებო ურთიერთობანი, რაც დღემდე არსებობდა. მესამე გამოსავალი მათ არ ჰქონდათ.

ბრძოლა საზავო ხელშეკრულებათა გარშემო, რაც ბოლოსდაბოლოს დამთავრდა მათი ხელმოწერით 1947 წლის 10 თებერვალს პარიზში, უაღრესად საგულისხმოა შანტაჟის დიპლომატიის მომხრეთათვის სსრ კავშირის მიმართ. სულ სხვა საკითხია, გააკეთებენ თუ არა ისინი ყველა საჭირო დასკვნას იქიდან, რაც მოხდა; ფაქტები კი ობიექტურად მეტყველებენ იმის შესახებ, რომ სსრ კავშირთან შეთანხმება შესაძლებელია **მხოლოდ თანასწორუფლებიანობისა და ნებაყოფლობის საფუძველზე და რომ არავითარი შანტაჟით, გამოძალვით და დაშინებით საბჭოთა სახელმწიფოსათვის არასოდეს არაფრის თავზე მოხვევა ან კარნახი არ შეიძლება.** ანგლო-საქსების ბლოკის მრავალი თვის შეუპოვარი ბრძოლის ისტორია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთათვის საზავო ხელშეკრულებათა დემოკრატიული საფუძვლების წინააღმდეგ ჭკუის მასწავლებელია, პირველ ყოვლისა ამ თვალსაზრისით.

* * *

საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლა ომისშემდგომი მშვიდობის დემოკრატიული საფუძვლებისათვის 1946 წელს ვითარდებოდა არა მარტო გერმანიის ყოფილი ევროპელი მოკავშირეებისათვის საზავო ხელშეკრულებათა გამომუშავებასთან დაკავშირებით. ამ ბრძოლით იყო გამსჭვალული საბჭოთა დიპლომატიის მოღვაწეობის სხვა მხარეებიც, რომლებიც უშუალოდ არ იყვნენ დაკავშირებული საზავო ხელშეკრულებათა შედგენასთან. თუ გავერკვევით იმ დიპლომატიურ ბრძოლებში, რომელიც გაჩაღებული იყო გასულ წელს, მაგალითად, გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაში ან უშიშროების საბჭოში, ძნელი როდი იქნება იმის გაგება, რომ აქაც ერთმანეთს შეეჯახა ერთმანეთის საწინააღმდეგო ორი პროგრამა, საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტის ერთმანეთის საწინააღმდეგო ორი მეთოდი—საბჭოთა, დემოკრატიული მეთოდი და იმპერიალისტური მეთოდი, რომელსაც მხარს უჭერდა ანგლო-საქსური ბლოკი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1946 წელს ერთი სესია ჩაატარა. ამ პირველი სესიის პირველი ნაწილი მიმდინარეობდა ლონდონში 10 იანვრიდან 15 თებერვლამდე. მეორე ნაწილის სხდომები უკვე ნიუ-იორკში გაიმართა 23 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე. ამრიგად, გე-

ნერალური ასამბლეის პირველი სესიის პირველ და მეორე ნაწილებს შუა რვა თვემ განვლო; ეს დრო აღსავსე იყო ანგლო-საქსური ბლოკის დაჟინებითი ცდებით (კერძოდ, პარიზის საზავო კონფერენციაზე) ხელი შეეშალა დემოკრატიული პრინციპების დანერგვისათვის საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში. ანგლო-საქსები, როგორც სჩანს, ფიქრობდნენ, რომ შესძლებს საკმარისად მოემზადებინათ ნიადაგი და გენერალური ასამბლეის პირველი სესიის მეორე ნაწილის მუშაობის დროს შეეცადნენ უკვე ორგანიზებულად ძირი გამოეთხარათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფუძვლებისთვისაც კი. დიდი ხანია მზადდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციის საფუძვლისათვის ძირის გამოთხრა, ორგანიზაციისა, რომელიც მოწოდებულია დაიცვას მშვიდობა და უზრუნველჰყოს ხალხთა უშიშროება. ანგლო-საქსური ბლოკის სახელმწიფოთა, და ამ ბლოკის ორიენტაციის მჭონე სატელიტების რეაქციული პრესა მთელი 1946 წლის განმავლობაში ეწეოდა კამპანიას და ცდილობდა შეერყია ძირითადი პრინციპი, რომელსაც ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი წესდება. ეს არის ხუთი დიდი სახელმწიფოს ერთხმივობის პრინციპი უშიშროების საბჭოში, ე. ი. იმ სახელმწიფოთა, რომელთა თანამშრომლობამაც უზრუნველჰყო გამარჯვება მეორე მსოფლიო ომში და გვიჩვენა, რომ მათ აქვთ რეალური საშუალებანი და შესაძლებლობანი მომავალშიც **ერთობლივად** გაუსწორდნენ ყველა აგრესორს. ხუთი დიდი სახელმწიფოს ერთიანობის იდეა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში დაედო სწორედ საფუძვლად გაერთიანებული ერების წესდებას და, კერძოდ, იგი ჩაწერილია 27-ე მუხლში, რომლის თანახმადაც უშიშროების საბჭო — გაერთიანებული ერების ეს ქმედითი აღმასრულებელი ორგანო — თავის გადაწყვეტილებებს არასაპროცედურო საკითხებზე იღებს 7 ხმის უმრავლესობით (11-დან), დიდი ხუთეულის (სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, ჩინეთი) ხმების დამთხვევის აუცილებლად ჩათვლით. დიდი ხუთეულის ყველა წევრს შეუძლია არასაპროცედურო ხასიათის ამათუიმ საკითხში არ დაეთანხმოს დანარჩენ წევრებს, და მაშინ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე არ შეიძლება მიღებულ იქნას. აი დიდი ხუთეულის თვითეული წევრის სწორედ ეს უფლება—ჰქონდეს თავისი საკუთარი აზრი და თავისი ხმის წინააღმდეგობით გავლენა მოახდინოს ამათუიმ წინადადების ბედზე, რომელიც სდგას უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში. ანგლო-საქსური ბლოკის ხელმძღვანელებმა მონათლეს „ვეტოს უფლებად“ და მიზნად დაისახეს მისთვის ძირის გამოთხრა. ანგლო-საქსების საქციელმა გვიჩვენა, რომ სინამდვილეში მათ აწუხებთ არა ის, რომ საერთოდ გააუქმონ „ვეტოს“ უფლება, არამედ მხოლოდ ის, რათა წაართვან საბჭოთა კავშირს ეს უფლება. ეს გასაგებიც არის. იმის შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა საერთო ენა გამონახეს სსრ კავშირის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ასპარეზზე და ანგლო-საქსური ჰეგემონიის დამყარებისათვის მსოფლიო ასპარეზზე, სსრ კავშირთან შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღწევის აუცილებლობა დაბრკოლება გახდა ამერიკისა და ინგლისის კაპიტალების იმპერიალისტური ექსპანსიების გზებზე. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ანგლო-საქსურმა ბლოკმა დაიწყო ზრუნვა მშვიდობის საერთაშორისო ორგანიზაციის ისეთი გარდაქმნის მიღწევისათვის, რომე-

ლიც გამოიწვევდა სსრ კავშირის ფაქტიურ ჩამოშორებას ამ ორგანიზაციის საქმეებზე გავლენისაგან და საშუალებას მისცემდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს მონოპოლურად წარემართათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკა თავიანთი იმპერიალისტური პოლიტიკის ინტერესების შესაბამისად. ამრიგად, **ძირითადი** პრინციპი, რომელსაც ემყარება გაერთიანებული ერების მთელი ორგანიზაცია—დიდი სახელმწიფოების **შეთანხმებული მოქმედების** პრინციპი მშვიდობის დაცვის სარბიელზე ომის შემდეგ, შემბორკველი გახდა იმათთვის, ვინც ზრუნავს არა იმდენად მშვიდობის დაცვაზე, რამდენადაც მსოფლიოში თავისი ჰეგემონიის დამყარებაზე. აქედან წარმოსდგება მისწრაფება — თავი დააღწიონ ერთხმიერობის პრინციპს, რომელიც ჩაწერილია წესდების 27-ე მუხლში, რათა ხელფეხი გაიხსნან უშიშროების საბჭოში საპარპაშოდ მასში თავიანთი სატელიტების ხმების უმრავლესობის „უფლებით".

მაგრამ რამდენადაც მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის საფუძვლისათვის ძირის გამოთხრის შესახებ წინადადებით გამოსვლა დაკავშირებულია ამ საქმის ინიციატორთა დისკრედიტაციასთან, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ამჯობინეს ემოქმედნათ თავიანთი ღირსებადაკარგული მარიონეტების მეშვეობით და ფორმალურად მიენდოთ გაერთიანებული ერებისათვის ძირის გამოთხრის ინიციატივა ავსტრალიისა და კუბისათვის, ხოლო უფრო გვიან წესდების გადასინჯვის ინიციატორთა ფრონტს მიაკუთვნეს ფილიპინებიც. იერიში დაწყებულ იქნა „მცირე სახელმწიფოთა" ფრონტით „ვეტოს უფლების" გაუქმების ლოზუნგით, უფლებისა, რომელიც თითქოს სსრ კავშირს პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს.

მაგრამ მთელი ეს წამოწყება სამარცხვინოდ ჩაიფუშა, მიუხედავად იმისა, რომ იგი უაღრესად გულდასმით მზადდებოდა დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში. ანგლო-საქსური ბლოკის დიპლომატიამ ამ საკითხში სერიოზული დამარცხება განიცადა იმიტომ, რომ იგი აღმოჩნდა „თვითგანიღბვის" რისკის წინაშე.

უდიდესი გამარჯვება, რომელიც მოიპოვა საბჭოთა დიპლომატიამ გენერალური ასამბლეის შარშანდელ სესიაზე, იყო ასამბლეის რეზოლუცია საკითხზე შეიარაღებათა საყოველთაო შემცირების შესახებ, რომელიც წამოაყენა ამხანაგმა მოლოტოვმა. უნდა ითქვას, რომ დოლარისა და გირვანქა სტერლინგის დიპლომატიას, შანტაჟისა და დაშინების დიპლომატიას, რომლის საბოლოო მიზანია ანგლო-საქსური კაპიტალის მსოფლიო ჰეგემონიის დამყარება, სჭირდება შეიარაღება და არა განიარაღება. გარდა ამისა, კაპიტალისტებს, რომლებიც სუქდებიან სამხედრო მიწოდებებით, სრულიადაც არ სურთ უარი სთქვან ამ მომგებიან საქმეზე. ამიტომ „ახალი ომის" შესახებ ხელოვნურად შექმნილი ჰიპნოზის ვითარებაში კაპიტალისტები მშვიდობის პირობებშიც ზრდიან თავიანთ შემოსავალს შეიარაღებათა საშუალებით. სავსებით ნათელია, რომ საბჭოთა წინადადება განიარაღების შესახებ სრულიად არ მოეწონათ ანგლო-საქსური ბლოკის ხელმძღვანელებს. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დიპლომატებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ომით მოჯანცული ხალხებისათვის აშკარად თქმა იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს არ სურთ განიარაღებაო, იქნებოდა ამ სახელმ-

წიფოთა მშვიდობისმოყვარეობის რეპუტაციისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენება ომის შემდეგ. ამიტომ ანგლო-საქსური ბლოკის წარმომადგენლებს დაფიცება უხდებოდათ ასამბლეის ტრიბუნიდან განსაიარაღებლად თავიანთი მზადყოფნის შესახებ. ამან შესაძლებლობა მისცა საბჭოთა დიპლომატიას მიეღწია იმისათვის, რომ ასამბლეას მიეღო საკმაოდ კონკრეტული რეკომენდაცია შეიარაღებათა შემცირების საკითხზე.

* * *

საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლა მტკიცე დემოკრატიული მშვიდობისათვის 1946 წელს არ განისაზღვრებოდა მარტო ბრძოლით საზავო ხელშეკრულებათა დემოკრატიული ხასიათისათვის, განიარაღებისათვის, უცხოეთის ჯარების გამოყვანისათვის არა მტრული ქვეყნების ტერიტორიებიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებისათვის და ა. შ. საბჭოთა დიპლომატიის ფრიად მრავალმხრივი მოღვაწეობა გამსჭვალული იყო დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური, ანტიფაშისტური სულისკვეთებით. ყველაფერი, რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს უშლიდა რეაქციული ძალების განმტკიცებას, ყველაფერი, რაც ობიექტურად ამტკიცებდა მოწინავე, დემოკრატიული ძალების პოზიციებს მსოფლიო ასპარეზზე, ყველაფერი, რაც ამტკიცებდა მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საფუძვლებს,—მხარდაჭერას პოულობდა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს დიპლომატიის მხრივ. ბევრს ცდილობდა საერთაშორისო რეაქცია 1946 წელს მახვილი ჩაეცა პროგრესიული ძალებისათვის მსოფლიო ასპარეზზე, მაგრამ რეაქციული ძალების იერიში მოგერიებულ იქნა. დემოკრატიული ძალების ჩამოშორება იმ პოზიციებიდან, რომლებზეც ისინი დადგნენ ომის შედეგად, რეაქციის ძალებმა ვერაფრით ვერ შესძლეს.

1946 წელს უძლიერესი მორალურ-პოლიტიკური დარტყმა იგემეს რეაქციის ძალებმა ამხანაგ სტალინის გამოსვლებით. კერძოდ, ამრიგად, ნიღაბი ჩამოეხსნა ხმაურს „ახალი ომის შესახებ“, რომელსაც გარკვეული მოსაზრებით აზვიადებდა საერთაშორისო რეაქცია. ამხანაგ სტალინის პასუხმა ალექსანდრე ვერტისა და ელიოტ რუზველტისადმი უძლიერესი დარტყმა აგემა „ახალი ომის“ შესახებ ხმაურის ორგანიზატორებს და ჩაჰფუშა მათი მრავალი ვარაუდი. ნიღაბი ჩამოეხსნა ჩერჩილსაც, როგორც ომის ერთ-ერთ მთავარ გამჩაღებელს. ამიტომ გასაგებია, მშვიდობასა და უშიშროებას მოწყურებული ხალხები რატომ მიაპყრობენ თვალს სსრ კავშირს, როგორც სამართლიანი მშვიდობის მთავარ დასაყრდენს საერთაშორისო ასპარეზზე.

# სარჩევი

## 1946 წლის განმავლობაში ჟურნალ „ბოლშევიკში" მოთავსებული მასალებისა

### დოკუმენტები


| | № | გვ. |
|---|---|---|
| ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს . . | 2 | 1 |
| ბრძანება სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა № 8 1946 წლის 23 თებერვალი, ქ. მოსკოვი . . . . . | 2 | 13 |
| ამხანაგ სტალინის ინტერვიუ „პრავდის" კორესპონდენტთან ბ-ნ ჩერჩილის სიტყვის გამო . . . . . | 3—4 | 1 |
| „ასოშიეიტედ პრესის" კორესპონდენტის ბ-ნ ედი ჰილმორის მიერ ამხანაგ სტალინისათვის მიცემული კითხვები და ამხანაგ სტალინის პასუხი . . | 3—4 | 7 |
| მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ სტალინის პასუხი „იუნაიტედ პრესის" სააგენტოს პრეზიდენტ ბ-ნ ჰიუ ბეილის დეპეშაზე . . . . . | 3—4 | 8 |
| ბრძანება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა № 7 . . . | 5 | 1 |
| ბრძანება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა № 11 . . | 5 | 4 |
| ბრძანება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა, 1946 წლის 18 აგვისტო № 35 ქალაქი მოსკოვი . . . . . | 8 | 1 |
| ბრძანება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა, 1946 წლის 25 აგვისტო. № 38 ქალაქი მოსკოვი . . . . . | 8 | 2 |
| ბრძანება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა, 1946 წლის 3 სექტემბერი № 41. ქალაქი მოსკოვი . . . . . | 9—10 | 1 |
| ბრძანება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა, 1946 წლის 8 სექტემბერი № 43. ქ. მოსკოვი . . . . . | 9—10 | 2 |
| ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხები „სანდეი ტაიმსის" მოსკოველი კორესპონდენტის ბ-ნ ალექსანდრე ვერტის მიერ ამხანაგ სტალინის სახელზე 17 სექტემბერს გაგზავნილ ბარათში დასმულ კითხვაზე . . . . . | 9—10 | 4 |
| ამხანაგ სტალინის პასუხი ამერიკული საagენტოს „იუნაიტედ პრესის" პრეზიდენტ ბ-ნ ჰიუ ბეილისაგან 1946 წლის 23 ოქტომბერს მიცემულ კითხვებზე | 9—10 | 7 |

---

| | | |
|---|---|---|
| ლენინ-სტალინის დიადი დროშით — ამხ. გ. თ. ალექსანდროვის მოხსენება 1946 წლის 21 იანვარს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXII წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე . . . . . | 1 | 1 |
| ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემის შესახებ . . . . . | 1 | 64 |
| ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვა თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს . . . . . | 2 | 16 |
| ამხანაგ შვერნიკის სიტყვა . . . . . | 2 | 36 |
| საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. ბაქრაძის მოხსენება — მეოთხედი საუკუნე ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების დღიდან . . . . . | 2 | 38 |
| ნ. ა. ვოზნესენსკი — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946—1950 წლებისათვის . . . . . | 3—4 | 14 |
| კანონი — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ . . . . . | 3—4 | 45 |
| კ. ნ. ჩარკვიანი — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა და თბილისის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები (მოხსენება თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1946 წლის 15 აპრილს) . . . . . | 3—4 | 110 |
| ვ. მ. მოლოტოვის განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის თათბირის შედეგთა შესახებ საბჭოთა პრესის წარმომადგენლებისადმი . | 5 | 5 |


---

№ გვ.

## მ. ი. კალინინის ხსოვნას

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან . . . . . 6 59

მიხეილ ივანეს-ძე კალინინი . . . . . 6 60

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან . . 6 63

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

გ. ე. ალავიძე—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა 1946—1950 წლებისათვის . . . . . 8 9

ვ. მ. ბაქრაძე—სიტყვა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების გამო . . . . . 8 36

კანონი—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ . . . . . 8 52

კ. ს. ციმაკურიძე—საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგების ანგარიში . . . . . 8 73

კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება . . . . . 9—10 10

კოლმეურნეობათა სახოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება . . . . . 9—10 17

ამხ. ჟდანოვის მოხსენება ჟურნალების „ზვეზდისა" და „ლენინგრადის" შესახებ . . . . . 9—10 33

ა. ა. ჟდანოვი—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIX წლისთავი (მოხსენება მოსკოვის საბჭოს 1946 წლის 6 ნოემბრის სხდომაზე) . . 11 1

## მოწინავე და სარედაქციო წერილები

ვიმუშაოთ ისე, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი . . . . . 3—4 9

მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა მრეწველობის დარგში და ჩვენი ამოცანები . . . . . 5 15

სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ უხვი მოსავალი . . . . . 6 1

გავაუქმჯობესოთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა . . . . . 6 7

ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობა . . . . . 7 1

ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი (საკ. კ. პ. (ბ) ორგანოს „ბოლშევიკის" № 10 სარედაქციო წერილი.) . . . . . 7 6

სოციალისტური მშენებლობის დიდი პროგრამა . . . . . 8 3

სტალინური წესდება—საკოლმეურნეო ცხოვრების ურყევი კანონია . . . 9—10 24

სტალინური კონსტიტუციის დროშით . . . . . 12 1

კადრების თეორიული მომზადების მძლავრი იარაღი . . . . . 11 19

## სტატიები

პ. გუგუშვილი—საქართველოს სსრ მძიმე პრეწველობა 1921—1946 წლებში 1 18

ლ. გორგილაძე—ლენინი და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმოშობა ამიერკავკასიაში . . . . . 1 49

ლ. გორგილაძე—ნაციონალური საკითხი ი. ბ. სტალინის ადრინდელ შრომებში . . . . . 11 38

კ. ჩარკვიანი—საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავი . . . . . 2 26

მ. დელბა—საუკუნის მეოთხედი . . . . . 2 61

თ. კუნჭულია—ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის . . . . . 2 71

ს. ჭელიძე—ვიბრძოლოთ მეოთხე ხუთწლედის პირველი წლის უხვი მოსავლისათვის . . . . . 4—4 133

| | № | გვ. |
|---|---|---|
| ხ. ჰელიძე – განუხრელად გავატაროთ ცხოვრებაში სას. სამეურნეო არტელის სტალინური წესდება | 12 | 30 |
| ვ. გრიგორიანი — ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესის ისტორიიდან | 5 | 21 |
| ტ. კვარაცხელია — სტახანოვური მოძრაობა და აგროტექნიკური ღონისძიებათა სისტემა | 5 | 36 |
| გ. ნატროშვილი — მაქსიმ გორკი | 6 | 13 |
| პროფ. გ. ზარიძე — გეოლოგიის როლი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მეოთხე ხუთწლედში | 6 | 23 |
| ა. ქანთარია — ფართოდ დავნერგოთ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების მოწინავე გამოცდილება | 6 | 32 |
| მ. ჩუბინიძე — ჩვენი ამოცანები მეოთხე ხუთწლედში რკინიგზის ტრანსპორტის დარგში | 6 | 40 |
| უ. ობოლაძე — სწავლის ვადის გადიდება სკოლაში და მისი მნიშვნელობა | 6 | 49 |
| ი. მიქელაძე – საქართველოს მძიმე მრეწველობა მეოთხე სტალინურ ხუთწლედში | 7 | 42 |
| მ. სააკაშვილი — დიდი ქართველი მეცნიერი | 7 | 55 |
| ხ. დონაძე — კიდევ უფრო ავამაღლოთ ხელმძღვანელი კადრების იდეურ-თეორიული მომზადების დონე | 8 | 93 |
| პ. პოსპელოვი — ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეორე ტომი | 9—10 | 56 |
| ძ. ბარამია — გავაძლიეროთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, უკეთ მოვაწყოთ პარტიაში მიღების საქმე | 9—10 | 85 |
| გ. ფვანია — სტალინური „ბრძოლა“ | 9—10 | 117 |
| ი. ნატროშვილი — საბჭოთა დემოკრატია — უმაღლესი ტიპის დემოკრატიაა | 12 | 9 |
| მ. ჩხეიძე — სახელმწიფო მრეწველობის შრომითი რეზერვები | 12 | 43 |
| ა. მგელაძე — პარტიული ხელმძღვანელობა — კოლმეურნეობრივი ძლიერების წყაროა | 12 | 49 |
| ი. მელქაძე, ი. კოდუა — ი. ბ. სტალინის თხზულებათა მესამე ტომი | 11 | 25 |


## ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ


| | | |
|---|---|---|
| ხ. ბოკუჩავა — ამხანაგ სტალინის ბრძოლა ქართველ მენშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ რეაქციის პერიოდში | 5 | 47 |
| ბ. ნანიტაშვილი — სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვების ლენინურ-სტალინური თეორია | 12 | 56 |


## ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ


| | | |
|---|---|---|
| საერთაშორისო მიმოხილვა | 6 | 64 |


## ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ


| | | |
|---|---|---|
| საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისაგან | 5 | 67 |
| ი. კუზმინსკი — მისტერ ჯონსტონი „სახალხო კაპიტალიზმის“ მქადაგებლის როლში | 11 | 53 |



სარედაქციო კოლეგია:
გ. ალავიძე
კ. ბარიგიანი
ვ. კუპრაძე
ა. ძუთელია
პ. შარია (პ/მგ. რედაქტორი)
ხ. ჰელიძე
ხ. ჯანაშია



უე 01313. გამომც. № 31. ტირაჟი 8.000
1 საბ. ფორ. 56000 სასტ. ნიშ. სასტ. ფორმ. 11 შეკ. № 186
ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის, 28.

ფასი 6 მან.

ბ 838
1947



ЖУРНАЛ
„БОЛЬШЕВИКИ“
(на грузинском языке)
Орган ЦК КП (б) Грузии
№ 1-2 январь-февраль 1947 г.